N30 (581) 28/VII-3/VIII-2011 ფასი 1 ლარი

# გზა

ჩემი რჩეული

მიხეილ ჯავახიშვილი

ხუთტომეული

ტომი I

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად 6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი

შემდეგ

მიხეილ ჯავახიშვილი

ტომი II



ექსკლუზიური ინტერვიუ თამთა ლიპარტელიანის დედასთან

„დედისერთა გოგონა ყოველთვის ცნობისმოყვარე იყო“

„ფეისბუკით“ დაწყებული სიყვარული

ვისთან ერთად დაისვენებს ანი ქორქია

ექსკლუზივი

აბაშიძეების ოჯახში მომხდარი სასწაულები



მოვლენა, რომელსაც ახსნა ვერავინ მოუძებნა

რით დააშინა ქართველმა გოგონამ ეგვიპტელი მეტოქე



„დამინახა და... ტირილი დაიწყო“

ვისი წინასწარმეტყველება აუხდა გაგა ჩიხლაძეს



„დაცვამ ბავშვი რომ წააქცია, ამაკანკალა“



ლღლვომანია და დამწვრობისგან მიღებული შოკი

„30 პაციენტს შორის ბიჭიც იყო...“

ISSN 1987 - 5029

„ბალზაკის ასაკის“ ქალები და მათი სილამაზის საიდუმლო

მიირთვით ყოველდღე




გაიზიარეთ ქართული ბუნების მადლი

# „საირმე“ – მიირთვით ყოველდღე და გაიზიარეთ ქართული ბუნების მადლი!

გამაგრილებელი და სასარგებლო, გამაჯანსაღებელი და სამკურნალო — ყველა ეს თვისება მინერალურ წყალ „საირმეს“ ახასიათებს. წლის ამ სეზონზე, ზომიერად გაზირებული ან არაგაზირებული, ცივი მინერალური წყალი გაგრილებისა და წყურვილის მოკვლის საუკეთესო საშუალებაა. ამიტომაც არის, რომ ქუჩაში სულ უფრო ხშირად შეხვდებით გამვლელებს მინერალური წყლით ხელში, ხოლო მცირე საოჯახო სადილი თუ დიდი წვეულება ასეთი სასმლის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია.

საქართველო მდიდარია ბუნებრივი, მინერალური და სამკურნალო წყლებით. დაახლოებით 3000 სახეობის მინერალური წყალია აღმოჩენილი, მაგრამ ბუტილიზირება და მომხმარებელთან მიტანა მხოლოდ მცირედი ნაწილისა ხდება. თუმცა ყველა შემთხვევაში, მომხმარებელს მინერალური წყლის გამოყენებამდე სრული ინფორმაცია უნდა ჰქონდეს, როგორც მისი შემადგენლობის, ასევე მოხმარების წესის შესახებ.

სიახლე არ იქნება თუ ვიტყვი, რომ მომხმარებელს ყველაზე მეტად ის მინერალური წყალი იზიდავს, რომელიც გამაჯანსაღებელი თვისებებით გამოირჩევა და ყოველდღიური მოხმარებისთვის არის რეკომენდებული. მინერალური წყალი ყოველდღიური მოხმარებისთვის, სამკურნალო-პროფილაქტიკური წყალი და არაგაზირებული წყაროს წყალი — კომპანია „საირმე მინერალ ვოთერსის” ასორტიმენტში, ყველა ამ პროდუქციას აღმოაჩენთ.

მინერალური წყლის ასორტიმენტის ზრდა კომპანიამ პარტნიორ საკონსულტაციო კომპანია branding.ge-სთან ერთად განხორციელებული რებრენდინგის შედეგად მოახდინა. შეიცვალა „საირმეს“, როგორც ბრენდის სტრატეგიული მიმართულება, ასევე ლოგო, კორპორატიული სტილი, შეფუთვის დიზაინი და ასორტიმენტი. თუ აქამდე „საირმეს“ მხოლოდ ერთი სახეობის მინერალური წყლის შეძენა იყო შესაძლებელი, ახლა ასორტიმენტი გაფართოვდა და ამიერიდან მომხმარებელი სამი სახეობის და სხვადასხვა ლიტრაჟით წარმოდგენილ პროდუქციას შეიძენს.

ალსანიშნავია ის გარემოება, რომ დაახლოებით ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა კვლევითი სამუშაოები წყლების შემადგენლობისა და მათი მიზნობრიობის გამოსავლენად.

ნატურალური მინერალური წყალი „საირმე“, რომელსაც სხვაგვარად სუფრის წყალსაც უწოდებენ, რეკომენდებულია ყოველდღიური მოხმარებისთვის. ეს წყალი, საირმის მთებში, მდინარე წიბლარისწყლის ხეობაში, მრავალსაუკუნოვან ქანებში, ბუნებრივ ფილტრაციას გადის. ეს არის ჰიდროკარბონატულ კალციუმ-ნატრიუმიანი წყალი, რომელიც ზედაპირულ ქანებში გრუნტის წყალთან ზავდება და შედეგად ვიღებთ წყალს შესანიშნავი გემოვნური თვისებებით, რომელიც წყურვილსაც მოგიკლავთ, გაგაგრილებთ კიდეც და ნივთიერებათა ცვლის ბალანსის რეგულირებაშიც დაგეხმარებათ. შესაბამისად, ამ წყლის შეძენა შესაძლებელია სავაჭრო ობიექტებში ან შეგიძლიათ მოითხოვოთ სასტუმროებსა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში.

უნიკალური სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა ზომიერად გაზირებული მინერალური წყალი „საირმე ტრადიციული“, რომელიც ასევე საირმის ხელთუქმნელი ბუნების წიაღში იბადება და თქვენამდე კომპანია „საირმე მინერალ ვოთერსის“ დახმარებით აღწევს. ეს წყალი უებარი საშუალებაა ღვიძლის, შარდსადინარი გზების, თირკმლების და კუჭ-ნაწლავის დარღვეული ფუნქციის აღსადგენად. „საირმე ტრადიციული“ ასევე ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის შედეგად ორგანიზმში წარმოქმნილი მავნე პროდუქტების გამოყოფას. აღსანიშნავია, რომ „საირმე ტრადიციულის“ შეძენა მხოლოდ სააფთიაქო ქსელშია შესაძლებელი.




დაბოლოს, არაგაზირებული წყაროს წყალი, რომელიც ზღვის დონიდან 2000 მეტრზე, საირმის მთების ალპურ ზონაში იბადება, ბუნებრივი მინერალებით მდინარ ქანებში ჩაედინება და მორაკრაკებს საირმის ხელთუქმნელი ბუნების წიაღში. „საირმის ნაკადულები“ რეკომენდებულია ყოველდღიური მოხმარებისთვის და მის ყოველ წვეთში იგრძნობა ქართული ბუნების მადლი.

**საირმე — გაიზიარეთ ქართული ბუნების მადლი!..**


როდენი – წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!
მისი დროული მიღება თავიდან აგაცილებთ წონაში მატებასაც
დაიკელით თვეში 9 კილომდე!
როდენი
ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი პროდუქტი
ხელს უშლის ნახშირწყლების ცხიმებში გადასვლას
ხელს უწყობს ცხიმების ბოლომდე დაწვას
აქვეითებს მადას ენერგიის მომატების ფონზე
ნორმამდე დაჰყავს სისხლის ჰორმონი ლეპტინი და ქოლესტერინი
ორგანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე და შლაკები
ანესრიგებს საჭმლის მომნელებელ სისტემას
მოგვაკითხეთ მისამართზე:
თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ან მიმართეთ
„ავერსის"-ს, „ჯი პი სი"-ს სააფთიაქო ქსელს,
და სხვა ქალაქის აფთიაქებს.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე
293 19 87; 230 97 52
მობ: 595308405;
e-mail - promoita@mail.ru
nikosaniltd@mail.ge
მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების
შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს


ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო კარუსელთან" ერთად, დიდი ქართველების ბიოგრაფიების თითო წიგნი!
მალე გამოვა:
14 ზაქარია ფალიაშვილი
15 გრიგოლ ხანძთელი
16 სულხან-საბა ორბელიანი
17 დავით სარაჯიშვილი
18 აკაკი წერეთელი
19 დიმიტრი უზნაძე
20 ქაქუცა ჩოლოყაშვილი
და სხვა დიდი ქართველები
დავით აღმაშენებელი
13
29 ივლისიდან - 5 აგვისტომდე
წიგნის ფასი: 2.50
(ჟურნალთან ერთად 3.50)
დავით აღმაშენებელი
ზაქარია ფალიაშვილი
შემდეგი
გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები
წიგნების სერია ბავშვებისთვის
უკვე გამოსული ტომები №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12 შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

№30 (581)
28 ივლისი - 3 აგვისტო. 2011 წ.
ფასი 1 ლარი

კვირის პალიტრა
გზა

## ქვეყანა



### ლეღვის ფოთოლი და გულუბრყვილო პაციენტები

„ლეღვის ფოთლები იწვევს კანის ზემო შრეების დაზიანებას და ზოგად ინტოქსიკაციას. დაგვიანებულმა მკურნალობამ შეიძლება, ძალზე სავალალო შედეგამდე მიგვიყვანოს“...

15

## სახე



### როდის აპირებს დაოჯახებას შეყვარებული ანი ქორქია

„მიუხედავად იმისა, რომ ის ბარსელონაში გაიზარდა, მე კი XXI საუკუნეში მცხოვრები, ახალგაზრდა გოგონა ვარ, ტრადიციებს დიდ ყურადღებას ვაქცევთ“.

18


■ მინიატიურები 5

„ვიცინი, აღარ ვსტირი მე“...

■ ჭრელი მსოფლიო 6

■ ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე 7

■ კრიმინალი 16

■ წყვილი 18

როდის აპირებს დაოჯახებას ანი ქორქია

■ ფსიქოპორტრეტი 20

„თეატრმა გული მატკინა“

■ სასწაული 22

თაკო აბაშიძის ბიძის სახლში სასწაული მოხდა!

■ არდადეგები 24

ვინ, სად, ვისთან ერთად ისვენებს?

■ ვარსკვლავები 26

■ ტკივილი 28

„ვიძინებ ჩემს ოჯახზე ფიქრით და მეღვიძება იმაზე ფიქრით, რომ ოჯახი აღარ მყავს“

■ ტრადიციები 30

მე და შენ რომ მოგვიხდება ანუ „სამედაშენისო“

■ თემა 32

აღზრდისას დაშვებული შეცდომები


## ცხოვრება

### აღზრდისას დაშვებული შეცდომები



„მახსოვს, ფეხი ახალი ადგმული ჰქონდა, ეზოში ძლივს დაბანცალებდა, წიწილებს რომ მიეპარა, ერთ-ერთს ხელი სტაცა და მაშინვე თავი წააძრო. მეც პატარა ვიყავი და სახლში ღრიალით მივედი, მაგრამ ამ ამბავზე ჩემს მშობლებს ყურადღება არ გაუმახვილებიათ“.

34

## გზა ვნილები

### როცა ოჯახის უფროსი ქალია



„საქმე ის გახლავთ, რომ კახეთში „ოფიციალური“ სტრიპტიზდაწესებულება არ არსებობს. საღამო ქალბატონი ციალას კერძო რესტორნის ქვედა სართულზე არსებულ კლუბში — „ცოტაც და ეგაა“ — იმართებოდა“.

64

■ **ინოვაცია** 34

ქართველი გამომგონებლის მიჩუმათებული მიღწევები და იდეები

■ **ნამდვილი ამბავი** 36

ჭკუის სასწავლებელი...

■ **თინეიჯერული პონტები** 37

რას ითხოვენ მოზარდები მშობლებისგან

■ **ფესვები** 40

გვარებად დარაზმულები ანუ „ერის უნიკალური თვისება“

■ **საკითხავი ქალებისათვის** 42

■ **ანტიდეპრესანტი** 44

■ **ტაძარი** 44

■ **ერუდიტი** 46

„შატალოზე“ ტროლეიბუსით დავდიოდით...“

■ **ასპარეზი** 48

გოგონა, რომელიც ხელებით დადის

■ **ავტო** 49

■ **ჯანმრთელობა** 51

■ **წვეთი პოეზია** 52

■ **საგანძური** 53

■ **შემოქმედის ტრაგედია** 54

რამდენიმე სურათი მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებიდან

■ **მისტიკური დეტექტივი** 56

რუსუდან ბერიძე. ხაფანგი (დასასრული)

■ **რომანი** 61

სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)

■ **გზავნილები** 64

როცა ოჯახის უფროსი ქალია

■ **ჰობი** 74

გლდანის „პატარა აფხაზეთი“...

■ **ეს სამყაროა** 76

■ **გასართობი** 78

■ **ასტროლოგია** 80

■ **სკანვორდი** 81

■ **საფირმო კროსვორდი** 82


## სამყარო



### გოგონა, რომელიც ხელებით დადის

„როდესაც მეტოქემ დაინახა, რომ ხელებით დავდიოდი, ჰაერში სალტოებს ვაკეთებდი, დაითრგუნა და ტირილი დაიწყო“.

48

## ბიბლუსი



### ხაფანგი



— სად ხარ, ბიჭო? — გაისმა ყურმილში ასათიანის შეშფოთებული ხმა.

— ბათუმში შევდივარ.

— რაო? — გაუკვირდა ასათიანს.

56

## ტაიმ-აუტი



### უცნაური ლოტი ანუ სისულელეში გადაყრილი ფული

მერილინ მონროს რამდენიმე ქმარი, საყვარელი და უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა. 2005 წელს „კრისტის“ აუქციონზე 90.850 დოლარად გაიყიდა წიგნაკი მათი ტელეფონის ნომრებით.

76


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.



# „ვიცინი, აღარ ვსტირი მე“...

**შესავლის ნაცვლად** დიდი აკაკი გამახსენდა „გუშინწინებზე“:

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ,
ვიცინი, აღარ ვსტირი მე“... — არა, ფოტორეპორტიორების გათავისუფლებაზე არ ვამბობ, ეგ ისედაც ვიცოდი, რომ ეგრე იქნებოდა; ამ შემთხვევაში ახალი პარტიის შექმნის პერსპექტივას ვგულისხმობ, ამ დღეებში რომ გაჟღერდა (ეს სიტყვა ძალიან დავიმკვიდრეთ... გაჟღერდა არა, გაიწკრიალა) — უფროსი „წიწიბურა“ (გაჩეჩილაძე), ეკა ბესელია და კუკავა რომ ჩამოაყალიბებენ!

აკაკი რომ გენიოსი და სიტყვის ჯადოქარი იყო, მე ხომ არ ვამბობ პირველად? რა გგონიათ, ვერ მოახერხებდა, „ვიცინი“-ს მაგივრად, „მიხარია“ დაეწერა და გაერითმა? მაგრამ სწორედ ის დაწერა, რასაც ფიქრობდა ალბათ და მეც იმიტომ გამახსენდა: „ვიცინი, აღარ ვსტირი მე...“

აბა, მითხარით, აკაკისა არ იყოს, არ უნდა გამცინებოდა, ამ „სასტავის“ შექმნილი ახალი პარტია რომ წარმოვიდგინე?!

დამიწყებს ახლა ზოგიერთი, — მიშისტი ხარო! არ ვარ მიშისტი, უბრალოდ, მიშაზე აღარ მეცინება...




კაცმა რომ თქვას, იმ ფოტოკორესპონდენტებზეც „ვიცინი, აღარ ვსტირი მე“! — მეცინება ხოლმე, ჩემი პროგნოზი რომ მართლდება და მერე აღარ მეცინება, როდესაც ვხვდები, მართლა სასაცილო ქვეყანაში რომ ვცხოვრობთ. ძველი საბჭოთა-რუსული კომედიის, „კავკასიელი ტყვე ქალის“ ფინალი გახსოვთ? განსასჯელი რომ ყვირის სასამართლოში: „და ზდრავსტვუეტ ნაშ სუდ, სამიი გუმანნი სუდ ვ მირე!“ — ეგრე იყო აქაც: სამშობლოს მოღალატეებს, ქვეყნის ამომგდებებს და დამაქცევრებს (ასე „დაადგინეს“) 3-4-წლიანი პირობითი სასჯელები აკმარეს და მეტი ჰუმანურობა რაღა გინდათ?!

კარგი, დავანებოთ თავი ფოტოგრაფებს, მით უმეტეს, რომ ჯერ ისევ შოკში არიან, თუმცა აბდალაძე უკვე იყო ჩვენთან რედაქციაში და ინტერვიუც მოგვცა — დამთავრდა ჩემი რეპორტიორობა, აწი მხოლოდ დაბადების დღეებს, ქორწილებსა და „ვეჩერინკებს“ გადავიღებო და მანდაც აკაკი და „ვიცინი, აღარ ვსტირი მე“ გამახსენდა — რატომ და, სწორედ „ვეჩერინკის“ სურათების გამო (ყველაზე სარწმუნო ვერსიით) რომ ხეხეს მაგან და მისმა კოლეგებმა „ვირის აბანო“...

რაც შეეხება ახალ, სავარაუდო პარტიას: გასულ კვირას ჯერ ბესელიაზე გამახსენდა „ვიცინი, აღარ ვსტირი მე“ — როდესაც ძააალიან სერიოზულ-ადვოკატურ-პოლიტიკოსური გამომეტყველებით განაცხადა, — ატყუებენ აბდალაძეს, აღიარებინებენ და არ გამოუშვებენ, ამიტომ არ მოვუწერე ხელიო; მერე გაჩეჩილაძეზე — ოქრუაშვილმა რომ მოღალატე და სააკაშვილის „სტუკაჩი“ უძახა და ამან რო „არგუმენტირებული“ პასუხი გასცა, დაახლოებით ასეთი: „მე კი არა, შენ! მე კი არა, შენ!“; რაც შეეხება კუკავას — ამ კვირაში კონკრეტული არაფერი, მაგრამ მაგაზე საერთოდ, — „ვიცინი, აღარ ვსტირი მე...“, თუმცა არც არასდროს „ვსტიროდი“.

ჰო, სიცილზე გამახსენდა: მიშა რომ იცინის ხოლმე, რაღაცნაირად, საყვარლად, — ხომ იცით? ამჯერად ჩვენი „პალიტრა.ტვ“-ს მიკროფონმა გაამხიარულა: პირველკლასელებისთვის დასარიგებელი „ნეტბუქების“ ქარხნის გახსნაზე მივიდა (მივიდა რა, — ლენტის გაჭრას ხომ არ „გამაზავდა“?); ჟურნალისტებთან კომენტარის გაკეთებისას ამ მიკროფონმა მიიქცია მისი ყურადღება და ეს ნაყინივით რატომ არისო? — იკითხა!!! ნაყინივითო!!! კარგად დააკვირდით? კი, კი — არ გეჩვენებათ, ნამდვილად შავია და, აქ არ ჩანს, მაგრამ სიტყვაზე მენდეთ — არც ცივია და არც სლიკინა... ნაყინი არა, უკაცრავად პასუხია და... ჰმ... ისა... ჰო, როგორც არის რა... ოღონდ მთავარი მაინც ის სიცილია, მიშიკოს ერთ ძველ, იუსტიციის მინისტრობის დროინდელ ვიდეოზე რომ არის მთელ ინტერნეტსამყაროში გავრცელებული და გამიხარდა, რომ არ დავიწყებია ის გულღია სიცილი... მე კი არა, ბევრს გაუხარდება და დარწმუნებული ვარ, ამ ვიდეოს (http://www.palitratv.ge/akhali-ambebi/skhvadaskhva/7016-saakashvilma-palitra-tv-s-mikrofoni-nayins-sheadara.html) ბევრი ათასი მაყურებელი ნახავს.

მიშაზე კიდევ ერთი „ვიცინი, აღარ ვსტირი მე“ როდის გამახსენდა, იცით?! საქართველოში 2015 წელს არც ერთი კვადრატული მეტრი დაუმუშავებელი მიწა არ დარჩებაო, რომ დაიფიცა ამ დღეებში! დავენაძლევები, რომ დარჩება — სულ რომ „გადაგვიხნას მინდორ-ველები“, ჩემს კუთვნილ, უკვე ნაყიდ, ფულგადახდილ და გაფორმებულ ნაკვეთს გურიაში ბარსაც არ მივაკარებ! აი, ისე, უბრალოდ, ხოში მაქვს და იმიტომ... მიშას ჯინი მაქვს და მისი ეს პროგნოზი რომ არ გამართლდეს იმიტომაც... ახლაც მიძახოს ზოგიერთმა, — მიშისტი ხარო!

**P.S.** მარშრუტკები რომ 80 თეთრი გახდა, არ გეცინებათ? მე — კი. ჯერ გავბრაზდი და ვტიროდი, მაგრამ ახლა „ვიცინი, აღარ ვსტირი მე...“ რადგან უარესის ღირსები ვართ... უფრო მეტიც — ის ზემოთ ხსენებული პარტია რომ შეიქმნას და ხელისუფლებაში მოვიდეს — მაგის ღირსებიც კი ვართ! აი, მერე დასხედით და „იცინეთ, აღარ იტიროთ“...

ისე, აკაკი იმ ლექსს, ხომ გახსოვთ, როგორ ამთავრებს?

„ნუ გამიმტყუნებთ იმედსა,
ხომ ხედავთ, აღარ ვსტირი მე!
დრო მოდის — ერთად ვიცინოთ!
ვიცინოთ, თქვენი ჭირიმე!“

ჰოდა, სანამ გვაცლიან, „ვიცინოთ, აღარ ვიტიროთ“ — მით უმეტეს, რომ პარტიებიც კიდევ შეიქმნება და პრეზიდენტიც არ მოიშლის ქარხნების გახსნაზე სიარულს.

*პროვოკატორი*

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

# ქვეყანა

## სასტუმრო სიმინდის ყანაში



შვეიცარიაში გლეხმა სიმინდის ყანაში, ღია ცის ქვეშ სასტუმრო გახსნა. ის განკუთვნილია ადამიანებისთვის, რომლებიც სოფლის მიმართ ნოსტალგიას განიცდიან. შვეიცარიელმა გლეხმა ჰერბერტ შლეუპიმ სასტუმროს ნომერი ორიგინალურად მოაწყო: ოთახში რკინის საწოლები დადგა, რომლებზეც სიმინდის ფუჩეჩი დააფინა. იატაკზეც ფუჩეჩია დაფენილი, კედლები კი სიმინდის ღეროებისგანაა გაკეთებული. დაბოლოს: ნომერს წვიმისგან ტენტი იცავს. ამ სასტუმროში ყოველწლიურად, 900 ადამიანი ბინავდება. ■

## ახალი აღმოჩენა რომის კოლიზეუმში

როგორც იტალიელმა არქეოლოგებმა დადგინეს, ჩვ.წ.აღ.-მდე პირველ საუკუნეში აშენებული კოლიზეუმი მხოლოდ გლადიატორების არენას როდი წარმოადგენდა — იქ რომის მკვიდრნიც ცხოვრობდნენ. მკვლევართა ჯგუფმა, რომელსაც რიკარდო სანტანჯელი ხელმძღვანელობდა, კოლიზეუმში ბუხრის ნანგრევები, იატაკისა და კედლების ნაწილები, კერამიკული ჭურჭლის ნარჩენები, მონეტები და მედალიონებიც აღმოაჩინეს. ამ აღმოჩენებს მეცნიერები XII საუკუნეს მიაკუთვნებენ. ■

## კოცნა კინაღამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა



გერმანიაში, ციხესიმაგრე „ნიდეჰენის“ ფანჯრიდან ტურისტი მაშინ გადმოვარდა, როდესაც მეგობარი გოგონას კოცნა დააპირა. მიუხედავად იმისა, რომ 40 წლის მიჯნური 7 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდა, მხოლოდ ფეხი დაიზიანა. შემთხვევა დასავლეთ გერმანიაში, აიფელის რეგიონში მოხდა, სადაც წყვილი მეგობრის ქორწილში იყო მიწვეული. „ნიდეჰენის“ ციხესიმაგრე ზღვის დონიდან 300 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ის გრაფმა ფონ იულიხმა შუა საუკუნეებში ააგო და ძველ დროში აუღებელ ციხედ ითვლებოდა. ■

## სოციალური ქსელი ცხოველებისთვის

ხარკოველებმა ინტერნეტში ცხოველებისთვის განკუთვნილი სოციალური ქსელი — mordashki.com შექმნეს. ქსელი ცხოველების პატრონებს თანამოაზრეების, ხოლო თავად ცხოველებს — სეირნობის დროს პარტნიორის პოვნაში დაეხმარება. შინაური ცხოველის დასარეგისტრირებლად აუცილებელია ანკეტის შევსება, სადაც მითითებული უნდა იყოს: ელექტრონული ფოსტის მისამართი, ცხოველის სქესის, სახეობისა და გარეგნობის აღწერა. რეგისტრაციის შემდეგ შესაძლებელია საყვარელი ცხოველის ფოტოალბომის შექმნა, აგრეთვე მისი ვიდეორგოლის ატვირთვა. ამჟამად ქსელში დაახლოებით 300 მომხმარებელია დარეგისტრირებული — უკრაინიდან, რუსეთიდან და ესტონეთიდან. ■



## ვიდეოთამაშების გამო შვილებს ყიდდნენ

ჩინელმა წყვილმა ვიდეოთამაშების გამო 3 შვილი გაყიდა. როგორც გაირკვა, ლი ლინმა და ლი ჟუანმა არ იცოდნენ, რომ ბავშვებით ვაჭრობით კანონს არღვევდნენ. როდესაც სამართალდამცველებმა ცოლ-ქმარს ჰკითხეს, დარდობენ თუ არა გაყიდული შვილების გამო, მათ უპასუხეს: „ჩვენ მათი აღზრდა არ გვინდა, უბრალოდ, გაყიდვა გვინდა, ცოტაოდენი ფულის საშოვნელად“. პოლიციას მომხდარის შესახებ ლი ლინის დედამ შეატყობინა. სად გაყიდეს ბავშვები, უცნობია. წყვილმა ერთმანეთი 2007 წელს ინტერნეტკაფეში გაიცნო. ისინი ერთმანეთს ვიდეოთამაშებით გატაცებამ დააახლოვა. 2008 წელს ლი ლინსა და ლი ჟუანს პირველი შვილი შეეძინათ. ბავშვი სულ რამდენიმე დღის იყო, როდესაც მშობლებმა შინ მარტო დატოვეს და სახლიდან 30 კმ-ში მდებარე ინტერნეტკაფეში წავიდნენ... 2009 წელს წყვილს ქალიშვილი შეეძინა. ბავშვის გაყიდვის იდეა სწორედ მაშინ გაუჩნდათ. გოგონა 500 დოლარად გაყიდეს და ფული მაშინვე ვიდეოთამაშებში დახარჯეს. მოგვიანებით უფროსი შვილი 4.600 დოლარად გაასხვისეს. 2010 წელს მათ კიდევ ერთი ბიჭი შეეძინათ, რომელიც ასევე 4.600 დოლარად გაყიდეს. ■

*რუბრიკა მოამზადა*
*ხათუნა ბახტურიძემ*
*გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები*

# შოკი აყვავებულ ქვეყანაში

„ჩემი ბავშვობის სამოთხე, ჯოჯოხეთად იქცა“, — განაცხადა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა იონ სტოლტენბერგმა. ათეულობით დაღუპული, რამდენიმე ათეული დაჭრილი და უგზო-უკვლოდ დაკარგული — ასეთია 22 ივლისს ოსლოს სამთავრობო კვარტალსა და კუნძულ უტოიაზე ახალგაზრდულ ბანაკში მომხდარი ტერორისტული აქტების საზარელი სტატისტიკა.

საოცარი დამთხვევაა: ორიოდე კვირის წინ გამოქვეყნდა „წარუმატებელი ქვეყნების რეიტინგების“ ცხრილი, სადაც ნორვეგია, ფინეთთან ერთად, სიის ბოლოში იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში სახელმწიფო სტრუქტურები იდეალურად მუშაობდა, პირველ რიგში — მოქალაქეთა დაცულობის სფეროში. ახლა, ამ მართლაც სამოთხესავით ქვეყანაში, ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა.

ნორვეგიის ხელისუფლება აცხადებს, რომ ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურები აფეთქების შემდეგ მთლიანად დედაქალაქის ცენტრში იყვნენ მობილიზებულნი. ესეც ტერორისტის გეგმის ნაწილი იყო: ცნობილი გახდა, რომ სპეციალური დანიშნულების რაზმი კუნძულისკენ არა ვერტმფრენებით, არამედ ავტომობილებით გაემგზავრა, კუნძულთან მისულებს კი კატარღები არ დახვდათ ადგილზე. სწორედ ამან გამოიწვია სამაშველო ოპერაციის დანაშაულებრივი დაგვიანება. ერთადერთ ვერტმფრენში, რომელიც კუნძულის თავზე გამოჩნდა მაშინ, როდესაც ადამიანების გადარჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო, მხოლოდ ვიდეოკამერით შეიარაღებული ადამიანები იმყოფებოდნენ...



ალსანიშნავია, რომ ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსში მაქსიმალური სასჯელი — 21-წლიანი პატიმრობაა

32 წლის ნორვეგიელი ანდრეს ბრეივიკი აცხადებს, რომ თავისი საქციელით ევროპის ისლამიზაციისა და საემიგრაციო პოლიტიკის მიმართ პროტესტის გამოხატვა სურდა. ასევე სურს, რომ სასამართლო ჩატარდეს მაქსიმალურად გახსნილად, რომელზეც იგი უნიფორმაში გამოწყობილი წარდგება. ასეთი საქციელისა და განცხადებების შემდეგ, სავსებით ლოგიკური იქნებოდა, რომ საზოგადოებას ბრეივიკი შეშლილად გამოეცხადებინა, მაგრამ საქმე ასე მარტივად არ არის და ამ ერთი შეხედვით უაზრო დანაშაულს, თავისი, ალბათ გიჟური, მაგრამ იდეური საფუძველი მაინც აქვს.

ანდრეს ბრეივიკმა 2011 წელს ინტერნეტის საშუალებით გამოაქვეყნა 1500-გვერდიანი დეკლარაცია, რომელსაც „2083: ევროპის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ უწოდა. მასში ტერორისტი ევროპული ცივილიზაციის მთავარ საფრთხედ მარქსისტულ მულტიკულტურასა და ისლამიზმს მიიჩნევს. ხოლო მასთან საბრძოლველად, ქრისტიანებს, ბუდისტებსა და ინდუსებს გაერთიანებისაკენ მოუწოდებს. „დეკლარაციაში“ ქრისტიანული ქვეყნების ისტორიასაც ეხება, სადაც სპარსეთის მეფის შაჰ-აბას პირველის მიერ ქრისტიანული საქართველოს მიმართ განხორციელებულ აგრესიაზე საუბრობს. თანამედროვე ლიდერებს შორის კი მის განსაკუთრებულ ყურადღებას რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ პუტინი იმსახურებს. „პუტინი სამართლიანი და მიზანდასახული ლიდერის შთაბეჭდილებას ტოვებს, ეს არის ლიდერი, რომელიც ყველაზე მეტად იმსახურებს პატივისცემას და ვისი გაცნობაც ყველაზე მეტად მსურს, — აცხადებს ბრეივიკი, თუმცა იქვე დასძენს: — რუსეთის პრემიერის საქციელი ანალიზს ძნელად ექვემდებარება და გაურკვეველია, ის ჩვენი საუკეთესო მეგობარი გახდება თუ დაუძინებელი მტერი“. მიაჩნია, რომ ევროპული დემოკრატია რუსულის მსგავსი — მართული დემოკრატიით უნდა შეიცვალოს, ხოლო კულტურულ-კონსერვატიული და პატრიოტული სულისკვეთების მქონე ახალგაზრდების აღზრდის საუკეთესო საშუალებად, კრემლის ახალგაზრდულ-პატრიოტული პროგრამა „ნაში“ მიაჩნია. ევროპის „გამოსაღვიძებლად“ ბრეივიკი 45 ათასი ადამიანის განადგურებას აპირებდა, რომელთა შორის უნდა ყოფილიყვნენ მემარცხენეები, სოციალ-დემოკრატიული და ლიბერალური პარტიების წევრები, ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, ჟურნალისტები, პედაგოგები.



ტერორისტი ევროპული ცივილიზაციის მთავარ საფრთხედ მარქსისტულ მულტიკულტურასა და ისლამიზმს მიიჩნევს

ალსანიშნავია, რომ ნორვეგიის სისხლის სამართლის კოდექსში მაქსიმალური სასჯელი — 21-წლიანი პატიმრობაა. თუმცა 22 ივლისის შემდეგ მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე კეთილმოწყობილ ქვეყანას ალბათ ბევრი რამის შეცვლა მოუწევს.

ნორვეგიელები ამბობენ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყანას მსგავსი კატასტროფა არ განუცდია. ისიც საინტერესოა, რომ ანდრეს ბრეივიკმა პრაქტიკულად მარტომ შეძლო ქვეყნის პოლიციის პარალიზება — პოლიციისა, რომლის მუშაობის ცნობილი „სკანდინავიური მეთოდი“, დანაშაულის გახსნის 70%-იანი შედეგით, ევროპაში ყველაზე ეფექტიანად ითვლებოდა. ■

# „თამთა თუ ჩამომივიდა, აღარასოდეს გავუშვებ სადმე...“

**ქალბატონი ლეილა ნორვეგიაში, კუნძულ უტოიაზე ახალგაზრდულ ბანაკში ტერაქტის შემდეგ გაუჩინარებული 23 წლის გოგონას — თამთა ლიპარტელიანის დედაა, რომელიც ერთი წუთითაც არ უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ მისი დედისერთა შვილი შეიძლება, ცოცხალი აღარ იყოს...**

**სადღაც წამიკითხავს — ადამიანი რასაც ელოდება, სამყარო სწორედ იმას არგუნებსო! — და როგორც არასოდეს, ისე მინდა ახლა ამ გამონათქვამის ჭეშმარიტება დამტკიცდეს...**

ინგა ჯაყელი



თამთა ლიპარტელიანი

*ლიპარტელიანების ოჯახში მისულებს ხალხმრავლობა დაგვხვდა. ჩართული ტელევიზორის წინ ისხდნენ მეზობლები, ნათესავები, მეგობრები და ისე ჩუმად იყვნენ, გასაოცარიც რომ არის მსგავსი სიტუაციისთვის, მაგრამ გასაგებიც — სახეზე ყველას შიში, ეჭვი, ზაფრა და, რაც მთავარია, იმედი აღბეჭდოდა...*

*თამთას მამა — ბატონი ავთანდილი მეც იმედით შემომცქერის. ლაპარაკი უჭირს. სურათის გადაღებაზეც უარს მეუბნება...*

— ამ რამდენიმე დღეში დაბერდა, ველარ ვცნობ! — *მასზეც დარდობს ქალბატონი ლეილა.*

*სვანებს კარგად ვიცნობ — უსაშველო დარდი იციან, განცდებზე ლაპარაკი კი უჭირთ. ამიტომ არ მიკვირს ერთადერთი შვილის მოლოდინში მყოფი მამის დუმილი...*

*მერიდება, მაგრამ მაინც ვთხოვ, შვილზე მიამბონ...*

**ქალბატონი ლეილა:**

— ბავშვობიდან ინტერესიანი, ცნობისმოყვარე და შრომისმოყვარე იყო. კლასიდან კლასში ქების სიგელებით გადადიოდა. ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის მესამე სკოლა დაამთავრა, სადაც ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება იყო და ბავშვობიდან თავისუფლად ფლობდა ამ ენას, ახლა კი უკვე — სრულყოფილად. აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. იმდენად უყვარს მომავალი პროფესია, სტუდენტობიდანვე დაიწყო საზღვარგარეთ კავშირების მოძიება. ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ შვედეთის ქალაქ მალმეს უნივერსიტეტის მაგისტრატურაში ჩააბარა. იმდენად კარგი შედეგი უჩვენა, იქაურებმა სწავლის 60% დაუფინანსეს, 6.000 ევრო ჩაურიცხეს. 3.300 ევრო გვქონდა დასამატებელი და ვერ შევძელით თანხის მოძიება. ამის გამო იქ ვერ გაემგზავრა. წელს აქ ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები. შედეგებს ველოდებით დღედღეზე და ეჭვი არ გვეპარება, რომ საუკეთესოთა შორის იქნება.

*თამთა ლიპარტელიანი და ნორვეგიაში მასთან ერთად მყოფი მეორე გოგონა — ნათია ჩხეტიანი თანაკურსელები არიან. ერთად ცდილობდნენ პროფესიულ სრულყოფას და ამ ძიებისას არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა სოციალისტების“ წევრები გახდნენ, რომელსაც ნორვეგიის ლეიბორისტული პარტიის ფინანსური მხარდაჭერა აქვს.*

*ქალბატონმა ლეილამ გვთხოვა, დაგვეზუსტებინა — გოგონები არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები იყვნენ და არა — პარტიის, როგორც ეს ზოგიერთი საინფორმაციო წყაროს მიერ გავრცელდა: „არც „პოზიცია“, არც — ოპოზიცია... ისინი სოციალურ თემებზე მუშაობდნენ, პროექტებს ამზადებდნენ და სხვადასხვა ორგანიზაციას სთავაზობდნენ, მაგალითად — განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს...*

*ნორვეგიაში მიწვევა ჰქონდათ. იქაური ახალგაზრდებისთვის სემინარი უნდა ჩაეტარებინათ საქართველოში არსებულ გენდერულ მდგომარეობაზე. მოამზადეს სლაიდები, პლაკატები... თავიდან ოსლოში ჩავიდნენ. ქვეყნის სამთავრობო სახლში ჰქონდათ შეხვედრები; პრემიერმაც მიიღო. სწორედ მათ შესთავაზეს კუნძულ უტოიას ახალგაზრდულ ბანაკში გამგზავრება: თან დაისვენებთ და თან — იმუშავებთ, მნიშვნელოვან საქმეს გააკეთებთო... მერე რაც მოხდა, ჩემზე უკეთ იცით და მე რაღა უნდა გითხრათო?..*

— დაბრუნდება თამთა და თავად მოგვიყვება! — *ვეუბნები დედას და ეს მხოლოდ დასამშვიდებლად ნათქვამი სიტყვები როდია: წარმოუდგენელია, სხვაგვარად განსაჯოს განგებამ...*

— თუ ჩამომივიდა, აღარასოდეს გავუშვებ სადმე! — *ამბობს დედისერთას მშობელი და კარგად მესმის მისი.*

*ვემშვიდობებით და ვპირდებით, რომ აუცილებლად ვესტუმრებით, როცა თამთა დაბრუნდება...*

*მეზობელი გვაცილებს — ბატონი დავითი:*

— იცით, რა ოჯახია და რა გოგოა თამთა?!. დაბრუნდეს და მის სახელს ბევრჯერ გაიგონებს საქართველო, მისი შრომისმოყვარეობის, ნიჭისა და საქმიანობის წყალობით. ღმერთს ვევედრებით, მშვიდობით დააბრუნოს შინ და არ დაუკარგოს მისი სიცოცხლე მშობლებს! სხვა რა გითხრათ. გაოგნებულები ვართ და სასწაულს ველოდებით...

*მოგვიანებით თამთასა და ნათიას თანაკურსელებსაც ვესაუბრე.*

*ისინიც დაბნეულები იყვნენ და არ იცოდნენ, რა ეთქვათ...*

**კოკა დარახველიძე:**

— თამთაც და ნათიაც გამორჩეულები იყვნენ კურსზე — სწავლითაც, მეგობრობითაც... ყოველთვის კარგად იცოდნენ, რა უნდოდათ და მტკიცე ნაბიჯებით მიიწევდნენ მიზნისკენ. ვამბობდით კიდეც, რომ ჩვენს კურსს ასახელებდნენ და გამოაჩენდნენ საქვეყნოდ... ასეც იქნება... იმედი გვაქვს, ორივე მშვიდობით დაგვიბრუნდება და კიდევ უფრო გავუფრთხილდებით და მოვეფერებით ერთმანეთს.

*ნათია ჩხეტიანს ნებისმიერ დროს შეუძლია, საქართველოში დაბრუნდეს, მაგრამ ის საკუთარი სურვილით რჩება ოსლოში, მეგობარს ქართული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად ეძებს და იმედს არ კარგავს, რომ სამშობლოში ერთად დაბრუნდებიან. ჩხეტიანების ოჯახში სხვას ვერაფერს გვეუბნებიან — ჩამოვა ნათია და თავად მოგიყვებათ, რაც მოხდაო! — თავაზიანად გვემშვიდობებიან და მოგვეჩვენა, რომ ერიდებათ თავიანთ უვნებლად გადარჩენილ შვილზე ლაპარაკის: თამთას დარდობენ...*

■



ნათია ჩხეტიანი

# გენერალი შალიკაშვილი ქართული არმიის გაძლიერებაზე ოცნებობდა

## ქართველი, რომელმაც ამერიკა „უკეთესი და უსაფრთხო“ გახადა

**ამერიკა გენერალ ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილს გლოვობს. აშშ-ის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების ყოფილი თავმჯდომარე 75 წლის ასაკში გარდაიცვალა. „ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის გარდაცვალებით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჭეშმარიტი ჯარისკაცი და სახელმწიფო მოღვაწე დაკარგა. მან ამერიკა უკეთესი და უსაფრთხო გახადა“, — ნათქვამია პრეზიდენტ ობამას სამძიმრის წერილში. მისი თქმით, შალიკაშვილს უდიდესი წვლილი მიუძღვის როგორც ამერიკის სამხედრო ძალების განვითარებაში, ასევე თავდაცვის სფეროში ევროპასთან თანამშრომლობის გაუმჯობესებაში. აქვე აღსანიშნავია, შალიკაშვილამდე, აშშ-ის გაერთიანებული შტატების ხელმძღვანელის პოსტზე არასდროს დაუნიშნავთ სამხედრო მოსამსახურე, რომელიც ამერიკაში არ დაბადებულა.**



*ხათუნა ბახტურიძე*

*როგორც ცნობილია, ჯონ-მალხაზი და მისი ძმა, პოლკოვნიკი ოთარ შალიკაშვილი (რომელიც ერთხანს აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მრჩეველიც გახლდათ) ქართული შეიარაღებული ძალების მშენებლობით სერიოზულად იყვნენ დაინტერესებულნი. სწორედ ამ მიზნით, ისინი ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში ჩამოვიდნენ თბილისში. როგორც გავარკვიე, ძმებს მაშინ, მთავრობის წევრებთან ერთად, პარლამენტარებიც მასპინძლობდნენ. ერთ-ერთი მათგანი — ბატონი* ***ნოდარ ნათაძე*** *შეხვედრის დეტალებს ასე იხსენებს:*

— ორივე ძმა კარგად გავიცანი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეროვნული სულისკვეთებით იყვნენ განმსჭვალულნი, ქართული არმიის გაძლიერებაზე ოცნებობდნენ. მახსოვს, საქართველოში 1994 წელს ჩამოვიდნენ, კონკრეტული წინადადებები და გარკვეული გეგმები ჰქონდათ. მაშინ პარლამენტის თავდაცვის კომისიის თავმჯდომარე ვიყავი. მალხაზმა ოფიციალურ შეხვედრაზე პირდაპირ, ყოველგვარი დიპლომატიური მიკიბ-მოკიბვის გარეშე განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საკუთარ თავზე აიღებდა საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას, მაგრამ მისი სიტყვებისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. იგივე მომხდარა შევარდნაძესთან შეხვედრის დროსაც. ოფიციალური შეხვედრების შემდეგ ამერიკის ელჩმა, კენტ ბრაუნმა შალიკაშვილების პატივსაცემად სადილი გამართა, რომელზეც შევარდნაძე, თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე, პარლამენტის თავმჯდომარე ვახტანგ გოგუაძე და კიდევ რამდენიმე მაღალჩინოსანი მიიწვია. სტუმრებს შორის მეც გახლდით. ოთარი ჩემ გვერდით იჯდა. შალიკაშვილებმა ისევ ქართული არმიის გაძლიერებაზე დაიწყეს საუბარი. სადილის განმავლობაში მალხაზი ორჯერ წამოდგა ფეხზე და ორჯერვე ერთი და იგივე რამ თქვა, — რამდენსაც გინდათ, იმდენ ქართველ ოფიცერსა და სერჟანტს მოგიმზადებთო. ე.ი. შალიკაშვილები საქართველოს ხელისუფლებას აქეთ ეხვეწებოდნენ, — არმიას მუქთად აგიშენებთო. იმის მაგივრად, რომ ჩვენს ხელისუფლებას ძმებისთვის ასეთი შეთავაზების გამო მადლობა გადაეხადათ და კონკრეტულ გეგმებზე დაეწყო ლაპარაკი, სრული იგნორირება გაუკეთა. რუსეთის ყურმოჭრილი მონა — ვარდიკო ნადიბაიძე ადგა და რუსულად რაღაც უაზრო სადღეგრძელო თქვა. მე ოთარს გადავულაპარაკე, — ხომ ხედავთ, რამდენჯერ უნდა გაიმეოროთ თქვენი წინადადება, რომ შედეგს მიაღწიოთმეთქი. იმ სადილზე მომხდარი ამბავი აშკარა ლუსტრაცია იყო იმისა, რომ შევარდნაძე და მისი თავდაცვის მინისტრი რუსეთის მონები იყვნენ და საქართველოს გამთლიანება და დამოუკიდებლობა სულ არ ანაღვლებდათ. ამ სამწუხარო ფაქტის შემდეგ მალხაზს ვთხოვე, რომ პარლამენტში, ჩემს კაბინეტში შევხვედროდით. მეორე დღესვე მოვიდა დანიშნულ დროზე, მაგრამ მოულოდნელად, უშიშროების წარმომადგენლები დაგვადგნენ თავს და ვეღარ ვილაპარაკეთ.

**— საუბარს რა თემაზე აპირებდით?**

— მინდოდა, რომ კონკრეტულად გვესაუბრა როგორც არმიის აღმშენებლობაზე, ისე სამხედრო მრეწველობის განვითარებაზე. ოთარი ამის მერეც არაერთხელ ჩამოვიდა საქართველოში მობილური არმიის შექმნის წინადადებით და კონკრეტული პროექტებით.

**— ამბობენ, რომ ძმებმა შალიკაშვილებმა საბოლოოდ, საქართველოზე გული აიყარეს...**

— შესაძლოა, ასეც ყოფილიყო... სხვათა შორის, წვრთნისა და აღ-

რადიო
თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას
„თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,
საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge

ჭურვის პროგრამაში საქართველოს მონაწილეობა ძმები შალიკაშვილების დამსახურება იყო. მათ ძალიან ბევრი რამ გააკეთეს ქართველებისთვის, მაგრამ არ დავუფასეთ. ჩვენი ხელისუფლება ამერიკისგან მხოლოდ ფულად დახმარებას ელოდა, ნაკისრ ვალდებულებას კი არასდროს ასრულებდა. ერთხელ ოთარმა ასეთი რამეც კი თქვა, — ჩვენ ყოველთვის მზად ვართ საქართველოს დასახმარებლად, მაგრამ არ ვაპირებთ, ამაოდ დავხარჯოთ დრო, შესაძლებლობები, გამოცდილება და ჩვენი გადამხდელების ფულიო.

— **ნაკისრ ვალდებულებებში რა იგულისხმებოდა?**

— ამერიკის მიერ გამოყოფილი თანხების დახარჯვა კონკრეტული მიზნებისთვის ანუ — არმიის გაძლიერებისთვის. სინამდვილეში, ამერიკული ფული ხელისუფალთა ჯიბეში მიდიოდა, არმიაში კი არაფერი კეთდებოდა. აშკარაა, რომ ქართული ჯარის გაძლიერება შევარდნაძის ინტერესებში არ შედიოდა.

— **არსებობს მოსაზრება, რომ მალხაზ შალიკაშვილი საქართველოს პრეზიდენტობაზეც ფიქრობდა...**

— ვინც ასეთ ხმებს ავრცელებს, პროვოკატორი და მატყუარაა. გერმანე ფაცაციამ 2002 წლის აგვისტოში პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, — 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ქართველმა ხალხმა ამერიკელი ოთხვარსკვლავიანი გენერლის, ჯონ შალიკაშვილის კანდიდატურა უნდა დააყენოსო, — და საზოგადოებას მხარდაჭერისკენ მოუწოდა. მანვე წამოაყენა ინიციატივა, რომ კონსტიტუციაში სათანადო შესწორებები შეეტანა, რათა ამერიკის მოქალაქეს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცემოდა. ეს სენსაციური და პროვოკაციული განცხადება იყო და ვფიქრობ, ამის შესახებ თავად შალიკაშვილმა არაფერი იცოდა. თუმცა შევარდნაძე მაინც მაგრად დაიზაფრა. ამ გამოსვლის შემდეგ გერმანე ფაცაცია აღარ გამოჩენილა, არც ამ თემაზე ყოფილა რაიმე საუბარი. თუმცა მოხდა ერთი ცუდი ამბავი: შალიკაშვილების სახლი კახეთში (რომელიც ძმებს საკუთრებაში გადაეცათ) უცნობმა პირებმა გაძარცვეს. ეს ალბათ იმის სიგნალი იყო, რომ საქართველოს მზის ქვეშ მათი ადგილი არ მოიძებნებოდა. დარწმუნებული ვარ, მალხაზს მართლა რომ მოენდომებინა საქართველოს პრეზიდენტობა, გახდებოდა კიდეც... „ვარდების რევოლუციის" შემდეგ იმედი გაუჩნდა, რომ ქართულ არმიას ამჯერად მაინც დააყენებდა ფეხზე, მაგრამ სააკაშვილი შევარდნაძეზე დიდი გამომძალველი და „გადამგდები" აღმოჩნდა.

*P.S. ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი ამერიკის დელეგაციასთან ერთად, საქართველოში კიდევ ერთხელ — 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, სამართლიანი არჩევნების მხარდასაჭერად ჩამოვიდა. „თუ არჩევნები სამართლიანი, გამჭვირვალე და ძალადობისგან თავისუფალი იქნება, მისი შედეგები მისაღები გახდება ყველასთვის. ამ შემთხვევაში, ქვეყანა მიაღწევს პოლიტიკურ სტაბილურობას და შეძლებს შეუერთდეს დემოკრატიულ საზოგადოებას", — აღნიშნული იყო ამერიკული დელეგაციის განცხადებაში.*

*„ვარდების რევოლუციის" შემდეგ, 2004 წლის 3 ივნისს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, — აშშ-ის გაერთიანებული შტაბების ყოფილ თავმჯდომარეს, ჯონ-მალხაზ შალიკაშვილს სიამოვნებით მოვიწვევდი თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზეო. როგორც ჩანს, ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილს არც საქართველოს პრეზიდენტობა უნდოდა და არც თავდაცვის მინისტრობა. მას უბრალოდ სურდა, საქართველო ისეთი ძლიერი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული ენახა, როგორზეც მამამისი — დიმიტრი შალიკაშვილი ოცნებობდა.* ■




## მინიდოსიე

**წარმოშობით ქართველი ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი 1936 წელს პოლონეთში დაიბადა. მისი მშობლები — პოლკოვნიკი, გრაფი დიმიტრი შალიკაშვილი და გრაფინია მარია რიდიგერ-ბელიაევა იყვნენ. დიმიტრი დამოუკიდებელი საქართველოს ჯარში ვიცე-პოლკოვნიკის წოდებით მსახურობდა. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წელს პოლონეთში წავიდა, სადაც პეტერბურგელი რუსი გენერლის ქალიშვილი შეირთო ცოლად. მათ 3 ვაჟი შეეძინათ: ოთარი, მალხაზი და გეილი. დიმიტრი მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელების მხარეს იბრძოდა და ბოლშევიკური რუსეთის დამარცხებაზე ოცნებობდა. დარწმუნებული იყო, რომ გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში საქართველო რუსეთს თავს დააღწევდა და საბოლოოდ გათავისუფლდებოდა.**

**ომის დამთავრების შემდეგ შალიკაშვილები ამერიკაში გადავიდნენ საცხოვრებლად. მალხაზმა ილინოისის შტატში, პეორიაში დაამთავრა სკოლა და ბრენდლის უნივერსიტეტში, მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა. 1958 წელს ოჯახმა ამერიკის მოქალაქეობა მიიღო და ამავე წლიდან მალხაზმა ჯარში დაიწყო სამსახური. მისი სამხედრო კარიერა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. 1992 წელს ის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების თავმჯდომარედ დანიშნა. 1997 წლიდან პენსიაზე გავიდა და სტენფორდის უნივერსიტეტში განაგრძო მოღვაწეობა.**


დიმიტრი შალიკაშვილი

# ნიშნავს თუ არა თბილისის ანძის გასხვისება დამოუკიდებელი ტელეკომპანიების დახურვას?!

**ხელისუფლებამ თბილისის ტელეანძა ელექტრონულ აუქციონზე გასაყიდად გამოიტანა. სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების ობიექტი აუქციონზე შეცვლილი — „ალფა-კომის“ სახელითაა წარმოდგენილი და ახალ მფლობელს 4 წლის მართვის უფლებით გადაეცემა. დამოუკიდებელი ტელეკომპანიების ხელმძღვანელები ვარაუდობენ, რომ გასხვისებული ანძის სარელეო გადასახადებზე იმდენად მაღალი ტარიფები დაწესდება, რომ მათ მაუწყებლობის (ლაპარაკია ობიექტში ჩართულ 35 სატელევიზიო და 34 რადიოარხზე, მათ შორის — „კავკასიასა“ და „მაესტროზე“) შეწყვეტა მოუწევთ, სამაგიეროდ, ამ თანხას თავისუფლად გადაიხდიან სახელისუფლებო ტელეკომპანიები.**

*ლალი პაპასკირი*



*ეკონომიკის სამინისტროს ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება მიზერულ თანხად — 10 მილიონ ლარადაა შეფასებული; ამაში შედის 358000 კვადრატული მეტრის მიწის ფართობი და 51 შენობა-ნაგებობა...*

*ტელეკომპანია „მაესტროს“ ხელმძღვანელი მამუკა ღლონტი წელიწადნახევრის წინანდელ პერიოდს იხსენებს, როცა მან საჯაროდ განაცხადა, რომ ხელისუფლება საკაბელო არხების მონოპოლიზებას აპირებდა და მალე ჩაიგდებდა კიდეც ხელში.*

**მამუკა ღლონტი,** *ტელეკომპანია „მაესტროს“ ხელმძღვანელი:*

— თბილისის ანძის სარელეო ტარიფის გაძვირებით, თავისუფალ მედიას, რადიო და ტელეკომპანიებს „დაარტყამენ“. ანძით „ტელემაესტრო“ კი არა, „რადიომაესტროც“ სარგებლობს და ცხადია, ფინანსური პრობლემები შეგვექმნება. ისედაც ძლივს გაგვაქვს თავი. გასულ წლებთან შედარებით, ოდნავ უკეთესი ვითარებაა, მაგრამ მაინც ძალიან გვიჭირს... თუმცა „სილქნეტისა“ და „კავკასუსის“ პასუხთან შედარებით, ანძის პრობლემა რა მოსატანია?! პირდაპირ გვეუბნებიან, — კერძო კომპანია ვართ, არ გვინდა და არ ჩავრთავთ „მაესტროსო“. ანძის მესვეურებიც იმავეს იტყვიან...

*შევეცადე გამერკვია, რამდენად მიზანშეწონილია სტრატეგიული დანიშნულების ობიექტის კერძო პირის ხელში გადასვლა? შეუქმნის თუ არა პრობლემებს მისი გასხვისება თუ მართვის უფლებით 4 წლით მისი გადაცემა დამოუკიდებელ კომპანიებს და როგორ ხდება განვითარებულ ქვეყნებში ასეთი დანიშნულების ობიექტების მართვა.*

**ირაკლი ლექვინაძე,** *ეკონომიკის დამოუკიდებელი ექსპერტი:*

— თბილისის ანძას დიდი სოციალური დანიშნულება აქვს, მაგრამ რაც მთავარია, უსაფრთხოების თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. მსოფლიო პრაქტიკაში, მსგავსი ტიპის ობიექტები ან სახელმწიფოს, ან კერძო კომპანიის მიერ იმართება, მაგრამ ორივეს მკაცრად შეზღუდული და განსაზღვრული პირობები აქვს... თბილისის ანძის შემთხვევაში კი ყველაზე მეტ კითხვას პროცესის გაუმჭვირვალობა იწვევს. არაფერია ცნობილი სავარაუდო კანდიდატების, აუქციონისა და მომსახურების პირობების შესახებ, რაც საზოგადოებაში ეჭვს ბადებს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ამ ობიექტმა გარკვეული პერიოდის განმავლობაში პროფილი არ უნდა შეიცვალოს. ეს უკვე წარმოშობს ეჭვებს, რომ ის ისეთ კომპანიას გადაეცემა, რომელიც ხელისუფლების ინსტრუქციებით იმოქმედებს, — ისე, როგორც თბილისის სამარშრუტო ტაქსების შემთხვევაში მოხდა... რაც შეეხება იმას, თუ როგორ უნდა დაწესდეს მომსახურების ფასები და სატენდერო პირობები: ეს საკითხები უნდა განისაზღვროს სატენდერო პირობებშივე და შემდეგ აისახოს კონტრაქტში, კონკრეტულად, რისი უფლება ექნება მმართველ კომპანიას და რისი — არა, მაგალითად: არ უნდა გაზარდოს ტარიფები, არ უნდა გააუაროსოს მომსახურების ხარისხი, განსაზღვროს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პირობები და სხვა..

— **დამოუკიდებელი ტელეკომპანიების მფლობელები შიშობენ, რომ ანძის გასხვისების შემთხვევაში, ისინი სარელეო ტარიფს ვერ გადაიხდიან და მაუწყებლობას შეწყვეტენ...**

— გამორიცხული არ არის, ასე მოხდეს, თუ პირობებში არ იქნება ჩადებული, რომ მმართველი კომპანია ტარიფებს თავისი ნება-სურვილის მიხედვით არ გაზრდის. მას მართლაც შეუძლია, მცირებიუჯეტიანი ტელევიზიების მაუწყებლობას საფრთხე შეუქმნას. ხელისუფლებაც პასუხისმგებლობას მოიხსნის და განაცხადებს, რომ კერძო კომპანია თვითონ წყვეტს ამ საკითხებს და ის ვერ ჩაერევა. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი სატენდერო პირობებისა და კონტრაქტის გამჭვირვალობა.

— **როგორ ხდება ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ცენტრალური ანძის მართვაში გადაცემა ან გასხვისება ისე, რომ დამოუკიდებელი ტელევიზიები არ დაზარალდნენ?**

— ნებისმიერ განვითარებულ სახელმწიფოში ანძა მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს და მისი მფლობელი, კერძო კომპანია იქნება ის თუ სახელმწიფო, განსაკუთრებულ მონოპოლიურ პირობებში იმყოფება, ისევე, როგორც: გაზგამანაწილებელი, წყალგამანაწილებელი, ელექტროგამანაწილებელი სისტემების მფლობელები. მაგრამ მიდგომა ყველგან ერთნაირია: მისი ოპერირება, მფლობელის სტატუსის მიუხედავად, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ რეგულირებას ექვემდებარება.

**ნათია კაპანაძე,** *ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი:*

— ჩვენ გავეცანით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდზე მოცემულ პირობებს და დავრწმუნდით — იქ არ არის მითითებული, რომ ახალ მფლობელს მართვის უფლება შეზღუდული ექნება. ასე რომ, დამოუკიდებელი ტელეკომპანიების

მფლობელთა შიში რეალურია, რადგან სატენდერო პირობებში არ არის დაზუსტებული, რომ ტელევიზიების დისკრიმინაცია არ უნდა მოხდეს და, რაც მთავარია, სარელეო ტარიფი ნებისმიერი მათგანისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს... თბილისის ანძის სატენდერო პირობებში ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად მითითებულია, რომ მისმა ახალმა მფლობელმა 12 მილიონი ლარის ოდენობის ინვესტიციის მოზიდვა უნდა შეძლოს. არადა, ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში, თუნდაც ეიფელის კოშკის შემთხვევაში, ადგილობრივი კანონმდებლობით ობიექტი იმდენად არის დაცული, რომ კერძო პირის ხელში გადასვლის შემთხვევაში, დამოუკიდებელი ტელევიზიები არ იჩაგრებიან. იქ არსებობს ისეთი დამცავი მექანიზმები, რაც საქართველოში ჯერჯერობით არ გვაქვს. ■

# ერთი დღე ქობულეთში

**მიუხედავად იმისა, რომ აჭარის საკურორტო ქალაქებს პირადად პრეზიდენტი სააკაშვილი უწევს რეკლამირებას და უცხოელ ტურისტებს დასვენებისთვის საუკეთესო პირობებს ჰპირდება, რეგიონში კვლავაც უამრავი პრობლემა რჩება მოსაგვარებელი.**

*ხათუნა ბახტურიძე*

ქობულეთში შესვლისას, პირველ რიგში, მოუწესრიგებელი ბორდიურები და ქუჩაში დაყრილი ნაგავი მომხვდა თვალში. მართალია, ცენტრალურ — დავით აღმაშენებლის გამზირზე გზის საფარი ახალი დაგებულია და შენობების ფასადებიც შეღებილია, მაგრამ საკმარისია, რომელიმე ქუჩაზე გადაუხვიო, რომ რადიკალურად შეცვლილ სურათს წააწყდები: შეუღებავი შენობები, მორღვეული ღობეები და გადათხრილი ქუჩები ნამდვილად არ ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ პრეზიდენტის მიერ „გაპიარებულ“ საზღვაო კურორტზე იმყოფები.

რაც შეეხება ფასებს: ამ მხრივ დამსვენებელი ნამდვილად დიდი არჩევანის წინაშეა — კორპუსებში, რომლებიც ძირითადად დატბორილი ქუჩების გადაღმაა, 7-დან 12 ლარამდე მოახერხებთ ერთი საწოლის დაქირავებას, თუ, რა თქმა უნდა, იქამდე გაცურვას შეძლებთ; შედარებით კომფორტულ, კერძო სახლებში (საერთო სველი წერტილით), 10-დან 15 ლარამდე მოახერხებთ დაბინავებას; სასტუმროებში, რომლებიც უმთავრესად, ცენტრალური გამზირის პირასაა განლაგებული და პლაჟთანაც ახლოსაა, ნომერს 20-30 ლარის ფარგლებში იქირავებთ; ვისაც მეტი კომფორტი უყვარს, იზოლირებულ სველ წერტილთან ერთად ტელევიზორი, კონდიციონერი და ზღვის ხედი სურს, მას ერთი ღამე, სულ მცირე, 50 ლარი დაუჯდება. რესტორნებში სადილობა არც ისე ძვირია, თუმცა ვისაც კერძების კეთება არც დასასვენებლად ყოფნის დროს ეზარება, შეუძლია, პროდუქტი ბაზარში საკმაოდ ხელსაყრელ ფასებში შეიძინოს, — ერთადერთი პრობლემა ამ შემთხვევაშიც, მისასვლელი გზა გახლავთ.

მე და ჩემმა თანამგზავრმა თამუნამ ერთ-ერთ იმ სასტუმროში ავიღეთ ნომერი, რომელიც ზღვის ნაპირიდან ხუთიოდე მეტრში იდგა. ნომერს არა უშავდა რა, კომფორტული — არა, მაგრამ ერთი შეხედვით, სუფთა იყო; მერე რა, რომ სააბაზანოში არც საპონი იყო, არც პირსახოცი და არც სხვა საჭირო ნივთი?!.

ბარგი ნომერში დავტოვეთ და სანაპიროს გავუყევით. იმედი მქონდა, რომ პლაჟი მაინც იქნებოდა მოწესრიგებულ-დასუფთავებული, მაგრამ... რას არ ნახავდა იქ დაკვირვებული (გნებავთ, გონებაგაფანტული...) ადამიანის თვალი! მორღვეულ, სანახევროდ ჩამოშლილ მოაჯირებზე, დანაგვიანებულ ტროტუარებსა და ძირგავარდნილ ნაგვის ყუთებზე აღარ გავამახვილებ თქვენს ყურადღებას — ეს უკვე ჩვეული ამბავია... სანაპიროს მოაჯირთან მზარეულები მაყალზე მწვადს წვავდნენ, ზოგს ადგილზევე ყიდდნენ, ზოგიც კი იქვე მდებარე ღია რესტორანში შეჰქონდათ. ზღვიდან წამოსულმა სასიამოვნო ნიავმა მწვადის მადისაღმძვრელი სურნელი ზედ ცხვირპირში რომ „შემოგვაფეთა“, უმალვე მისი დაგემოვნების სურვილი გაგვიჩნდა. სამწუხაროდ, კოვზი ნაცარში ჩაგვივარდა: მწვადის საყიდლად მისულებს, ორიოდე მეტრის მოშორებით, სასურსათო ნარჩენებით სავსე მუყაოს ყუთი მოგვხვდა თვალში. მოგეხსენებათ, რომ ჩვენს ოთხფეხა მეგობრებს ყნოსვა ჩვენზე უკეთ აქვთ განვითარებული, ჰოდა, მწვადის სურნელმა მათ ნესტოებამდეც მიაღწია. აბა, მაყლიდან მათ მწვადს ვინ მიართმევდა და მუყაოს ყუთს მიადგნენ. ამ სანახაობამ მე და თამუნას მადა უცებ გაგვიქრო და იქაურობას დაუყოვნებლივ გავეცალეთ.

შორიდან ერთ პატარა კოხტა რესტორანს ვკიდეთ თვალი. სომხური მუსიკის ჰანგები შორიდანვე შემოგვესმა. შოვინიზმში ნუ დამადანაშაულებთ, არც სომხების საწინააღმდეგო მაქვს რაიმე — უბრალოდ, სევდა მომეძალება ხოლმე, როცა ჩემს ქვეყანაში კურორტზე დასასვენებლად ჩასული, მშობლიური ჰანგების ნაკლებობას განვიცდი, როგორც სამუშაოდ საბერძნეთში გადახვეწილი დედაჩემი — ქართულ სიტყვას... რესტორანს მივუახლოვდით და აბრას დავაკვირდით. თუმცა, აბრა რომ გვეგონა, სინამდვილეში მენიუ ყოფილა, თანაც — მხოლოდ რუსულენოვანი: „ხაჩაპური — აჭარსკიე, იმერეტინსკიე, მეგრელსკიე...“ უკვე მეორედ მადადაკარგულმა ფოტოაპარატი მოვიმარჯვე და ის იყო, ერთი კადრის გადაღება მოვასწარი, რომ რესტორნიდან სახეარეული მამაკაცი გამოვარდა ყვირილით — „ახ, პრესა და? კაკოვა ჩორტა ტი ხოჩეშ?!.“ რაღა დაგიმალოთ და, შემეშინდა ამ გაცოფებული ადამიანის და ძალიან გამიხარდა, რომ იქვე მდგომმა ახალგაზრდა მამაკაცმა ხელის კვრით შეაჩერა... მე და თამუნა დაუყოვნებლივ გავეცალეთ იქაურობას და შთაბეჭდილებებით დახუნძლულები სასტუმროში დავბრუნდით. ■



# ნონსენსი: ჯაშუშობა საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ...

*ხათუნა ბახტურიძე*



„სააკაშვილის ხელისუფლება ჯაშუშებისა და მოღალატეების წახალისებას ცდილობს“, — ეს განცხადება პოლიტოლოგმა სოსო ცისკარიშვილმა მას შემდეგ გააკეთა, რაც მოსამართლემ ჯაშუშობაში ბრალდებულ ფოტორეპორტიორებს საპროცესო შეთანხმება გაუფორმა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. ამ უპრეცედენტო ფაქტის შემდეგ გადავწყვიტე, ლექსიკონში სიტყვა „ჯაშუშის“ განმარტება მომეძიებინა. აი, ფორმულირება:

*„ჯაშუში არის პირი, რომელიც მტრის ტერიტორიაზე ფარულად მოქმედებს და ცდილობს შეაგროვოს ცნობები მოწინააღმდეგის გეგმებისა და მისი ძალების შესახებ, რათა აცნობოს თავის მხარეს. ჯაშუში ისჯება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც შეიძლება, გამოტანილ იქნას ჯაშუშური ქმედების დროს ადგილზე მისი დაკავების შემთხვევაში. თუ შინ მშვიდობით დაბრუნებული ჯაშუში შემდგომ მოხვდა ტყვედ, იგი პასუხს არ აგებს წარსულში თავისი ჯაშუშური საქმიანობისთვის“.* გამოდის, რომ ფოტორეპორტიორები ჯაშუშები არ ყოფილან და პროკურატურამ მათ ბრალი არასწორად წაუყენა. მაგრამ გამიჩნდა კითხვა: მაშ, ვინ არიან ადამიანები, რომლებმაც რუსეთის სპეცსამსახურის საფარქვეშ მოქმედი ორგანიზაციისთვის, საქართველოს ინტერესების საზიანოდ, სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდება აღიარეს? მოღალატეები? ლოგიკურად ასე გამოდის, თუმცა დაზუსტებით ვერც ამას ვიტყვით, რადგან ადვოკატებისა და ჟურნალისტების დიდი ნაწილი ირწმუნება, რომ ფოტორეპორტიორებმა სამშობლოს ღალატი მხოლოდ ზეწოლის შედეგად აღიარეს. მკითხველი იტყვის: ამ ქვეყანაში ისეთი ადამიანებიც ცხოვრობენ, რომლებსაც სჯერათ ხელისუფლების და არ სჯერათ იმის, რომ რეფორმირებული პოლიცია დაკავებულებზე ფიზიკურ ან თუნდაც ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებს. დავეთანხმები: ქვეყანაში ასეთი ადამიანები მართლაც არიან და გამოგიტყდებით, მეც მიჩნდება კითხვა, — მაინც რა ზეწოლამ უნდა აიძულოს ადამიანი, სამშობლოს ღალატი დაიბრალოს?.. რა გამოდის? მმართველმა ძალამ ღალატში (თუმცა თავად ამბობს — ჯაშუშობაშიო) უბრალოდ ამხილა ადამიანები და არ დასაჯა? მოკლედ, ძალიან დავიბენი... ვეცდები, რაიმე მაინც გავარკვიო ბატონ **სოსო ცისკარიშვილთან** საუბრისას.

**— ბატონო სოსო, რა შეიძლება ვიფიქროთ — ხელისუფლებამ ჟურნალისტების ზეწოლას ველარ გაუძლო და დამნაშავეები გაათავისუფლა თუ ფოტორეპორტიორები მართლაც უდანაშაულონი არიან და მტკიცებულებების წარმოდგენა ვერ შეძლო?**

— მოდი, ვიყოთ სამართლიანნი: ქართველი ჟურნალისტები ამ ბრძოლისას მარტონი არ იყვნენ, მათ მხარი დაუჭირა დანარჩენმა საზოგადოებამაც; საკმაოდ აქტიურობდა დიპლომატიური კორპუსიც — ანუ შედეგს იმიტომ მივაღწიეთ, რომ ყველა ერთად დავდექით. კარგი იქნება, თუ ჟურნალისტები მხოლოდ პროფესიული ნიშნით არ გამოხატავენ მხარდაჭერას და სხვა პროფესიის ადამიანთა პრობლემებსაც გაითავისებენ. ჯაშუშობის ბრალდებით, სრულიად უსაფუძვლოდაა დაპატიმრებული ერთ-ერთი თბილისელი ბიზნესმენი, საქმე გასაიდუმლოებულია და ყველა დუმს — ადვოკატებით დაწყებული, პროკურორებით დამთავრებული... ძალიან ბევრი უსამართლობა შერჩა ამ ხელისუფლე-



ბას, მაგრამ ფოტოგრაფების საქმე ყელში ძვალივით გაეჩხირა. თუ ქართველი ჟურნალისტები სხვა დროსაც ასეთ სოლიდარობას გამოიჩენენ და ასევე იაქტიურებენ, ხელისუფლებას კიდევ ბევრი ძვალი გაეჩხირება კისერში. ახლა რაც შეეხება ფოტორეპორტიორების ბრალეულობას. საქართველოს მოქალაქე საკუთარ ქვეყანაში ჯაშუში ვერ იქნება — კანონმდებლობით, ასეთი რამ შეუძლებელია. თუ დაკავებულების აღიარებითი ჩვენება სიმართლეა, ჯაშუშები კი არა, მოღალატეები ყოფილან და ხელისუფლებამ მოღალატეები გაათავისუფლა. ე.ი. რა გამოდის? სააკაშვილი ღალატის პროპაგანდას ეწევა?! მსგავსი პრეცედენტი (რომელიმე ქვეყნის ხელისუფლებას მოღალატე სასამართლო დარბაზიდან გაეთავისუფლებინოს) ჯერ არ მსმენია. თუმცა გამიგონია, რომ სხვადასხვა ხელისუფლებას ჯაშუშები ერთმანეთში გაუცვლია. სააკაშვილის ხელისუფლებამ მხოლოდ იმიტომ გაათავისუფლა ჯაშუშობაში ბრალდებულები, რომ მათ წინააღმდეგ არგუმენტირებული სამხილები არ ჰქონდა. ეს საქმე თავიდან ბოლომდე თეთრი ძაფითაა ნაკერი. პრეზიდენტის პირადი ფოტოგრაფის სამხილად დასახელებული იყო ფაქტი, რომ თურმე მას პრეზიდენტების გადაადგილების ზუსტი მარშრუტი ჰქონია. კი, მაგრამ ფოტოგრაფმა წინასწარ არ უნდა იცოდეს, სად აპირებენ წასვლას მისი „სამუშაო ობიექტები“?

— **ხელისუფლება ამბობს, რომ საქმეში სხვა სამხილებიც არის, მაგრამ ქვეყნის უსაფრთხოების გამო ვერ გაამხელს...**

— ამას არავინ დაიჯერებს, იმიტომ, რომ ხელისუფლება გრიფის — „საიდუმლოდ“ საბაბით, ძალიან ბევრ რამეს ასაიდუმლოებს. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ძალიან ხშირად ადამიანები, რომლებიც მმართველი გუნდის წარმომადგენლებს თვალში არ მოსდით, გისოსებს მიღმა ხვდებიან, მათ საქმეს კი გრიფი „საიდუმლოდ“ ედება. ერთი მითხარით, რა სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს იმ ვითომ დაპატიმრებული პოლიციელების გვარების გამოცხადება, რომლებმაც 26 მაისს მომიტინგეების წინააღმდეგ გადამეტებული ძალა გამოიყენეს?! სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ სინამდვილეში ვანდალური დარბევის გამო არავინ დასჯილა და ასევე სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ერთხელ თუ მოგვატყუეს, მეორედაც მოგვატყუებენ... ■

# „ახალგაზრდა მხატვრებს თავის დამკვიდრებაში დავეხმარებით“

**მაჩაბლის ქუჩაზე ახალი გალერეა გაიხსნა. გალერეის მფლობელები ცოლ-ქმარი — ლუბა თვაური და ამირან მუზაევი არიან. საგამოფენო დარბაზი გარდაცვლილი შვილის სახელის უკვდავსაყოფად გახსნეს და მისი სახელი „ელენე“ დაარქვეს.**

*თამუნა კვინიკაძე*

**ანა გელაშვილი,** *მხატვარი, გალერეა „ელენეს“ მენეჯერი:*

— ელენე მხატვარი გახლდათ. ის 25 წლის ასაკში ავტოკატასტროფაში დაიღუპა... დღეს ეს გალერეა ელენეს ხსოვნის პატივსაცემად გაიხსნა. გვინდა, ახალგაზრდა მხატვრებს ხელი შევუწყოთ, თავის დამკვიდრებაში დავეხმაროთ. აქ მოეწყობა როგორც პერსონალური, ასევე თემატური და შერეული გამოფენა-გაყიდვები. რა თქმა უნდა, ცნობილ მხატვრებსაც ვუმასპინძლებთ. პოეზიის საღამოებსა და სხვა ღონისძიებებსაც ჩავატარებთ. პირველ გამოფენაში 19 ავტორი მონაწილეობს. უმეტესად, ფერწერული ტილოებია, არის გრაფიკული ნამუშევრებიც და ერთი მინანქარი.

**მანანა ტოროტაძე,** *მხატვარი:*

— ამ გალერეის გახსნაში მეც ვმონაწილეობდი. თუ ჩემი რჩევები მისაღები იქნება, მომავალშიც მათ გვერდით ვიქნები. „ელენე“ ბევრ ახალგაზრდა მხატვარს გაუკვალავს გზას. სასიხარულოა, რომ ბოლო დროს ბევრი კერძო გალერეა გაიხსნა. მხატვრები თავს მაინც დაჩაგრულად ვგრძნობთ, კომუნისტების მმართველობის დროს ყველაფერი სხვაგვარად იყო. სისტემა სრულიად შეიცვალა. ახლა გაჩნდა ასეთი გალერეები, რაც მხატვრისთვის დასაყრდენია. შემოქმედს არ უნდა უწევდეს ფიქრი იმაზე, ტილო სად გაყიდოს; ის ვერ დაიწყებს სურათით ხელში წინ და უკან სიარულს. ასეთი გალერეების არსებობას დიდი მნიშვნელობა სწორედ ამიტომ აქვს — გაყიდვა კულტურული ფორმით ხდება. ქალბატონი ლუბა თვაური და მისი მეუღლე — ამირან მუზაევი (ცნობილი სპორტსმენი, მოჭიდავე) დიდ სიკეთეს აკეთებენ. მე მათი შვილის — ელენეს პედაგოგი ვიყავი. უნიჭიერესი ბავშვი იყო. მას ნამდვილად დიდი მომავალი ჰქონდა, მაგრამ...



**ლუბა თვაური,** *გალერეის მეპატრონე:*

— ჩვენს ოჯახში ტრაგედია 5 წლის წინ მოხდა. ამ თემაზე ლაპარაკი ყველაზე მეტად მიმძიმს. ელენე 5 წლის იყო, როცა მიშა ცალქალამანიძის ჯგუფში მივიყვანეთ. როცა წამოიზარდა და გამოიკვეთა, რომ მუშაობას ფერწერაში გააგრძელებდა, მანანა ტოროტაძესთან დაიწყო სიარული... ეს გალერეა მანამდე იარსებებს, სანამ ვიცოცხლებთ. შეძლებისდაგვარად ყველა დამწყებ მხატვარს განვითარებაში ხელს შევუწყობთ. 19 ოქტომბერს ელენეს დაბადების დღეა. ამ თარიღს დავამთხვევთ და გალერეაში მის პერსონალურ გამოფენას მოვაწყობთ. ელენეს გარდაცვალების შემდეგ, ეს არ არის მისი პირველი გამოფენა, მაგრამ პირველი იქნება მისი სახელობის გალერეაში.

**ლალი ლომთაძე,** *მხატვარი:*

— ასეთი საგამოფენო სივრცის გახსნა მხატვრებისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია. დღეს ჩემი 4 ნამუშევარია გამოფენილი. დიდი ხანია პერსონალური გამოფენა არ მქონია. შეიძლება, ამ დარბაზში მოვაწყო. ჯგუფურ გამოფენებში მონაწილეობას ყოველთვის მივიღებ.

**ჯუმბერ ლეჟავა:**

— მე ამ ოჯახთან ვმეგობრობ. მოხარული ვარ, რომ ასეთი პატარა, ლამაზი გალერეა გაიხსნა. ყველა სახელმწიფო ამაყობს იმით, რომ ბევრი გალერეა აქვს. თითქმის ყველა დიდ გალერეაში ვარ ნამყოფი. ჩემი არქივისთვის დღეს აქ ფოტოებიც გადავიღე.

**ლუბა თვაური:**

— გალერეა „ელენეში“ გამოფენა-გაყიდვა სულ იქნება. საგამოფენო დარბაზი პერიოდულად ახალი ნამუშევრებით შეივსება. მომავალში გამოფენა-გაყიდვას მცირე დარბაზში გადავიტანთ, ხოლო დიდ დარბაზს პერსონალურ გამოფენებს დავუთმობთ. დამთვალიერებელს შეუძლია, აქ ნებისმიერ დღეს მობრძანდეს. ■

# ლეღვის ფოთოლი და გულუბრყვილო პაციენტები



## „დამწვრობის შოკი გადაიტანა – შეიძლება, ეს სიკვდილითაც კი დამთავრებულიყო"

**როდესაც სამარშრუტო ტაქსის მძღოლს შევახსენე, დამწვრობის ცენტრს არ გავცდეთ, გამიჩერეთ-მეთქი, ერთი ამბავი ატყდა: რა უბედურებაა, ყოველდღე აცხადებენ ტელევიზიით, საშიშიაო, და მაინც ისვამენ ამ ლეღვის ფოთლის ნახარშს!.. უცნაური თაობა მოდის, მაგათსას ხომ ვერაფერს გაიგებ? — წამოიწყო ერთ-ერთმა ქალბატონმა. — არა, ეს თინეიჯერები — გასაგებია: თავში უქრით და ექსპერიმენტები მოსწონთ, მაგრამ დღეს რომ გამოაცხადეს, 30 თუ 33 წლის ქალს რომ უცდია ასე გარუჯვა, გავგიჟდი კაცი. იმას მაინც ხომ მოეკითხება ჭკუა?! თუ სულ დაკარგეს ქალებმა, დიდებმაც და პატარებმაც, ჭკუა-გონება? — შუახნის მამაკაცი ჩაება საუბარში და კულტურულად შეურაცხგვყო სუსტი სქესის წარმომადგენლები. — არა, მაინცდამაინც ზანგებს უნდა დაემსგავსონ, ეგ ყოფილა თურმე სილამაზე: რაც უფრო შავი ხარ, უფრო ლამაზი ხარ თუ რა არის? — ისე გამეტებით მოგვიჯახუნა ჩასვლისას კარი ცისფერთვალება, ქერა, ფაშფაშა ახალგაზრდა ქალმა, თითქოს ამ ყველაფერში დამნაშავეები ჩვენ ვიყავით.**

ნინო ჯავახიშვილი

*მართლაც, ლეღვის ფოთლის ნახარშით დამწვრობის გახშირებულმა შემთხვევამ (უკვე დაახლოებით 30-მდეა დაფიქსირებული) საზოგადოების გაოცება გამოიწვია. დამწვრობის ცენტრის დირექტორის მოადგილის —* **გუგა ქაშიბაძის** *თქმით, როგორც ჩანს, ხალხი ნაკლებად არის ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რამდენად საშიშია ერთი შეხედვით, უვნებელი ლეღვის ფოთოლი:*

— ლეღვის ფოთლების ნახარშს იყენებენ ხალხურ მედიცინაში, მეჭეჭების საწინააღმდეგოდ. ეს არის ქიმიურად აქტიური ნივთიერება. მის შემადგენლობაში შედის მჟავა, რომელიც ქიმიურ დამწვრობას იწვევს. არა აქვს მნიშვნელობა, ცივს წაისვამთ თუ ცხელს, მზეს მიეფიცხებით თუ არა, — დამწვრობას მაინც მიიღებთ. მზის აბაზანა ისედაც სარისკოა, რადგან მზის სხივები კანის გაღიზიანებას იწვევს, ლეღვის ფოთლების ნახარში კი ამის პროვოცირებას ახდენს და ქიმიური დამწვრობა კიდევ უფრო ძლიერდება. როდესაც ის სხეულის 20, 30, 50%-ს მოიცავს, მთელი ორგანიზმი, თითქმის ყველა ორგანო ერთვება ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში და პაციენტს სტაციონარული მკურნალობა ესაჭიროება. პირველად მოიყვანეს გოგონა, რომელმაც სხეულის 70%-იანი დამწვრობა მიიღო, რასაც დაემატა სოლარული ანუ მზით დამწვრობა. ის რეანიმაციაში მოხვდა და ამის შესახებ ხალხმა სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით შეიტყო. ჩემდა გასაკვირად, ამის შემდეგ უფრო გახშირდა დამწვრობის შემთხვევა. ზოგს სტაციონარული მკურნალობა დასჭირდა, ორი პაციენტი რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში დავაწვინეთ. ამ დროისთვის ყველა მათგანის მდგომარეობა სტაბილურია და არც გაწერილ პაციენტებს აღენიშნებათ რაიმე პრობლება.



მზის აბაზანა ისედაც სარისკოა, რადგან მზის სხივები კანის გაღიზიანებას იწვევს

**— მოდი, განვმარტოთ, რა არის ქიმიური დამწვრობა?**

— არსებობს თერმული დამწვრობა (ალით ან ცხელი წყლით მიყენებული); სოლარული (მზის სხივებით მიყენებული) და ქიმიური, როდესაც ქიმიურად აქტიურ ნივთიერებასთან გვაქვს საქმე. საკმაოდ ვერაგი დაავადებაა. თავიდან შეუმჩნეველია, მხოლოდ რამდენიმე დღეში იჩენს თავს და ძნელად მოსარჩენიცაა. ლეღვის ფოთლები იწვევს კანის ზემო შრეების დაზიანებას და ზოგად ინტოქსიკაციას. დაგვიანებულმა მკურნალობამ შეიძლება, ძალზე სავალალო შედეგამდე მიგვიყვანოს. წარმოიდგინეთ — ნახარშს ისვამენ მთელ ტანზე, სახეზეც კი და საცურაო კოსტიუმით მზის სხივებს ეფიცხებიან!.. კანის აღდგენა დაახლოებით ერთი თვის მანძილზე მიმდინარეობს.

**— უმეტესად, რა ასაკის პაციენტები გყავთ?**

— 15-დან 21 წლამდე. ამ დღეებში კი განსხვავებული შემთხვევაც გვქონდა: 30 წლის ქალი შემოიყვანეს. ის თინეიჯერულ ასაკში ნამდვილად არ არის, მაგრამ მაინც შეცდა. დაახლოებით 30 პაციენტიდან, მხოლოდ ერთი ბიჭი იყო. როდესაც მათ ვეკითხებოდი, საიდან გაიგეს ამ ხერხის შესახებ, უმეტესობამ აღნიშნა, რომ სატელევიზიო სიუჟეტიდან, უმცირესობამ კი — „ფეისბუკიდან"; ზოგმა კი თქვა, რომ ასე გარუჯვა მეგობარმა ურჩია. ეს არ არის უბედური შემთხვევა, ეს არის თვითნებურად, მაპატიეთ, მაგრამ სისულელით მიყენებული ზიანი. გვეგონა, ეთერში სიუჟეტის გასვლის შემდეგ ხალხი უფრო გაფრთხილდებოდა, მაგრამ საპირისპირო შედეგი მივიღეთ. ადამიანის ფსიქოლოგიაში არის „მე არ დამემართებას" მომენტი. ალბათ ისინიც ამას ფიქრობდნენ. ეს არის ზოგადი გაუნათლებლობის შედეგი. ახლა თვითონაც ერიდებათ და რცხვენიათ, რომ ასეთ „გაუგებრობაში" მოხვდნენ.

— **მკურნალობის კურსი რამდენად ეფექტიანია?**

— კვალს არ ტოვებს, თუ ახალშეხორცებული კანით ისევ მზის აბაზანებს არ მიიღებთ; წინააღმდეგ შემთხვევაში, კანი მთლიანად ჭრელდება. მოკლედ, ეს დაავადება კანის პიგმენტაციას არ იწვევს.

— **რა დაუჯდათ გოგონებს სწრაფად გარუჯვის მცდელობა?**

— საკმაოდ ძვირი, თანაც ვიცი, რომ ასეთი შემთხვევის დროს (თვითმიყენებულ ზიანს ვგულისხმობ) არც ერთი სადაზღვევო კომპანია არ ფარავს მკურნალობის ხარჯებს. ამიტომ მინდა, კიდევ ერთხელ გავაფრთხილო მოსახლეობა და ვუთხრა, რომ ლელვის ფოთლების ნახარში არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენონ გასარუჯად! ამით, დამწვრობის გარდა, ვერანაირ განსხვავებულ ნარუჯს ვერ მიიღებენ.

*პაციენტებთან გასაუბრება მოვინდომე, მაგრამ ვინაობის გამჟღავნების გარეშეც არ მთანხმდებოდნენ. ერთადერთი გოგონა და დედამისი დავიყოლიე, რომლებმაც მითხრეს, — იქნებ ახალგაზრდები ამის შემდეგ მაინც გაფრთხილდნენო, — რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი.*

**პაციენტი გოგონა,** *21 წლის:*

— ჩემი მეგობრისგან გავიგე, რომ ლელვის ფოთლების ნახარშით კარგი ნამზეურის მიღება შეიძლებოდა. „პრეტენზიული", თეთრი ფერის კანი მაქვს, მზე ძნელად მეკიდება. ვიფიქრე, ვიდრე ზღვაზე წავალ, „დავწინაურდები", ცოტა ფერს შევიცვლი და მერე უფრო იოლად და კარგად გავირუჯები-მეთქი. მინდოდა, უფრო უკეთესი გარეგნობა მქონოდა. ლელვისფოთლები მოვხარშე, გავაგრილე, მთელ ტანზე გადავივლე, სახეზეც წავისვი და მზეზე დავწექი. ალბათ 15 წუთი გავჩერდი, მაგრამ დროს არა აქვს მნიშვნელობა — ნახარში მაინც გწვავს... ცოტა ხანში სახე საპნით ჩამოვიბანე. იმ საღამოსვე დამეწყო ზურგის წვა, მეორე დღეს ბუშტუკებიც გამიჩნდა სხეულზე; კვირას კი პირველი ხარისხის დამწვრობა სხეულის 90%-ზე დამიდგინეს.

**პაციენტის დედა:**

— ვიფიქრე, სახლის პირობებში ვუმკურნალებ-მეთქი, მაგრამ მესამე დღეს მდგომარეობა უკვე ძალიან დამძიმდა. სახლში დამწვრობის შოკი გადაიტანა — წნევა დაეცა, გონება დაკარგა და ღმერთმა დაგვიფარა: შეიძლებოდა, ეს სიკვდილითაც კი დამთავრებულიყო. ექთანი ვარ და შევძელი შოკიდან მისი გამოყვანა; მაშინვე დექსამეტაზონი გავუკეთე, მერე კი დამწვრობის ცენტრში გადმოვიყვანეთ.

— **კი, მაგრამ სამედიცინო განათლება გქონიათ და რატომ არ შეგეპარათ ეჭვი, რომ ეს ჯანმრთელობისთვის საშიში იქნებოდა?**

— არ ვიცი, რატომღაც არ მიფიქრია. ვერ წარმოვიდგენდი, ასეთი სარისკო თუ იყო. როდესაც წაისვა, მეც იქ ვიყავი. რას უზამს, თუ ათი წუთით ესმება, ფერს შეიცვლის და ზღვაზე რომ წავა, იქ ადვილად აღარ დაიწვება-მეთქი, ვიფიქრე. ჩემი ერთადერთი შვილი ფაქტობრივად, სიკვდილს გადაურჩა. არავის ეგონოს — ცოტა ხანს თუ დაწვა მზეზე, მაშინ ნახარში უვნებელია. ის ყველა შემთხვევაში მაინც დამწვრობას იწვევს, მაშინაც კი, მზეზე სულ რომ არ გაჩერდე. ამას იმიტომ გეუბნებით ასე ხაზგასმით, რომ კიდევ არავინ მოტყუვდეს.

**პაციენტი გოგონა:**

— მე შარშანაც ვიცოდი ამის შესახებ: ჩემმა რამდენიმე მეგობარმა ლელვის ნახარში გადაივლო და ნამზეური ასე მიიღო, მაგრამ არ დამწვარან. ამიტომაც არ მეშინოდა. მე კი შარშან „ჯონსონის" ზეთი წავისვი, სანამ ამას გავიგებდი, და რადგან უკვე გავირუჯე, ნახარში აღარ გამომიყენებია. სხვათა შორის, „ფეისბუკზეც" წავიკითხე, გოგოები წერდნენ, ასე და ასე გავირუჯეთ და არ დავიწვითო. ახლა კი დავრწმუნდი, რომ უბრალოდ, შეუძლებელია, ლელვის ფოთლების ნახარშით არ დაიწვა.

— **ტელევიზიით თუ მოისმინეთ, რომ დამწვრობის შემთხვევა გახშირებული იყო? ამის შემდეგ მაინც არ შეგეპარათ ეჭვი ამ ნახარშის უვნებლობაში?**

— მოვისმინეთ, როგორ არა, მაგრამ ხომ გითხარით, არც კი დავეჭვებულვარ, რომ ასე დამემართებოდა. თან ვიფიქრე, ისინი რამდენიმე საათით იწვნენ მზეზე და ამიტომ დაიწვნენ; თუ ცოტა ხნით დავწვები, არაფერიც არ მომივა-მეთქი, მაგრამ მწარედ შევცდი.

— **რა დაგიჯდათ მკურნალობა?**

— ძალიან ძვირი და იქნებ ამან მაინც დააფიქროს ხალხი: დღე-ღამე 300-400 ლარი ჯდება მკურნალობა რეანიმაციაში. ძვირია ყველაფერი და ეს ფული ხომ წყალში გადაყრილია! მშობლებსაც ვთხოვ, მეტი ყურადღებით იყვნენ და თვითონ გოგონებსაც — გაუფრთხილდნენ საკუთარ სილამაზესა და ჯანმრთელობას! ■

# განსასჯელის სკამზე — აბორტის ჩატარებისთვის

თბილისის ქუჩებში, სადარბაზოსთან, მიტოვებული ახალშობილი არაერთხელ აღმოუჩენიათ. ყოფილა შემთხვევა, როცა დედისგან სასიკვდილოდ განწირული ჩვილი ექიმებმა გადაარჩინეს. კანონით, ჩვილის ყიდვა-გაყიდვა მკაცრად ისჯება და ამ ბრალდებით, არაერთი ადამიანი იხდის სასჯელს. ასევე ისჯება აბორტიც, მაგრამ არასასურველი ნაყოფის მოცილებას დედები მაინც ცდილობენ ხოლმე და ექიმებს შორისაც არიან ისეთები, ვინც რისკზე მაინც მიდიან.

ცოტა ხნის წინ, თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთი გახმაურებული საქმის განხილვა დაასრულა. განსასჯელის სკამზე, აბორტის გაკეთებისთვის, მეან-გინეკოლოგი ნადეჟდა გაბრიჩიძე იჯდა.

საქმის მასალების მიხედვით, ფაქტი თბილისში 2011 წლის 12 მარტს მოხდა. 39-40 კვირის ორსულმა გინეკოლოგიური კონსულტაციის მისაღებად ბრალდებულ ნადეჟდა გაბრიჩიძეს სახლში მიაკითხა. მართალია, მას ექიმობის 30-წლიანი გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ პაციენტის შინ მიღების ლიცენზია არ გააჩნდა. კაბინეტი საცხოვრებელი სახლის სარდაფში ჰქონდა გახსნილი, სადაც საამისოდ არანაირი პირობები არ იყო შექმნილი. როცა იქ ძალოვნები მივიდნენ, ოთახში მედიკამენტები და ხელსაწყოები უწესრიგოდ იყო მიმოფანტული. სწორედ იქ გააკეთა ბრალდებულმა უკანონო აბორტი. ქალის მდგომარეობა ძალზე დამძიმდა, ამიტომ იძულებული გახდნენ, ის ღუდუშაურის სახ. სამედიცინო ცენტრში გადაეყვანათ. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ნაყოფის სიკვდილი მშობიარობამდე დადგა...

ბრალდებულმა დანაშაული ფაქტობრივად აღიარა. მისი ბრალეულობა დადასტურდა შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ნივთმტკიცებათა ამოღების ოქმებით, დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით, ექსპერტიზის დასკვნით. სასამართლომ ექიმი ნადეჟდა გაბრიჩიძე წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ ცნო და მას 2 წლითა და 6 თვით აღუკვეთა თავისუფლება. ■

# 16-წლიანი პატიმრობა ცოლის საყვარლის მკვლელობისთვის



თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულ ბორია კამიშევას 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მას ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილ განზრახ მკვლელობასა და განზრახ მკვლელობის მცდელობაში დასდეს ბრალი. ამ მკვლელობის დეტალებზე „გზის" ფურცლებზე უკვე ვიუწყებოდით. შეგახსენებთ: დანაშაული 2011 წლის 13 იანვარს გლდანში, თეთრი ტბის დასახლებაში მოხდა. 50 წლის ბორია კამიშევამ მეზობლის სახლში ცოლს საყვარელთან შეუსწრო და ორივეს ხის ჯოხით თავები გაუჩეჩქვა. მიყენებული დაზიანებები იმდენად მძიმე იყო, რომ 45 წლის გოჩა გამსახურდია ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო ცოლი, თამარ (თამილა) ნიკურაძე სიკვდილს ძლივს გადაურჩა. დამნაშავეს შემთხვევის ადგილიდან მიმალვა არ უცდია. ძალოვნებმა იქვე დააკავეს და დანაშაულიც აღიარა, მაგრამ კატეგორიულად არ დაეთანხმა საქმის კვალიფიკაციას: ამტკიცებდა, რომ მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე ჩაიდინა. მისი ადვოკატები კვალიფიკაციის შეცვლას ითხოვდნენ, მაგრამ მათი პოზიცია სასამართლომ არ გაიზიარა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქმეში ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა იდო, სადაც აღნიშნულია, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში ბრალდებული აფექტის მდგომარეობაში არ იმყოფებოდა. *„კამიშევას ცოტა ჰქონდა დალეული, სტუმრების წასვლის შემდეგ საწოლზე წამოწვა და დაღლილს ჩაეძინა. სიცივემ გამოაღვიძა. ცოლს დაუძახა, ხმა არავინ გასცა. ამის შემდეგ ყველგან ეძებდა. ბოლოს ქუჩაში გავიდა, მეზობლის სახლის ჭიშკარი, რომელიც სულ ჩაკეტილი იყო, გაღებული დაინახა. იმ სახლიდან გოჩა გამსახურდია დიდი ხნის გადასული იყო, არავინ ცხოვრობდა და ამიტომ დაეჭვდა. ირგვლივ სიჩუმე იყო, ის ჭიშკარში შევიდა. ამბობს, რომ ცოლის ხმა სიჩუმეში აშკარად გაიგონა. ცოლი თავისი თვალით ნახა საყვარელთან, თავად ეს ფაქტი არ არის აფექტის გამომწვევი? სხვა რა უნდა დაენახა მოსიყვარულე კაცს ისეთი, რომ დინჯი, გაწონასწორებული ადამიანი ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო? საზარელი მკვლელობაა მომხდარი, მაგრამ აფექტში ჩაიდინა",* — აცხადებდა ადვოკატი **ნინო ლალიშვილი**.

მოკლული გამსახურდიას და, მარიამ გამსახურდია ქალის დასჯასაც ითხოვდა, მაგრამ ამის მიღწევა შეუძლებელია, რადგან საქმეში ნიკურაძეს დაზარალებულის სტატუსი აქვს...

ბორია კამიშევა დამნაშავედ ცნეს და ციხეში 16 წლის გატარება მოუწევს. მისი ადვოკატები საქმეს სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ და ეცდებიან დაამტკიცონ, რომ მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში ჩაიდინა. მოკლულის და კი მიიჩნევს, რომ დამნაშავე უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს და ციხეში მისი ცოლიც უნდა ჩაჯდეს. ■

# შვილმა დედა მოკლა

ვაკე-საბურთალოს პოლიციელებმა 1963 წელს დაბადებული რამაზ ღვინჯილია დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე დღეში დააკავეს. მას მოხუცი დედის, ემა მაისაიას მკვლელობაში ედება ბრალი. შემზარავი დანაშაული თბილისში მოხდა. დადგენილია, რომ 75 წლის მოხუცს შვილთან შელაპარაკება მოუხდა, მან კი ბლაგვი საგნით დედას სხეულის მძიმე დაზიანებები მიაყენა.

ბრალდებული დანაშაულს აღიარებს. ძალოვნებმა მისი ჩვენება გაავრცელეს.

**რამაზ ღვინჯილიას** ჩვენებიდან:

*„სახლში დედასთან საღამოს 5 საათზე ნასვამი მივედი. ერთმანეთთან შელაპარაკება მოგვივიდა. ვიჩხუბეთ. ამ დროს ხელი დავარტყი, დედა წაიქცა და გონება დაკარგა. ავაყენე და თავის საწოლში ჩავაწვინე. თავიდან სისხლი სდიოდა. პირი მოვუწმინდე, წყალი დავალევინე. რომ დავაწვინე, მთხოვა, მისთვის რამე დამეფარებინა. დავაფარე და წამოვედი. იმ პერიოდში მუდმივად ვსვამდი. პერიოდულად ვაკითხავდი, საწოლში იწვა და არ დგებოდა. 9 ივლისს ისევ ნასვამი ვიყავი. ალუმინის ჯოხი ავიღე და მუხლის არეში რამდენჯერმე მოვარტყი იმის გამო, რომ საწოლიდან არ დგებოდა. მეორე დღეს გონებადაკარგული დედაჩემი ავიყვანე ხელში და სააბაზანოში შევიყვანე. წყალი მოვუშვი, ავავსე „ვანა", ის იქ დავტოვე და წამოვედი".*

შემთხვევის ადგილზე მიყვანილმა ღვინჯილიამ დეტალურად აღწერა ყველაფერი. მის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით (სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიკვდილი) მიმდინარეობს, რაც 6 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ■

# მკვლელობა
## შელაპარაკების გამო

24 ივლისს თიანეთში მომხდარი მკვლელობა ძალოვნებმა ოპერატიულად გახსნეს. ეჭვმიტანილი, მოკლულის თანასოფლელი, 61 წლის ზურაბ სიაშვილი აღმოჩნდა. დანაშაული სოფელ თოლენჯიში მოხდა. 35 წლის მამაკაცი განსაკუთრებული სისასტიკითაა მოკლული. გელოდი ჩოქურს სხეულზე დანით 3 ჭრილობა აღენიშნება და თავში ბლაგვი საგნით აქვს დაზიანება მიყენებული. მკვლელობის მიზეზად ურთიერთშელაპარაკებას ასახელებენ. გარდაცვლილის მეზობელს უცნობმა ადამიანმა დაურეკა და კონკრეტულ მისამართზე მისვლა სთხოვა, იქ კი მას ახალგაზრდა ჩოქური მოკლული დახვდა. ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და გამოძიება მკვლელობის მიზეზს ადგენს. ■

*რუბრიკა მოამზადა*
*თეა ხურცილავამ*



# სახე

## „ჩემი გრძნობა ბევრჯერ გავზომე და მერე „გავჭერი“

### როდის აპირებს დაოჯახებას შეყვარებული ანი ქორქია

**ტელეწამყვან ანი ქორქიას ნამდვილი სიყვარული ეწვია. მისი რჩეული „უპრეცედენტო ასაკის“ ბიჭია. ვირტუალურ სამყაროში, „პატარა ავტობუსის ფოტოსთან“ დაწყებული ურთიერთობა რეალურ ცხოვრებაში სერიოზულ გრძნობად იქცა...**



კარგად ვიცი, როგორ შეიძლება გოგომ ბიჭს მეგობრობა გაუწიოს

*ეთო ყორღანაშვილი*

— **ანი, დიდი ხანია, შეყვარებული ხარ?**

— უკვე 6 თვეა. ეს გატაცება არაა, ძალიან ძლიერი, ორმხრივი, ურთიერთპატივისცემაზე დაყრდნობილი სიყვარულია. მიუხედავად იმისა, რომ მხიარული ხასიათი მაქვს, პირად ურთიერთობაში რთული ვარ: თუ ადამიანი არ „მომერგო“, მასთან ურთიერთობა წარმოუდგენელია. ხასიათის ისეთი შტრიხები უნდა ჰქონდეს, როგორიც მომწონს. არიან გოგონები, რომლებიც ბევრ რამეზე თვალს ხუჭავენ, რაღაცებს თმობენ. მე ამ კატეგორიას არ მივეკუთვნები.

— **გვითხარი, როგორია შენი რჩეული?**

— ძალიან მომწონს, როცა ბიჭი „დასტოინად“ იქცევა. როცა პიროვნებასთან ვურთიერთობ, ბევრ რამეზე ვფიქრობ. მისი ხელოვნური, „დაყენებული“ ქცევებით არ ვტყუვდები. ჩემი რჩეული პირდაპირი, თბილი, ერთგული ადამიანია. მას ბევრი კარგი თვისება ნამდვილად აქვს, რაც ძალიან მხიბლავს. იმავდროულად, კაცური ხასიათი აქვს: ზედმეტს ვერ აკადრებ. მასში სისუსტეები რომ დამენახა, ჩემს თვალში მისი შეფასების დონე დაიწევდა — შეიძლებოდა, ურთიერთობაში ძალიან მალე გავცრიებულიყავი. ერთმანეთს დიდ პატივს ვცემთ. ძალიან კარგი მეგობარია, რომელსაც ყველაფერზე დაველაპარაკები, ყველაფერს ვანდობ... ასეთივე ვარ მე მისთვისაც. ბევრ ბიჭთან ერთად გავიზარდე (სანათესავოში, სამეგობროში, ეზოში მხოლოდ ბიჭები იყვნენ). კარგად ვიცი, როგორ შეიძლება გოგომ ბიჭს მეგობრობა გაუწიოს. ალბათ, ესეც დამეხმარა, რომ ჩემი რჩეულისთვის ჩერჩეტი, მეოცნებე გოგო კი არა, საყვარელი ქალი ვარ.

— **გრძნობებში გასარკვევად რა დრო დაგჭირდა?**

— 1 თვე. ძალიან ბევრი ვიფიქრე, რადგან მიმაჩნია, რომ შეცდომების დრო აღარაა. საერთოდაც, შეცდომების დაშვება არ მიყვარს. როცა რამე ფუჭდება, საკუთარ თავს ვამტყუნებ — ძალიან თვითკრიტიკული ვარ. ჩემი გრძნობა ბევრჯერ „გავზომე“ და მერე „გავჭერი“.

— **პირად ცხოვრებაში არასოდეს გადაგიდგამს ისეთი ნაბიჯი, რომელსაც ახლა შეცდომად მიიჩნევ?**

— ისეთი განსაკუთრებული არაფერი ყოფილა, რაც მინანია. ყოველთვის ჭკვიანი გოგო ვიყავი. ამაყი ხასიათი მაქვს და ვცდილობ, სანანებელი არაფერი გამიხდეს და ჩემს სიამაყეს ბზარი არ გაუჩნდეს.

— **გაგვაცანი შენი რჩეული...**

— ჩემი რჩეული კახა ჩიქოვანია. ამ ასაკის ბიჭი პირველად მომეწონა. ჩემზე 1 წლით უფროსია. მსგავსი პრეცედენტი ურთიერთობაში არ მქონია. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ შეიძლება, ჩემზე 15 წლით უფროსი მამაკაცი მომეწონოს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ახალგაზრდები არიან, ბიძებად უფრო აღვიქვამ. ვფიქრობდი, რომ 7-8 წლით უფროსი ბიჭი ჩემთვის კარგი ვარიანტი იქნებოდა, რადგან ვატყობდი — ბიჭი გოგონაზე გვიან ყალიბდება. კახას შემთხვევაში, ეს პრობლემა არაა — ჩამოყალიბებული, მდგრადი ხასიათის პიროვნებაა.

— **შენი პირველი სიყვარულია?**

— შეიძლება, ადამიანთან თავს ძალიან კარგად გრძნობდე, მაგრამ ეს სრულფასოვანი გრძნობა არ


ჩემთვის ეს პირველი, ნამდვილი სიყვარულია

იყოს. ჩემთვის ეს პირველი, ნამდვილი სიყვარულია.

— **კახა რას საქმიანობს?**

— პატარა იყო, როცა საქართველოდან გაემგზავრა. ბარსელონაში ცხოვრობდა, უნივერსიტეტი იქ დაამთავრა. ელექტრონული მუსიკის ჩამწერი სტუდია — „მინიბასი“ აქვს. ამ სტუდიის შესახებ გაგონილი მქონდა: რამდენიმე წლის წინ, ძალიან კარგი ფესტივალი ჩაატარა — 7 არაჩვეულებრივი დიჯეი ჩამოიყვანა. სამწუხაროდ, ფესტივალზე ვერ მოვხვდი. მერე „ფეისბუკზე“ „მინიბასმა“ მეგობრობა შემომთავაზა. თურმე კახა ყოფილა. „ფეისბუკზე“ უცხო ადამიანები მეგობრების სიაში არ მყავს, ორგანიზაციებს კი ვუმეგობრდები. კახა ჩემს ცხოვრებას საიტიდან აკვირდებოდა: სურათებს, მეგობრებთან მიმოწერას... ერთი-ორჯერ „კედელზე“ საინტერესო მუსიკაც დამიდო. რამდენჯერმე თავადაც ვთხოვე, რაიმე ახალი და კარგი მუსიკა ხომ არ გაქვს-მეთქი? არ ვიცოდი, „ფეისბუკზე“ დადებული, პატარა ავტობუსის სურათის უკან ვინ იდგა. არ შევუწუხებივარ. მე და კახას ერთმანეთი „ფეისბუკით“ არ გაგვიცნია: ერთმანეთთან მშრალი მიმოწერა გვქონდა. სხვათა შორის, მიკვირდა და ვფიქრობდი, გოგონა ხომ არაა-მეთქი? როცა ბიჭს გამოელაპარაკები, ამით სარგებლობს და ცდილობს, საუბარში შეგიყოლიოს. ამიტომაც ვთქვი, რომ კახა „დასტონინია“ (*იცინის*), რადგან ასე არ იქცეოდა.

— **ერთმანეთს სად შეხვდით?**

— მეგობრების წრეში. ვიზუალურად ძალიან მომეწონა. ნელ-ნელა მისი ხასიათი, თვისებები შევისწავლე. 1 თვის განმავლობაში ინტენსიური ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ მეგობრულ ფარგლებს არ გასცდენია. შემდეგ მივხვდით, რომ ჩვენი ერთად ყოფნა ღირდა. ერთმანეთთან დიდი გრძნობა გვაკავშირებს.

— **სიყვარულში როგორ გამოგიტყდა?**

— სიყვარული ბანალურად არ აუხსნია — ღამის თბილისის ფონზე, ყვავილით ხელში... შაბათ-კვირას ბაკურიანში ატარებდა, მე კი თბილისში, მეგობრის დაბადების დღეზე ვიყავი. დამირეკა და მითხრა: ძალიან გთხოვ, არ დაიგვიანო, შინ დროზე მიდი, ხომ იცი, როგორ მიყვარხარო. თავიდანვე ვერ ვუთხარი, მეც-მეთქი. მერე აღმოჩნდა, რომ მეც მიყვარდა და არ დამიმალავს.

— **მრავალფეროვანი ურთიერთობა გაქვთ? სიურპრიზს ხშირად გიწყობს?**

— კი. ყველა წვრილმანს ყურადღებას აქცევს. გოგონების იმ კატეგორიას არ მივეკუთვნები, რომლებიც ბიჭს მიახვედრებენ, რა საჩუქარი უნდათ. პირიქით, შეიძლება, რაღაც მჭირდებოდეს, მაგრამ ოჯახის წევრებსაც არ ვუთხრა, რადგან ყველაფრის დამოუკიდებლად გაკეთება მიყვარს. კახამ ზუსტად იცის, რა მომეწონება, რა გამახარებს... ძალიან გემოვნებიანი ადამიანია.

— **იქნებ „აგენტი“ ჰყავს? შენი ოჯახის წევრებს იცნობს?**

— ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ჩემს დას ჰკითხა, — ანის ეს სამკაული რომ ვაჩუქო, კარგი იქნებაო? ლიკამ უპასუხა — არ ვიცი, ჯობს, შენ გადაწყვიტოო. ჩემმა დამ ამის შესახებ მოგვიანებით მითხრა... კახას ფანტასტიკური, ჰარმონიული ოჯახი აქვს. ეს არის ოჯახი, რომელთანაც შეუძლებელია, თავს ცუდად გრძნობდე. ძალიან კეთილები, თბილები, ლამაზები არიან...

— **დაოჯახებას როდის აპირებთ?**

— თარიღი დათქმული არ გვაქვს, მაგრამ ალბათ, ნიშნობას შემოდგომას არ გადავაცილებთ, შემდეგ კი ქორწილი გვექნება.


როცა ბიჭს გამოელაპარაკები, ამით სარგებლობს და ცდილობს, საუბარში შეგიყოლიოს



ნიშნობას შემოდგომას არ გადავაცილებთ

— **დასასვენებლად ერთად წასვლას არ გეგმავთ?**

— ერთად წასვლა ჯერ ადრეა. მიუხედავად იმისა, რომ ის ბარსელონაში გაიზარდა, მე კი XXI საუკუნეში მცხოვრები, ახალგაზრდა გოგონა ვარ, ტრადიციებს დიდ ყურადღებას ვაქცევთ. შეიძლება, უბრალოდ იქ მომაკითხოს, სადაც ვიქნები (ოჯახთან ერთად). ოჯახის წევრები დასასვენებლად თურქეთში მივდივართ ხოლმე, მაგრამ ამას ახლა როგორ მოვახერხებ, არ ვიცი. ბებია და ჩემი და ბათუმში დასვენებას გეგმავენ. ალბათ, მეც იქ წასვლა მომიწევს, თუ რომელიმე მეგობარი არ ავიყოლიე...

■

# „თეატრმა გული მატკინა“

**ამჯერად ჯგუფ „ფრანის“ სოლისტის, თინეიჯერი გოგონების გულთამპყრობლის, გაგა ჩიხლაძის ფსიქოპორტრეტის შედგენა ვცადე. ბევრმა შეიძლება არც კი იცის, რომ გაგა პროფესიით მსახიობია. თეატრის მოყვარულებს კარგად ემახსოვრებათ მისი როლები თუმანიშვილის თეატრში, ლალი კეკელიძის სპექტაკლებში — „ნომერი ნული პუნქტი“ და „იქ, სადაც ჩემი სახლია“. დღეს გაგაცნობთ გაგას, როგორც მსახიობს, მომღერალს და ქმარს. მისი მეუღლე — მსახიობი ანა ჩოგოვაძეა.**

**ადამიანის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება ბავშვობიდან იწყება. ჩვენი ინტერვიუც აქედან დავიწყეთ.**

*ნინო მჭედლიშვილი*



ქალს მორჩილება უნდა ჰქონდეს ქმრის...

— ქუთაისში, მასწავლებლისა და სტომატოლოგის ტრადიციულ ოჯახში აღვიზარდე. რთულ პერიოდს უკავშირდება ჩემი ბავშვობა: ომს, უშუქობას, გამჭვარტლულ კედლებს. „კერასინკების ეპოქა“ იდგა საქართველოში. მეზობლიდან მოპარული ელექტროენერგია ჩვეულებრივი ამბავი იყო. ე.წ. „დვიჟოკები“ ფუფუნება გახლდათ — „სალიარკის“ ღუმელები გვედგა თითქმის ყველას. თბილისი დაცხრილული იყო. ქუჩაში ვიდექით, ვეწეოდით, ვსვამდით. ქუჩას მგლური კანონები აქვს — თავის დამკვიდრებას, საკუთარ თავში ძალის აღმოჩენას სწავლობ და კაცად ყალიბდები. გვიჩხუბია კიდეც და ისიც ვიცი, ვის რა პასუხი უნდა გავცე. ზოგს ჰგონია, რომ ქუჩა მარტო ნარკომანია და მოპარვაა. ვფიქრობ, რომ ქუჩა დიდი აკადემიაა.

— **შენ თვალწინ როცა ვინმე უსამართლოდ იჩაგრება, რა რეაქცია გაქვს ამაზე?**

— „დათა თუთაშხია“ ვხდები. ხან ისეთი დათა, ყველას საქმეში ცხვირს რომ ყოფს და ხან ისეთი, არავის საქმეში რომ არ ერევა. ზოგჯერ ჩემმა ჩარევამ შეიძლება უარესი გააკეთოს. ერთხელ, პატარა მათხოვარი ერთ-ერთი კვების ობიექტში შედიოდა. დაცვის თანამშრომელი ემუქრებოდა, არ შემოხვიდეო. გასაგებია, რომ აღიზიანებს ბინძური მათხოვარი მომხმარებელს, მაგრამ ბავშვთან ურთიერთობისთვის ხომ უნდა იყოს რაიმე ფორმა გამოძებნილი? უკვე შესული იყო ბავშვი, „დაცვა“ რომ ეუბნებოდა, გარეთ გამოდიო. არ დამარტყა და გამოვალო, უთხრა ბავშვმა. გამოვიდა ბავშვი და ხელი მოუქნია. ბავშვი წაიქცა. არ გაურტყამს, შისგან წაიქცა... ვეღარ მოვითმინე და წავედი ამ ბიჭისკენ (35 წლამდე იქნებოდა). უკან რომ მოვიხედე, ამაკანკალა: ჩემსავით განერვიულებული რამდენიმე ბიჭი იდგა. ბავშვი გავუშვი და იმ ბიჭს ხმამაღლა ველაპარაკე. რა გამომივიდა? ბავშვს კი გამოვესარჩლე, მაგრამ ახლა მისი მჩაგვრელი აღმოჩნდა დაჩაგრულის პოზიციაში. მერე ძალიან გავბრაზდი საკუთარ თავზე.

— **მხოლოდ ელაპარაკე?**

— ჰო, პატარა ბავშვი ხომ აღარ ვარ, მუშტი-კრივზე რომ გადავიდე? მთელი ცხოვრების განმავლობაში ხელჩართული ჩხუბი სულ სამჯერ მომიხდა, კონფლიქტი კი ხშირად მქონია. გრძელი ენა მქონდა და სულ ვლაპარაკობდი, საქმეებს ვარჩევდი, ვაგვარებდი (*იღიმის*). 16 წლის მერე ქუთაისიდან წამოვედი, ხელოვნება მიხმობდა.

— **„ბირჟაზე“ გაზრდილი ბიჭი თბილისში ჩამოდის და ისეთ მუსიკას ქმნის, რომ თინეიჯერი გოგონების გულებს უმალვე იპყრობს. როდის მოხდა ეს გარდატეხა შენში?**

— სკოლაში სულ ვმღეროდი, სკოლის კვარტეტში ვიყავი და გუნდის სოლისტიც გახლდით. VII კლასიდან რწმენა განმიმტკიცდა და ტაძარში გალობა დავიწყე. ეკლესიაში მოხდა ჩემი გარდატეხა.

— **პირველი სიმღერა როდის დაწერე?**

— დაახლოებით სამი წლის წინ. ჯგუფიდან შოთიკო ზაქარაია წავიდა. ჯგუფი დაშლის პირას იყო... მანამდე ლექსებს ვწერდი და გავთამამდი.

— **„ფრანის“ რომელი სიმღერაა შენთან უფრო ახლოს?**

— (*ფიქრობს*) „ღამე რომ იხატებოდეს, დავხატავდი, გულის ტარება შეგეძლოს, გაგატანდი, ფიქრის წაკითხვა შეგეძლოს, გაჩუქებდი, თუ ახლა მე გადაგღალე, გავჩუმდები... ბახუსში ვხატავ ღამეებს, ბევრჯერ ფიქრებში ვათენებ, სიზმრების ფერად ბადეში, მთვარის მოპარულ კოცნაში“. ამ სიმღერას ვგავარ.

— **ბახუსის ამბავში ჰგავხარ ამ სიმღერას?**

— არ ვიცი. წალკაში ბერებმა მოისმინეს ეს სიმღერა და მონასტრის წინამძღვარმა მითხრა, მე ჩემს თავს ვამსგავსებ ამ სიმღერასო. ის ჩემს ანუშკას დავუწერე. სიმღერა ბლომად დამიგროვდა უკვე.

— **თბილისში მარტო, დამოუკიდებლად ცხოვრებამ რომ მოგიწია, რთული არ იყო?**

— რთული იყო. ოჯახს არ უნდოდა, ასე დამოუკიდებლად გამოვეშვი. მამა სტომატოლოგია; უნდოდა, მეც ამ განხრით გამეგრძელებინა სწავლა. პატარა რომ ვიყავი, სამსახურში დავყავდი და რაღაცებში ვეხმარებოდი. კარგი ხელი გაქვსო, ამბობდა. თან სამედიცინოსთვის მამზადებდნენ. კი დავდიოდი გაკვეთილებზე, მაგრამ ბოლოს აღარ ვსწავლობდი — ლექსებს ვუკითხავდი ქიმიის მასწავლებელს. დამოუკიდებლად ცხოვრება მართლა გამიჭირდა: დიდი სამეგობრო თბილისში არ მყავდა, სახლი არ მქონდა — ნათესავთან ვცხოვრობდი. ერთ დღესაც ილვიძებ და დედა აღარ გირეცხავს ტანსაცმელს, მაღაზიაში შენ უნდა ჩახვიდე, საჭმელი მოიმზადო, ფული გამოიზოგო; არ იცი ქუჩები, სად რომელი ტრანსპორტი დადის; ვიღაც ალმაცერად გიყურებს — ჩამო-


ჯგუფი დაშლის პირას იყო..

სული რომ ხარ, ცოტა ჩამორჩენილად მიგიჩნევენ.

— **გქონია ისეთი მომენტი, ჩამორჩენილად რომ იგრძენი თავი?**

— მცდელობა ჰქონდათ, მაგრამ ქუთაისელები ცოტა ამაყები ვართ, ადვილად ვერ გაგვტეხ. მერე შევიყვარე ეს ქალაქი, ეს ხალხი და... საჭმელების კეთებაც ვისწავლე, რეცხვაც...

— **ჰო, ეგ ცნობილი ფაქტია უკვე– გოგონები სახეს იხოკავენ, სად ვიყავით აქამდეო?!**

— (*იცინის*) თეთრეულის რეცხვაც კი ვიცი, თავისი სახამებლითა და ამბებით. ბებიაჩემმა მასწავლა დანამვა და დაუთოებაც კი. მერე ჭრელი „თეთრეული“ რომ შემოვიდა, დაკუჭულიც „მოსულა“, არც სახამებლის მოდუღება მჭირდებოდა და მეშველა (*იცინის*). პირველ წელს თეატრალურში ჩავიჭერი. მაშინ თუ არ ემზადებოდი „ვინმე ისეთთან“, არ მიგიღებდნენ. ფასიანზე რომ მესწავლა, ოჯახს ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ერთმა მითხრა გამოცდაზე, სმენა არ გაქვსო (*იცინის*). მაშინ ეკლესიაში ვგალობდი. მერე ვიღაცებს თავხედურად მივადექი, ფული არ მაქვს და მომამზადეთ-მეთქი — უბრალოდ, თავი დავამახსოვრე მათ, ვისაც გამოცდებზე სიტყვა ეთქმოდათ. არავინ მომამზადა, რა თქმა უნდა. ღამეები ვათენე მთელი წელი და მაინც ჩავაბარე. ვიტყუებოდი, გაჭირვებული ბავშვი ვარ, ქუთაისელი, ღამე ვმუშაობ, დღე ვსწავლობ-მეთქი. ახლა მეცინება ჩემს საქციელზე. ასეთი ტაქტიკა მქონდა — თავი უნდა შემეცოდებინა საგამოცდო კომისიისთვის, რომ არავის დავეჩაგრე.

— **სხვაზე გაბრაზებულს, ოჯახში ბოღმა დაგინთხევია?**

— სხვაზე არასდროს ვანთხევ ბოღმას, მაგრამ თუ გავბრაზდი, უნდა „ამოვყარო“, სხვანაირად არ შემიძლია. ასეთ დროს მამაოს ვურეკავ ხოლმე. ჩემი მოძღვარი ჩემი მეგობარია. ვურეკავ, როცა რაიმე მაწუხებს. ზოგჯერ კონცერტის მერე რომ მაჩერებენ და თბილ სიტყვებს მეუბნებიან, ვფიქრობ, რომ ესენი სხვა ადამიანზე ლაპარაკობენ. როგორ შეიძლება ასეთ დროს იმ ადამიანს ვუთხრა, — იცით, მე არ ვარ მთლად ასეთი კარგი, როგორც თქვენ ფიქრობთ-მეთქი... ზოგჯერ მეშინია, ეს ყველაფერი ამპარტავნობაში არ გადამივიდეს. იყო დრო, ქუჩაში არავინ მესალმებოდა — კარგად არ მეცვა და იმიტომ.

— **თვითონ არ დაგიხედავს ადამიანისთვის ზემოდან?**

— კი, მაგრამ ისეთი ადამიანისთვის დამიხედავს ზემოდან, რომელიც თვითონ უყურებდა ყველას და ყველაფერს ასე. ზოგჯერ მიმტევებელიც ვერ ვარ. ზოგჯერ ისეთი რამ მიმიტევებია, თვითონაც რომ გამკვირვებია და გამხარებია.

— **როგორი მეუღლე ხარ?**

— რთული ხასიათი მაქვს. შეიძლება, 4 დღე არ მივაქციო ყურადღება სახლში უწესრიგობას, მაგრამ მეხუთე დღეს ხმამაღლა გამოვხატო პროტესტი. ან ჩხუბი თუ მომენატრება ცოლთან, მივალ და ვკითხავ, რატომ არ გააკეთე საჭმელი-მეთქი? არადა, ზუსტად ვიცი, რომ კერძების მომზადება არ იცის. ჩემი მოთხოვნები მაქვს. ზოგჯერ მენატრება ის პერიოდი, როცა მივლიდნენ.

— **რა მოთხოვნები გაქვს?**

— „კაცი გავარიტ, ბოგ გავარიტ“ (*იცინის*). მე რომ ვიტყვი, მდინარე მიდის აღმა, შენ უნდა მითხრა, შხუილ-შხუილითო.

— **გენდერულ თანასწორობაზე არაფერი გსმენია?**

— არავითარი გენდერული თანასწორობა! ოჯახი ბიბლიაა. ცოლი და ქმარი ერთმანეთს ავსებენ. ქალს მორჩილება უნდა ჰქონდეს ქმრის და არა — მონობა. თუმცა ზოგ შემთხვევაში ქალს უფრო მეტი უფლება აქვს, ვიდრე კაცს.

— **ეჭვიანი ხარ? მსახიობი მეუღლე გყავს. რას იზამ, პიკანტური როლი რომ შესთავაზონ?**

— არა, ეჭვიანი არ ვარ, მაგრამ მას თავად არ უნდა ჰქონდეს სურვილი, ასეთი როლი რომ ითამაშოს. მე არ უნდა დამჭირდეს იმის თქმა, რა ითამაშოს და რა — არა... მაგიტომ შევეშვი თეატრს — თუ მსახიობი ხარ, ბოლომდე უნდა მიაწვე, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი არ აქვს იქ ყოფნას.

— **შენ ვერ „მიაწექი“?**

— არაერთი როლი მითამაშია. ხალხი მეუბნება, რა გინდა შენ მუსიკაში, თეატრია შენი საქმეო, მაგრამ მე ჩემი პროტესტი მაქვს. თეატრმა ცოტა გული მატკინა. უძლიერესი ფსიქოლოგი პედაგოგი მყავდა, შალვა გაწერელია, რომელიც ჩემთვის უდიდესი ოსტატია და ათმაგად მაგარი — თავის სპეციალობაში. რაც მან მიწინასწარმეტყველა, ის ახდა. თავის დროზე ვაწყენინე ამ ადამიანს. უმადურად მოვექეცი. მაშინ მითხრა, წყალს თუ გაჰყვები, წაგიღებსო. მაშინ მივხვდი, რომ მან ჯგუფიდან კი არ გამომაგდო, კიდევ ერთი მაგარი გაკვეთილი ჩამიტარა და ბოლო ბრძნული სიტყვა მაჩუქა.

— **რატომ გამოგაგდო ჯგუფიდან?**

— ჩვენ თვითონ ავდექით და წამოვედით. მერე სხვა ჯგუფში გადავედი. მერე ყველა დააბრუნა, ჩემ გარდა. ეტყობა, ძაან ვუყვარდი და ჩემგან ყველაზე მეტად ეწყინა. წლების მერე რუსთაველის თეატრში, რობიკო სტურუას მაგისტრანტის სპექტაკლში — „ენდ გეიმ“ ვითამაშე და იქ მნახა ბატონმა შალვამ. გამარჯობას ვერ ვეუბნებოდი, ვიმალებოდი, მოვიდა ჩემთან და, — შე ნიჭიეროო, — მითხრა. ძაან საყვარელი კაცია.

— **რომელი გაგა უფრო მოგწონს, თეატრის თუ „ფრანის“?**

— მონასტრის — იმიტომ, რომ იქ ყოველთვის კარგად ვიქცევი. ■



# თაკო აბაშიძის ბიძის სახლში სასწაული მოხდა!

## გარდაცვლილი ბიძისა და მინაზე გამოსახული ჯვრების ამბავი



**მსახიობი თაკო აბაშიძე მაყურებელმა სერიალ „ჩვენი ოფისიდან“ გაიცნო. ის ამჟამად გორის თეატრის მსახიობი და პიარ-მენეჯერია. ასევე ცხოველთა დაცვისა და ჯიშიანი ძაღლების მოყვარულთა საზოგადოების პიარ-მენეჯერიცაა. დღეს მსახიობი განსხვავებულ ამპლუაში წარმოგიდგებათ — ის იმ სასწაულის შესახებ მოგიყვებათ, რომელიც ბიძამისის გარდაცვალების შემდეგ მის სახლში დაიწყო და დღემდე გრძელდება.**

*ელენე ხირსელი*

— ეს არის XXI საუკუნის საოცრება, რომელიც 1-ელ თებერვალს, ბიძაჩემის სახლში, მისი გარდაცვალების შემდეგ დაიწყო. ბიცოლაჩემმა ლოცვა დაამთავრა და მისალები ოთახისკენ გაემართა. ამ ოთახის კარის მინაზე, მთელ სიმაღლეზე, ოქროსფერ რკალში ჩასმული ჯვარი გამოისახა. ამ ადგილამდე მზის სხივი არსაიდან აღწევს და შეუძლებელი იყო, საიდანმე არეკლილიყო. რამდენიმე დღის შემდეგ კი ჯვრის ირგვლივ, ოთხივე კუთხეში, მომცრო ზომის ჯვრებიც დაემატა. თანდათან ჯვრები მთელ სახლში გავრცელდა — სხვა კარის მინებზე, ტელევიზორის ეკრანზე... მათი რიცხვი დღითი დღე იზრდება. ჯვრები სულ არის — დღისითაც და ღამითაც, არ ქრება. ბიძაჩემის ოთახის კარის მინაზე კი განსხვავებული ფორმისა და ფერის ჯვარი გამოისახა, რომელიც აღდგომის წინა დღეებში კვერცხის ფორმის წრეში მოექცა. თავიდან ეს სასწაული ბიძაჩემის გარდაცვალებიდან პირველ აღდგომას დავუკავშირეთ, თუმცა აღდგომამაც ჩაიარა და ჯვრები ისევაა. არავინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს სასწაული; რისი ნიშანია, რას მოასწავებს? იმედია, ყველაფერს პასუხი გაეცემა. მამაოები იყვნენ, ბევრმა ადამიანმა ნახა, მათ შორის — ფიზიკოსებმაც, ყველანაირად გადაამოწმეს და ვერანაირი ახსნა ვერ მოუძებნეს. ვფიქრობ, რომ მეცნიერებმა და ჟურნალისტებმა ამ სასწაულის მიმართ მეტი ინტერესი უნდა გამოიჩინონ. ვისაც საკუთარ რწმენაში ეჭვი ეპარება, იმ ადამიანებს ვურჩევდი, მოვიდნენ და ნახონ. ამის შემდეგ, ჩემი აზრით, ყველაზე ურწმუნო ადამიანიც მორწმუნე გახდება.

— **რატომ უკავშირებთ ამ მოვლენას ბიძის გარდაცვალებას? მოგვიყევი მასზე.**

— ბიძა, გრიგოლ აბაშიძე, 25 წლის მანძილზე ვაკე-საბურთალოს რაიონის გარე განათების განყოფილების უფროსი იყო. 64 წლის ასაკში, მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა. ამ სასწაულს მე მის პიროვნულ თვისებებს ვუკავშირებ. მიუხედავად იმისა, რომ ბიძა მარხვას არ იცავდა და ეკლესიაში წირვას არ ესწრებოდა, გულითა და სულით ნამდვილი ქრისტიანი იყო — უსაზღვროდ კეთილშობილი. არ მახსოვს, ვინმე აუგად მოეხსენებინოს, განეკითხოს... ბოროტებას გულში არ გაივლებდა... ძალიან მიყვარდა, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ჩემ მიმართ. მასთან საუბარი, დიდი სიამოვნება იყო. ძალიან განვიცადე მისი დაღუპვა. დარწმუნებული ვარ, მისი სული ნათელშია. ალბათ ეს ბრწყინვალე ჯვრებიც ამის მაუწყებელია.

— **შენს ცხოვრებაში სხვა სასწაულიც ყოფილა?**

— ძალიან ბევრ უცნაურ დამთხვევას ჰქონდა ადგილი ჩემს ცხოვრებაში. მაგალითად, ბიძის დაღუპვამდე რამდენიმე საათით ადრე, მოულოდნელად, მეორე ბიძის მეუღლე, ახალგაზრდა ქალი გარდაიცვალა. ჩემი ბიძაშვილი, მიხეილ აბაშიძე, მსოფლიოს ორგზისა და ევროპის სამგზის ჩემპიონი ჭიდაობაში, 19 წლის ასაკში, ტრაგიკულად დაიღუპა (15 წლის წინ). ახალი გარდაცვლილი იყო, ბიცოლაჩემი სახლში მარტო გახლდათ და გარდაცვლილი შვილისთვის საკურთხს ამზადებდა. ჭიქაში ღვინო ჩაასხა, შესანდობარი უნდა ეთქვა, რომ უცებ ჭიქაზე მოჭახუნების ხმა მოესმა. იფიქრა, მეჩვენებაო და მეზობლის ქალს უხმო. ხმა ისევ განმეორდა და მეზობელმაც ნათლად გაიგო ეს ხმა. მიხეილთან დაკავშირებით კიდევ



ბევრი სასწაულის მოწმე ვყოფილვარ

ასეთი რამ მოხდა: როდესაც ის დაიღუპა, მისი ფეხმძიმე და სამშობიაროში იწვა. რომ არ ენერვიულა, ძმის დაღუპვის ამბავი დავუმალეთ. როცა იმშობიარა, იმ ღამეს მიშიკო დაესიზმრა და სიზმარში უთხრა, რომ გარდაიცვალა. კიდევ იყო ასეთი რამ: 5 წლის წინ, ოჯახით, ჩვენს აგარაკზე, ქარელის რაიონის სოფელ ზღუდერში ვისვენებდით. დედამ ეზოში მისთვის განსაკუთრებულად ძვირფასი, საქორწინო ბეჭედი დაკარგა, რომელიც ძალიან უყვარდა. ეზოში ხრეში ეყარა. იქაურობა ძირფესვიანად დავათვალიერეთ, კუთხე-კუნჭული არ დაგვიტოვებია, თითქოს მიწამ უყო პირი, ვერსად ვიპოვეთ. ერთი წლის შემდეგ ბებიასთან ერთად კვლავ ჩამოვედი აგარაკზე. ჩვენი სოფლიდან წმინდა ნიკოლოზის სახელობის, ყინწვისის სასწაულმოქმედი ეკლესია მოჩანს, სადაც ბერები ცხოვრობენ. დილით სახლის აივანზე რომ გამოვედი, წმინდა ნიკოლოზს შევთხოვე, ბეჭედი მაპოვნინე-მეთქი. შევფიცე, რომ ფეხით ავიდოდი ეკლესიაში, რომელიც მაღალ მთაზე, ძნელად მისადგომ ადგილზეა აშენებული. ფიცი შევასრულე და ეკლესიამდე 7-8 კილომეტრი ფეხით ვიარე. მეორე დღე რომ გათენდა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ბეჭედს ვიპოვიდი. ასე დარწმუნებული ჯერ არასდროს ვყოფილვარ. გამოვედი თუ არა ეზოში, არც მიძებნია, მოვკარი თვალი რაღაც უცნაურ მცენარეს, რომელიც აივანთან ამოზრდილიყო. მცენარე უჩვეულოდ ბზინავდა — მის ფოთოლზე ერთი წლის წინ დაკარგული ბეჭედი იდო... ეს ნამდვილი სასწაული იყო! ეს ადგილი ხომ გულდასმით გვქონდა შემოწმებული; ამ ხნის მანძილზე აქ ძალიან ბევრი თოვლი და ნალექი მოვიდა და ბეჭედი რომც დარჩენილიყო ზედაპირზე, აუცილებლად ჩავიდოდა მიწაში. ასე რომ, ადამიანს თუ ძალიან სწამს, სჯერა, მთელი გულითა და სულით შესთხოვს, აუცილებლად მიეცემა. ძნელია, ამდენი სასწაულის მომსწრე ხიბლში არ ჩავარდე. ვცდილობ, ამ ყველაფერს, როგორც ქრისტიანი, ისე მივუდგე. ამის შემდეგ ჩემი რწმენა უფრო განმტკიცდა.

— **ცრუმორწმუნე ხარ?**

— მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, ეკლესიაში დავდივარ, მარხვას ვინახავ, ამიტომ ცრუმორწმუნე ვერ ვიქნები. თუმცა ვაღიარებ, ჰოროსკოპს ვკითხულობ და ძალიან ბევრი დამთხვევა აღმოვაჩინე ჩემს ხასიათთან (ჰოროსკოპით ვარ კურო). ასევე, მგონია, ციფრები გარკვეული ინფორმაციის მატარებელია. ისე კი ყველაფერს ცრურწმენას ნუ დავარქმევთ. არსებობს ღვთიური ნიშნები და სასწაულები. უფალი ხშირად გვიგზავნის მინიშნებებს. ცხოვრებაში ბევრი სასწაულის მოწმე ვყოფილვარ. მჯერა, რომ უფალი მუდამ ჩემთან არის და მეხმარება.

— **ახლა შენზეც მოგვიყევი რამე. ამბობენ, რომ ცხოვრებაში ძალიან სერიოზული ხარ. მართალია?**

— სერიოზული არა, უფრო ზომიერი ვარ, სიტუაციიდან გამომდინარე. დიდთან დიდი ვარ, პატარასთან — პატარა. ძალიან მიყვარს და დიდ სიამოვნებას მანიჭებს ბავშვებთან ურთიერთობა, მათგან ძალიან ბევრ რამეს ვსწავლობ. დამოუკიდებელი ადამიანი ვარ. ძნელია ჩემი მდგომარეობიდან გამოყვანა, იშვიათად ვფეთქდები. საშინლად მაღიზიანებს ტყუილი და პირფერობა...

— **ცხოველთა დაცვის საზოგადოებაში ალბათ ცხოველების სიყვარულმა მიგიყვანა.**

— ამას წინათ, ერთ-ერთ ჟურნალში ჩემი კარიკატურა იყო: გზაზე მიმავალ თაკო აბაშიძეს ძაღლების ხროვა მიჰყვება. ეს გამოგონილი არ არის — ფაქტია. თქვენ შეიძლება ქუჩაში მართლაც მოჰკრათ თვალი თაკო აბაშიძეს, რომელსაც უკან ძაღლები მისდევენ. ასე რომ, დაცვაც აღარ მჭირდება ხოლმე (*იცინის*). ცნობილია, რომ ცხოველები ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით კი — ძაღლები. დავალებული მაქვს და უპატრონო ძაღლებისთვის სასადილოებში ძვლებსა და საჭმლის ნარჩენებს მიგროვებენ. ქუჩაში ცხოველებისთვის განკუთვნილი საკვებით დავდივარ. ქალაქში თითქმის ყველა უპატრონო ძაღლს ვიცნობ. სასაცილოა, მაგრამ შეიძლება ადამიანი ვერ ვიცნო, ძაღლს კი აუცილებლად ვიცნობ. ცხოველი ყოველთვის გრძნობს მათდამი ჩვენს დამოკიდებულებას. ამას წინათ, უცხო ძაღლი ამეკიდა და სახლამდე მდია. ცხოველთა დაცვისა და ჯიშიანი ძაღლების მოყვარულთა საზოგადოების ხელმძღვანელი ბექა მეტრეველი, რამდენჯერმე პირადად შეესწრო მსგავს სცენას და თანამშრომლობა შემომთავაზა. სიამოვნებით დავთანხმდი. ახლა ამ ორგანიზაციის პიარმენეჯერი გახლავართ. გარდა ამისა, ქუჩაში ვპოულობ უპატრონო ძაღლებს, ძირითადად, ლეკვებსა და კნუტებს და მათთვის პატრონის ძებნას ვიწყებ. რამდენჯერ პირადად, ტაქსით ჩამომიყვანია თბილისში. ხშირად მიკავშირდებიან თხოვნით, — ძაღლი ან კატა ხომ არა გყავს გასაშვილებელიო? ეს პროცესი უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. სახლში მყავს ძაღლი, 2 კატა, 3 იადონი, ზაზუნა, კუ, მთის ჩიტები, თუთიყუში, მტრედი და ბევრი თევზი. ■



# ვინ, სად და ვისთან ერთად ისვენებს?

**ზაფხული ისეთი სეზონია, როცა ნებისმიერი ადამიანი, საზოგადოებისთვის ცნობილი იქნება ის თუ — არა, დასასვენებლად წასვლას გეგმავს. როგორც ყოველ წელიწადს, ამჯერადაც დავინტერესდით, სცალიათ თუ არა პოპულარულ ქართველებს დასასვენებლად და სად აპირებენ ზაფხულის ცხელი დღეების გატარებას.**


მასწავლე ისეთი ადგილი, სადაც სიგრილეა და არ ცხელა...

*ეკატერინე მანაგაძე*

**რუსკა მაყაშვილი,** *მსახიობი:*

— დასასვენებლად აუცილებლად წავალ. ივნისის დასაწყისში ერთი კვირით უკვე გახლდით ბათუმში, მაგრამ ისეთი გადატვირთული გრაფიკის შემდეგ, როგორიც მთელი წლის მანძილზე მქონდა, ერთკვირიანი დასვენება საკმარისი არ არის. 27 ივლისს მწვანე კონცხზე ახალი მხატვრული ფილმის გადაღებები იწყება, რომლის დასრულებისთანავე, დაახლოებით აგვისტოს მეორე ნახევარში, კვლავ აჭარაში გავემგზავრები და იქ დავისვენებ. სიმართლე რომ გითხრათ, მირჩევნია, თურქეთში წავიდე, მაგრამ ალბათ ამჯერად ვერ მოვახერხებ.

**— იქნებ უფრო დაწვრილებით გვესაუბრო იმ ფილმზე, რომლის გადაღებებიც იწყება?**

— მაპატიეთ, მაგრამ ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით, რადგან ჯერჯერობით ამის უფლება არ მაქვს.

**— დასასვენებლად ვისთან ერთად მიდიხარ ხოლმე?**

— ჩემს შეყვარებულთან, გიორგი ყიფიანთან. საერთოდ, მე და გიორგის ტრადიციად გვაქვს, რომ ყოველთვის მაისის თვეში უნდა წავიდეთ ზღვაზე, რადგან მაისში არც ისე ძალიან ცხელა, თანაც ცოტა დამსვენებელია და ზღვაც საკმაოდ სუფთაა. მგონი, ზღვაზე წასვლა ყველაზე კარგი ამ თვეშია. შარშან ვიყავით ერთი თვით წასული, მაგრამ წელს მაისში ვერ მოვახერხეთ, ამიტომ ივნისის დასაწყისში გავემგზავრეთ. აგვისტოშიც, რასაკვირველია, გიორგისთან ერთად წავალ.

**— საზაფხულო გარდერობის განახლებაზე უკვე იზრუნე?**

— რა თქმა უნდა. უამრავი საცურაო კოსტიუმი მაქვს. აქამდე სეზონზე ერთი კოსტიუმი მყოფნიდა, წელს რა დამემართა, არ ვიცი. რამდენიმე ძალიან მომეწონა და თავად შევიძინე, 2 ცალი კი მეგობარმა ჩამომიტანა ლონდონიდან და ძალიან მომწონს. ასე რომ, ყოველდღე ახალი საცურაო კოსტიუმი მეცმება.

**— ალბათ ქუჩაში „კუპალნიკით“ ვერ გახვალ. დასასვენებლად წასული, რა სტილის ტანსაცმელს ანიჭებ უპირატესობას?**

— რამდენიმე სარაფანი კი მაქვს, მაგრამ შორტებსა და მაისურში გაცილებით კომფორტულად ვგრძნობ თავს, ამიტომ ბევრი შორტი მაქვს...


მირჩევნია, თურქეთში წავიდე

**ანრი ჯოხაძე,** *მომღერალი:*

— დასვენება საერთოდ არ მიყვარს და ვერ დავიკვეხნი, რომ დასასვენებლად ხშირად დავდივარ. ჩემი დასვენება მაქსიმუმ, ერთი კვირა გაგრძელდეს. მაგალითად, შარშან ზღვაზე ვიყავი, ბათუმში. 4 დღეში მომბეზრდა და თბილისში დავბრუნდი, მერე კი 2 დღით მეგობრის აგარაკზე გახლდით. მოკლედ, საერთოდ არ მჭირდება დასვენება. ჩემთვის ერთი კარგი გამოძინება 2-კვირიან დასვენებას უდრის. საერთოდ არ ვიღლები.

**— იქნებ ზღვა არ მოგწონს და მთაში დასვენება გირჩევნია?**

— მთა რასაკვირველია, უკეთესია; ჯანმრთელობისთვის ძალიან კარგია, მაგრამ არც იქ სიარულით ვიკლავ თავს.

**— კი მაგრამ, მთელი ზაფხული თბილისში ყოფნა ძნელი არ არის? არ გცხელა მაინც?**

— მასწავლე ისეთი ადგილი, სადაც სიგრილეა და არ ცხელა...

**— რომელიმე მთის კურორტი.**

— კარგი, რა, ზაფხულია და აბსოლუტურად ყველგან ცხელა.

**— მაშინ შენი იტალიაში მოგზაურობის შესახებ მიამბე...**

— პრინციპში, იტალიაში ნამდვილად დავისვენე, რადგან არანაირი საქმიანი შეხვედრა არ მქონია. იქ ჩემი ძმის მოსანახულებლად გავემგზავრე, რომელიც სამი წელია, არ მინახავს და მასთან 10 დღე დავრჩი. რასაკვირველია, ჩემს პატარა ძმისშვილსაც მოვესიყვარულე.

**— რა გაარკვიე, როგორი ბიძა ხარ?**

— დაქალიავებული. ხომ იცი, მამაკაცი 30 წელს რომ მიუახლოვდება, მამობრივი გრძნობა უმძაფრდება. სწორედ ასე დამემართა მეც და იმ ბავშვს რომ ვუყურებდი, სულ ვდებილდებოდი. მართლა ძალიან მაგარი შეგრძნებაა. სასეირნოდ ყველას ერთად მიგვყავდა, რადგან მე ცოტა მიუცხოვა და მარტო ჩემთან არ ჩერდებოდა...

**ლიკა ქორჭა,** *ტელეწამყვანი:*

— წელს დასვენება ჯერ ვერ მოვახერხე. მხოლოდ ორჯერ, ორ-ორი დღით გავედი ქალაქიდან. ახლა ვგეგმავ, რომ ბათუმში გამართულ ჯაზ-ფესტივალზე დასასწრებად რამდენიმე დღით ჩავიდე. დასასვენებლად კი მე და ჩემი და ალბათ აგვისტოს მეორე ნახევარში წავალთ. შვებულებას ველოდებით და ჯერ არ ვიცით, რამდენ ხანს გასტანს ეს შვებულება.

თუ ხანგრძლივი იქნება, მაშინ რომელიმე საზღვარგარეთის კურორტზე გავემგზავრებით, თუ არა და, აჭარას დავჯერდებით.

— **საზაფხულო გარდერობის განახლებაზე უკვე იზრუნე?**

— რა თქმა უნდა. აბსოლუტურად ყველაფერი შევიძინე. შემოდგომამდე არაფრის ყიდვა აღარ დამჭირდება, მერე კი უკვე შემოდგომისა და ზამთრის სამოსის შეძენაზე ვიზრუნებ.

— **საზაფხულო ფლირტი თუ გქონია ოდესმე?**

— არა. საზაფხულო, საშემოდგომო და ზამთრის ფლირტი არასოდეს მქონია. იშვიათად, დასასვენებლად წასულმა რომ ვინმე გავიცნო. ძირითადად, მეგობრებთან ერთად ვისვენებ ხოლმე და უცხო ადამიანებს არ ვეცნობით. ამიტომ ჩემთვის ასეთი სეზონური ფლირტი მიუღებელია...

**ლელა მებურიშვილი:**

— დასასვენებლად ჯერ არ წავსულვარ, მხოლოდ რამდენჯერმე მოვახერხე აგარაკზე წასვლა. ზუსტად ისიც კი არ ვიცი, სადმე წავალ თუ არა, რადგან რაღაც პროექტების დაწყებას ველოდები. თუ ეს პროექტები განხორციელდება, მაშინ მთელი ზაფხული მუშაობა მომიწევს და ვერსად წავალ.

— **ამ პროექტებში „დეტექტივების“ მესამე სეზონიც ხომ არ იგულისხმება?**


ჯერ არავინ იცის, გაგრძელდება თუ არა ეს სერიალი

— არა, ამჟამად ეგ არ მიგულისხმია, თუმცა მაგის პასუხსაც ველოდები. ჯერ არავინ იცის, გაგრძელდება თუ არა ეს სერიალი.

— **როგორც ვიცი, საზღვარგარეთ დასასვენებლად წასვლა შენი დიდი სურვილია. აქამდე ვერ მოახერხე ამ სურვილის განხორციელება?**

— სამწუხაროდ, ჯერ ვერა. საერთოდ, მთაც მიყვარს და ზღვაც. თუ ჩემ მიერ შერჩეულ მთის კურორტზე აუზი იქნება, მაშინ იქ დასვენება მირჩევნია, რადგან წყლის გარეშე ვერ გავძლებ. ისე კი ნებისმიერ ქვეყანაში გავემგზავრებოდი. უფრო მეტად, აზიური ქვეყნები მაინტერესებს...

— **საზაფხულო სამოსი უკვე შეიძინე?**

— საერთოდ, ე.წ. „შოპინგები“ არ მიყვარს, რადგან მაღაზიებში დიდხანს სიარული ძალიან მღლის. შემთხვევით თუ შევალ რომელიმე მაღაზიაში და ერთ რამეს შევიძენ, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. ამ სეზონზე რაღაცები შევიძინე და კმაყოფილი ვარ. სპეციალურად საყიდლებისთვის მთელი დღის გამოყოფას კი ნამდვილად არ ვაპირებ... ■


შემოდგომამდე არაფრის ყიდვა აღარ დამჭირდება



# „ბალზაკის ასაკის" პოპულარული ლამაზმანები



**სწორედ ონორე დე ბალზაკის წყალობით არსებობს მილიონობით ქალბატონისთვის თავზარდამცემი გამოთქმა „ბალზაკის ასაკის ქალი“. ამ ფრაზის მოსმენისას თვალწინ მოხუცებული წარმოგვიდგება, თუმცა ბალზაკი 30 წელს გადაცილებულ ქალებს გულისხმობდა...**

**გულს ნუ გაიტეხთ! არსებობენ 40 წელს გადაცილებული ქალები, რომლებიც ბუნების ყველა კანონის მიუხედავად მშვენიერების შენარჩუნებას ახერხებენ. მერე რა, რომ 25 წლის აღარ არიან, სამაგიეროდ ისინი პლანეტის ყველაზე ლამაზი, სექსუალური და წარმატებული მამაკაცების მეუღლეები არიან; სამაგიეროდ მათზე მილიონობით მამაკაცი ოცნებობს... ეს 40 წელს გადაცილებული ქალბატონები სრულიად დარწმუნებულნი არიან, რომ ყველაფერი წინ აქვთ!**

## ნაომი კემპბელი (დაიბადა 1970 წლის 22 მაისს) – 41 წლის

სუპერმოდელი ფორმის შენარჩუნებას შესანიშნავად ახერხებს. შავმა ავაზამ ნორჩი ლამაზმანების დამარცხება და მილიარდერი სერგეი დორონინის გულის მონადირებაც სწორედ ამით შეძლო.

ნაომი ბუნებრივი სილამაზით ამაყობს. მის სხეულს ბოტოქსი და რესტილაინი არასდროს მიეკარება. შავკანიანი მზეთუნახავი მხოლოდ წამწამების დაგრძელების ხელოვნებას მიმართავს. ცდილობს, ვეგეტარიანული კერძები მიირთვას, წელიწადში რამდენჯერმე კი ვარსკვლავთა შორის მეტად პოპულარულ დიეტას იცავს, რომელიც გამოხდილ წყალზე დამზადებული ლიმონათის, ლიმონის ახალგაწურული წვენის, ნეკერჩხლის სიროფისა და მცირეოდენი ტკბილი წიწაკისგან შედგება. პოდიუმის ვარსკვლავის ვარჯიშები პილატესსა და ჯიროტონიკს მოიცავს. განსხვავებული სისტემების მიუხედავად, ორივე მათგანში ცნობიერებისა და სხეულის კავშირს უდიდესი ყურადღება ეთმობა. ამასთან, ორივე სისტემა მოძრაობის კოორდინაციისთვის სუნთქვას იყენებს. გარდა ამისა, ორივე მეთოდიკა ე.წ. „ღერძულ“ ძალას განავითარებს. ღერძი, ანუ ღერო მუცლის, თეძოების დიაფრაგმისა და ხერხემლის საყრდენი დუნდულების კუნთებისგან ყალიბდება.



## სინდი კროუფორდი (დაიბადა 1966 წლის 20 თებერვალს) – 45 წლის

სინდი კროუფორდის წინაშე წლები უძლურია. 45 წლის სექსუალური მოდელი დღესაც ისეთივე ლამაზია, როგორიც 20 წლის წინ იყო. ვარსკვლავი ვარჯიშის საკუთარ სისტემას იყენებს. სინდის სამუშაო გრაფიკის ყოველი წუთი უწინდებურად წინასწარ არის გაწერილი და მსოფლიოს ქვეყნებში მოგზაურობისა და საუკეთესო ჟურნალებისთვის ფოტოგადაღებებისგან შედგება.

„ცხოვრების ჯანსაღ წესს ვიცავ, ბევრ წყალს ვსვამ, საკვების მიღებას ვაკონტროლებ და სპორტით ვარ დაკავებული. ჩემს სახის კანს პლასტიკურ ქირურგს ვუმადლი. მალამოები თავის საქმეს აკეთებს, მაგრამ როდესაც გარკვეულ ასაკს მიუკაკუნებ, კანის ელასტიკურობის აღდგენა მხოლოდ ვიტამინების, კოლაგენისა და ბოტოქსის საშუალებით არის შესაძლებელი. მე პირადი ექიმი მყავს, რომელიც ბოტოქსის ინიექციებს მიკეთებს. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რაც სახეზე აუცილებლად აისახება — ბედნიერია თუ არა ადამიანი. თუკი სამუშაო სიამოვნებას განიჭებს და სასარგებლო საქმეს აკეთებ, მაშინ, როგორც დედაჩემი ამბობდა, უმჯობესია სახეზე ნაოჭები ღიმილმა გაგიჩინოს, ვიდრე დაღრეჯილობამ“, — ამბობს 45 წლის ულამაზესი ვარსკვლავი.

## ჯენიფერ ენისტონი (დაიბადა 1969 წლის 11 თებერვალს) – 42 წლის

ბოლო ხანებში მსახიობი უფრო და უფრო ლამაზდება, რაც მისმა



ყოფილმა მეუღლემ, ბრედ პიტმაც კი აღნიშნა. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ თავდაპირველად ჯენიფერს ჰოლივუდში წარმატების მიღწევა გაუჭირდა — რეჟისორებს მოუქნელი, ქერა გოგონასთვის როლის მიცემა არ სურდათ. ჯენიფერმა მრავალნაირი დიეტის დაცვა სცადა და საბოლოოდ ერთ-ერთ მათგანზე შეჩერდა, რომლის არსი შემდეგ პროპორციაში მდგომარეობს: ნახშირწყლები — 40%, ცხიმი — 30%, ცილები — 30%. მსახიობი ალკოჰოლს, ბრინჯს, კარტოფილს, ცომეულსა და დაკონსერვებულ საკვებს არ მიირთმევს. 40 წელს გადაცილებული ლამაზი ვარსკვლავი სამჯერადი კვების რეჟიმს მკაცრად იცავს და დღეში 1,5 ლიტრ სუფთა წყალს სვამს. ჯენიფერ ენისტონი ძალზე დიდ დროს უთმობს იოგას ვარჯიშებს და უპირატესობას სხეულის მოვლის ხალხურ მეთოდებს ანიჭებს.

## ჯულია რობერტსი (დაიბადა 1967 წლის 28 ოქტომბერს) – 43 წლის

ჯულია რობერტსი, რომელიც ბოლო ხანებამდე ჰოლივუდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი ქალი იყო და ფილმში მონაწილეობისთვის 25 მილიონ დოლარს იღებდა, 43 წლის ასაკშიც შესანიშნავ ფორმასა და განწყობილებას ინარჩუნებს. „მუდამ მოსიყვარულე ადამიანების გვერდით ყოფნა სილამაზის უმთავრესი საიდუმლოა", — ღიმილით ამბობს მსახიობი, რომელიც დერმატოლოგ ნიკოლას პერიკონეს ე. წ. Facelift Diet-ას (დიეტა, რომელიც კანს ჭიმავს) ანიჭებს უპირატესობას. პერიკონეს დიეტა მხოლოდ ფიგურის შენარჩუნებას როდი უწყობს ხელს, საკვებ რაციონში მრავლადაა ის პროდუქტი, რომელიც ნაოჭებს აქრობს და კანს მოქნილობასა და სინორჩეს უნარჩუნებს. ჯულია რობერტსის გარდა, კვების ამგვარ რეჟიმს კიდევ ერთი 40 წელს გადაცილებული მშვენიერი ვარსკვლავი, კიმ კეროლიც იცავს.





## კიმ კეროლი (დაიბადა 1956 წლის 21 აგვისტოს) – 54 წლის

ამ მშვენიერმა ქალბატონმა არათუ 40-ს, 50 წელსაც კარგა ხანია გადააბიჯა. 54 წლის კიმ კეროლმა მრავალჯერ აღიარა, რომ „სახეზე მცირედით, მაგრამ მაინც წაიმუშავა". „წარბებს შორის ღრმა ნაოჭი მქონდა, რომელიც ბოტოქსის მეშვეობით გავიქრე", — ამბობს მსახიობი, რომლის ყოველი დილა კონტრასტული შხაპით იწყება, შემდეგ სხეულს ყინულით იზელს და სახის მიმიკურ ვარჯიშებს აკეთებს. ხალისიანი ქალბატონი სილამაზის საიდუმლოს შესახებ დასმულ შეკითხვებს ასე პასუხობს; „გემრიელი კერძები კარგ ადამიანებთან ერთად მიირთვით, სიცოცხლით დატკბით. ხარისხიანი სექსი აუცილებელია! და ვარჯიშიც არ დაივიწყოთ". კიმ კეროლის საყვარელი სპორტის სახეობები ცურვა და სერფინგია; გატაცებულია აერობიკით და თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში დიეტას იცავს. კალორიებს მუდამ გულდასმით ითვლის, თავს ზედმეტი საკვების მიღების უფლებას არ აძლევს და ბალახეულ ჩაის დიდი რაოდენობით მიირთმევს.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

*რუბრიკა მოამზადა*
*ნატო მანჯავიძემ*



# „ვიძინებ ჩემს ოჯახზე ფიქრით და მეღვიძება იმაზე ფიქრით, რომ ოჯახი აღარ მყავს“



**„არ ვიცი, ტკივილს როგორ ვუშველო, მთელ სხეულს გასწვდა მისი საცეცი.**
**ნეტავ, იცოდე, თეო, უშენოდ, როგორ ციცქნა ვარ, როგორ ნამცეცი.**
**უშენოდ როგორ გამატიალა ყოველმა დილამ, რაც კი გათენდა,**
**შენი ღიმილი და ხმა წკრიალა, როგორ საოცარ ძალას მმატებდა.**
**ეკლიანი ვარ და ვარ მახინჯი, ვრცელი უდაბნო ვარ და ახო ვარ.**
**როგორ მძულს ჩემი ყველა ნაბიჯი, რამაც სიკვდილთან დაგაახლოვა“...**

**ეს პოეტ გელა დაიაურის ლექსია, რომელიც მეუღლეს — თეონა ქუმსიაშვილს მიუძღვნა... სტრიქონები თავისთავად ეწერება, მაშინაც, როდესაც მარტოა და მაშინაც, როდესაც გარს მეგობრები ახვევია. ადრე ბევრ რამეზე წერდა — სიყვარულზეც, თავის ხევსურეთზეც, მუცოზე, სილამაზეზე... ახლა კი მარტო თეოზე წერს, თუმცა არ უყვარს ამ ლექსების სხვისთვის წაკითხვა, რადგანაც მიაჩნია, რომ მხოლოდ მისია... შატილში მომხდარი ტრაგედიიდან 1 წელი გავიდა, მაგრამ ტკივილი უფრო და უფრო გაუსაძლისი ხდება მისთვის... როგორც კი დროს გამონახავს, მაშინვე ცოლისა და შვილის საფლავისკენ, მთაში გარბის — ისინი იქ ეგულება და თავს მშვიდად გრძნობს, სიმარტოვესა და სიწყნარეში, მათთან ერთად... ყველაფერი კი ასე დაიწყო:**

*ნინო ჯავახიშვილი*

— მე და ჩემი მეგობარი — პაატა ვარდანაშვილი ყოველ წელს „მზიურში“ ხევსურულ საღამოს ვმართავთ. თეო სწორედ იქ გავიცანი, პირველივე საღამოზე, 2007 წელს. მეგობრებმა ჩემი ლექსების წიგნი დაბეჭდეს და მახსოვს, ავტოგრაფებს ვარიგებდი, რომ უეცრად ვიღაცის სულში ჩამწვდომი ხმა გაისმა. გავიხედე და ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ვიღაც გოგო დავინახე და მისით დავინტერესდი. მერე მეგობრებმა გამაცნეს. თეო მაშინ ერთ ლამაზ სიმღერას — „ინათებს ჩემო“ ასრულებდა. ხმით კი არა, მთელი გრძნობით, სხეულით, სულით მღეროდა... მე და პაატას ტურისტული ფირმა გვაქვს და საქართველოს ნებისმიერ კუთხეში ჯგუფები დაგვყავს. იმ პირველი შეხვედრიდან მალევე სვანეთში წავედით. იქიდან ხშირად ვეკონტაქტებოდი, ვითომ სიმღერის ტექსტი მაინტერესებდა, მაგრამ სინამდვილეში მასთან დალაპარაკება მინდოდა. შემდეგ სპეციალურად შევკრიბეთ ჯგუფი, რომ თეო ხევსურეთში წაგვეყვანა. იქ მოვახერხე და ვუთხარი, რომ მომწონდა და მასზე ვფიქრობდი. თეოს არაფერი უთქვამს. მერე იყო შეხვედრები თბილისში და 14 სექტემბერს, მცხეთობას გავიპარეთ.

— **ჯვარი ხევსურულ სამოსში გამოწყობილებმა, მოგვიანებით დაიწერეთ, არა?**

— სექტემბერში ჯვრისწერა ვერ მოვასწარით, რადგან მაშინ შატილის სკოლის დირექტორი ვიყავი. სასწავლო პროცესი უკვე დაწყებული იყო და ორ კვირაში იქ წავედით. მერე იქიდან არდადეგებზე ჩამოვედით და ჯვარი თბილისში დავიწერეთ. თურმე თეოს ბავშვობიდანვე მოსწონდა ხევსურული სამოსი და ზოგადად, ხევსურეთის მიმართ რომანტიკულად იყო განწყობილი...

— **როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე იქაურობამ?**

— პაატასთვის უთქვამს: — სურვილი მაქვს, ჩავიდე და კოშკების ყველა ბანზე ვიმღეროო. იქიდან აღტაცებული ჩამოვიდა. მას, თავის დროზე შეეძლო, კარიერა ქალაქში გაეგრძელებინა, მაგრამ ვერ იტანდა ხალხმრავლობას და ისევ მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა. შემოქმედისთვის მთაზე კარგი ადგილი რა უნდა იყოს? ის კი დიდი შემოქმედი იყო! 2008 წლის 8 ივლისს დემეტრე შეგვეძინა. მაშინ უკვე შატილის რწმუნებული გახლდით. შემდეგ წელს კი, სექტემბრში, ჯარჯი გაჩნდა. ისე მოხდა, რომ ორივე წლის ივნისში, ხევსურულ საღამოებზე თეო ფეხმძიმედ იყო და ამის რცხვენოდა. 2 წელია, სცენაზე ფეხმძიმე გამოვდივარ, ხალხი რას იტყვისო?..

— **გელა, ამბობდნენ, ბოლო ხევსურულ საღამოზე თეონა მოწყენილი მოგვეჩვენაო?**

— არა, ჩვეულებრივ ხასიათზე იყო. საერთოდ, ბევრი რამ ითქვა, ისიც კი, რომ თურმე თავს ვიკლავდი. არაერთი ჭორი გაავრცელეს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება და გულს მტკენს... თეოს მხიარული და ხალასი ბუნება ჰქონდა. მასთან ვერ მოიწყენდი. რაც უნდა სადარდებელი ჰქონოდა, არავის აჩვენებდა, რომ

რაღაც აწუხებდა. თუმცა ზოგჯერ უმიზეზოდ მოიწყენდა ხოლმე. ხშირად უტირია და როდესაც მიკითხავს, მიზეზი არ უთქვამს. დალხენილი ცხოვრება არ გვქონდა. ვეტყოდი ხოლმე: — ალბათ ეს არის შენი ტირილის მიზეზი-მეთქი და უარობდა. აქეთ მამშვიდებდა: — მთავარია, რომ ერთად ვართ და კარგად ვართ, თავშესაფარი გვაქვს და მეტი არაფერი გვინდა, ყველაფერი გვექნება ღვთისგანო. ახლა კი ვფიქრობ, — მისი ტირილი შესაძლოა, ამ ტრაგედიას მოასწავებდა...

**— როგორი დედა იყო თეო?**

— უთბილესი, მტრედივით დაჰღუღუნებდა თავის შვილებს. იშვიათად უწყრებოდა პატარებს. თავიდან ვუთხარი: — მკაცრად უნდა გავზარდოთ-მეთქი და გაბრაზდა: — ბავშვებს როგორ უნდა გავუბრაზდეო? მათ თანატოლივით ექცეოდა. დედაჩემმაც თბილი მოფერება იცის, მაგრამ მას რაღაც განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. ხშირად დაღლილი მივდიოდი სახლში და ვიცოდი, იქ დავისვენებდი. დამხვდებოდა სითბო, ღიმილი, იუმორი... თეო სულ თვალებში შემომციცინებდა — ყველაფერს აკეთებდა, რომ თავი კარგად მეგრძნო... მუდმივად იმას ცდილობდა, როგორ ესიამოვნებინა ჩემთვის.

**— ვიცი, ძნელია, მაგრამ მოდი, გაიხსენე ის საბედისწერო დღე...**

— ალბათ შოკის ბრალია, რომ ყველაფერი ბუნდოვნად, რაღაც კადრებად მახსოვს; მახსოვს: სალოცავში როგორ მივედით, მანქანაში რომ ჩავსხედით და შემდეგ — მანქანის გადატრიალების მომენტი... წყალში, დაახლოებით 1 საათის განმავლობაში ვიყავი და იმ ხნის მანძილზე რაღაც ხმები მესმოდა, მერე ის ხმებიც შეწყდა. მოგვიანებით გავიგე, რომ ხალხი მანქანას აწვებოდა. აღარ ეგონათ, ცოცხალი თუ ვიყავი. ბიძაშვილმა (მანქანაში ჩემთან ერთად იყო), მითხრა: — მანქანა რომ გადატრიალდა, ვაიმე, ბავშვები! — ყვიროდიო. ეს კი არ მახსოვს. როგორც ჩანს, გავითიშე. მერე კი გონზე ცივმა წყალმა მომიყვანა, მანქანიდან ამოსვლა ვცადე, მაგრამ ვერ მოვახერხე. ხელი გადავყავი და ხელში ბავშვის მოშვებული სხეული მომხვდა, მაგრამ გავუშვი, ვიფიქრე, აქ უფრო დაიხრჩობა-მეთქი... გადარჩენისთვის ვიბრძოდი, მაგრამ ბოლოს ძალიან დავიღალე და გავიფიქრე, — მორჩა, ალბათ დავიხრჩობი-მეთქი. ბოლომდე მქონდა იმედი, რომ რომელიმე მაინც გადარჩებოდა... წყლიდან რომ ამომიყვანეს, მძღოლის — ბერდია არაბულის (ჩემი უახლოესი მეგობარი) ცხედარი მიწაზე ესვენა. ის რომ დავინახე, გონება დავკარგე. მაგრამ მთის წესი ასეთია — არ შეიძლება ემოციის გამოხატვა; ტირილი კაცს არ შეშვენის... ქვა უნდა იყო...

**— ძნელია ამხელა ტრაგედიის უემოციოდ და უცრემლოდ გადატანა...**

— ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ გული არ მტკივა... დამეღუპა ცოლი, 2 შვილი, ცოლისდა, მეგობარი, რომლის ბავშვის ნათლიაც ვიყავი ცოლ-შვილით... ეს გაუსაძლისი ტკივილია. საკუთარ თავს ვადანაშაულებდი, რადგან დღეობაზე ყველანი მე დავპატიჟე. ბერდიას დედა არაჩვეულებრივი ადამიანია. საკუთარი შვილი და რძალი სახლში ესვენა, ის კი ადგა, 50 კილომეტრი გამოიარა, ჩემთან მოვიდა და მომისამძიმრა, თან, მანუგეშა და მითხრა: — თავს ნუ იდანაშაულებ, ასეთი ყოფილა ბედისწერაო! ასე მოქცევა ყველას არ შეუძლია... მოკლედ, მიზანი დავკარგე, ცხოვრებას მივყვები და არ ვიცი, რა იქნება მომავალში... როდესაც თეო ჩემ გვერდით იყო, მეგონა, მთებს გადავდგამდი და ჩემს გასაკეთებელს მაინც გავაკეთებდი... სტიმული აღარ მაქვს. შეიძლება, თეოს ხსოვნას ვუძღვნი, რასაც ვაკეთებ, მაგრამ ვატყობ, რომ ის აღარ ვარ, რაც ვიყავი. ძალიან დამეხმარა ეკლესია, პატრიარქის ნუგეშმა და მასთან შეხვედრამ დიდი ძალა მომცა! დაბნეული ვიყავი და რა უნდა გამეკეთებინა, არ ვიცოდი. ხალხის დიდმა სიყვარულმა და თანაგრძნობამ გადამარჩინა. ვისაც უყვარხარ და სჭირდები, მათთვის უნდა იცოცხლო და იყო ამ ქვეყანაზე... თორემ ასეთი ცარიელი, ახლა რომ ვარ, არასდროს ვყოფილვარ.

**— ქვა უნდა იყოო, — მითხარი, მაგრამ როდესაც მარტო რჩები და არავისთვის გჭირდება იმის დამტკიცება, რომ ძლიერი ხარ, მაშინ?**

— ალბათ ჯობს, ამაზე არ ვილაპარაკოთ... ერთი წელია, ჩემს ოჯახზე ფიქრით ვიძინებ და მეღვიძება იმაზე ფიქრით, რომ ოჯახი აღარ მყავს...

**— მოდი, თეოს შემოქმედებაზე ვისაუბროთ. მისი სიმღერებიდან განსაკუთრებით რომელი გიყვარს?**

— თეოს სიმღერების უმეტესობა სწორედ საკუთარ ლექსებსა და მელოდიებზეა შექმნილი, რომელიმეს ვერ გამოვარჩევ, ყველა ერთნაირად მიყვარს. ხალხს ალბათ დათო კენჭიაშვილთან შესრულებული დუეტი უფრო მოსწონს (კენჭიაშვილთან მისივე დაჟინებული თხოვნით ჩაიწერა „შენ ჩემო დიდო ტკივილო“) და კიდევ სიმღერა — „ღმერთი დიდია“, რომელიც დათო არჩვაძის მუსიკაზე შეიქმნა. უცხოეთში გასტროლის დროს, მისთვის თეოს სიმღერა მოუსმენინებიათ და როგორც შემდეგ გვითხრა, მაშინვე მოვიდა მელოდია, რომელზეც თეოს უნდა ემღერაო. ტექსტი ეკუთვნის მეუფე თადეოზ იორამაშვილს, მისამღერები კი — ნანა ცინცაძეს. დათო არჩვაძე თვითონ დაგვიკავშირდა და თეოს მელოდია მოასმენინა. თავიდან იჭოჭმანა, რთული სიმღერაა და ვაითუ, ვერ მოვერიოო. სახლში სულ ღიღინებდა იმ მელოდიას და მთიდან რომ ჩამოვედით, ერთი ამოსუნთქვით ჩაწერა. ეს იყო თეოს ბოლო სიმღერა, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გაჟღერდა...

**— „ხომ შეიძლებოდა, ასე არ მომხდარიყო?“; „რატომ?“ — ასეთი კითხვები არასდროს გაგჩენია ან ბედის სამდურავი არ დაგცდენია?**

— როგორ არა, მაგრამ ალბათ ყველა ჩვენგანი ჩვენი ცოდვებისთვის ვისჯებით — ზოგი — ნაკლებად და ზოგი — მეტად. ზოგი ამ ცხოვრებაში გაივლის ჯოჯოხეთს... მე ასეთი ბედი მერგო... შეუცნობელნი არიან გზანი უფლისანიო და მართალია!.. დამნაშავეს ყოველთვის საკუთარ თავში ვეძებ. ბედნიერი ვარ, რომ ცხოვრებაში თეოს შევხვდი და მასთან ვიცხოვრე, მაგრამ უბედურიც — რადგან დავკარგე... თეო-



მტრედივით დაჰღუღუნებდა თავის შვილებს

ნას შემოქმედებას პატრონი სჭირდებოდა და მიზნად დავისახე, რომ ის ყველასთვის გამეცნო. ამიტომაც ვაწყობ თეონას ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოებს და მიხარია, რომ ხალხმა შეიყვარა თავის სიმღერებთან ერთად. სოფელ სიონში ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი დაარქვეს. მინდა, რაღაც ისეთი გავაკეთო, რომ თეონა ქუმსიაშვილი კიდევ დიდხანს ახსოვდეთ. რამდენიმე თვის წინ დამიკავშირდა ვალერიან შიუკაშვილი. უნდოდა, თეონას სახელობის ფოლკლორული კვირეულ-ფესტივალი ჩაეტარებინა, დაწესდებოდა პრემიები, იქნებოდნენ ლაურეატები... მან თვითონ გამოიჩინა ასეთი ინიციატივა და თუ თვითონ ვერ შეძლებს, ვეცდები ეს იდეა მე განვახორციელო!

**— მინდა, თეონას ერთი ლექსით დავამთავროთ ჩვენი საუბარი. ეს ლექსი შენ მოგიძღვნა და მასზე სიმღერის შექმნაც სურდა...**

„არ იყავ, მონატრება სულში სახლობდა,/ არ იყავ, როგორც მთებს, დარდი მათოვდა,/ მოხველ და გული საგულეს დაუბრუნე,/ დღეები კვლავ დღეებს ისევ მისდევდა და/ ღამეს უშენობით სუსხი მითევდა და/ მოხველ და გული საგულეს დაუბრუნე/ და მაინც რამდენი მალოდინე?/ რამდენი თოვლის მოსვლა,/ რამდენი — გაზაფხული ფიქრებით დაზაფრული,/ რამდენი შემოდგომა — ნისლებში დაფარული,/ რამდენი — მალოდინე,/ რამდენი ღიმი მორჩა/ რამდენი ოცნებები — არაგვში დამალული,/ რამდენი ზაფხულები — ჭრელჭრულად დაქარგული/ და მაინც რამდენი მალოდინე“... ■



მინდა, რაღაც ისეთი გავაკეთო, რომ თეონა ქუმსიაშვილი კიდევ დიდხანს ახსოვდეთ

# მე და შენ რომ მოგვიხდება ანუ „სამედაშენისო“

## ხევსურული სახლი თბილისში

**არ ვიცი, გსმენიათ თუ არა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის კურთხევით თბილისში ახლახან გახსნილი ხევსურული სახლის შესახებ. ამ სახლს „სამედაშენისო“ ჰქვია. საინტერესო სახელია, არა? საჩემო და საშენო ანუ საჩვენო — ასე განმარტავენ სახელწოდებას დამაარსებლები — დები გოგოჭურები, მათ პაპას — ალექსანდრე ჭინჭარაულს კი ამ სიტყვის განმარტება „ხევსურულ ლექსიკონში“ ასე უწერია — „მე და შენ რომ მოგვიხდება“.**

*ნინო მჭედლიშვილი*

*ხევსურული სახლი ლესელიძის ქუჩაზე მდებარეობს. ეზოში შესვლისთანავე ისეთი განცდა გეუფლება, თითქოს სხვა სამყაროში მოხვდი: ხის ტოტებისგან დაწნული „კედლიდან“ წყარო გადმოსჩქეფს, რიყის ქვებით მოპირკეთებული ფასადი კი მას უფრო საინტერესოს ხდის. სამზარეულოში ქალბატონები ფუსფუსებენ, ხევსურულ ხინკალს ახვევენ, კეცეულს ამზადებენ. ამბობენ, რომ მალე იქ ლუდიც მოიხარშება. ჩემი მასპინძლები საპატრიარქოსთან არსებული ცნობილი ანსამბლის — „დები გოგოჭურების“ წარმომადგენლები: ქეთევან, მანანა, ხატია და თამარ გოგოჭურები არიან.*

**ხატია:**

— ჩვენი ანსამბლი ორი წყვილი დისგან შედგება. მე და მანანა და ჩვენი ბიძაშვილები — ქეთევანი და თამარი, ოთხივენი ბავშვობიდან ვმღერით. თავდაპირველად სკოლის ანსამბლებში ვიყავით, შემდეგ — ქალთა ანსამბლ — „მანდილში“. 5 წელია, რაც „დები გოგოჭურები“ ცალკე ანსამბლად ჩამოვყალიბდით. 1 წელია, საპატრიარქოს ანსამბლად ვიწოდებით. პატრიარქმა სნოში მოგვისმინა და მაშინ გვითხრა, — თქვენ საპატრიარქოს ანსამბლი იქნებითო. ჩვენი მენეჯერი იოსებ ოხანაშვილი გახლავთ.

**ქეთევანი:**

— ჩვენი ოჯახი ხევსურეთის სოფელ გუროდან არის. პირიქითა ხევსურეთია, შატილამდე არმისული. მამა იქ დაიბადა. 3 თვის ყოფილა, ხურჯინში ჩასმული რომ წამოუყვანიათ.

**— ახლა იმ სოფელში აღარავინ ცხოვრობს?**

— არა. ერთი კოშკი იყო და ისიც დაინგრა. ბილიკებიც კი აღარ არსებობს. ჩვენ რომ ეს მხარე და ტრადიციები ასე გვიყვარს, ეს ოჯახის, პირველ რიგში კი ჩვენი 80 წლის ბებიის დამსახურებაა. მისგან ბევრი რამ ვისწავლეთ.

**ხატია:**

— ალბათ ბოლო თაობა ვართ, ვისაც შეგვიძლია, ტრადიცია არ დავკარგოთ და მივიწყებული აღვადგინოთ. ამ შანსს ხელიდან თუ გავუშვებთ, მომავალ თაობას მთხრობელიც კი აღარავინ ეყოლება. ჩვენი ბებიების თაობა თითქმის აღარ არის. არაერთი სიმღერა ბებოსგან აღვადგინეთ.

**— ხევსურული სახლის დაარსების იდეა როგორ გაჩნდა?**

**მანანა:**

— ბავშვობიდანვე ყველანი აქტიურები ვიყავით, ვმღეროდით, ვქსოვდით, ხატია ქარგავდა. ტურიზმიც გვიტაცებდა, მთაში დავდიოდით. ბავშვობიდანვე გვქონდა სურვილი, პატარა სალონი გაგვეხსნა. ბოლოს მოვიფიქრეთ, ეს ყველაფერი გაგვეერთიანებინა და აი, ასეთი „ხევსურული სახლი“ მოვაწყვეთ.

**— სახელი „სამედაშენისო“ როგორ შეურჩიეთ?**

— ჩვენ ცნობილი ეთნოგრაფის — ალექსი ჭინჭარაულის დისშვილიშვილები ვართ. სამედაშენისო ალექსი პაპას „ხევსურული ლექსიკონიდან“ შევარჩიეთ. მე და შენი ანუ ჩვენი სახლი. ვფიქრობთ, ამ სახლს ძალიან შეეფერება, არა?

**— ეს სიტყვა მეც ძალიან მომწონს. საინტერესოა, ლექსიკონში როგორი განმარტება აქვს?**

— „მე და შენ რომ მოგვიხდება“.

**თამარი:**

— აქ მოსულ ადამიანს ხევსურული კერძების დაგემოვნების საშუალებაც აქვს. ბევრს ხევსურული მხოლოდ ხინკალი ჰგონია, არადა, ასე არ არის: კეცეული, ხავიწი, კუსერბო, შიბუს სატნიანი და ა.შ. ამ ყველაფრის დამზადება უფროსებისგან ჩვენც ვისწავლეთ.

**ქეთევანი:**

— ძველად ხევსურეთში სპეციალ-

ური დაზგით (რომელსაც ყდანს ეძახდნენ) ტოლი (*ასე ქსოვილის სახეობას ეძახიან. — ავტ.*) იქსოვებოდა. დაზგის შესახებ ჩვენც ვიცოდით, მერე მოვიძიეთ, არქივში ფოტოს მივაკვლიეთ და დავამზადეთ. გვინდა, ქსოვის ეს მივიწყებული სახეობა აღვადგინოთ.

**— ტოლი სხვა ნაქსოვისგან რით არის განსხვავებული?**

— ტოლი ნატურალური მატყლისგან იქსოვება. ჯერ უნდა მოიქსოვოს, მერე — შეიღებოს, დასარბილებლად ხელით დაიზილოს, გაირეცხოს. სასურველი სამოსის შეკერვა მხოლოდ ამ პროცედურის ჩატარების შემდეგ შეიძლება. ქსოვის ტრადიციას უწმინდესის კურთხევით აღვადგენთ. ერთ დღეს საპატრიარქოში სტუმრად ვიყავით, 40-50 წლის წინ შეკერილი ხევსურული ტალავარი გვეცვა. უწმინდესმა გვკითხა, — ეს ძველი ტალავარიაო? მერე ტოლის მოქსოვის ტრადიციის აღდგენაზე კურთხევა მოგვცა. საამისოდ კარგი ხარისხის წვრილი ძაფია საჭირო. მატყლს თავად ვარჩევთ, ვართავთ და ვამუშავებთ.

**თამარი:**

— სექტემბრიდან დაინტერესებულ ახალგაზრდებს ქარგვასა და ქსოვას, ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკვრას ვასწავლით. ვცდილობთ, ძველი ფერები აღვადგინოთ. დააკვირდით, ყველაზე მეტი ფერი ხევსურულ ტანსაცმელზეა და მაინც სისადავით გამოირჩევა. ფერები ერთმანეთში ისეა ჩამჯდარი, თვალს არ სჭრის. ფერის ფერთან შეხამებას ცოდნა უნდა. ყველა ორნამენტს თავისი სახელი აქვს.

**— თქვენს გადაწყვეტილებას უფროსები როგორ შეხვდნენ?**

— ძალიან დაგვეხმარნენ. ამის გაკეთებას თუ შევძლებდით, არ სჯეროდათ. ფიზიკურადაც ბევრი ვიშრომეთ. მამა ხუმრობს, — მე თქვენი ტრეფიკინგის მსხვერპლი ვარო. ამ სახლის გახსნაზე ბებოც მოვიყვანეთ. თავის დროზე მას ხევსურეთიდან წამოსვლა ძალიან გაუჭირდა. მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. მაშინ თურმე იმასაც კი ამბობდა: სამოთხიდან ჯოჯოხეთში მოვხვდიო.

**— ბებია ხევსურეთზე რას გიამბობთ?**

— ბევრ რამეს. ხევსურეთის ტრადიციებზე, გვიამბობს წინაპრებზე, როგორ ცხოვრობდნენ, რა ხდებოდა.

**ხატია:**

— ჩვენ დიდი ოჯახი გვაქვს. როცა ყველანი ერთად ვიკრიბებით, ბებო ძველ ამბებს იხსენებს, რაც მნიშვნელოვანია, ვიწერთ. რამდენიმე დღის წინ ძაფის შეღებვაზე გვიამბობდა. რომელი მცენარით რომელი ფერი შეიძლება მიიღო. ბებო ცოცხალი „არქივია“.

**— იმ ეთნოგრაფებთან თუ გაქვთ შეხვედრები, რომლებიც ამ მხარეს იკვლევენ?**

— პაპა ბევრ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. მას დახმარებისთვის ხშირად მივმართავთ.

**მანანა:**

— ჩვენ ხევსურეთში გასვლით ტურებსაც ვაწყობთ. 16-კაციანი ჯგუფები დაგვყავს, ტურისტულ ჯგუფებს მე ვხელმძღვანელობ. მუცოს, არდოტს, ანატორის აკლდამებს, შატილს დავათვალიერებინებთ. ვისაც ფეხით სიარული მოესურვება, — ფეხით წავიყვანთ. ვისაც ეს არ შეუძლია — სამარშრუტო ტაქსით. ე.წ. „ჯიპტურებსაც“ ვაწყობთ. ღამესაც იქ გავათევთ, სადაც მოგესურვებათ: კოშკში, კარავში, სასტუმროში.

**თამარი:**

— ჩვენს სოფელში ადრე 3 კოშკი მდგარა, სხვადასხვა მამის შვილების (გოგოჭურები მამის შვილებად იყოფოდნენ, ჩვენ სოსანანი ვართ). 2 ადრე დაინგრა, მესამე — 5-6 წლის წინ. მას ყველა გოგოჭური, როგორც საკუთარს ისე აღიქვამდა, დიდი სურვილი გვაქვს, რომ ეს ციხე-კოშკი აღვადგინოთ. ეს დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული. მთის წვერზე დგას და მასალის მიტანაც ძალიან ჭირს.

**— „სამედაშენისოში“ უცხოელი სტუმრები თუ მოდიან?**



პატრიარქმა სნოში მოგვისმინა და გვითხრა, — საპატრიარქოს ანსამბლი იქნებითო...

**ქეთევანი:**

— ეს ადგილი უცხოელი ტურისტებისთვისაც მიმზიდველი აღმოჩნდა. აქაური გარემო მოსწონთ. უჩნდებათ სურვილი ეს მხარე მოინახულონ. უკვე ტურებიც შეგვიკვეთეს. ქართველები გვეუბნებიან, რომ აქ პატარა ხევსურეთიაო. პოეზიის საღამოც მოვაწყვეთ, ასეთი საღამოები მომავალშიც ხშირად გვექნება.

**— ხევსურული სამზარეულოდან რომელიმე კერძის დამზადების წესს თუ გაგვიმხელთ.**

**მანანა:**

— ბევრს აინტერესებს რა არის ხევსურული „კუსერბო“. ეს არის ერბოში გაცხელებული ახალამოყვანილი უმარილო ყველი. დნება და ძალიან გემრიელია, ოღონდ, ცხელი უნდა მიირთვათ. ხინკლის რეცეპტს არ ვამხელთ. კეცეული საქონლის დაკეპილი ხორცისგან მზადდება. ქონდარს და ძირას (ჩვენებურად მკვლიავი ჰქვია) ვურევთ. ეს კუბდარის ნაირსახეობაა. წელს ხევსურეთიდან მთის ბალახებსაც ჩამოვიტანთ და ზამთრისთვის ჩაი გვექნება, სამკურნალო თვისებებით.

**— როგორც ვიცი, კონცერტისთვისაც ემზადებით, არა?**

**თამარი:**

— მალე ჩვენი ახალი დისკი გამოვა, რომელშიც 24 სიმღერაა შესული. სოლო კონცერტს შემოდგომისთვის ვგეგმავთ, გვინდა, რომ ამ კონცერტის საპატიო სტუმარი პატრიარქი იყოს. მოხარულები ვიქნებით, მობრძანებას თუ მოახერხებს.

**— წარმატებას გისურვებთ!** ■



ხის ტოტებისგან დაწნული „კედლიდან“ წყარო გადმოსჩქეფს

# ალზრდისას დაშვებული შეცდომები

**ეგზიუპერის აზრით, თითოეული ჩვენგანი ჩვენივე ბავშვობიდან მოვდივართ და როგორც პედაგოგები ამბობენ, ნებისმიერი ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბებაში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ბავშვობის პერიოდს ენიჭება. შესაბამისად, გარემო, რომელშიც ვიზრდებით, პირდაპირ მოქმედებს ჩვენი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაზე. მაგრამ მიუხედავად ამისა, ადამიანები, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოცადეს მშობლებისგან არასწორი აღზრდის სირთულე, თავიანთ შვილებთან მშობლების მიერ დაშვებულ შეცდომებს ხშირად იმეორებენ.**

*ელენე ბასილიძე*

**ლენუკა,** *25 წლის:*

— ჩემსა და ჩემს ძმას შორის ასაკობრივი სხვაობა 2 წელია. მიუხედავად ამისა, ბავშვობიდან ჩემი მშობლები სულ ამ ფაქტზე ამახვილებდნენ ყურადღებას და მუდმივად მიმეორებდნენ: — გიო პატარაა, უნდა დაუთმო, შენ დიდი ხარ, უნდა მოითმინო, არ ეჩხუბოო... ჩემი ძმა მთელ სანათესავოში ერთადერთი ვაჟი იყო და შეიძლება ითქვას, ყველა ზედ დაჰფოფინებდა. ბავშვობიდან სასტიკი იყო. მახსოვს, ფეხი ახალი ადგმული ჰქონდა, ეზოში ძლივს დაბანცალებდა, წიწილებს რომ მიეპარა, ერთ-ერთს ხელი სტაცა და მაშინვე თავი წააძრო. მეც პატარა ვიყავი და სახლში ღრიალით მივედი, მაგრამ ამ ამბავზე ჩემს მშობლებს ყურადღება არ გაუმახვილებიათ, ისევე, როგორც არ აქცევდნენ ყურადღებას იმას, რომ ჩემი ძმა უფანჯრებო ფარდულში მკეტავდა, სადაც სიბნელე იყო და ყოველ გაფაჩუნებაზე შიშისგან თმა ყალყზე მიდგებოდა. ხშირად რამდენიმე საათის განმავლობაში იქ გამოკეტილიც ვყოფილვარ, ტირილით ვიკლებდი მთელ უბანს, მაგრამ ჩემს საშველად არავინ მოდიოდა. არ გეგონოთ, ჩემს ძმას მხოლოდ მე ვყავდი დაჩაგრული, სოფელში ვისაც ერეოდა, ყველას სცემდა, ზოგს აბამდა და ისე, ზოგსაც ნაჯახით დასდევდა. მთელი სამეზობლო მომდურებული გვყავდა. გარეთ რომ გავიდოდა სათამაშოდ, ბავშვები სახლში შედიოდნენ, მასთან ერთად თამაში არავის უნდოდა... ერთხელაც (13 წლის ვიყავი), თამაშის დროს (თამაშში ძალით ჩამაბა) სარდაფის ერთ მიყრუებულ ოთახში ჩამკეტა. შინ მხოლოდ ბებია და ბაბუა იყვნენ და მათ არც კი უფიქრიათ, რომ სახლში არ ვიყავი. მთელი ღამის განმავლობაში გიოს აზრადაც არ მოსვლია ჩემი გათავისუფლება. ის ღამე საოცარ შიშსა და განცდებში გავათენე;



მშობლებს მეორე დღეს მოვუკითხივარ და როცა ვერსად მიპოვეს, მეზობლები შემოირბინეს (ალბათ არც შეშფოთდებოდნენ, თავად მეზობელს რომ არ მოვეკითხე, — ლენუკა მთელი დღეა, არ გამოჩენილა, სადმე გაუშვით დასასვენებლადო?). ბევრი ძებნის შემდეგ, ერთ-ერთ მეზობელს უთქვამს, აქეთ-იქით რომ დადიხართ და ეძებთ, სახლში სადისტი რომ გყავთ, მას ჰკითხეთ, სხვას არავის ეცოდინება იმ საწყალი ბავშვის ამბავიო. ჩემი ძმა თავიდან არ ამხელდა, სადაც ვყავდი ჩაკეტილი. საღამოს კი ეზოში გასულა და მისთვის მეზობელ ბიჭს უკითხავს, — სადაა შენი დაო? ამაზე გიო შეჰპასუხებია, არც მეზობელს მოუთმენია და ხელჩართული ჩხუბი გაუჩაღებიათ. იმ ბიჭს ჩემი ძმა უცემია და ისე უთქმევინებია, სადაც ვყავდი ჩაკეტილი. მერე ჩემი მშობლებიც კარგად გაულანძღავს და პირში მიუხლია, — სანამ თქვენი სადისტი შვილი ლენუკას არ მოკლავს, მანამდე არ მიაქცევთ ყურადღებასო?! მეზობლები მშობლებთან ერთად სარდაფში რომ ჩამოვიდნენ, ნახევრად გაჭაღარავებული დავხვდი. არავის ვეკონტაქტებოდი, ხმასაც კი ვერ ვიღებდი. ჩემს მშობლებს მეზობლები დამუქრებიან, — ამ ბავშვს თუ არ მიხედავთ, თქვენს შვილს ვუჩივლებთ და ციხეში ჩავასმევინებთო.

— **იმის შემდეგ ალბათ ბევრი რამ შეიცვალა, არა?**

— არაფერიც არ შეცვლილა. 1 წლის შემდეგ კი საბერძნეთიდან ბიცოლაჩემი ჩამოვიდა. ისეთ მძიმე მდგომარეობაში მყოფი რომ მნახა, თბილისში გადმოსვლა და თავისთან ცხოვრება შემომთავაზა. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. ბიცოლამ კარგად მომხედა, არაერთ ფსიქოლოგიურ სეანსზე დავყავდი, მეხმარებოდა, რომ წარსულზე აღარ მეფიქრა. მკურნალობას წლები შევალიე და როგორც იქნა, თვალებში გამოვიხედე. დღეს თავისუფლად შემიძლია ამ ყველაფერზე ლაპარაკი, მაგრამ ხშირად კოშმარული სიზმრები არ მასვენებს...

— **შენი ძმის ცხოვრებაში თუ შეიცვალა რამე?**

— არაფერი, ახლა მესამე ცოლი ჰყავს. პირველი ძლივს გაექცა, მეორემ უჩივლა, მაგრამ გიორგიმ როგორღაც თავი აარიდა ციხეს. ცოტა ხნის წინ მესამე ცოლი მოიყვანა და მათ შესახებ ჯერ არაფერი მსმენია. ჩემი ძმა წლებია, არ მინახავს. ბიცოლამ ჩემთან მოკარება აუკრძალა და დღემდე ვერ ბედავს ჩვენთან სტუმრობას. რაც სოფლიდან წამოვედი, მას შემდეგ არ მისაუბრია მასთან. მშობლების გულგრილობის შედეგად დიდი ტრავმა მივიღე, იმედია, წვალებით მოპოვებულ სიმშვიდეს ცხოვრების ბოლომდე შევინარჩუნებ.

**გურამი,** *29 წლის:*

— გურამი მამაჩემის მეჯვარე იყო. ჩვენს ოჯახებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, ვახლობლობდით. დედ-მამა რომ შეუღლდა, გურამს ლელა უკვე შერთული ჰყავდა, მაგრამ შვილი არ ჰყავდათ. რამდენიმე წელი ისე გავიდა, შვილი არ შეეძინათ და ბავშვი აიყვანეს. კარგი მშობლები აღმოჩნდნენ, პატარას თავს ევლებოდნენ, მაგრამ დრო რომ გავიდა, პირველი ადამიანი ვიყავი, ვინც მათ მოქმედებასა და ბავშვისადმი მოპყრობაში გადაჭარბება შევნიშნე. შეიძლება ითქვას, რომ ბავშვი გადა-

ჭარბებული ყურადღებით გადარიეს: — „ხომ არ გშია, ხომ არ გცივა, დედა გენაცვალოს, მამა შემოგევლოს...“ არ ყოფილა შემთხვევა, მისთვის რამე დაეშალათ. ნიკუშა რაც იზრდებოდა, ვამჩნევდი, რომ უფრო და უფრო ეგოისტი ხდებოდა. სკოლაში ყველასთან უკმაყოფილება ჰქონდა. რა თქმა უნდა, მასწავლებელი და ბავშვებიც ისევე ვერ მოექცეოდნენ, როგორც მშობლები დაჰფოფინებდნენ და ამაზე გიჟდებოდა. დედამისი სკოლიდან სკოლაში მისი საბუთების გადატანას ვერ აუდიოდა. ერთ დღესაც, დედაჩემს ვუთხარი, — იქნებ დაელაპარაკო გურამსა და ლელას, თორემ ნიკა მგონი, სულ გადაირია-მეთქი. დამპირდა, რომ აუცილებლად ეტყოდა რამეს და ერთ დღესაც, როცა ჩვენთან სტუმრად მოვიდნენ, შეაპარა, — იქნებ ნიკუშა ფსიქოლოგთან მიგეყვანათ, გალიზიანებულია და ფსიქოლოგის კონსულტაცია დაეხმარებოდაო... აღარც მინდა იმ სიტყვების გახსენება, რაც ცოლ-ქმარმა დედაჩემს აკადრა... მოკლედ, გემრიელად გამოგვლანძღეს და კარი გაიჯახუნეს. ამ ამბის შემდეგ ლელამ დედაჩემს დაურეკა, იმ ამბისთვის ბოდიში მოუხადა და ტირილით უთხრა, — აღარ ვიცი, რა გავაკეთო, გუშინ ნიკუშამ მამამისზე დანით გაიწიაო. მერე კიდევ ერთხელ დარეკა და, — სკოლაში სიარული აღარ უნდა, ამბობს, სწავლა მომბეზრდა და სკოლიდან გამომიყვანეთო. ამ ამბიდან 2 კვირის შემდეგ კი ნიკა ციხეში მიაბრძანეს, საკუთარი კლასელი დაჭრა. დღესაც სასჯელს იხდის, მაგრამ მშობლები მაინც არ აღიარებენ მის წინაშე ჩადენილ დანაშაულს. — შვილი ცუდად არ აღგვიზრდია, გენში ჰქონდა სისასტიკე და იმიტომაც გამოვიდა ასეთიო, — მოგახლიან. ამას წინათ, ციხიდან დაურეკავს და უთქვამს, — აქედან გამომიყვანეთ, რამდენი ხანი უნდა ვიჯდე, შვილი ფეხებზე გკიდიათო. ახლა ცოლ-ქმარი ბინას ყიდის, რომ შვილი ციხიდან დაიხსნას.

**რუსუდანი,** *45 წლის:*

— 4 წელია, რაც ჩემს მეზობლად ერთი ოჯახი გადმოვიდა — ბავშვიანი ქალი დედასთან ერთად. არაჩვეულებრივი 12 წლის გოგონა ჰყავთ, რომელიც მთელ კორპუსს უყვარს, მაგრამ ისეა დათრგუნვილი, თუ სადარბაზოში ვინმე დგას, გარეთ ვერ გამოდის. მთელი დღის განმავლობაში, მათი სახლიდან წივილ-კივილის ხმა ისმის. ხან დედა კივის, ხანაც — ბებია. ვერაფრით ვხვდები, რა უნდა დააშავოს იმ ბავშვმა ისეთი, რომ მთელი დღის განმავლობაში ეჩხუბო?! გარდა ამისა, დედამისსა და ბებიას არც ერთ მეზობელთან არა აქვთ კარგი ურთიერთობა, გადმოსვლის დღესვე 2 მეზობელი მოიმდურეს; ბავშვი ეზოში გამოსული ჯერ არ მინახავს. სკოლაში დედასთან ერთად მიდის, მერე მარტო ბრუნდება და მთელი დღის განმავლობაში სახლში ზის და ხან დედის, ხანაც ბებიის წყევლა-კრულვას უსმენს. მის ზლუქუნი არ მაძლევს მოსვენების საშუალებას. სხვათა შორის, მათი ძველი მეზობელი ამბობდა, ბავშვის ბებიაც ისეთსავე დღეში აგდებდა თავის შვილსო. პირველად ბავშვის სანახავად მამა რომ მოვიდა, მე და ჩემი მეზობელი გარეთ ვიყავით. კარი ბავშვმა გაუღო და თვალები ისე გაუბრწყინდა, ცრემლები მომადგა. თხუთმეტიოდე წუთში მათი სახლიდან წივილ-კივილი შემოგვესმა, იმ კაცმა მთელი ძალით გამოიჯახუნა კარი და კიბეზე დაეშვა. მას შემდეგ ბავშვს აღარ ანახვებენ. სხვათა შორის, ჩემი შვილი იმ სკოლაში დადის, სადაც იმ გოგონას დედა ასწავლის გერმანულს. ამბობენ, სკოლაში მოსწავლეებთან ძალიან თბილი ურთიერთობა აქვსო. 2 თვის წინ, მათი ყვირილისგან თავმობეზრებულმა მეზობელმა ძალადობის ცენტრში დარეკა და ამ ოჯახზე მოახსენა. აგენტები რომ მოვიდნენ, როგორც ჩანს, საეჭვო ვერაფერი შენიშნეს და „პატივცემული მასწავლებელი“ გარეთ რომ აცილებდა მათ, გავიგონე, როგორ უთხრა: ალბათ შეგეშალათ ბინა, თორემ თავადაც ხომ ხედავთ, ჩვენს ოჯახში მსგავსი არაფერი ხდებაო! გული მიკვდება, არც კი ვიცი, ეს ბავშვი ოდესმე თუ შეძლებს საშინელი დედისგან თავის დაღწევას და ადამიანურად ცხოვრებას.

*ოჯახში შვილების აღზრდის შესახებ ფსიქოლოგს —* ***რეზო კორინთელს*** *მივმართეთ:*

— აღზრდა და აღზრდის სტილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. იგი ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ფსიქიკური დაავადების (ნევროზი, ფსიქოპათია) განვითარებისა და ხასიათის ანომალიების ჩამოყალიბებისთვის. ოჯახი, როგორც სისტემა, რამდენიმე ფუნქციას უნდა აკმაყოფილებდეს: მატერიალურ-ყოფითს, ემოციურს, აღმზრდელობითს, სექსუალურ-ეროტიკულს და კულტურულ-სულიერს. თუ ოჯახი ამ ფუნქციებს აკმაყოფილებს, ჯანსაღი და ჰარმონიულია, ხოლო თუ ვერ აკმაყოფილებს, ან არასწორად ხდება ამ ფუნქციების დაკმაყოფილება, მაშინ — დისჰარმონიული. ფუნქციების დასაკმაყოფილებლად, ოჯახში როლები თანაბრად ნაწილდება და ჰარმონიული ოჯახი მისი წევრების თბილი მიჯაჭვულობით გამოირჩევა; მათი როლები ერთმანეთს კონკურენციას კი არ უწევს, არამედ ერთმანეთს ავსებს. ოჯახის არც ერთი წევრი არ ახდენს სხვისი ფუნქციების უზურპაციას; ამასთან, არც ერთი წევრი არ ცდილობს საკუთარ მოვალეობების იგნორირებას. ასეთ ჰარმონიულ ოჯახში კონფრონტაციული დაჯგუფებებიც არ არსებობს. როგორც ხშირად ხდება ხოლმე: დედა ვაჟთან ერთად მამის წინააღმდეგ რომაა გაერთიანებული, მშობლები — მოზარდის წინააღმდეგ და ა.შ.

— **ალბათ ბევრი არასწორი აღზრდის ტიპი არსებობს, არა?**

— საკმაოდ ხშირია შემდეგი აღზრდის ტიპები: ჰიპოპროტექცია, როდესაც მოზარდი კონტროლისა და მეთვალყურეობის გარეშე იზრდება. ამ დროს მშობლების მხრიდან მისი ინტერესების მიმართ სრული იგნორირება ხდება. არსებობს ჰიპერპროტექცია ანუ უკიდურესი, განუწყვეტელი კონტროლი — როცა აღსაზრდელს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია;



მოზარდს ეპყრობიან, როგორც ბავშვს და საერთოდ არ მონაწილეობს ოჯახური პრობლემების გადაწყვეტაში. ეს მოზარდში პასუხისმგებლობის გრძნობის შემცირებას ან სრულ დათრგუნვას იწვევს, კარგავს დამოუკიდებლობის სურვილს და არც იცის, თუ როგორ უნდა გამოიყენოს თავისუფლება. არსებობს მასტიმულირებელი ჰიპერპროტექცია, როცა კონტროლი კი არ ხდება, არამედ — უკიდურესი მფარველობა მშობლების მხრიდან: როცა მოზარდს ყოველდღიური, მოსაწყენი მოვალეობებისგან ათავისუფლებენ და არ აძლევენ საშუალებას, თავად გადალახოს სირთულეები. ხშირად ამას თან სდევს მოზარდის ნიჭიერებისა და ტალანტის ხაზგასმა. არსებობს მასტიმულირებელი ჰიპოპროტექცია. ამ დროს მოზარდს არა მარტო ყურადღება აკლია, არამედ მშობლები უნერგავენ აზრს, რომ მას ყველაფრის გაკეთება შეუძლია. შესაბამისად, ბავშვი ეჩვევა აზრს, რომ რაც უნდა ჩაიდინოს, ის პასუხს არ აგებს, რადგან მშობლები დაიცავენ. შემდეგი ტიპი ავადმყოფობის ხაზგასმაა, როდესაც მშობლები თანდაყოლილი ავადმყოფობით დაბადებული ბავშვის მიმართ მეტისმეტ ლმობიერებას იჩენენ. დროთა განმავლობაში მოზარდს უყალიბდება აზრი, რომ ავადმყოფობა მას განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებს და ყველა მზად უნდა იყოს მისი სურვილების შესასრულებლად. მსგავსი ლმობიერება უკიდურეს ეგოცენტრიზმს იწვევს მოზარდში. შემდეგი ტიპი ბავშვის უკიდურეს მკაცრ პირობებში აღზრდაა, რომელსაც თან ახლავს მოზარდის ემოციური გარიყვა. ამ შემთხვევაში ბავშვი ან დაითრგუნება და არასრულფასოვანი გახდება, ან უმოწყალო მეამბოხედ ჩამოყალიბდება.

**— ბატონო რეზო, პრევენციის რა სახე არსებობს, მშობლებმა ბავშვის არასწორ აღზრდას რომ თავი აარიდონ?**

— როდესაც ახალგაზრდები ოჯახის შექმნაზე ფიქრობენ, უნდა იცოდნენ, თუ რა არის ოჯახი; გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რომ ის მხოლოდ სქესობრივ ურთიერთობასა და ბავშვის გაჩენას არ გულისხმობს; გაიაზრონ, თუ რა პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ თავზე. არსებობს ოჯახური ფსიქოთერაპიის კურსები, რომლითაც წყვილებს შეუძლიათ, ისარგებლონ და სპეციალისტების რჩევები გაითვალისწინონ. ■



# ქართველი გამომგონებლის მიჩუმათებული მიღწევები და იდეები

*ლალი პაპასკირი*

**უკვე მერამდენე წელია, გამომგონებელი — კობა ბიწაძე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციას („ნასა“, „ენერჯი-კლუბ“) არატრადიციული ფიზიკის (ასე უწოდებენ მეცნიერები და ინჟინრები კლასიკურ ფიზიკის გარდა ყველა სხვა მიმდინარეობას) თეორიებზე დაყრდნობით, შექმნილ გამოგონებებს უგზავნის. პასუხი ხან მოსდის, ხან — არა. „ზოგიერთი ორგანიზაცია ინტერესდება, ზოგი — არა,“ — მითხრა გამომგონებელმა. მისი თქმით, ასე ისინი იქცევიან, ვისაც საქართველოს არსებობის შესახებ არაფერი სმენია. რაც უნდა გასაკვირი იყოს, იყო შემთხვევები, როცა რუსმა მეცნიერებმა მისი ინოვაცია ერთხმად აიტაცეს. კობა ბიწაძის მუშაობით მას შემდეგ დავინტერესდი, რაც მის მიერ შექმნილი ეკონომიური ტურბინა ვიხილე. ეს ერთი შეხედვით, მარტივი კონსტრუქცია ყოველდღიურ გამოყენებაში, გაჩეხილი ტყეებისთვის დიდი შეღავათი იქნებოდა. ტურბინა შეშის ღუმლისთვის არის განკუთვნილი, წვის პროცესს ანელებს, თუმცა სითბო ჩვეულებრივი ტემპერატურით გამოიყოფა. რაც მთავარია მისი დამზადება ნებისმიერ მეთუნუქეს შეუძლია და იაფიც ჯდება, მაგრამ მიზეზთა გამო მისი მასობრივი დამზადება ვერ მოხერხდა...**

**ამის მიუხედავად, ბატონ კობას ხელი არ ჩაუქნევია და იმ იმედით, რომ მის გამოგონებას ოდესმე საზოგადოებაში დაინტერესება მოჰყვება, მუშაობას მაინც აგრძელებს.**

**— ვიცი, რომ საერთაშორისო კონკურსებშიც მონაწილეობთ...**

— დიახ, ოღონდ, ხშირად ვერ ვახერხებ... პირველად ამის სურვილი 1997 წელს გამიჩნდა, როცა ზღვის ტალღების ენერგიის გამოგონებაზე საერთაშორისო კონკურსი ჩატარდა, ვინ უფრო ოპტიმალურ მექანიზმს გამოიგონებდა... ამის შესახებ გვიან გავიგე და მონაწილეობა ვერ შევძელი. მაგრამ როცა იმ კონკურსში გამარჯვებული მოდელები ვნახე, მივხვდი, რომ უკეთესის შექმნა შემეძლო და ზღვის ტალღებით მოქმედი ელექტროსადგურის მოდელი გავაკეთე, რომელიც კონსტრუქციულად, კატამარანისთვის სრულიად გამოსადეგი იქნებოდა. ეს მოდელი კი გავაკეთე, მაგრამ კონკურსი უკვე დასრულებული იყო და ჩემი ნამუშევრის გაგზავნას აზრი აღარ ჰქონდა. თუმცა ბოლოს მაინც გავგზავნე. მაშინ ჩვენთან ინტერნეტი არ იყო და დიდი წვალებით მოვახერხე... ერთ-ერთი ბრიტანელი ინჟინრისგან პასუხი მივიღე, — ასეთი მარტივი, მაგრამ საჭირო გამოგონება აქამდე არ გვინახავს, თქვენი მოდელი რომ შევისწავლეთ, მივხვდით, რომ მარტივი მექანიზმით მთელი კონსტრუქცია შეგიცვლიათ... მადლობა გადამიხადეს, შემაქეს, მაგრამ ამიხსნეს, რომ ამ მოდელის სრულყოფას მაღალი დონის სპეციალისტები სჭირდება და ჩვენ ისინი არ გვყავსო.

**— გამოგონებების დაპატენტება არ გიცდიათ?**

— კი, როგორ არა! მოგვიანებით კიდევ ერთი გამოგონებით — პერპეტუუმ-მობილეთი დავინტერესდი. სანამ მასზე გიამბობთ, აგიხსნით, რომ კლასიკური ფიზიკა მის არსებობას უარყოფს და არატრადიციულ ფიზიკად მიიჩნევს...

**— ეს რას ნიშნავს?**

— ეს არის ინერცოიდი ანუ ექსპერიმენტული სათამაშო, რომელიც მხოლოდ ინერციით, გარემოსთან ურთიერთქმედების გარეშე მოძრაობს და ზედმეტ ენერგიას გამოყოფს. მაგრამ ამ შესაძლებლობას კლასიკური ფიზიკა გამორიცხავს, ყველა აქამდე დადგენილი თეორიის თანახმად, ინერცოიდს გარეშე ძალების ჩაურევლად ურთიერთმოქმედება არ შეუძლია, მაგრამ ფაქტია, რომ ის მაინც მოძრაობს. ამ მოვლენის ახსნას ფიზიკოსები 20 წლის განმავლობაში ცდილობდნენ, მაგრამ სარწმუნო თეორია ვერავინ შეიმუშავა... მე კი რამდენიმე მცდელობის შემდეგ, შევიმუშავე ფორმულა, რომელიც ამის სინამდვილეს ადასტურებდა. საავტორო უფლებაც დავიცავი, მაგრამ უსახსრობის გამო, ამ კონსტრუქციის მცირე მოდელის შექმნა ვერ შევძელი. რამდენიმე წლის



გავაკეთე შეშის ღუმლის ტურბინა, რომელიც კვამლს ისე ატრიალებს, რომ სითბოს მეტხანს ინარჩუნებს

შემდეგ კი ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემა „ენერგიაში“ ვინმე ტარიელ კაპანაძე გამოვიდა, ამ კონსტრუქციის მოდელიც აჩვენა და ნამუშევარი თავისად გამოაცხადა.

— **როგორ? საავტორო უფლება ხომ დაცული გქონდათ?**

— კი, ნომერიც აღებული მაქვს, მაგრამ უსახსრობის გამო, დოკუმენტების მოწესრიგება ვერ შევძელი და საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანე... არადა, როგორც მისი კონსტრუქციიდან მივხვდი, ნახაზის შინაარსი ბოლომდე ვერც გაუგია და მისი მოდელი შედარებით დაბალეფექტური იყო...

— **საქართველოს ფარგლებს გარეთ არ გიცდიათ თქვენი გამოგონების გატანა? კონკურსებს არ ვგულისხმობ, იქნებ უცხოური კომპანიები დაინტერესებულიყვნენ...**

— არაერთხელ მივაწოდე ისინი ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორიც არის — „ნასა“ და „ენერჯი-კლუბი“. „ნასამ“ დიპლომით დამაჯილდოვა, ხოლო „ენერჯი-კლუბმა“ კი ასეთი სამადლობელი სიტყვები მომწერა, — პერსონალურ მადლობას მოგახსენებთ კაცობრიობის უკეთეს მომავალში შეტანილი წვლილისთვისო.

— **დიპლომი რაში გადმოგცეს?**

— ზოგჯერ, საყოფაცხოვრებო, ყოველდღიურობაში გამოსაყენებელ და ეკონომიურ ნივთებსაც ვაკეთებ. მართალია, ამას ჩემთვის გასართობი ხასიათი აქვს, მაგრამ მაინც... მაგალითად, მარტივად გავაკეთე შეშის ღუმლის ტურბინა, რომელიც კვამლს ისე ატრიალებს, რომ სითბოს მეტხანს ინარჩუნებს და გაცილებით ნაკლებ შეშასაც წვავს... ბუნების მოყვარული კაცი ვარ, იმერეთში სოფელიც მაქვს და იქ ჩასული, გაჩეხილ ტყეებს რომ ვუყურებდი, გული მეწვოდა. რას ვიზამდი, ხალხს არსებობა ხომ უნდა?! არადა, მისი გამოყენებით, ერთ სეზონზე რამდენიმე ათეული კუბმეტრი შეშის დაზოგვა შეიძლება.

— **ვიცი, რომ ვერ გამოიყენეთ...**

— დიახ, რადგან ხალხს ექსპერიმენტებს ძველი, მამაპაპური მეთოდი ურჩევნია; ფიქრობს, — რომ არ გამომადგეს? ტყუილად ფული რატომ დავხარჯოო?!. არადა, ტურბინის გაკეთება ნებისმიერ მეთუნუქეს შეუძლია. მითხრეს, რომ ჩვეულებრივ ღუმელთან შედარებით, მის დამზადებას მეტი დრო სჭირდებოდა... ახლობლები მუდმივად მსაყვედურობდნენ, ფორმულებსა და ინოვაციებს ვერავინ იგებს და რამე ისეთი მარტივი გამოიგონე, ყველა რომ მივხვდეთო. როგორც სხვა დანარჩენი, ამ ტურბინის ნახაზიც სხვადასხვა საერთაშორისო მეცნიერულ ორგანიზაციას, მათ შორის — „ენერჯი კლუბსაც“ გადავუგზავნე. რომელმაც ის ნივთი, კონდიციონერების, გაზქურებისა და ზოგადად, საყოფაცხოვრებო ნივთების წარმოებაში მსოფლიოში ერთ-ერთ ლიდერს, ავსტრალიურ ფირმა — „ჰოვალის“ გადაუგზავნა. ცოტა ხანში იქიდან მადლობის სიგელი და დიპლომი გამომიგზავნეს.

— **ამ ნივთების მიტანა რომელიმე ადგილობრივ კერძო ფირმაში ან კომპანიაში არ გიცდიათ?**

— რამდენჯერმე მივიტანე ეკონომიკის სამინისტროში და შემპირდნენ, რომ ინვესტორს მიპოვიდნენ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა. რამდენჯერმე კერძო ბიზნესით დაინტერესებულ ადამიანებთან პირადი ნაცნობით დაკავშირებაც ვცადე, იქნებ გამოგონებების მცირე მოდელის ასაწყობად საჭირო თანხით მაინც დამეხმარონ-მეთქი, მაგრამ არაფერი გამოვიდა... თავიდან ყველა სიხარულით მხვდება, მაგრამ მერე არაფერი იცვლება...

— **ბატონო კობა, ახლა ცოტა რამ თქვენზეც მოგვიყევით. როგორ მოხვედით აქამდე?**

— ეკონომიკური განათლება მაქვს. სწავლას ფიზიკურ ფაკულტეტზე ვაპირებდი, მაგრამ სკოლა 90-იან წლებში დავამთავრე. იმ დროს, საქართველო დამოუკიდებელი ხდებოდა და ოჯახში მირჩიეს, დიპლომატიური კარიერა ჯობიაო. დეიდა და ბიძა ფიზიკოსები არიან, მასწავლებლად მუშაობდნენ და იმაზე წუხდნენ, 120 მანეთზე ვართ დამოკიდებულებიო... იმ პერიოდში ბიძაჩემი აბიტურიენტებს ამზადებდა და ტექნიკური ჟურნალებიც გამოწერილი ჰქონდა. პატარა ვიყავი, მაგრამ მაინც ვინტერესდებოდი ფიზიკით. დავჯდებოდი ხოლმე და ვუსმენდი, როგორ უხსნიდა ამა თუ იმ საკითხს აბიტურიენტებს. იმდენად მაინტერესებდა ეს სფერო, რომ ფიზიკის რამდენიმე კანონი იმ აბიტურიენტებზე უკეთესად ვიცოდი... მაგრამ სკოლა რომ დავამთავრე, ახლობლების რჩევით, საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობებზე ჩავაბარე. მიუხედავად ამისა, ფიზიკისთვის თავი მაინც არ დამინებებია. თავისუფალ დროს სამეცნიერო, ტექნიკური ჟურნალების გასაცნობად ვიყენებდი („ტეხნიკა მალადიოჟი“, „იუნნი ტეხნიკ“)... მაშინ ინტერნეტი არ არსებობდა და ასეთი ინფორმაციული თავისუფლებაც არ იყო... „პიონერთა სასახლეში“ სხვადასხვა წრე იყო გახსნილი და ცოდნის გასაღრმავებლად იქ დავდიოდი. ზოგს პოეზია აინტერესებს, ზოგს — მხატვრობა, მე ფიზიკა მიზიდავდა და ვცდილობდი, თვითგანათლება მიმეღო... ახლა ისეთ დროში ვცხოვრობთ, შეიძლება, ჩემი გამოგონებებით არავინ დაინტერესდეს, მაგრამ იმედია, ამ სფეროსაც გამოუჩნდება პატრონი. ■



უსახსრობის გამო, ამ კონსტრუქციის მცირე მოდელის შექმნა ვერ შევძელი

# ჭკუის სასწავლებელი...

ინგა ჯაყელი



არც ერთ მამაკაცს არ სჯერა, რომ სიმთვრალეში აუტანელია და ზოგჯერ კაცის სახესაც კარგავს ბახუსით ტვინარეული. ოჯახური სიტუაციის არევასაც ცოლის უხასიათობას აბრალებს და არა თავის ლოთობას...

გამონაკლისი არც მერაბიაა, რომელსაც არავინ იცის, მერამდენედ გაექცა ცოლი და მერამდენედ შეირიგა გამოსწორების პირობით, მაგრამ პირობა, როგორც წესი, მალევე ირღვეოდა:

— დედაშენის, ჩემი საყვარელი სიდედრის დაბადების დღეზე არ დამელია, აპა?!. უფროსმა დამნიშნა თამადად და მეწყენინებინა?!. ოთხი გოგოს შემდეგ ჩემს ძმას ბიჭი შეეძინა და არ დამელოცა?!.

როგორც მერაბიას არ ელეოდა დასალევად „საპატიო“ მიზეზი, ისე მის ცოლს — საჩხუბარი და სანერვიულო. თუ სახლიდან არ გაიქცეოდა, საძინებლის კარს ჩაურაზავდა მთვრალ ქმარს და არაფრით შეუშვებდა:

— მეტი საქმე არა მაქვს შენი ხვრინვა ვისმინო და სპირტის ოხშივარი შევისუნთქო, ცეცხლი ჭამე და მდუღარე დალიე, შენ!..

— „დავლევ, დავლევ, აბა, რას ვიზამ!“ — წაუმღერებდა ცოლს მერაბია და იმ ღამეს „ზალის ცენტრში“ ტახტზე გაჭიმული ათენებდა. დილით კი ცოლის კივილი აღვიძებდა:

— შენი კუბო დავდგი მაგ ტახტზე, შე უნაირო, ლოთო, უსარგებლო!..

ახალ წელს ზედმეტი რომ მოუვიდა, ამას თვითონაც მიხვდა: ჯერ სახლში დალია ბოთლზე მეტი. მერე ცოლისძმას ესტუმრა, იქიდან დასთან და მერე ძმასთან გადავიდა... ძმა აღარ უშვებდა, მაგრამ არ დაიშალა:

— ირინა მელოდება და იდარდებს, არ დაეძინება უჩემოდ! — გაიგიჟა თავი.

ირინას ამჯერად მარტო საძინებლის კი არა, სახლის კარიც ჩაეკეტა და არც ხვეწნამ გაჭრა მასზე, არც მუქარამ:

— ჩემდა თავად, შინ დამბრუნებლის! — შეიგინა მწარედ და კიბეზე დაეშვა. ბოლოს, რაც ახსოვს, ის იყო, რომ „ბომჟებთან“ ერთად დალია იაფფასიანი არაყი პატარა სკვერში. ისიც თვითონ იყიდა და გულის ჯავრი ამოიყარა:

— მე თუ მაქვს სახლი, მერე რა... ახლა მეც თქვენსავით არ მაქვს სადმე წასასვლელი და ძმები ხართ ჩემი...

ისეთი ტკბილი სიტყვები უთხრა წყალწაღებულ ლოთებს, ერთი თავის „საწოლს“ უთმობდა მრავალყუთიანი ნაგებობის რომელიღაც სოროში, მაგრამ არ გაუჩერდა:

— შენ რას გერჩი, რაზე უნდა გაგიტეხო ძილი და წაგართვა ტკბილი სასთუმალი. წავალ, მივაგნებ თავშესაფარს...

ამის მერე მის გონებაში აღარაფერი დაფიქსირებულა და ამიტომ დარწმუნებულია, რომ ვიღაც მწარედ ეხუმრა და სამარცხვინო ამბავი მოუწყო...

მოკლედ, დილით მერაბია ქალის ხმამ გააღვიძა, რომელიც რუსული აქცენტით ვიშვიშებდა: — ეი, კასო, ადეკი... აკ საიდან გაჩნდი, პატრონი არ ხავს?!

მერე ჯოხის შეჩიჩხინებაც იგრძნო გვერდებში...

არა, ეს ირინა არ იყო... არადა, სიზმარში მას ხედავდა. თანაც, ქალი კი არ ეჩხუბებოდა, პირიქით, ეფერებოდა და საალერსოდ იწვევდა... მერე კი მის თბილ ძუძუებში ცხვირჩარგულს ბედნიერად ჩაეძინა და ახლაც მის სითბოს გრძნობდა ლოყაზე.

ზანტად გაახილა თვალი და... ისევ დახუჭა. დარწმუნებული იყო, რომ კოშმარს ხედავდა: გვერდით დედა მაიმუნი ჰყავდა ჩახუტებული, მუცელზე ერთი პატარა მაიმუნი ეწვა და მეორე — ფეხებშუა, თავი იმასაც ნამთვრალევივით გადაეგდო მის თეძოზე...

კი, მაიმუნების გალიაში იყო. თავზე კი დამლაგებელი ქალი ედგა წყლიანი ვედროთი და „შვაბრით“:

— ადეკი, ტუ არა, პატრული დავუზახებ... რა გინდოდა ახალი ცლის ღამეს ზოოპარკში, ამ საცხალ მაიმუნებს შენგა აკლდი!..

დაფეთებული წამოვარდა მერაბია და პირველად შარვლის ელვაშესაკრავზე დაიხედა შეშინებულმა: სიზმარში კი ცოლს ვეფერებოდი, მაგრამ ვაითუ...

შებნეული ჰქონდა. ტანსაცმელზეც თივა აჰკვროდა და გაბურძგნილ თმაშიც...

— გიჟი ხარ, კაცო?! — უკან დაიხია დამლაგებელმა.

მერაბიამ ხელი ჰკრა და გაქცევა დააპირა, მაგრამ მაიმუნმა ჩაავლო საყელოში თათი და არ გაუშვა. ისე „შესცინა“ მოწკურული ტუჩებით, თითქოს საალერსოდ იწვევდა...

— ვაიმე, დედა! — იბღავლა კაცმა და გაიწია, საყელო თათებში შეატოვა მაიმუნს...

შინ ტაქსით მივიდა. აბა, ისე ჭუჭყიანი ავტობუსში ხომ არ ავიდოდა?! სახლში სტუმრები დახვდნენ და ირინას აღარ აუტეხავს სკანდალი...

სუფრასთან მიიწვიეს, როცა თავი მოიწესრიგა. თამადადაც უპირებდნენ არჩევას, მაგრამ უარი თქვა და წვეთი არ გაიკარა.

— ხომ კარგად ხარ?! — შეშფოთდა ირინა.

იმ ამბავს არ გაამხელდა, სხვა უბედურება რომ არ მომხდარიყო: იმავე საღამოს უცნაური ქავილი აუტყდა და რომ ვერ მოისვენა, ცოლმა თავი გაუსინჯა — უზარმაზარი ტილებით ჰქონდა სავსე და არა მხოლოდ თავი...

თმა მეორე დღესვე გადაიხოტრა და როცა ექიმთან მივიდა კონსულტაციაზე მკბენარებისგან დაწყლულებული სხეულით, ექიმმა გასცა:

— ეს ადამიანის მკბენარი არაა, ცხოველებს ჰყავთ, უფრო მაიმუნებს. ზოოპარკში ხომ არ მუშაობთ? თუ ასეა, სხვანაირი მკურნალობა დაგჭირდებათ, უნდა ვიცოდე...

მოუწია გამხელამ...

მე ეს ამბავი იმ ექიმმა მიამბო. ვმეგობრობ მასთან და აღტაცებულმა მითხრა:

— შენ საყურნალედ გამოგადგება, ლოთებს — ჭკუის სასწავლებლად!..

ისიც მითხრა, რომ უკვე მეორე თვეა, შეშინებული მერაბია სასმელს შორიახლოსაც აღარ ეკარება... ■

# რას ითხოვენ მოზარდები მშობლისგან

## „მზად ვართ, დედას ფეხებიც კი დავუკოცნოთ“

**ბევრი თინეიჯერი საყვედურობს მშობლებს იმის გამო, რომ მისთვის ვერ იცლიან, რომ ყველგან თან არ დაჰყვებიან, ზოგი კი პირიქით, იმას წუწუნებს, უფროსები ჩემ მიმართ ზედმეტ ყურადღებას იჩენენ და ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევენო. როგორ უნდა იპოვოს მშობელმა ოქროს შუალედი ან საერთოდაც, რატომ არიან მოზარდები ზედმეტად პრეტენზიულები და რას მოითხოვენ დედ-მამისგან? — ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემა სკოლის მოსწავლეებს ვთხოვე.**

*ლიკა ქაჯაია*



**ნეკა,** *15 წლის:*

— დედ-მამა პირველ რიგში, ყურადღებიანი, თბილი უნდა იყოს. როცა მშობელი შენზე ხელს აიღებს და არ აინტერესებს, სად ხარ და როგორ ხარ, მას სიტყვა „დედა“ ან „მამა“ არ უნდა დაუძახო; ასეთი მშობელი ამის ღირსი არაა.

**— შენ თუ იცნობ ისეთ ადამიანს, რომელსაც შვილის ბედ-იღბალი არ აინტერესებს?**

— როგორ არა, ასეთები საქართველოში მრავლად არიან! მე ვერაზე ვცხოვრობ და ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლაში ვსწავლობ, სადაც ასეთი მშობლების შვილები ცხვირსაც ვერ შემოყოფენ, მაგრამ ისეთ ბავშვებსაც ვიცნობ, რომლებიც დედისა და მამის სითბოს მოკლებულები არიან — სკოლის შემდეგ, მეგობრებთან ერთად, სასეირნოდ ხან სად მივდივარ, ხან — სად და ქუჩაში უამრავ გზააბნეულ თანატოლს ვაწყდებით. როცა მათთან გამოლაპარაკებას ვცდილობთ, ძირითადად, თავს გვარიდებენ, მაგრამ თუ რომელიმე სითამამეს გამოიჩენს და შემდეგ თავის გასაჭირსაც გაგვიზიარებს, ვხვდებით, რომ ამ ბავშვის უბედურების მიზეზი მისი მშობლები არიან...

**— უბედურებაში რას გულისხმობ?**

— აბა, სხვა რა ვთქვა თანატოლზე, რომელსაც ნორმალურად აცვია, მაგრამ მაინც მათხოვრობს? ზოგს მშობელი აიძულებს მათხოვრობას და მითხარით, ეს ნორმალური საქციელია? ერთ-ერთმა ქუჩის ბავშვმა გვითხრა: დედაჩემი დამლაგებლად მუშაობს, მე და ჩემი და კი ვმათხოვრობთო. ვკითხე: მამა არ გყავს-მეთქი? — კი, მყავსო, — რაღაცნაირად, ნაღვლიანად მიპასუხა. — მერე, სად არის, რას საქმიანობს-მეთქი? — არაფერს, სახლში ზის და ძირითადად, ტოტალიზატორის ბილეთების შევსებითაა დაკავებული, მაგრამ იშვიათად თუ უმართლებს; რომც მოიგოს, იმ დღესაც არ მოგვასვენებს, სამათხოვროდ მაინც გვიშვებსო ანუ რა გამოდის — ის კაცი მთელი დღე, მხარ-თეძოზეა წამოწოლილი და სულაც არ აინტერესებს, სადაა მისი ცოლ-შვილი. ფეხებზე ჰკიდია, რა გზით იშოვიან ისინი ფულს, მთავარია, ტოტალიზატორში წასასვლელად ფული მისცენ. ჰოდა, რა უნდა ვთქვა ასეთ მამაზე?

**— საინტერესოა, იმ ბავშვის დედაზე რას ფიქრობ...**

— ის ეტყობა, სულელია ან თავს ისულელებს! აბა, როგორ შეიძლება, ასეთი ქმრის გვერდით იცხოვრო?! მის ადგილას, იმ კაცს სასწრაფოდ გავშორდებოდი და შევეცდებოდი, შვილები ნორმალურ გარემოში გამეზარდა...

**— იქნებ არა აქვს იმის საშუალება, რომ შვილებს ნორმალური პირობები შეუქმნას?**

— გასაგებია, მაგრამ ჩემი აზრით, მშობელს როგორც უნდა უჭირდეს, ბავშვები სამათხოვროდ არ უნდა გაუშვას. ბოლოს და ბოლოს, ხელებიც აქვთ და ფეხებიც, ჰოდა, თავად იმუშაონ. ეტყობა, ის ქალი ჩერჩეტია, თორემ ქმარს არ მისცემდა უფლებას, ცოლ-შვილის კისერზე, შეიხივით ეცხოვრა...

**— შენ როგორი მშობლები გყავს?**

— ძალიან მაგარი დედ-მამა მყავს, მაგრამ ზოგჯერ, მათ მაინც ვსაყვედურობ ხოლმე...

**— უმადური შვილი ხარ?**

— არა, ასეთი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ზოგჯერ ზედმეტი ყურადღებაც მაღიზიანებს და... როცა ქუჩაში საწანწალოდ გამოსულ ბავშვებს ვხედავ, რომელთა უმეტესობა ნაგავში იქექება, მაშინ ვხვდები, რომ დედ-მამას არასწორად ვექცევი და ვამბობ: — შინ მისული მათ მადლობას ვეტყვი იმისთვის, რომ ცდილობენ, არაფერი მომაკლონ-მეთქი, მაგრამ სახლში შესულს ყველაფერი მავიწყდება და შესაძლოა, სადილიც კი არ ვჭამო იმიტომ, რომ ის არ დამახვედრეს, რაც მინდოდა (*იცინის*). რას ვიზამთ, ადამიანის ბუნება ასეთია — რაც მეტი აქვს, მეტს ითხოვს.

**— შენ თქვი, რომ მშობლები ზედმეტ ყურადღებას გაქცევენ და ეს გაღიზიანებს. ზედმეტ ყურადღებაში რას გულისხმობ?**

— მაგალითად, როცა მეგობრებთან ერთად სასეირნოდ მივდივარ, შეიძლება, 5 წუთში ერთხელ დამირეკონ და მკითხონ, როგორ ვარ, ეს კი გამაღიზიანებელია. ერთხელ დასასვენებლად მეგობრის აგარაკზე გამიშვეს. სულ 5 წუთის ჩასული ვიყავი, როცა აწიოკება დამიწყეს: აბა, როგორ ხარ? რა ჭამე? როგორ მოეწყვე? ვეუბნები: ახლა მოვედი და იქნებ ამოსუნთქვის საშუალება მომცეთ-მეთქი. ვინაიდან კითხვებზე პასუხი ვერ მიიღეს, ჩემი მეგობრის დედას დაურეკეს და სულ წვრილად გამოჰკითხეს: როგორ ვიმგზავრეთ, რა ვჭამე, როდის გავიცინე, ხომ არ მოვიწყინე და ა.შ.

**— შენი აზრით, როგორი უნდა იყოს იდეალური მშობელი?**

— ვერ ვიტყვი, რომ იდეალური მშობლები არ მყავს, მაგრამ ზოგჯერ თავს ვერ აკონტროლებენ და ჩემ

მიმართ ზედმეტ ყურადღებას იჩენენ — მხოლოდ ესაა მათი მინუსი. იდეალური მშობელი ყველაფერს უნდა აკეთებდეს იმისთვის, რომ შვილს პირველ რიგში, სითბო და ყურადღება (ზომიერების ფარგლებში) არ მოაკლოს, მერე კი იმაზეც უნდა იზრუნოს, რომ ბავშვს ელემენტარული რაღაცები ჰქონდეს, ტკბილეული მაინც არ ენატრებოდეს. ადამიანი, რომელსაც პატარაობისას კანფეტი აკლდა, მგონია, რომ ძალიან დაჩაგრულია...

**ზურა,** *16 წლის:*

— იდეალური ადამიანი არ არსებობს. არსებობს კარგი და ცუდი დედ-მამა. ჩემი მშობლები ცდილობენ, არაფერი მომაკლონ და ზუსტად ვიცი, ორივე ცხვირით გათხრის მიწას, ოღონდაც არ შემცივდეს, არ მომშივდეს, მაგრამ ეს საკმარისი არაა იმისთვის, რომ კარგი მშობელი გერქვას.



— **აბა, რა არის საჭირო ამისთვის?**

— მშობელმა ყურადღებაც არ უნდა მოგაკლოს. შესაძლოა, 9 ადგილას მუშაობდეს, მაგრამ შენთვის დრო აუცილებლად უნდა გამონახოს. განსაკუთრებით, პატარა ბავშვს სჭირდება დედ-მამის ყურადღება, თორემ ჩემს ასაკში ეს მოსაბეზრებელიც კია.

— **ოდესმე შენ თუ გაკლდა მშობლების ყურადღება?**

— იმის გამო, რომ მამაჩემი წლების განმავლობაში, რუსეთში იყო გადახვეწილი, მისი სითბო ნამდვილად მაკლდა. ფაქტობრივად, ქალებმა გამზარდეს და მამის სითბოს ბაბუს მკლავებში ვეძებდი...

— **დიდი ხანია, რაც მამაშენი რუსეთიდან ჩამოვიდა?**

— მას მერე, რაც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა და ქართველებს დეპორტი „გლიჯეს", მამას რუსეთისკენ აღარც გაუხედავს. ვენაცვალე რუსის მარჯვენას, რომელმაც მშობელი დამიბრუნა.

— **იმაზე არ გიფიქრია, რომ მამა შენი და ოჯახის კეთილდღეობისთვის იყო გადახვეწილი? რუსეთში რომ არ წასულიყო, შეიძლება, ბევრი ნატვრა ნატვრადვე დაგრჩენოდა...**

— სიმართლე უნდა ითქვას: არც მაშინ მაკლდა არაფერი და არც დღეს მაკლია. ახლა საქართველოში მუშაობს, მაგრამ არც გვშია და არც გვცივა, მეტიც — პირადად მე, ყველაფერი მაქვს, რაც მინდა. ჰოდა, ვერ ვხვდები, თავის დროზე რუსეთში რატომ წავიდა ფულის საშოვნელად, როდესაც აქაც შეეძლო საქმის აწყობა. სხვათა შორის, დედაც მუშაობს — პედაგოგია და საკუთარი ჯიბის ფული მასაც აქვს.

**თიკო,** *17 წლის:*

— ვერ ვიტყვი, რომ იდეალური მშობლები მყავს, მაგრამ ცუდებიც არ არიან. ყოველ შემთხვევაში, ცდილობენ მაინც, არც ყურადღება მომაკლონ და არც ჩაცმა-დახურვა. მართალია, მამა და მე ერთმანეთს დროში ვერ ვემთხვევით ანუ ის აზიატია და ისეთი რაღაცების ჩაცმას მიკრძალავს, რაც მოდაშია, მაგრამ ვცდილობ, ჩემი გავიტანო და ამას ხშირად ვახერხებ კიდეც. დედა მართალია, ძველ დროში ჩარჩენილი სულაც არაა, მაგრამ იმიტომ, რომ ქმარს ასიამოვნოს, ხშირად მეუბნება: გამომწვევად ჩაცმა არაფერს გარგებს, მამაშენის რჩევა ყურად უნდა იღოო. არადა, როცა ჩემი ასაკის იყო, თავად ისეთ მოკლე კაბებს იცვამდა, რომ კაცებს თურმე, თმა ყალყზე უდგებოდათ...

— **გარდა ჩაცმულობისა, მშობლები კიდევ რას გიკონტროლებენ?**

— ისინი ჩემს პირად ცხოვრებასაც აკონტროლებენ. ცდილობენ გაიგონ, სად დავდივარ, ვის ვხვდები. ხშირად მეუბნებიან, — დაქალები შინ მოიყვანეო და მათ ღირსეულადაც მასპინძლობენ, მაგრამ ამას იმიტომ კი არ აკეთებენ, რომ სტუმრების მიღებაზე გიჟდებიან (არც უმაგისობაა, მაგრამ...), არამედ იმიტომ, რომ გაიგონ, ჩემს ცხოვრებაში რაიმე ისეთი სიახლე ხომ არაა, რასაც მათ ვუმალავ. ჰგონიათ, რომ ქეიფისას რაიმე წამოგვცდება და ერთმანეთის საიდუმლოს დავფქვავთ... ჰმ, უფროსები კი არიან, მაგრამ მე რას გამომაპარებენ (*იცინის*)?..

— **ეს ყველაფერი გაღიზიანებს?**

— არა, რატომ უნდა გავღიზიანდე? როცა მშობელი ვიქნები, მეც დავინტერესდები, — ვისთან ურთიერთობს და რას აკეთებს ჩემი შვილი. მშობელი, რომელსაც „კიდია", მისი პირმშო მთელი დღის განმავლობაში რას აკეთებს, არა მგონია, ნორმალური იყოს.

— **ყოფილა თუ არა შემთხვევა, როცა დედა ან მამა გვერდით არ გყოლია და ამით ცუდად გისარგებლია ანუ — ამ დროს ისეთი რამ ხომ არ გაგიკეთებია, რასაც ზუსტად იცი, რომ აგიკრძალავდნენ?**

— (*იცინის*) თავს მშობლებისგან შორს დავიგულებ თუ არა, ისეთ სამოსს ვიცვამ, რაც მე მომწონს და რაც ჩემს მშობლებს აღიზიანებს. არ მიმაჩნია, რომ ადამიანი და მისი პატიოსნება კაბის სიგრძით იზომება. დედაჩემს სოფელში სახლი აქვს. იქ მეზობლად ცხოვრობს ქალი, რომელსაც მთელი ცხოვრება, კოჭებამდე კაბა ეცვა, მაგრამ პატიოსნებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის.

**თაგო,** *15 წლის:*

— დედაჩემი საბერძნეთშია, მაგრამ მისი სითბო და ყურადღება მაინც არ მაკლია — მიუხედავად შორი მანძილისა, ის მაინც ახერხებს, ჩემი ნებისმიერი ნაბიჯი გააკონტროლოს. მე დედასთან ყოველთვის ვმეგობრობდი და ახლაც ასეა — როცა მირეკავს, დაწვრილებით ვუყვები, რა ხდება ჩემს ცხოვრებაში და მისგან რჩევებსაც ვიღებ.

— **მისთვის არასდროს გისაყვედურია იმის გამო, რომ საქართველოდან გაემგზავრა?**

— საქართველოდან მხოლოდ იმიტომ წავიდა, რომ მე და ჩემს ძმას არაფერი მოგვკლებოდა. გია უკვე სტუდენტია და დედა სწავლის ქირას საბერძნეთიდან უგზავნის. აქ რომ დარჩენილიყო, სწავლაც განზე დაგვრჩებოდა და შეიძლება, შიმშილითაც ამოგვხდომოდა სული. ასე რომ, სასაყვედურო არაფერი გვაქვს, მეტიც — მზად ვართ, დედას ასეთი თავგანწირვისთვის ფეხებიც კი დავუკოცნოთ.

— **მამაშენი არ მუშაობს?**

— მამა არა მყავს, ის 3 წლის წინ გარდაიცვალა. ცოცხალი რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, დედას საბერძნეთში ნამდვილად არ გაუშვებდა, თავად მოახერხებდა ოჯახის რჩენას.

**ქეთო:**

— დედ-მამისგან მხოლოდ იმას

ვითხოვ, რომ ელემენტარული თხოვნა შემისრულონ ხოლმე, რასაც ხშირად ვერ ახერხებენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სასაცილო ხელფასი აქვთ.

— **თუ საიდუმლო არაა, რამდენია თქვენი ოჯახის შემოსავალი?**

— დედა ძიძად მუშაობს და თვეში 200 ლარს უხდიან, მამას კი მუდმივი სამუშაო არა აქვს და ხან 300 ლარს შოულობს, ხან — 100 ლარიც ვერ მოაქვს. ორივეს შემოსავალი რომც შევკრიბოთ, ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს ფული დიდი ვერაფერი ბედენაა 4-შვილიანი ოჯახისთვის...

— **და იმის გამო, რომ მშობლები შენს ყველა მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებენ, მათ ხშირად საყვედურობ?**

— ადრე უფრო გამოვთქვამდი პრეტენზიას, ახლა კი მივხვდი, რომ მათთვის საყვედურის თქმა წყლის ნაყვას ჰგავს — მაინც ვერ ამისრულებენ სურვილს და რა აზრი აქვს?..

— **დედაშენმა სამუშაოდ საზღვარგარეთ წასვლა რომ გადაწყვიტოს, როგორი რეაქცია გექნება?**

— ცუდი რეაქცია რატომ უნდა მქონდეს? პირიქით, მოხარული ვიქნები, თუ ბერძენ ბავშვს მოუვლის და ამისთვის კარგადაც გადაუხდიან. აბა, იმ ოჯახში, სადაც ახლა მუშაობს, მის შრომას შესაბამისად ნამდვილად ვერ აფასებენ — დედა 2 წლის საბას თან ჰყვება, მაგრამ მაინც, 200 ლარზე მეტს არ უხდიან. თან, როცა პატარას სძინავს, იმ ხალხს სახლსაც ულაგებს... დაუნახავები არიან, რა.

— **მაგრამ მშობლების შრომას თავადაც ხომ ვერ აფასებ? მათ საყვედურობ მხოლოდ იმიტომ, რომ მეტს ვერ შოულობენ და მზად ხარ, საკუთარი კეთილდღეობისთვის დედა სამშობლოდან შორს, უცხო ადამიანის მოსავლელად გაგზავნო.**

— რა მნიშვნელობა აქვს, უცხოელს მოუვლის თუ ქართველს? მერწმუნე, შესაძლოა საბერძნეთში უკეთ მოექცნენ, ვიდრე აქ ექცევიან...

— **და არ გადარდებს, რომ ის შენგან შორს იქნება?**

— ცხადია, საქართველოდან რომ წავიდეს, გული მეტკინება და ცრემლსაც დავღვრი, მაგრამ თუ მინდა, უკეთ ვიცხოვრო, დედასთან დროებითი განშორებაც უნდა ავიტანო.

**ქესო,** *16 წლის:*

— მართალია, რასაც ვინატრებ, მშობლები ჩემთვის ყველაფერს ყიდულობენ, მაგრამ მაკლია ყველაზე მთავარი — მათი სითბო და ალერსი. არ მახსოვს, გასართობად ერთად წავსულიყავით; პრინციპში, ზოოპარკშიც კი არ წავუყვანივარ ორივეს ერთად და ამის გამო გული ძალიან მწყდება. მშურს იმ ბავშვების, რომელთა მშობლები გასართობად დროს ყოველთვის პოულობენ და შვილის განწყობილების ამაღლებაზე ზრუნავენ.

— **ეტყობა, შენს მშობლებს დაძაბული სამუშაო რეჟიმი აქვთ და გასასეირნებლად ამიტომაც ვერ იცლიან.**

— ჰო, ასეა, მაგრამ მათ ეს არ ამართლებს. ხომ შეიძლება, კვირადღეს მაინც გაუჩნდეთ სეირნობის სურვილი? მაგრამ არა, უქმე დღეს დედა სახლის დალაგებას უნდება, მამა მანქანის ქვეშ ძვრება და მთელი დღე ჩხირკედელაობს...

— **შენს ადგილას ყოფნას ბევრი ინატრებდა — მშობლები ხომ ყველა სურვილს გისრულებენ...**

— მართალია, ბევრი ჩემი თანატოლისთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ ტანისამოსია, მაგრამ მე მშობლების მიმართ სულ სხვა მოთხოვნები მაქვს. გულწრფელად გეუბნები, — მშურს იმ ბავშვების, რომლებიც ქუჩაში მშობლებთან ერთად დაეხეტებიან. შეიძლება ჩემგან განსხვავებით, მათ ესა თუ ის სასურველი ნივთი არ ჰქონდეთ, მაგრამ მშობლების გვერდით თავს მაინც ბედნიერ ადამიანად იგრძნობენ... მე დედ-მამასთან მეგობრობაც არ გამომდის. ხშირად, როცა გულახდილობის ხასიათზე ვდგები და მსურს, მათ რაღაც მნიშვნელოვანი ვუამბო, ჩემს მოსასმენად არასდროს სცალიათ, მერე კი, როცა ამ ამბავს სხვისგან იგებენ, მსაყვედურობენ: ეს ჩვენ არ უნდა გვცოდნოდაო?..

— **შენი აზრით, როგორი უნდა იყოს იდეალური მშობელი?**

— ვაიმე, დავიბენი... იდეალურია ყველა ის მშობელი, რომელიც საკუთარი შვილისთვის სულსაც არ დაიშურებს.

— **როგორ გგონია, შენს მშობლებს შენთვის რაიმე არ ემეტებათ?**

— არა, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ მათთან ერთად სეირნობა მენატრება და ამას ძალიან განვიცდი. ■

## „ჩემს „ლოვეს“ უკვე ახალი შეყვარებული ჰყავს“

**უცნობი:**

„გამარჯობა. თქვენი დახმარება მეც მჭირდება, თანაც — ძალიან. მერწმუნეთ, თავს ყოველთვის უბედურად ვგრძნობდი, რადგან ისინი, ვისაც მე მოვწონვარ, საერთოდ არ მაინტერესებს, ხოლო ვინც მე მომწონს, ისინი ჩემ მიმართ არაფერს გრძნობენ. არ ვიცი, რა ხდება ჩემს თავს... და მაშინ, როცა ბოლოს და ბოლოს, შემიყვარდა ადამიანი, რომელთანაც ურთიერთობის აწყობა შევძელი (მას ვემესიჯებოდი კიდეც), დიდი შეცდომა დავუშვი და ყველაფერი თავადვე გავაფუჭე: რატომღაც ვუთხარი, — აღარ მინდა, რომ ვიმესიჯოთ-მეთქი. ახლა ვხვდები, რომ სისულელე გავაკეთე, მაგრამ სინანული გვიანია; როგორც გავიგე, ჩემს „ლოვეს“ უკვე ახალი შეყვარებული ჰყავს. გთხოვთ, დამეხმარეთ და მირჩიეთ, როგორ დავიბრუნო ჩემი რჩეული?..“ ■

## „მინდა, გოგო შემიყვარდეს!“

**ბიჭი 18:**

„თქვენი დახმარება მჭირდება. მე ორივე სქესის ადამიანები მომწონს. ბევრჯერ მქონია ბიჭთან ურთიერთობა, მაგრამ აღარ მსურს, ეს გავაკეთო. გულწრფელად ვამბობ, — მინდა, გოგო შემიყვარდეს! ერთი გოგო კი მომწონს, მაგრამ ჯერ ვერ ვაქტიურობ. მეშინია, ჩემი ბისექსუალობით გული არ ვატკინო. დარწმუნებული ვარ, მას არასდროს ვუღალატებ, მაგრამ არა მგონია, ჩემს ორიენტაციას გაგებით მოეკიდოს. ისეთი სუფთა, ნაზი და სათუთი ადამიანია, რომ... არც მინდა, სიმართლე დავუმალო. ახლა დეპრესიაში ვარ. ჩემს ერთ-ერთ ძმაკაცს (ნამდვილი ძმაა და ახლა კუდი არ გამოაბათ) ყველაფერი გავუმხილე და მითხრა, — ჯობია, ისეთად დარჩე, როგორიც ხარ. მერწმუნე, ამაში დასაძრახი არაფერია. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ XXI საუკუნეში ვცხოვრობთო. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოვიქცე?“ ■

*P.S. მაშ ასე, თუ **უცნობისა** და **ბიჭი 18**-ის წერილის წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.* ■



# სამყარო

# გვარებად დარაზმულები ანუ „ერის უნიკალური თვისება“

**ისტორიული წყაროები გვამცნობს, რომ ძველად ადამიანები გორაებად ანუ გვარებად ცხოვრობდნენ. თუმცა ვიდრე გვარი გაჩნდებოდა, დედამიწის ბინადრებმა ერთმანეთს სახელები შეარქვეს, ამის შემდეგ კი გაჩნდა გვარის აუცილებლობა, რაც ადგილმდებარეობისა და სადაურობის მიხედვით იწოდებოდა. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დაფიქსირებული პირველი გვარი ქუენიფნეველია, რომელიც შიდა ქართლში მდებარე სოფელ ქვენიფნევს უკავშირდება.**



*ნატა კობიძე*

*ქართული გვარების შესწავლით ეთნოგრაფი ლევან ფრუიძე 50 წლის წინ დაინტერესდა. ის მაშინ სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსზე სწავლობდა და მთელი საქართველო სრულიად მარტომ, ფეხით შემოიარა. მოგზაურობის შთაბეჭდილებებითაა გაჯერებული მისი ყველა მეცნიერული შრომა, რომელიც ქართული გვარის ისტორიას, თითოეული კუთხის ყოფა-ცხოვრებასა და წეს-ჩვეულებებს უკავშირდება. ცოტა ხნის წინ კი ბატონმა ლევანმა წიგნი — „გვარი და გვარიშვილობა“ გამოსცა, რომელიც 70-იანი წლებიდან იწერებოდა.*

**ლევან ფრუიძე**, ეთნოგრაფი:

— საგვარეულო მოძრაობით დაახლოებით, 40 წლის წინ დავინტერესდი, როცა ჩვენს უწმინდესს შევხვდი. მოგეხსენებათ, კათოლიკოს-პატრიარქი გვარების საკითხს დიდ ყურადღებას უთმობს. ქართველი ერი ხომ ოდითგანვე, გვარებად იყო განსახლებული. ეს ეთნოსი ჯერ კიდევ ცივილიზაციის საწყისში, ნეოლითიდან იკვეთება. მოგვარეები სახლდებოდნენ დედისეულ თუ მამისეულ ტერიტორიებზე და ამ მიწა-წყალს ითვისებდნენ. ივანე ჯავახიშვილი ამბობდა, — გვაროვნულობა არ ნიშნავს თემურ წყობილებას და ჩამორჩენილობასო. ახლა ჰომო საპიენსის წარმოშობის საკითხიც დადგა, რაც ასევე საქართველოს უკავშირდება და ეს არაერთმა არქეოლოგიურმა კვლევამ ცხადყო.

— **მოსაზრებას, რომ პირველი ადამიანის კვალი საქართველოშია, თქვენც ეთანხმებით?**

— ამას მოწმობს დმანისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, რომელიც 1,8 მილიონი წლით დათარიღებული გეოლოგიური ფენითაა წარმოდგენილი. ის განამარხებული ჰომინიდებისა და ცხოველთა ნაშთების უხვი რაოდენობით გამოირჩევა. 90-იანი წლებიდან დმანისში ჰომინიდის ხუთი თავის ქალაა ნაპოვნი და მერწმუნეთ, მსოფლიოს არც ერთ ძეგლზე ჰომინიდის ამდენი ნაშთი ერთად არ აღმოჩენილა. ამ შედეგებმა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების დიდი გამოხმაურება ჰპოვა, რადგან მან შეცვალა მანამდე მტკიცედ დამკვიდრებული მოსაზრება — ჰომინიდების აფრიკიდან განსახლების შესახებ... სამწუხაროდ, ახლანდელ მეცნიერებს ადამიანის წარმოშობაზე ზერელე წარმოდგენა აქვთ. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში გერმანელ ანთროპოლოგებსა და მოაზროვნეებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ პირველი ადამიანის კვალი სწორედ საქართველოშია, ასევე — პირველი მიწათმოქმედებაც აქედან მოდის, რაც მესაქონლეობასა და მეტალურგიას უდებს საფუძველს. მოგეხსენებათ, საქართველო ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გამოკვლეული და მას რაც უფრო უღრმავდები, მით უფრო რწმუნდები, რომ ჩვენი მიწა ერთ-ერთი უძველესი კერაა მსოფლიოში. საქართველოში არქეოლოგიური გათხრები საფუძვლიანად დღემდე არ ჩატარებულა და მიწის წიაღში მრავალი საიდუმლო ინახება. რუსეთი წლების მანძილზე აფერხებდა საქართველოში მკვლევართა საქმიანობას, რადგან მისი კოლონია ვიყავით და ჩვენს ქვეყანაში ეთნოგრაფია-არქეოლოგიის განვითარება არ აძლევდა ხელს.

— **ეთნოგრაფიით რატომ დაინტერესდით?**

— ამ მეცნიერებით 50-იან წლებში დავინტერესდი და მე-2 კურსის სტუდენტმა, სრულიად მარტომ, მთელ საქართველოში დავიწყე ხეტიალი. მახსოვს, საძილე ტომარა მეგობრისგან ვითხოვე და რაჭის მაღალმთიანი სოფლებისკენ გავწიე. მაშინ ვიგრძენი, რომ უნიკალური ქვეყანა გვაქვს, რომ მსოფლიოს ვერც ერთი ერი ვერ შეგვედრება, მაგრამ არქეოლოგიური მონაპოვარი რომ დაიცვა, ამისთვის მყარი ეკონომიკური პირობებია საჭირო... მთელი ცხოვრება შევალიე საბჭოთა პრესაში ბეჭდვას და იმის პროპაგანდას, რომ ისტორიული საუნჯე არ უნდა დავკარგოთ. სამწუხაროდ, დღეს ჩვენ თვალწინ ქართული სოფლები,

გვარები ქრება და ამ პროცესის შეჩერება არ შეგვიძლია.

— **ქართული გვარის გადარჩენა სოფელს უკავშირდება?**

— ძველად მოსახლეობას მიწა რომ აღარ ჰქონდა (შემოსევების შედეგად), გადარჩენის მიზნით, მთებში იხიზნებოდა. მტერი მუდმივად გვყავდა. ისინი ბარში არსებულ სოფლებს ნაცარტუტად აქცევდნენ და იქ მცხოვრებ ადამიანებს ხოცავდნენ; მთაში გახიზნული მოსახლეობა კი მრავლდებოდა და რაღაც პერიოდის შემდეგ მიგრაციას იწყებდა ბარისკენ. ამ მძიმე პირობების მიუხედავად, საქართველომ თითოეულ კუთხეში თავისი განსაკუთრებული ნიშან-თვისებების შენარჩუნება შეძლო.

— **დღესდღეობით საქართველოში სულ რამდენი გვარია?**

— დაახლოებით, 25 ათასამდე, შემოსახლებულთა გვარის ჩათვლით. მათი განსახლების პროცესი კარგად აისახება სასაფლაოებზე — ის ქართული გვარების ზოგად სურათზე ზუსტ წარმოდგენას იძლევა. გვარებად განსახლება ერის უნიკალური თვისებაა, რაც მხოლოდ საქართველოში შემორჩა. 50 წელია, ქართველობას ვსწავლობ და სრულიად დავრწმუნდი იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებულია. არ გეგონოთ, ამას იმიტომ ვამბობდე, რომ ქართველი ვარ. 1997 წელს გამოიცა წიგნი ქართული გვარების შესახებ, რომლის ავტორებმა 90-იანი წლების აღწერები გამოიყენეს და მივიღეთ გვარ-სახელები, რომელიც დღემდე ორიენტირად გვაქვს. თუმცა ეს შედეგები მწირია იმ მასალასთან შედარებით, რაც მეცნიერებს გვაქვს.

— **უკვე გადაშენებული გვარების შესახებ რას გვეტყვით?**

— გადაშენების პირას ათასობით გვარია. სამწუხაროდ, გვარების გაქრობის პროცესი მთელ საქართველოში მიმდინარეობს და ამაზე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს. ჩვენ „სისხლისგან ვიცლებით“, რასაც ქართული მოსახლეობის დიდი მიგრაციაც უწყობს ხელს. დემოგრაფიული სურათი საზარელია, სოფლები ისპობა, მამაკაცები ვერ შოულობენ სამუშაოს და ქალებს საზღვარგარეთ უშვებენ. ასე თუ გაგრძელდა, საკუთარი მიწა-წყლიდან მალე გავქრებით.

— **ეს პროცესი ხომ გაცილებით ადრე დაიწყო...**

— 1921 წელს საქართველოს ანექსია მოხდა. ბოლშევიკებმა, რომლებიც ფანატიკოსები იყვნენ, თავად-აზნაურთა განადგურება დაიწყეს. ზოგი მათგანი თვითგადარჩენის მიზნით, გლეხის გვარზე ჩაეწერა, ზოგიც — საერთოდ გადაშენდა. როცა საბჭოთა კავშირი შეიქმნა, რუსებმა გადაწყვიტეს, ყველა გაერუსებინათ. ისე მოგვექცნენ, თურქებსაც კი აჯობეს, რომლებმაც XVI საუკუნეში მასობრივად დაიწყეს ქართული და სომხური მიწების მითვისება. ისინი მოსახლეობის გამაჰმადიანებას ითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიწას ართმევდნენ. იგივე ხდებოდა სომხეთში და ამიტომაც, ამ ერის მრავალი წარმომადგენელი საქართველოში გამოიქცა. ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი მტრები გადაგვარებული ქართველები აღმოჩნდნენ და არა — სომხები, რომლებმაც სიტუაციით ისარგებლეს და ქართველების გასომხება დაიწყეს. ეს პროცესი ძალიან დიდხანს, თანაც — მტკივნეულად მიმდინარეობდა, რაშიც სომხებს რუსებიც ეხმარებოდნენ. მათი მიზანი საქართველოს გაქრობა იყო და სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა საკმაოდ გაუგებარი სქემა, რომლის მიხედვითაც, გაურკვეველი წარმოშობის ადამიანებმა ქართული კეთილშობილური გვარების მითვისება დაიწყეს. დღეს მარტო აჭარაში 300-ზე მეტი ბაგრატიონია, არადა, ეს გვარი, მონარქიის იდეის პრინციპით, მართლაც, თითზე ჩამოსათვლელი უნდა იყოს...

— **ამბობენ, დიდი ხნის წინ საქართველოში ქართველების გარდა, მხოლოდ ორი ეთნოსი ცხოვრობდაო...**

— დიახ, ესენი იყვნენ ებრაელები და სომხები, მაგრამ ამას თავისი ისტორიული გამართლება ჰქონდა. მოგვიანებით რუსეთმა დაგვიპყრო და სამეფო დინასტიის ამოწყვეტა დაიწყო. მათი წყალობით, გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველო აჭრელდა სექტანტებით, ბედის მაძიებლებით, ყაჩაღებითა და არანორმალურებით, რომლებიც ჩვენს მიწაზე ჩამოასახლეს. ეს პროცესი დღემდე, შეუქცევადად მიმდინარეობს.

— **გვარების შეკრება რას ემსახურება?**

— გვსურს ახალგაზრდები წინაპრების მიწა-წყალს დავუბრუნოთ და დანგრეული საგვარეულო ეკლესია-სალოცავები აღვადგინოთ, მაგრამ ამას ფინანსები სჭირდება, რაც არ გაგვაჩნია და საქმის კეთებას რის ვაი-ვაგლახით ვახერხებთ. ბედნიერი ვარ, როცა შეკრებებზე ახალგაზრდა ხალხს ვხედავ. ჩანს, ისინი გლობალიზაციის სიბილწით გაჟღენთილ გარემოშიც კი გრძნობენ თავიანთ ფესვებს და გადარჩენის სურვილი ამოძრავებთ. ორგანიზებულად დარაზმულმა, ერთი გვარის წარმომადგენლებმა სამშობლო განსაცდელისგან არაერთხელ იხსნეს და ჩემი წიგნი სწორედ ამ ფემონენზე მოგვითხრობს. ოსმალოები რომ შემოგვესივნენ, იმერლები გვარებად დაირაზმნენ, მათ ლორთქიფანიძეები ჩაუდგნენ სათავეში და წმინდა მუხების ქვეშ ფიცით შეეკვრნენ ერთმანეთს. იმერლები ათასამდე იყვნენ და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ორი წლის წინ პატრიარქმა დიდი გვარის ქართველებთან ერთად, სამების ტაძარში სამი მუხა დარგო, სამ წმინდა არსებად ანუ — ერთობად... დღეს უამრავი გვარი გამქრალია, ხოლო რაც გადარჩა, განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვს. საგვარეულო შეკრება, რომელიც საუკუნეებს ითვლის, მიზანს უნდა ემსახურებოდეს, მხოლოდ დროის ტარების საბაბად არ უნდა იქცეს. საბედნიეროდ, დღეს ამ მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო და საქართველოში უკვე 600-მდე საგვარეულო კავშირი არსებობს. გვარი ეთნოსის შემადგენელი ნაწილია. ის განვითარდა და მივიღეთ საქართველო, როგორც გვარების ქვეყანა. სამწუხაროდ, უამრავი სოფელი აყრილია და მეურნეობა მოშლილი. ვარდისფერი სათვალე არას გვარგებს. უმჯობესია, ის ადამიანები, ვინც მიწათმოქმედების ნამდვილი ვირტუოზები არიან, მიწას მივამაგროთ, საქართველო რომ სრულიად არ გაუკაცრიელდეს.

■



**საქართველოში არქეოლოგიური გათხრები საფუძვლიანად დღემდე არ ჩატარებულა და მიწის წიაღში მრავალი საიდუმლო ინახება**

# ერთადერთი და განუმეორებელი რომ იყოთ...



**ყოველ მამაკაცს ქალში სხვადასხვა რამ იზიდავს: ზოგს მაღალი ფეხები მოსწონს, ზოგი დიდ მკერდზე კარგავს ჭკუას; ვინ სასურველი არსების უძირო თვალებში იძირება, ვის კი ხავერდოვანი ხმა ნუსხავს... ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი ქალი თავისებურად მომხიბვლელი და სექსუალურია.**

* იყავით ერთადერთი და განუმეორებელი. კარგი მეგობრის შეძენის გარანტია მხოლოდ სილამაზე და ფული არ არის. მთავარია, განიმტკიცოთ თავდაჯერებულობა და ქალური ოპტიმიზმი. თავი დააჯერეთ, რომ იმსახურებთ, გვერდით ღირსეული მამაკაცი გყავდეთ და თამამად მიჰყევით ამ თამაშს.

* პირველი ნუ გამოელაპარაკებით უცნობ მამაკაცს და ნურც საცეკვაოდ გამოიწვევთ.

* ნუ მიაჩერდებით მას დაჟინებით და ბევრს ნუ ილაპარაკებთ. თქვენი სურვილი, გაიცნოთ მამაკაცი, მხოლოდ მომხიბვლელი ღიმილით უნდა შემოიფარგლოს. არ ღირს თვალებში ჩახედვა მაშინაც კი, როცა პირველად შეხვდებით პაემანზე — იგი შეიძლება დაფრთხეს. კარგად და მოთმინებით უსმინეთ და მხოლოდ შემდეგ გამოიტანეთ დასკვნა.

* არასდროს დაურეკოთ პირველმა. ასეთ შემთხვევაში, იფიქრებს, რომ იოლად დაგიპყროთ.

* პაემანზე თქვენ ნუ იზრუნებთ, ისედაც უამრავი საქმე გაქვთ. მას არ უნდა გაუჩნდეს აზრი, რომ დარეკვისთანავე, თანახმა იქნებით შეხვედრაზე.

* არ ინერვიულოთ პაემნის წინ. ამ დღეს, ეცადეთ, შეძლებისდაგვარად დაიტვირთოთ.

* არ განიხილოთ მისი კანდიდატურა დაქალებში. ნაადრევ დასკვნებს ნუ გამოიტანთ.

* არ წაუყენოთ პირობები და არ მისცეთ განკარგულებანი. მამაკაცები მიიჩნევენ, რომ თავისუფალი არსებები არიან. არ მოუშალოთ მათ ეს ილუზია.

* ნუ ეცდებით, „გამოასწოროთ“ იგი. ზრდასრული ადამიანი არ იცვლება — ეს დაიმახსოვრეთ. ამიტომ დაწვრილებით ჩამოთვალეთ მისი ყველა ნაკლი და ჰკითხეთ საკუთარ თავს: შეძლებთ შეეგუოთ მას?

* არ აჩქარდეთ და არ გადაუშალოთ გული. არც ერთ მამაკაცს არ სურს, იტვირთოს ახალგაცნობილი ქალის პრობლემები. ყველაფერს თავისი დრო აქვს.

* იყავით გულახდილი, მაგრამ საიდუმლოდ მომხიბვლელი. მამაკაცები გიჟდებიან იდუმალ ქალებზე. არ აჩქარდეთ, აუხსნათ ყველაფერი თავიდან — დაე, თვითონ მისცეს ფანტაზიას გასაქანი.

* ცოლიან მამაკაცთან კავშირი საშიში ავანტიურაა — დიდი ნერვების ფასად დაგიჯდებათ.

* მიიღეთ ყველაფერი ისე, როგორც არის. იმედი არ გქონდეთ, რომ იგი თქვენი თვალებით დაუწყებს სამყაროს ყურებას. იყავით მომთმენი.

* ის არა, მაშინ — სხვა. თუ თქვენი სასიყვარულო ურთიერთობა ვერ აეწყო, გულს ნუ გაიტეხთ! მამაკაცის მეტი რა არის...

* ნუ იეჭვიანებთ. თავიდან მაინც ეგონოს, რომ თქვენს ლექსიკონში ეს სიტყვა საერთოდ არ არსებობს.

* გიყვარდეთ საკუთარი თავი, მაშინ მასაც ეყვარებით.

*დაბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი: შეყვარებულ მამაკაცს თავისი ტრფობის ობიექტში მხოლოდ ღირსებების დანახვა სურს. ყოველთვის გახსოვდეთ ეს — თუკი გსურთ, მისთვის მართლაც ერთადერთ და განუმეორებელ ქალად დარჩეთ!* ■

# ნიღბები ტუჩების მოსავლელად



*როდესაც სახის კანის მოსავლელი პროცედურების ჩატარებას იწყებთ, არც ტუჩები უნდა დაივიწყოთ, ისევე, როგორც სახის კანზე, ტუჩებზეც მოქმედებს ატმოსფერული მოვლენები — მზე, ქარი... ტუჩის კანი შეიძლება იყოს მშრალი ან ცხიმიანი. თუ ტუჩები გამომშრალი გაქვთ, აუცილებლად უნდა წაისვათ მკვებავი კრემი, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანი დასკდება, აიქერცლება და ამ ხარვეზს ყველაზე ხარისხიანი პომადაც კი ვერ დაფარავს.*

♦ ტუჩებს არბილებს ხაჭოს ნიღაბი. ხაჭო წაისვით ბაგეზე და 10 წუთის შემდეგ მოიწმინდეთ.

♦ ქარში ტუჩები რომ არ დაგისკდეთ, კიტრის ან სტაფილოს წვენში არეული თაფლის, არაჟნისა და ხაჭოს ნაზავი დაიდეთ. 15 წუთის შემდეგ მოიშორეთ და მცენარეული ზეთი გადაისვით.

♦ თუ ბაგეზე კანი დამსკდარი გაქვთ, გახეხილ ვაშლში აურიეთ 1 ჩ/კ კარაქი და ნაზავი 15-30 წუთით გაიჩერეთ. ეს ნიღაბი აუცილებლად დაგირბილებთ ტუჩებს.

♦ თუ ამგვარი ნიღბის მოსამზადებლად დრო არ გაქვთ, მაშინ, უბრალოდ, თაფლი გამოიყენეთ. ■

# წარბები და სახის ოვალი

**თუკი წარბების ფორმა თანამედროვე მოდის მოთხოვნებს არ შეესაბამება, შესაძლებელია მისი კორექცია. თავდაპირველად, საჭიროა წარბების ბუნებრივი ფორმის შესწავლა. სასურველია კონტურული ფანქრის მეშვეობით რამდენიმე ცდის ჩატარება. წარბის შეფერილობის შესარჩევად შავი, ყავისფერი, ნაცრისფერი ან მუქი შინდისფერი ფანქრები გამოიყენება. ამავე დროს, შესაძლებელია, მაკიაჟის მეშვეობით წარბების დამოკლება, დაგრძელება, დაწვრილება ან გასქელება და ამდენად, სასურველი ფორმის მიღება. მაგრამ ამ პროცედურის დაწყებამდე აუცილებელია, ქალმა წინასწარ იცოდეს, სახელდობრ რა უნდა გააკეთოს.**



• შეერთებული წარბები სახეს პირქუშ გამომეტყველებას ანიჭებს და თითქოს ავიწროებს; ძლიერ დაშორებული კი ფართო სახის ვიზუალურ ეფექტს იძლევა.

• გრძელი, ოდნავ მორკალული წარბები ასაკს მატებს და სახეს მკაცრ იერს სძენს.

• მაღლა აზიდული, მორკალული წარბები ადამიანს არაბუნებრივ, გაკვირვებულ გამომეტყველებას ანიჭებს; ხოლო დაბალი, თვალებთან ახლოს განლაგებული წარბები გაბრაზებულ იერს აძლევს.

• მრგვალი პირისახის მქონე ქალმა წარბებს მორკალული ფორმა არ უნდა მისცენ, რადგან ამგვარი კონტური სახეს კიდევ უფრო „ამრგვალებს“. უმჯობესია, წარბებს მაქსიმალურად აღმავალი ფორმა მიეცეს ან მხოლოდ ბოლოებში მომრგვალდეს.

• თუ სახე მოგრძო ფორმისაა, წარბების დამოკლება არამიზანშეწონილია. ამგვარი ფორმის სახე მხოლოდ ზემოთ აზიდულ წარბებს ერწყმის ჰარმონიულად.

• ოვალურ სახეს ყველაზე მეტად წარბის სწორი ხაზი უხდება.

• ნიკაპთან შევიწროებული სახისთვის ჰორიზონტალური ხაზია გამართლებული.

• წარბებისთვის გარკვეული ფორმის მიცემით შესაძლებელია შუბლის ფორმის ოპტიკური შეცვლა. მაგალითად, ცხვირის ფუძესთან წარბების დამოკლებით დაბალი შუბლიც კი შესაძლოა მაღალი გამოჩნდეს.

• მათთვის, ვისაც ძალზე მაღალი შუბლი აქვს, რეკომენდებულია წარბების „დაგრძელება“ ცხვირის ფუძესთან.

• წარბების ფორმის მეშვეობით ცხვირის ზოგიერთი ნაკლის „გამოსწორებაც“ შეიძლება. ვისაც მსხვილი ცხვირი აქვს, წარბები ერთმანეთს ოდნავ უნდა დააშოროს. ამის შედეგად ცხვირი უფრო თხელი გამოჩნდება.

### როგორ უნდა შეიღებოთ წარბები

არ შეიძლება წარბების ერთ მთლიან ხაზად შეღებვა. ამით სახე არაბუნებრივ იერს იძენს. წარბის დასაწყისი შედარებით ღია ფერის საღებავით იღებება, შუა ნაწილი უფრო მუქით, დაბოლოება კი — წვრილი, მსუბუქი შტრიხით.

შესაღებად გამოიყენება ფანქარი, ტუში ან წარბების სპეციალური საღებავი, რომელიც 3-4 კვირა ძლებს. წარბების შეღებვა თხევადი ტუშითაც შეიძლება. ამ შემთხვევაში ფუნჯი იხმარება.

შეღებვამდე წარბები ლოსიონით ან სხვა კოსმეტიკური საშუალებით უნდა გაიწმინდოთ. ამის შემდეგ, ფუნჯის მეშვეობით, ნელ-ნელა დაიწყეთ საღებავის წასმა წარბის დაბოლოებიდან ცხვირის ფუძისკენ. ღებვის დასრულებისას, საღებავი ჯერ მშრალი, შემდეგ კი საპნიანი ტამპონით მოიცილეთ და კანი თბილი წყლით, ფრთხილად დაიბანეთ.

### როგორ უნდა განსაზღვროთ წარბების ფერი

სანამ წარბების მოსავლელ კოსმეტიკურ საშუალებებს შეიძენდეთ, აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ წარბები ერთი ტონით მაინც ღია ფერის უნდა იყოს, ვიდრე თმა. მაკიაჟის გაკეთებისას ანგარიშგასაწევია აგრეთვე თვალების ფერიც. შავგვრემანთათვის რეკომენდებულია ყავისფერი ან მუქი ნაცრისფერი საღებავი. შავად შეღებილი წარბები სახეს მკაცრ და პირქუშ იერს ანიჭებს. ქერა ქალებმა უმჯობესია, ღია წაბლისფერი ან ღია ნაცრისფერი საღებავი გამოიყენონ. ცისფერ თვალებს მოლურჯო ფანქარი მოუხდება; მწვანე თვალებს — ბრინჯაოსფერი, რუხი ფერისას — ყავისფერი.

### როგორ უნდა შეარჩიოთ წარბების ფორმა

საჭირო ფორმის წარბების მისაღებად ცხვირის ნესტოზე ფანქარი ვერტიკალურად მიიდეთ. ფანქრისა და წარბის გადაკვეთის წერტილი სწორედ ის ადგილია, საიდანაც წარბი უნდა იწყებოდეს. დაბოლოება შემდეგნაირად განისაზღვრება: ფანქრით პირობითად მოინიშნება ხაზი, რომელიც ნესტოსა და თვალის გარეთა კუთხის გავლით წარბისკენ მიემართება. სწორედ ამ ხაზისა და წარბის გადაკვეთის ადგილას უნდა მთავრდებოდეს წარბის რკალი. ■

## ალუბლის ღვეზელი

**მასალად საჭიროა:** 250 გ კარაქი, 250 გ შაქრის ფხვნილი, ერთი ლიმონის ცედრა, 5 კვერცხი, 125 გ ფქვილი, ვანილი და სახამებელი.

**მომზადების წესი:**



დარბილებული კარაქი კარგად ათქვიფეთ, თანდათანობით ჩაუმატეთ შაქრის ფხვნილი, ვანილი და ლიმონის ცედრა. შემდეგ სათითაოდ ათქვიფეთ კვერცხები, ნაწილ-ნაწილ ჩაუმატეთ გაცრილი ფქვილი, სახამებელი და სოდა ძმრით. ყველაფერი ფრთხილად აურიეთ ერთმანეთში, მიღებული მასა გადაიტანეთ პერგამენტდაფენილ ფორმაში, ზემოდან მოაწყვეთ წინასწარ გარეცხილი, გამშრალი ალუბალი და შედგით ჰაერღუმელში 35 წუთით.

იმისთვის, რომ გაიგოთ, ნამცხვარი მზად არის თუ არა, ცომში ჩაურჭვეთ ხის წვრილი ჩხირი ან ასანთის ღერი. თუ მას ცომი მიეკრა, ნამცხვარი 10 წუთით ისევ შედგით ჰაერღუმელში. ასეთ დროს, უმჯობესია, ზემოდან დააფაროთ სპეციალური ქაღალდი, რათა ღვეზელი ზედმეტად არ გამოშრეს. ■

რუბრიკა მოამზადა ეკა ბუთაიშვილმა

ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

1. გლოსიტი ენის ანთებაა.
2. „მრჩობლი“ და „წყვილი“ სინონიმებია.
3. ემელიანე პუგაჩოვი დონელი კაზაკი იყო.
4. გომმუხაყრუა სოფელია სამტრედიის რაიონში.
5. უსუპი მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა.
6. მონღოლებმა მოსკოვი 1237-1238 წლებში დაანგრიეს.
7. მსახიობი არჩილ გომიაშვილი ჭიათურაშია დაბადებული.
8. წურუნგალა მწვერვალია სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე.
9. თანამედროვე ფეხბურთის ძირითადი წესები 1863 წლის 8 დეკემბერს, კემბრიჯში დამტკიცდა.
10. „პუტინის ოცნებაა მართოს როგორც სტალინმა და იცხოვროს როგორც აბრამოვიჩმა“, — ამბობს გარი კასპაროვი.
11. „აფრიკაში არც ერთ ცხოველს არ შეუძლია ისე ღრმად და უშფოთველად გამოიძინოს, როგორც გამაძღარ ლომს“, — ამბობენ ზოოლოგები.
12. გორს XIII საუკუნეში ოსები დაეუფლნენ და კარგა ხნით დამკვიდრდნენ მონღოლთა დახმარებით. ქალაქი XIV საუკუნის 20-იან წლებში, გიორგი ბრწყინვალემ გაათავისუფლა.
13. ლუჩანო პავაროტი სცენაზე არასდროს გამოდიოდა დიდი თეთრი ცხვირსახოცის გარეშე, რომელიც სიმღერის დროს აუცილებლად, ხელში უნდა ჰქონოდა.
14. მამლის დახმარებით მკითხაობას ალექტრომანია ჰქვია. მკითხავი წრეში აყენებდა მამალს, გარშემო დაწერილ ასოებზე საკენკს ყრიდა და იმის მიხედვით მარჩიელობდა, თუ სად აკენკავდა ფრინველი ხორბალს.
15. დომინგუს ჟოზე გონსალვეს დი მაგალიაინსი XIX საუკუნის ბრაზილიელი პოეტი, დრამატურგი და ფილოსოფოსი იყო. მისმა კრებულმა — „პოეტური ოხვრანი და სევდის სიმღერები“ ბრაზილიურ რომანტიზმს დაუდო სათავე.
16. „ყოველთვის ვამბობდი, ვარსკვლავები პირუტყვები არიან-მეთქი! ფრინველებსაც კი უკეთ ესმით, რა უნდა აკეთონ გადასაღებ მოედანზე“, — ამბობდა ალფრედ ჰიჩკოკი.
17. იტალიელი ექიმი, ბუნებისმეტყველი და ფილოსოფოსი ანდრეა ჩეზალპინო პიზისა და რომის უნივერსიტეტების პროფესორი იყო. პირველმა მან აღწერა სისხლის მიმოქცევის დიდი წრე.
18. მარლენ დიტრიხმა ჰიტლერის ხე-

# „გონიერი და უგნური მშენებლები“

შორენა მერკვილაძე

**მათეს სახარების მე-8 თავში მოთხრობილია უფლის იგავი — „გონიერი და უგნური მშენებლები“ ანუ „სახლი კლდეზე“: „ყველას, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს და ასრულებს მათ, ვამსგავსებ კეთილგონიერ კაცს, რომელმაც სახლი კლდეზე ააშენა. მოვიდა წვიმა, გადმოსკდნენ მდინარეები, ამოვარდნენ ქარები და ეკვეთნენ იმ სახლს; ის კი არ დაეცა, ვინაიდან კლდეზე იყო დაფუძნებული. ხოლო ყოველი, ვინც ისმენს ამ ჩემს სიტყვებს და არ ასრულებს, ემსგავსება უგნურ კაცს, რომელმაც ქვიშაზე ააშენა სახლი. მოვიდა წვიმა, გადმოსკდნენ მდინარეები, ამოვარდნენ ქარები და ეკვეთნენ იმ სახლს, ის კი დაეცა და ფრიად დიდი იყო მისი დაცემა“.**

*უფლის იგავს მოგვითხრობს ლუკა მახარებელიც. უფალი იგავის თხრობას მოაყოლებს შემდეგ შეგონებას: „არ არსებობს კარგი ხე, რომელმაც ცუდი ნაყოფი გამოიღოს; არც ცუდი ხე, რომელმაც კარგი ნაყოფი გამოიღოს; ვინაიდან ყოველი ხე თავისი ნაყოფით შეიცნობა: ნარეკლებიდან ხომ ვერ მოკრეფენ ლეღვს და არც მაყვალზე იკრიფება ყურძენი. კეთილი კაცი თავისი გულის კეთილი საუნჯიდან სიკეთეს გამოიღებს, ბოროტი კაცი კი ბოროტისგან ბოროტს გამოიღებს, ვინაიდან გულის სისავსიდან მეტყველებს მისი პირი. რატომ მიწოდებთ: უფალო, უფალო და იმას არ აკეთებთ, რასაც გეუბნებით? ყველა, ვინც ჩემთან მოდის, ჩემს სიტყვებს ისმენს და მათ ასრულებს, გიჩვენებთ ვისაცა ჰგავს: იგი ჰგავს სახლის მშენებელ კაცს, რომელმაც მოთხარა, ჩააღრმავა და კლდეზე დადო საძირკველი. წყალდიდობისას მდინარე ეკვეთა იმ სახლს და ძვრა ვერ უყო, ვინაიდან კარგად იყო ნაშენები. ხოლო ვინც ისმენს და არ ასრულებს, იგი ჰგავს კაცს, რომელმაც სახლი ააშენა მიწაზე უსაძირკვლოდ და, როცა მდინარე ეკვეთა, უმალ დაინგრა; და ძალზე დიდი იყო იმ სახლის დანგრევა“...*

**მამა დიმიტრი ჯანგულაშვილი:**

— კლდეზე აგებულ სახლში სარწმუნოებაზე დაფუძნებული ადამიანის ცხოვრება უნდა ვიგულისხმოთ, „კლდეში“ კი ქრისტიანული სარწმუნოება, რომელსაც თავად უფალმა უწოდა კლდე, როდესაც პეტრე მოციქულს მიმართა: — „შენ ხარ კლდე“ ანუ ამ სიტყვაში მაცხოვრის მიმართ პეტრეს რწმენა, სარწმუნოება იგულისხმება. როგორც კლდეზე აგებულ სახლს ვერაფერს დააკლებს ქარიშხალი, წყლის დინება და ა.შ. ასევე ვერ მოერევა რწმენაზე დაფუძნებული ადამიანის ცხოვრებას ამქვეყნიური საცდურები, რომელთაც ბოროტი გვაწვდის, რათა გვაცდუნოს და სულიერად დაგვცეს, გაგვანადგუროს; როდესაც ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება სწორდება უფლის მცნებებით, სწორდება ეკლესიურ სწავლებაზე, ბოროტი ძალა მის რწმენას ადვილად ვერ შეარყევს.

კეთილგონიერი კაცი, რომელმაც სახლი კლდეზე ააგო, არის ისეთი ადამიანი, რომელიც ისმენს ღვთის სიტყვას და ამ სიტყვას ყოველდღიურ ცხოვრებაში ახორციელებს ანუ — იმისთვის კი არ ისმენს, რომ რაიმე ახალი გაიგოს ან მხოლოდ ზედაპირულად გააკეთოს ყოველივე, არამედ ღვთის სიტყვებს გულში ღრმად იმარხავს და სწორედ ასეთი ადამიანი მიიჩნევა გონიერად, რადგანაც მის ცხოვრებას, მოღვაწეობას, ქმედებებს საფუძვლად უდევს სარწმუნოება უფლისადმი. ხოლო უგუნურ მშენებელში უნდა ვიგულისხმოთ ის ადამიანი, რომელიც შესაძლოა, ღვთის სიტყვას ისმენდა და ააშენა კიდეც რაღაც სულიერი სიმაღლე, მაგრამ მის გულში ღრმად არ არის დამარხული ღვთის სიტყვა და ბოროტი ადვილად ახერხებს მის ცდუნებას ანუ როგორც უგუნური მშენებელი, ქვიშაზე ააგებს სახლს. მართალია, ასეთმა კაცმაც იცის სარწმუნოება და შესაძლოა, ღვთის მიმართ მტკიცე რწმენით მცხოვრებ ადამიანზე უკეთაც უწყის, თუ როგორ უნდა იცხოვროს, მაგრამ ამას არ ახორციელებს თავის ცხოვრებაში და ამიტომაც, რასაც სულიერ ცხოვრებაში ააგებს, შეიძლება, მოულოდნელად დაენგრეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ ექნება მყარი საფუძველი სარწმუნოებისა.

როგორც ვთქვით, „ქარიშხალსა“ და „წვიმაში“ იგულისხმება საცდურები — ვნება იქნება ეს, ვერცხლისმოყვარეობა, გემოთმოყვარეობა, შური, ღვარძლი თუ სხვა სახის უკეთურება ანუ ყველაფერი ის ბოროტება,

რაც ეშმაკმა დედამიწაზე დათესა და რომლითაც ჩვენი სულიერი ცხოვრების დანგრევას, ჩვენი სულის დაღუპვასა და განადგურებას ცდილობს.

წუთისოფელში ყოფნის ჟამს ადამიანს ყოველთვის უხდება ბრძოლა ბოროტის წინააღმდეგ. უფალი იცავს ადამიანს, მაგრამ იმასაც ცდილობს, რომ კაცმა თავად ისწავლოს ბოროტთან ბრძოლა, რა თქმა უნდა, უფლის შემწეობით; უფლის შემწეობის გარეშე, როგორ სულიერ სიმაღლეზეც უნდა იყოს ადამიანი, ეშმაკს წინააღმდეგობას ვერ გაუწევს, რადგან დაცემული ანგელოზი გაცილებით ძლიერია, ვიდრე ნებისმიერი სულით ძლიერი და მტკიცე ადამიანი, მაგრამ თუ ადამიანს უფალი შეეწევა, ბოროტს მასთან საბრძოლველად უკვე თავად აღარ უშვებს იმ დონეზე, რასაც კაცი ვერ დაიტევს. ზოგჯერ შესაძლოა, უფალმა რწმენაში მყოფი ადამიანის დაცემა დაუშვას კიდეც, მასზე ბოროტი მიუშვას, რათა ადამიანი მიხვდეს და დარწმუნდეს, რომ მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით ვერც ეშმაკს სძლევს და ვერც ვერანაირ სულიერ წარმატებას ვერ მიაღწევს, როგორც ეს პეტრე მოციქულის შემთხვევაში მოხდა. სახარებიდან გავიხსენოთ პეტრე მოციქულის მაგალითი, რომლის მტკიცე რწმენასაც უფალმა კლდე უწოდა. მიუხედავად ამგვარი რწმენისა, ვიცით, რომ მასაც მოუხდა უფლის უარყოფა, იმ მომენტში ვერ გამოიჩინა სულიერი სიმტკიცე და ძლიერება: როდესაც ჯვარცმის დრო მოახლოვდა, უფალმა მიმართა პეტრეს: „სვიმონ, სვიმონ! აჰა სატანამ ითხოვა, რომ ხორბალივით გაგცხრილოს...“ პეტრემ კი მიუგო: „დაღათუ ყოველნი დაბრკოლდნენ შენდა მიმართ, ხოლო მე არასოდეს დავბრკოლდე“.

მამები ბრძანებენ: პეტრე იმ წუთში მართლაც ასე ფიქრობდა, მაგრამ ეგონა, რომ ამას საკუთარი ძალისხმევით შეძლებდა, თუმცა უფლის სიტყვისამებრ, სამგზის უარყო მაცხოვარი (შემდეგ ამის გამო პეტრე უდიდესმა სინანულმა შეიპყრო და სინანულის სანაცვლოდ უფალმაც მიუტევა სისუსტე); უფალმა დაუშვა ეს, რათა პეტრესთვის და თითოეული ადამიანისთვისაც ეჩვენებინა, რომ მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით კაცს არავითარი სიკეთის ქმნა არ შეუძლია; გვასწავლა, რომ არ შეიძლება მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე ვიყოთ. ადამიანს მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთი, ჭეშმარიტ ღმერთთან ყოფნა განამტკიცებს.

ცხოვრების მანძილზე ადამიანს არაერთხელ უხდება საცდურთაგან წაქცევა — ცოდვით დაცემა და წამოდგომა. თუკი ის შეიმეცნებს, რომ მისი არსებობა და ცხონებაც უფალზეა დამოკიდებული, ამის შემდეგ იწყებს ღვთის მადლისა და შეწევნის ძიებას, უფრო აფასებს ღვთის არსებობას და შესაბამისად, უფრო ძლიერი ხდება სულიერად, უფრო მტკიცდება მისი რწმენა და სარწმუნოებრივი ცხოვრება. უფალს ჩვენში სწორედ ეს სიძლიერე აინტერესებს, ადამიანი სასუფეველში სულიერი სიმტკიცითა და სიძლიერით უნდა შევიდეს. პირველ რიგში, უფალი შეგვეწევა, რათა დავამარცხოთ ის საცდურები, რომლებთანაც ადამიანს ყოველდღიურად უხება ბრძოლა. იყვნენ წმინდა მამები, რომლებიც ძილშიც კი, თუკი მათ ბაგეებს დაუკვირდებოდით, — „იესოს ლოცვას „წამოთქვამდნენ“; ღამითაც კი არ ცხრებოდნენ, რომ უფალი ყოფილიყო მათი მფარველი ანუ ფაქტობრივად, ადამიანს მიწაზე მოსვენება არა აქვს ბოროტისგან და მას სულ იარაღი უნდა ეპყრას ხელთ. ეს იარაღი არის ლოცვა.

ვიდრე საკუთარ თავს არ აიძულებს, ადამიანი სულიერ, სარწმუნოებრივ სიმტკიცეს ვერ მოიპოვებს. უფალი ხომ ბრძანებს: ადამიანმა არ უნდა დაზოგოს თავისი თავი, თავისი გონება, თავისი სხეული ცხონებისთვის. სპორტსმენი როგორ აღწევს წარმატებას? — ყოველდღიური ვარჯიშით, შრომით, წრთობით... ადამიანის რწმენის სიმტკიცეც, სიძლიერეც არის საწრთობი — ყოველდღიურად უნდა ივარჯიშოს, იღვაწოს ლოცვით, მარხვით, თავმდაბლობით, მორჩილებით, რათა მეტ სულიერ სიმაღლეს მიაღწიოს და მეტად მიუახლოვდეს უფალს.

შეიძლება ადამიანმა „ულამაზესი სახლი ააგოს“ — ცხოვრება მოიწყოს, ამქვეყნად ყველაფერი ჰქონდეს, მაგრამ მიწიერი კეთილდღეობა დროებითია — ერთ დღესაც ყველაფერი დაინგრევა, ადამიანის უკვდავი სული კი მარადიულ სატანჯველში მოხვდება. კაცს სულზე უკეთესი არაფერი გააჩნია, ამიტომ უპირველესად, მასზე უნდა იზრუნოს.

„ძალზედ დიდი იქნება ამ სახლის დაცემა“ — ბრძანებს უგუნური მშენებლის მიერ ქვიშაზე აგებული სახლის მიმართ უფალი, რაც იმის მანიშნებელია, რომ სარწმუნოებრივი სიმტკიცის გარეშე სულის გადარჩენა შეუძლებელია.

■



ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

ლისუფლებაში მოსვლის შემდეგ დატოვა გერმანია და ამერიკის მოქალაქეობა მიიღო. მსახიობთაგან იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ჯარისკაცთა გასამხნევებლად ფრონტზე ჩავიდა.

19. ტუნგუსკის მეტეორიტი კრასნოიარსკის მხარეში 1908 წლის 30 ივნისს, ადგილობრივი დროით დილის 7 საათზე ჩამოვარდა. მისი ჩამოვარდნის ადგილი ორი დღის განმავლობაში ისე კაშკაშებდა, რომ ეს სინათლე ლონდონიდან, კოპენჰაგენიდან და მოსკოვიდანაც ჩანდა. რამდენიმე საათით გვიან რომ ჩამოვარდნილიყო, შესაძლოა, სანქტ-პეტერბურგი აღეგავა პირისაგან მიწისა.

20. „იზ ზა გომოსექსუალისტავ სკორა ნაროდ ზაკონჩიტსა ი ნეკამუ ბუდეტ ზაშიშატ პრავა სექსუალნიხ მენშინსტვ. პატომ პრიდიოტ ზდაროვი ი აგრესივნი ისლამსკი ფუნდამენტალიზმ ი ანი ვამ პაკაჟუტ გრაჟდანსკიე სვაბოდი. ვი უ ნიხ პაპრიგაიტე პოდ გალუბიმ ზნამენემ!“ — გაიძახოდა „ერტივიაის“ ეთერში ტელეწამყვან ალექსანდრა ბასილაშვილის მიერ მიწვეული მწერალი მიხაილ ველერი, რომელიც 2011 წლის 29 მაისს მოსკოვში გამართულ გეიპარადთან დაკავშირებით უკმაყოფილებას გამოთქვამდა. „ნეჩევა პრაპაგანდირავატ ტაკოი ობრაზ ჟიზნი. პუსკაი სებე დომა ტიხო ზანიმაიუტსა სვაიმი დელამი. ი ნეჩევა იმ ატდავატ დეტეი ნა ვასპიტანიე. სრედი მუჟსკოვა ნასელენია ტოლკო 2 პრაცენტა რაჟდაიუტსა ტაკავიმი, ი იზ ზა აკტივნოსტი ეტიხ დვუხ პრაცენტოვ ვ ეტო ბეზობრაზიე ვოვლეჩენი 10-12 პრაცენტოვ. ა, კამუ ეტა ნე ნრავიტსა, ნაზივაიუტ ფაშისტომ ი გომოფობომ, ვ ტო ვრემია კაკ ლიუბოი ბიოლოგ სკაჟეტ, შტო ეტა ატკლანენიე! ი ნეჩევა ტვერდიტ, შტო სოდომ ი გომორა ნარმალნიე გარადა!“

21. ფრანგი პოეტისა და კომპოზიტორის კლოდ ჟოზეფ რუჟე დე ლილის მიერ ავსტრიასა და პრუსიასთან ომის პერიოდში შექმნილ ჰიმნს — „რაინის არმიის საომარი სიმღერა“ მოგვიანებით (ქალაქ მარსელში) „მარსელელთა ჰიმნი“ ანუ „მარსელიეზა“ ეწოდა. რევოლუციის შემდეგ იგი საფრანგეთის ჰიმნად იქცა.

22. დავით სარაჯიშვილი საანგარიშოზე რაიმეს დაანგარიშებისას ხშირად სომხურ ენაზე, ხმამაღლა წარმოთქვამდა რიცხვებს. ამ ამბავს ერთხელ ილია ჭავჭავაძე შეესწრო და ღიმილით ჰკითხა, — ქართულს რატომ გაუწყერი, დათიკოო? — „რა ვქნა, ჩემო ილიკო, არ ესმის ამ ოხერს ქართული!..“ — თავი იმართლა სარაჯიშვილმა.

# „შატალოზე“ ტროლეიბუსით დავდიოდით...“

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი — **ბესო ბარათაშვილი** შეხვედრაზე უყოყმანოდ დამთანხმდა. მან ინტერვიუს დასაწყისშივე აღიარა, რომ ბავშვობაში წიგნის კითხვას ბურთის თამაში ერჩივნა, მაგრამ კარგი წიგნის ფასს მალევე მიხვდა და კითხვაც ყოველგვარი ძალდატანების გარეშე დაიწყო: ჯერ სათავგადასავლო ჟანრმა გაიტაცა, მერე — ისტორიულმა ნაწარმოებებმა, ბოლო დროს კი ფსიქოლოგიური და ბიოგრაფიული ლიტერატურით დაინტერესდა. ამბობს, რომ კითხვა დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ბევრი საყვარელი ავტორი ჰყავს, მაგრამ ყველაზე მეტად ლუიჯი პირანდელოს და გოეთეს შემოქმედება მოსწონს.

*თამუნა კვინიკაძე*

## პრეამბულის მაგიერ

— **ლიტერატურული პერსონაჟებიდან გამორჩეულად რომელი გიყვართ?**

— სანტიაგო — „მოხუცი და ზღვიდან“. საერთოდ, ჰემინგუეის პერსონაჟები მომწონს.

— **რომელი პერსონაჟის განსახიერების სურვილი გაქვთ?**

— ასეთი არაერთია. მაგალითად, სიამოვნებით განვასახიერებდი ფალსტაფს „ჰენრი IV“-დან. ეს პერსონაჟი თავისი უშუალობით, ცხოვრებისადმი ირონიული დამოკიდებულებით მიზიდავს და სხვათა შორის, რამდენადაც ირონიულია, იმდენად დრამატული.

— **როგორი მეხსიერება გაქვთ?**

— არ ვუჩივი. როლების დამახსოვრება არ მიჭირს. საერთოდ, ინტელექტუალურ თამაშებს სიამოვნებით ვუყურებ ხოლმე.

— **პოეზია გიყვართ?**

— რა თქმა უნდა! ზეპირადაც ბევრი ლექსი ვიცი, მაგრამ სახალხოდ არ ვკითხულობ, რადგანაც მე არ ვარ გურამ საღარაძე; მოგეხსენებათ, ლექსის წაკითხვას დიდი ნიჭი უნდა. სიგიჟემდე მიყვარს გალაკტიონი. მიმაჩნია, რომ უდიდესი პოეტი იყო ნიკოლოზ ბარათაშვილიც.

— **წაკითხულ ნაწარმოებებს ხელმეორედ თუ უბრუნდებით?**

— დიახ, მაგრამ ყველაზე ხშირად ილია ჭავჭავაძის „განდეგილს“ ვკითხულობ.

— **ლექსი საყვარელი ქალისთვის თუ წაგიკითხავთ?**

— (*იცინის*) არა, ასეთი რომანტიკული არ ვარ. ურთიერთობას ლექსის გარეშეც ვაგვარებ.

— **როგორც ვიცი, თქვენ ჭიათურაში დაიბადეთ და გაიზარდეთ.**

— დიახ.

— **თუ იცით, რის გამო გახდა ჭიათურა საბჭოთა კავშირში პირველი ქალაქი? ეს რაღაც იქ 1954 წელს მოხდა.**

— როგორც ვიცი, საბჭოთა კავშირში პირველი ქალაქი იყო, სადაც ტროლეიბუსი (ჭიათურიდან საჩხერეში) დადიოდა. მახსოვს, ბილეთი 5 კაპიკი ღირდა და საჩხერემდე ასვლას 40 წუთს ანდომებდა. ბავშვები „შატალოზე“ ტროლეიბუსით დავდიოდით.

— **მანამდე რა მოხდა?**

— მანგანუმის წარმოებას გულისხმობთ?

— **არა, საბჭოთა კავშირში პირველი სამგზავრო საბაგირო გზა ჭიათურაში გაიხსნა.**

— მართალია!..

— **ჭიათურა ქალაქად 1921 წელს გამოცხადდა. ვისი ინიციატივით დაიწყო იქ მანგანუმის მადნის მოპოვება?**



— აკაკი წერეთლის.

— **რას უწოდებდნენ შუა საუკუნეების სრულუფლებიან მოქალაქეებს საფრანგეთში?**

— არ ვიცი.

— **ბურჟუებს. რომელი წიგნიდან მოდის გამოთქმა — „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“?**

— ბიბლიიდან.

— **რომელი მეფის შვილი იყო ლაშა-გიორგი?**

— თამარ მეფის.

— **„ბუნების წესია ასეთი, მახინჯი ლამაზთან ყოფნას მიელტვის მუდამ, მანკიერი — უმანკოსთან, რეგვენი ბრძენს აეკიდება, ყბედი — მდუმარეს, ხოლო ლაჩარი — გმირს“, — დაასახელეთ ამ სიტყვების ავტორი.**

— კონსტანტინე გამსახურდია.

— **ასტრონომია გიტაცებთ?**

— არა.

— **ტელესკოპიდან გაგიხედავთ?**

— არა, ამის სურვილი არასდროს გამჩენია. ისე, რომც გავიხედო, რას გავიგებ? ზოგიერთი ცისკენ თითს იშვერს და მეუბნება: ეს დიდი დათვის თანავარსკვლავედია, ეს — პატარა დათვისო. ვუყურებ და მაინც ვერაფერს ვხვდები. მიხსნიან, — ის კოვზს ჰგავსო. ჰოდა, თუ ასეა, კოვზს რატომ არ ეძახიან?

— **ვინ დაამკვიდრა ხმარებაში ტელესკოპი?**

— გალილეო გალილეიმ — ამდენი კი ვიცი.

— **ბეთჰოვენი, ბახი, შოსტაკოვიჩი, შუბერტი — ჩამოთვლილთაგან, რომელი კომპოზიტორი არ არის გერმანელი?**

— შოსტაკოვიჩი.

— **ვისი დახატულია დათვები შიშკინის ტილოზე — „დილა ფიჭვის ტყეში“?**

— შიშკინის, სხვა ვისი უნდა იყოს?

— **დათვები კონსტანტინე სავიცკის დახატულია. რომელი ქართველი მოქანდაკე მუშაობდა როდენთან?**

— არ ვიცი.

— **იაკობ ნიკოლაძე. ფეხბურთი გიყვართ?**

— ძალიან.

— **რომელ გუნდს გულშემატკივრობთ?**

— საქართველოს ნაკრებს.

— **ესპანეთის რომელი მხარის გუნდია „ბარსელონა“?**

— კატალონიის.

— **ახლა კი ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ გავიხსენოთ. რა ერქვა ლუარსაბისა და დარეჯანის მაჭანკალს, რომელსაც მეტსახელად „სუტ კნეინასაც“ ეძახდნენ?**

— ვიცი, მადროვე და გავიხსენებ. (*პაუზის შემდეგ*) ხორე-შანი, არა?

— **დიახ. რას უწოდებენ ყურანის თავებს?**

— სურას.

— **რას ესროდნენ მოწინააღმდეგეს დუელში გამოსაწ-ვევად?**

— ხელთათმანს.

— **„გარეთ ისევ წვიმს და ჯერ ადრეა,/ გარეთ ისევ წვიმს და სულ იწვიმებს,/ მე ვგრძნობ, რომ მცივა და მენატრები,/ მაგრამ ვერ გხედავ, როგორც სიცივეს“, — ვისი პოეზიიდან არის ეს სტროფი?**

— შეგიძლია მითხრა, როგორ გრძელდება?

— **„...გარეთ კი წვიმის სველი აზრები/ აშიშინებენ შერჩენილ სიცხეს,/ მეც აღარ მინდა, რომ სხვებს დაბრალდეს,/ ჩემი სიჩუმე და ხმაურს ვიწყებ./ გათავდა! აღარ ჩამოგეხსნები,/ არ მახსოვს, ვის რა ვუთხარი გუშინ/ და ვაფათურებ სიცხიან ლექსებს/ შენს თმებზე, მხრებზე, მუხლებზე... სულში/ ნარბენი კაცის გულივით ფეთქავს/ საათიც, ქუჩაც, ფოთოლიც, წვეთიც.../ შენ ხარ აქამდე რაც უნდა მეთქვა,/ შენ ხარ ოთახში ჰაერზე მეტი“.**

— ძალიან მომეწონა, მაგრამ ავტორს ვერ დავასახელებ.

— **ის ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა.**

— მუხრან მაჭავარიანი?

— **ცდებით, ეს ლექსი ოთარ ჭილაძეს ეკუთვნის. ნაყინი გიყვართ?**

— ძალიან.

— **მაშინ უნდა იცოდეთ, რომელ ქვეყანაში გამოიგო-ნეს.**

— არ ვიცი.

— **ჩინეთში. ევროპაში ნაყინის შემომტანად მარკო პოლო მიიჩნევა...**

— კარგი საქმე გაუკეთებია.

— **დაასრულეთ იულიუს კეისრის გამონათქვამი: „ადა-მიანი ადვილად დაიჯერებს ხოლმე იმას, რაც მისთვის...“**

— ხელსაყრელია?

— **„...სასურველია“. მორიელი ვერ იტანს ალკოჰოლს; რას აკეთებს იგი სულ პატარა წვეთის შეხების შემთხვე-ვაშიც კი?**

— ალბათ, საკუთარ თავს ჰკბენს და კვდება.

— **დიახ. ძველ რომში რომაელი ბატონები თავიანთი სამფლობელოების დასაცავად შავ დოგებს იყენებდნენ. სიბნელეში მათი შემჩნევა რთული იყო და სწორედ ამის გამო გაჩნდა გამოთქმა, რომელმაც ჩვენს დრომდეც მოაღწია. რომელ გამოთქმაზეა ლაპარაკი?**

— (*ფიქრობს*) მინიშნებას ვერ მეტყვი?

— **სულ 3 სიტყვა უნდა თქვათ. კიტა ბუაჩიძის პიესის მიხედვით, ამ სახელწოდების სპექტაკლიც იდგმებოდა.**

— ვიცი, „ეზოში ავი ძაღლია“.

— **რუსული წარმოების ამ პისტოლეტებიდან, რომე-ლია ავტომატური — „მაკაროვი“, „სტეჩკინი“ თუ „ტეტე“?**

— „სტეჩკინი“.

— **რომელია ყველაზე წყალუხვი მდინარე?**

— ნილოსი.

— **ცდებით.**

— აბა, ამაზონი?

— **დიახ. ის თავისი ქვეყნის სიმბოლოს წარმოადგენს და დროდადრო უმაღლეს სახელმწიფო ჯილდოებს ანი-ჭებდნენ. პირველი ორდენი წერა-კითხვის გავრცელებაში შეტანილი წვლილისთვის მიიღო. მისმა ასობით ათასმა თანამემამულემ კითხვა მხოლოდ იმიტომ ისწავლა, რომ მისი ბიოგრაფია წაეკითხა. რა სახელითაა ცნობილი ის მსოფლიოში?**

— ვერ ვხვდები. რა სფეროში საქმიანობით გახდა ცნობი-ლი?

— **ფეხბურთში.**

— მაშინ, პელე იქნება.

— **გამოიცანით. ბარონი დენონი ფრანგი გრავიორი, მხატვარი, მწერალი და დიპლომატი იყო. ის დაწინაურე-ბული გახლდათ ლუდოვიკო XVI-ისა და ნაპოლეონ I-ის დროს, ალექსანდრე I კი მისგან სურათებს და სხვადას-ხვა ნივთს იძენდა. სად ინახავდა ამ ნივთებს?**

— ვერ გიპასუხებ.

— **ერმიტაჟში. ამ ხელსაწყოს, რომელიც გამიზნულია ადამიანის მდგომარეობის ფიქსირებისთვის, ოფიციალურად, პოლიფიზიოგრაფი ჰქვია. დაასახელეთ მისი საყოველთაოდ ცნობილი სახელწოდება.**

— ვერ დავასახელებ და მეტიც, ისიც ვერ გავიგე, რაზეა ლაპარაკი.

— **სიცრუის დეტექტორზე. ამერიკაში ყოველწლიურად იმართება მატყუარათა კონკურსი. მასში მონაწილეობა შეუძლია ამერიკის ყველა მოქალაქეს, ერთი სფეროს წარმომადგენლების გარდა, რადგან მიიჩნევენ, რომ ისინი ამ საქმის პროფესიონალები არიან. ვისზეა ლაპარაკი?**

— ილუზიონისტებზე.

— **ილუზიონისტები ამბობენ, რომ ისინი მაყურებელს კი არ ატყუებენ, არამედ აოცებენ.**

— მაშინ, არ ვიცი.

— **ლაპარაკია პოლიტიკოსებზე. ტყუილის თქმა თქვენ თუ გეხერხებათ?**

— ტყუილის თქმას რა უნდა?! ერთ ღამეში 400 კაცს ვატყუებ, ისინი კი ამისთვის ტაშს მიკრავენ (*იცინის*).

— **ის 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს არმიის პოლკოვნიკი გახდა. მონაწილეობდა ქართული კავალერიის ჩამოყალი-ბებაში. 1919 წელს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, წითელი არმიის მიერ თბილისის აღების შემდეგ კი თავი დასავლეთ საქართველოს შეაფა-რა. 1921 წლის 17 მარტს, როცა ბათუმის ნავსადგურიდან საქართველო თითქმის მთელმა მთავრობამ დატოვა, ის მათ არ გაჰყოლია. მალე შეფიცულთა რაზმი ჩამოაყალი-ბა. ეს ადამიანი ემიგრაციაში გარდაიცვალა და მისი ცხედარი სამშობლოში წლების შემდეგ ჩამოასვენეს. რო-მელ ქართველ მამულიშვილზეა ლაპარაკი?**

— ქაქუცა ჩოლოყაშვილზე.

— **რა ჰქვია რიცხვის — 13-ის შიშს?**

— არ ვიცი.

— **ტრისკაიდეფობია. თავად რისი ფობია გაქვთ?**

— სიმაღლის მეშინია.

— **საქართველოს რომელ რეგიონში მოგზაურობისას შეიძლება მოვინახულოთ ხახმატის, ახიელის, ლებაისკარის ციხეები?**

— ხევსურეთში მოგზაურობისას.

— **დაბოლოს, დაასრულეთ გოეთეს ცნობილი გამო-ნათქვამი: „სიცოცხლე არის ისეთი გამოცდილება, რომლის გამოც...“**

-„...სიამოვნებით აღარ ვკვდებით“. ■



# გოგონა, რომელიც ხელებით დადის

**„მისი გული რომ დაიპყრო, ერთდროულად, ჩინგიზ ხანიც უნდა იყო და ჯალალ-ედ-დინიც... ეს გოგონა რჩეულებს შორის რჩეულია...“ — ამ სიტყვებით ნინო ფერაძეს საკუთარი მასწავლებელი ახასიათებს. ნინო ჯერ მხოლოდ 22 წლისაა, თუმცა უკვე საკმაოდ ბევრს მიაღწია. გარდა იმისა, რომ კარატე ნეკო-რიუს მებრძოლია, სპორტის ოსტატიც გახლავთ — სპორტულ ტანვარჯიშში. კარატეში პირველი გამარჯვებისა და ბრინჯაოს მედლის მოსაპოვებლად მისთვის ექვსთვიანი ვარჯიშიც კი საკმარისი აღმოჩნდა... როგორც შევიტყვე, თურქეთში გამართულ შეჯიბრებაზე ნინოს დანახვისას, მის ეგვიპტელ მეტოქეს ტირილი დაუწყია...**

## „ჩემი ეგვიპტელი მეტოქე დაითრგუნა, ტირილი დაიწყო...“

*ხათუნა ბახტურიძე*

— **ნინო, შენი დანახვისას ეგვიპტელი მეტოქე რატომ ატირდა?**

— როდესაც გაირკვა, რომ რინგზე მე და ეგვიპტელი უნდა შევხვედროდით, მოვიდა და დამემუქრა. გამოუცდელი ვიყავი, შეჯიბრებაში პირველად ვმონაწილეობდი და მისმა მუქარამ სერიოზულად დამაფიქრა. ჰოდა, გაორმაგებული ენერგიით დავიწყე ორთაბრძოლისთვის მზადება; როდესაც მეტოქემ დაინახა, რომ ხელებით დავდიოდი, ჰაერში სალტოებს ვაკეთებდი, დაითრგუნა და ტირილი დაიწყო. ბოლოს საქმე იქამდეც მივიდა, რომ მასწავლებელმა ჩემი ყურებაც კი აუკრძალა...

— **ასეთი სალტოების გაკეთება შენს მეტოქეს არ შეეძლო?**

— არა, ეს ყველა კარატისტს არ შეუძლია. მე ეს ყველაფერი იმიტომ მეხერხება, რომ 5 წლის ასაკიდან ტანვარჯიშზეც დავდიოდი.

— **რინგზე პირველად რომ გახვედი, შეგეშინდა?**

— თავიდან ცოტა არ იყოს, შემეშინდა, მაგრამ ემოციების გაკონტროლება მალევე შევძელი. ბრძოლა რომ დავიწყეთ, სამყაროს მთლიანად გამოვეთიშე, მხოლოდ ჩემი მწვრთნელის ხმა მესმოდა და მოწინააღმდეგეს ვხედავდი.

— **სხვა შეჯიბრებაში მონაწილეობა აღარ მიგიღია?**

— არა. ისე, ჯერ ხომ ყველაფერი წინ მაქვს.

— **ერთი შეხედვით ნაზი გოგონა ჩანხარ. კარატეზე სიარული რატომ გადაწყვიტე?**

— მინდოდა ჩხუბი, საკუთარი თავის დაცვა მესწავლა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ კარატე მხოლოდ ჩხუბი არ არის, ეს რაღაც უფრო დიდია.

— **რას გულისხმობ?**

— ვისწავლე, თუ როგორ უნდა ვიბრძოლო მიზნის მისაღწევად, როგორ უნდა ვიყო მუდმივად მობილიზებული და როგორ არ უნდა დავიღალო როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურადაც. ძალიან დატვირთული დღე მაქვს, გამუდმებით ვმუშაობ, მაგრამ ღვთის წყალობით, ყველაფერს ვუძლებ. ახლა ვცდილობ, ეს ყველაფერი სკოლაში, ჩემს მოწაფეებსაც ვასწავლო.

> **ბრძოლა რომ დავიწყეთ, სამყაროს მთლიანად გამოვეთიშე, მხოლოდ ჩემი მწვრთნელის ხმა მესმოდა**



— **სკოლაში რას ასწავლი?**

— ამჟამად სპორტულ აერობიკას ვასწავლი, მომავალში კი მინდა, კარატეს გაკვეთილების ჩატარებაც დავიწყო. სპორტის აკადემიაში მწვრთნელთა ფაკულტეტი დავამთავრე — სპორტული ტანვარჯიშის სპეციალობით. სახელმძღვანელო პროგრამა, რომელიც განათლების სამინისტროს მიერაა დამტკიცებული, ჩემი დაწერილია. ეს საქმე ძალიან მიყვარს. ერთხანს პოლიციაში ვაპირებდი მუშაობის დაწყებას, მაგრამ იმასაც მივხვდი, რომ ბავშვებთან ურთიერთობა სასიცოცხლო ძალებს მმატებს.

— **რა ასაკის ბავშვებთან გიწევს მუშაობა?**

— პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით, ყველასთან ვმუშაობ.

— **ქართველები არასპორტული ხალხი ვართ. ბავშვების დაინტერესება არ გიჭირს?**

— სხვათა შორის, ქართველების უმრავლესობა მართლაც, არასპორტული ფსიქოლოგიის მატარებელია და ამ საქმით ბავშვების დაინტერესებაც რთულია, მაგრამ ვცდილობ, მათზე ფსიქოლოგიურად ვიმოქმედო, პატარებს დავუმეგობრდე, ჩემდამი მეტი ნდობა, სიყვარული და პატივისცემა გავუღვივო. სხვათა შორის, ჩემს მასწავლებელთან, კახაბერ მარკოზაშვილთან ერთად ქალებისთვის სპეციალური პროგრამა შევიმუშავე და ამ ძალზე ეფექტური სისტემით ვარჯიში ნებისმიერს შეეძლება.

— **ქალებისთვის სპეციალურად შემუშავებული პროგრამა როგორი იქნება?**

— ამ სისტემას „კარატებიკა“ ჰქვია. მუსიკის ფონზე, კარატეს ილეთების გამოყენებით, სახალისო სავარჯიშოები სრულდება და ქალბატონებს ეძლევათ შესაძლებლობა, სწრაფად მიიღონ სხეულის სასურველი ფორმა. იმავდროულად, სისტემა ითვალისწინებს სპეციალურ მასაჟის კურსსაც. ეს სავარჯიშო კომპლექსი იმითაა უნიკალური, რომ ადამიანები სხეულის სასურველ ფორმებს ყოველგვარი დიეტის გარეშე მიიღებენ... მას, ვისაც თავდაცვითი ბრძოლის შესწავლა აქვს გადაწყვეტილი, ვურჩევ, კარატე ნეკო-რიუს მრავალსაუკუნოვანი, უნიკალური სისტემით ივარჯიშოს.

— **ნინო, გათხოვილი თუ ხარ?**

— ჯერ არა და არც საქმრო მყავს. ახლა მთლიანად, საქმეზე ვარ გადართული.

— **ალბათ, ძალიან ცოტა მამაკაცს თუ აქვს შენი მოხიბვლის შანსი...**

— მართალი ხარ! არ მომწონს მამაკაცი, რომელიც არ ვარჯიშობს, ეწევა სიგარეტს და საერთოდაც, მისდევს არაჯანსაღი ცხოვრების წესს. ■

# „სმარტის“ სიახლეები

კომპანია „სმარტი“ სრულამძრავიან კროსოვერზე მუშაობს, რომელმაც კონკურენცია MINI Countryman-ს უნდა გაუწიოს და მომავალი თაობის „როდსტერის“ გამოშვებასაც გეგმავს. ახალი „სმარტ როდსტერის“ დიზაინი კონცეპტუალური „ფორსპიდის“ სტილში იქნება შესრულებული, რომელიც პუბლიკამ მიმდინარე წლის მარტში, ჟენევის მოტორშოუზე იხილა. მომავალი მანქანის ძარას საერთო ფორმა 2003 წელს წარმოდგენილი პირველი როდსტერის მსგავსია. წინასწარი ინფორმაციით, ავტომობილს ახალი სამოდელო უკანაამძრავიანი პლატფორმა ექნება, რომელსაც მომავალი თაობის Smart Fortwo და For-Four-ზეც გამოიყენებენ. გარდა ამისა, მომავალში მოხდება მისი ადაპტაცია ქალაქის ელექტრომობილებისთვის — Renault Twizy და Zoe. ფრანგებს გერმანული კომპანიის ტექნოლოგიებს გაუზიარებენ, რაც „მერსედესსა“ და „რენოს“ შორის თანამშრომლობის ფარგლებში მოხდება. კროსოვერ „სმარტის“ საფუძვლად მომავალი თაობის „მერსედეს ბენც ბე კლასის“ პლატფორმის გამოყენება იგეგმება. ამ მანქანის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია არ ვრცელდება. ■







# MINI Paceman სერიულად გამოვა

ინტერნეტით გავრცელდა სერიული სამკარიანი კროსოვერ „მინის“ გამოსახულებები, რომლებიც ბრიტანულმა ავტომწარმოებელმა საპატენტო დაწესებულებას გაუგზავნა. ავტომობილი გარეგნულად არაფრით განსხვავდება Paceman-ის სახელით ცნობილი კონცეპტუალური ვერსიისგან, რომლის დებიუტიც დეტროიტის მოტორშოუზე მიმდინარე წლის იანვარში შედგა. კროსოვერ MINI Paceman-ის სერიული ვერსიის წარმოების დაწყება BMW-ს მარკეტინგისა და გაყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა — იან რობერტსონმა დეტროიტის ავტოსალონზე დაადასტურა. მისი თქმით, ამ მანქანის გამოშვება ავსტრიაში Magna Steyer-ის წარმოებაში აიღებს სტარტს. ამავე ქარხანაში აწყობენ მოდელ Countryman-ს, რომლის აგრეგატებზეცაა აგებული Paceman. 3-კარიან კროსოვერ MINI-ს პროტოტიპი სრულამძრავიანი სისტემითა და 1,6-ლიტრიანი, 211 ცხძ-ის მქონე ტურბინირებული



ძრავათი იყო აღჭურვილი, რომელიც ამჟამად ბრიტანული მარკის მოდელების გაუმჯობესებულ ვერსიებზე აყენია. სავარაუდოდ, სერიული Paceman მოტორების იგივე გამით გაიყიდება, რომლითაც კროსოვერი Countryman. სიახლის გამოშვება მომავალი წლის ბოლოს იგეგმება, ხოლო ევროპულ ბაზარზე ავტომობილს 2013 წლიდან გაიტანენ. BMW-ს გეგმების თანახმად, ყოველწლიურად 20 ათასი Paceman-ის გამოშვება იგეგმება. ადრე ზოგიერთი ექსპერტი აცხადებდა, რომ ეს მანქანა ყველაზე ძვირად ღირებულ MINI-დ იქცევა. ამ ეტაპზე მისი რეალური ფასი უცნობია. ■

# ახალი რეკორდი პანამერიკულ ტრასაზე

გერმანელი მრბოლელის, ავტოგამომცდელისა და გრძელ დისტანციებზე მოგზაურობაში რეკორდსმენის — რეინერ ზიტლოუს ხელმძღვანელობით გუნდმა ახალი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, როდესაც დიზელის არასაგზაო Volkswagen Touareg-ით მსოფლიოში ყველაზე გრძელ საავტომობილო გზად მიჩნეული პანამერიკული ტრასა 11 დღეში, 17 საათსა და 22 წუთში გაიარა ანუ ადრინდელი მიღწევა 3 დღეზე მეტი დროით გააუმჯობესა. გუნდმა სტარტი ივლისის დასაწყისში, სამხრეთ ამერიკის ყველაზე სამხრეთ წერტილში აიღო. სამი მძღოლი რიგრიგობით, თითქმის შეუჩერებლად მართავდა ავტომობილს; 11 დღის განმავლობაში გუნდმა 14 ქვეყანაში — არგენტინაში, ჩილეში, პერუში, ეკვადორში, კოლუმბიაში, პანამაში, კოსტა-რიკაში, ნიკარაგუაში, ჰონდურასში, ელ-სალვადორში, გვატემალაში, მექსიკაში, აშშ-სა და კანადაში გაიარა. სვლა ალასკის ქალაქ დედჰორსში დასრულდა. მსურველებს „რეკორდსმენი“ მანქანისა და აღნიშნული მოგზაურობის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა 1-დან 30 აგვისტოს ჩათვლით, გერმანიის დილერ-ცენტრებში ექნებათ. ■




# სუპერავტო 458 Italia-ს სარბოლო ვერსია

კომპანია „ფერარიმ“ სუპერავტო 458 Italia-ს სარბოლო ვერსია წარმოადგინა. იგი ამერიკულ ჩემპიონატ Grand Am-ში მონაწილეობისთვისაა განკუთვნილი. ოფიციალური პრეზენტაციისას, რომლის დროსაც მანქანის საჭეს რიგრიგობით ესხდნენ „ფერარის“ ტესტ-პილოტები — მაურიციო მედიაანი და ჯეიმი მელო, ავტომობილმა იტალიური ფიორინოს ტრეკზე 45 წრე გაიარა. ამერიკაში მანქანა მომავალ წელს, Grand Am Rolex Sports Car Series-ის GT კლასში მიიღებს მონაწილეობას. სიახლე შემუშავებულია საინჟინრო კომპანია Michelotto Automobil-თან თანამშრომლობის შედეგად, რომელმაც „ფერარის“ სხვა არაერთი სარბოლო და საგზაო ავტომობილის შექმნაში გაუწია დახმარება, მათ შორისაა — სუპერავტო 40. Grand Am-ისთვის განკუთვნილი ბოლიდი სარბოლო სუპერავტო „ფერარი 458 იტალიის“ ბაზაზეა აგებული, რომელიც ევროპული სერია GT3-ის სპეციფიკისაა. „დონორისგან“ განსხვავებით, ავტომობილი ნაკლებად ეფექტური აეროდინამიკისაა, ასევე დეფორსირებულია 570-დან 500 ცხძ სიმძლავრემდე, 4,5-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი მოტორით. მანქანას 45-მილიმეტრიანი რესტრიქტორი აქვს, ხოლო მისი მოტორის მაქსიმალური ბრუნი 8 ათასი ბრ/წამითაა შემოფარგლული. აგრეთვე, არსებითად შეიცვალა სამუხრუჭე მოწყობილობა, სრულად ამოიღეს ABS-ის სისტემა და ტრეკშენ-კონტროლი. „ფერარი 458 იტალიის“ პირველი სარბოლო მოდიფიკაცია — „ჩელენჯი“ — გასული წლის ზაფხულში წარმოადგინეს. ავტომობილი Ferrari Challenge Trofeo Pirelli-ს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის შექმნეს. მას უფრო მძლავრი ზამბარები, განსხვავებული ამორტიზატორები, კარბონ-კერამიკულდისკებიანი Brembo-ს სამუხრუჭე მექანიზმები, მოდერნიზებული 7-საფეხურიანი ტრანსმისია, უფრო წვრილი ძარას პანელები და პოლიკარბონატული მინები აქვს. ■



# უნებლიე შარდვა ღამით ანუ ღამის ენურეზი

**პატარა ბავშვებში შარდის შეუკავებლობა ჩვეულებრივი რამაა, მაგრამ როდესაც წამოიზრდებიან და გარკვეულ ასაკობრივ ზღვარს გადააბიჯებენ, ღამით, ძილში შარდვა უკვე პათოლოგიის მიმანიშნებელია. გოგონებში — 5 წლის, ხოლო ვაჟებში — 6 წლის შემდეგ შარდის შეუკავებლობას სპეციალისტები კონკრეტულ დაავადებად განიხილავენ.**

**სტატისტიკური მონაცემებით, 5 წლის ასაკში „სველი ღამეები“ ბავშვების 14%-ს ახასიათებს, 7 წლის ასაკში — 7%-ს, 14 წლის ასაკში — 2%-ს, ხოლო რაც შეეხება უფრო მოზრდილებს, შარდის შეუკავებლობა მოსახლეობის 0,5%-ს აწუხებს.**



## ფორმები

ცნობილია პირველადი და მეორეული ენურეზი:

დაავადება პირველადია, როდესაც შარდის შეუკავებლობა ვლინდება მხოლოდ ღამით, ძილში და ისიც იმიტომ, რომ პატარას შარდის ბუშტის ავსებისას არ ეღვიძება;

მეორეულია ენურეზი, როდესაც თანდაყოლილ ან ცხოვრების მანძილზე შეძენილ დაავადებათა გამო ბავშვი შარდს ვერ იკავებს ვერც დღისით, ვერც — ღამით, ვერც ძილში და ვერც ფხიზლად ყოფნისას.

## ხელშემწყობი ფაქტორები

ღამით შარდის შეუკავებლობის ხელშემწყობი ფაქტორებია:

ნერვული — ეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფაქტორია, რომელიც ნერვული სისტემისა და შარდის ბუშტის მოუმწიფებელი და შეუთანხმებელი მუშაობით ვლინდება. ამ ფაქტორის არსებობისას ის „გადამცემი მოწყობილობები“, რომლებმაც ტვინამდე უნდა მიიტანოს ინფორმაცია, რომ შარდის ბუშტი სავსეა და დროა, მისმა მფლობელმა მოსაშარდად გაიღვიძოს, მწყობრიდანაა გამოსული და ამიტომაც, ამ მოვალეობის დროულ და ხარისხიან შესრულებას ვერ ახერხებს;

ინფექციური — შარდის შეუკავებლობა ზოგჯერ, შარდსასქესო სისტემის ინფექციებს უკავშირდება;

ორგანული — ეს ფაქტორი საშარდე სისტემის თანდაყოლილ დეფექტებს გულისხმობს, როცა სტრუქტურულ-ფუნქციური მანკების (სფინქტერის მოდუნება, კუნთოვანი აპარატის სპაზმი და სხვა) გამო დარღვეულია შარდის გამოყოფის პროცესი;

ფსიქოლოგიური — ხშირად, მცირე ასაკში შარდის შეუკავებლობა გადატანილ სტრესს — საკონტროლო წერას, მშობლებთან კონფლიქტსა თუ სხვა მწვავე მოვლენებს უკავშირდება.

## მედიკამენტური მკურნალობა

მედიკამენტური მკურნალობა ძირითადად, ორი სახის პრეპარატით ტარდება, რომელთაგან პირველი ბავშვს უკეთ, ღრმად დაძინებაში ეხმარება და ამავდროულად, შარდის ბუშტსა და ტვინს შორის შეთანხმებულ მუშაობას აუმჯობესებს, მეორე კი უშუალოდ შარდწარმომქმნელ პროცესთა კორექციას ისახავს მიზნად.

**გახსოვდეთ:** მედიკამენტური მკურნალობა მხოლოდ დროებითი დამხმარე საშუალებაა; თუ გსურთ, შვილი ამ მავნე ჩვევას გადააჩვიოთ, შარდის გამოყოფის კონტროლი უნდა ასწავლოთ — მხოლოდ ასე თუ მიიღებთ სასურველ შედეგს.

## საგულისხმო რჩევები

შარდის ფუნქციური შეუკავებლობის მკურნალობის პროცესში დიდია მშობლების როლი. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, ბავშვს გარეთა სასქესო ორგანოების პირადი ჰიგიენის წესები ასწავლოთ. არ არის აუცილებელი, წამდაუწუმ შეახსენოთ, რომ ტუალეტში შევიდეს — ეს მასში მეტ ნეგატიურ ემოციას გამოიწვევს;

ხშირად მშობლები ბავშვს აღვიძებენ და საჭირო ოთახში წასვლას აიძულებენ. თუ პატარა ბოლომდე ფხიზლდება, ასეთი რამ კიდევ დასაშვებია, მაგრამ თუ ნახევრად მძინარე მიგყავთ ტუალეტში, ამით მის მდგომარეობას უფრო ამძიმებთ — ასეთ დროს ენურეზის გამომწვევი მექანიზმი მეტად მყარდება;

მიაჩვიეთ ბავშვი, რომ საღამოს და ძილის წინ სითხის მიღება შეზღუდოს. თუ პატარას ეს გაუძნელდება, უმჯობესია, თავი დაანებოთ — ზედმეტი გაღიზიანება მის მდგომარეობას მხოლოდ და მხოლოდ დაამძიმებს;

ნურასოდეს დასჯით ბავშვს იმის გამო, რომ ღამით საწოლში მოშარდა, განსაკუთრებით — სხვების თვალწინ. იცოდეთ, პატარას საკუთარი მდგომარეობა თქვენზე ნაკლებად არ აწუხებს;

ბავშვის მდგომარეობის შესახებ აუცილებლად უნდა აცნობოთ საბავშვო ბაღის აღმზრდელსა თუ დაწყებითი კლასის დამრიგებელს, სურვილის გამოთქმისთანავე რომ გაუშვან საჭირო ოთახში;

ნუ აუკრძალავთ ლაშქრობებსა თუ დასასვენებელ ბანაკებში წასვლას — ცნობილია, რომ „სველი ღამეები“ საგრძნობლად მცირდება მაშინ, როცა პატარა შინ არაა.

შვილი ყოველი „მშრალი ღამის“ შემდეგ შეაქეთ; პატარა ტკბილი სიტყვებით, ალერსითა და კოცნით წაახალისეთ;

**დაბოლოს:** ვიდრე ამ რეკომენდაციათა შესრულებას შეუდგებოდეთ, ბავშვი აუცილებლად უჩვენეთ სპეციალისტს.

■

**P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 5(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com.

# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

# წვეთი პოეზია

## აისი



თენდება. თითქო უხილავს მირჩა
ბორცვებზე სუსტი შუქი იელის...
ჩემი ქალაქი – კრაზანის ფიჭა, –
ვაგლახად ფშუტე და ცარიელი...

ილვიძებს მძიმედ, მთვლემარე მთიდან
(ვით მადათოვის ერთხელ კუნძული),
თითქო გამქრალა სავანე წმინდა
და მგლოვიარე ქალი უძლური...

თვალსაწიერთან გაკრთება წამით
შორი მწვერვალის თეთრი საყელო...
ისე მარტო ვარ, ვით მორგში გვამი –
უჭირისუფლო და უსახელო.

*ია ორჯონიკიძე*

# სახსოვარი

## გალაკტიონ ტაბიძე



◆მართალია თუ არა მთავრობა ჩემთან ბრძოლაში?! იზოლაცია, შიმშილი, წყურვილი, დევნა, უბინაობა, უჟურნალობა, უგაზეთობა — მართალი იყო თუ არა მთავრობა აქ?

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

### ლ

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-29, 2011

**ლოლუა** — 1. შენობის სახურავზე, ხის ტოტებზე წარმოქმნილი გრძელი, წვეტიანი ყინული; 2. თითივით გრძელი პური (საბა).
**ლომი** რუს. (ძვ.) — ძალაყინი.
**ლომა, ლომა კამეჩი** — ღონიერი კამეჩი.
**ლომისა** — მთიულ-გუდამაყრელთა მთავარი სალოცავი; შვილიერების მფარველი ღვთაება.
**ლოპინარი** — იგივეა, რაც ხანჭოლა (მრავალწლოვანი პარკოსანი მცენარე).
**ლოპო** — 1. ლიპი სისველე, რომელიც ხის ქერქსა და მერქანს შორის ჩადგება გაზაფხულზე; 2. ზოგი ხის (ბუჩქის) ნორჩი ყლორტისგან მრგვალად სიგრძეზე გაძრობილი ქერქი.
**ლოპრი** — 1. ცხოველთა დორბლი, დუჟი; 2. ლორწო.
**ლორნეტი** ფრ. — ძველებური დასაკეცსახელურიანი სათვალე, რომელსაც თვალებთან იჭერდნენ ხელით.
**ლორფინი** — ქვის ფიცარი (საბა); ქვის ფილა.
**ლოტბარი** — მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი.
**ლოტო** (კუთხ.) — კარგად ტანაყრილი (მცენარე, ხე).
**ლოფლოფი** — 1. ჩვილი, თოთო; 2. უნაჭუჭო კვერცხი, რომელსაც ზოგჯერ დებს ქათამი.
**ლოშლოში** — ხარბად ჭამა.
**ლოშნა** — კოცნა სველი, დორბლიანი ტუჩებით.
**ლოხი** — ზანტი, ზარმაცი; ულონო.
**ლუბი** (კუთხ.) — გამხდარი, მჭლე (საქონელი).

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## ჩემი რჩეული

### მიხეილ ჯავახიშვილი

# ისევ ქართული ენის შესახებ



ჭირი დაუმალავი სჯობიაო. ეს ჭირიც ჩვენი ძველი ნაცნობია, თითქმის ნაჩვევი და გაშინაურებული.

ქართული ენის ამღვრევისა და დამახინჯების შესახებ მოგახსენებთ. ეს საგანი გაცვეთილი და თავმოსაბეზრებელია, მაგრამ ჩვენი დანარჩენი ჭირ-ვარამნი და სატკივარნიც დაძველდნენ.

ყველას ბავშვობიდანვე გვახსოვს ამ საგანზე ჩივილი და ზრუნვა, მაგრამ ჩვენი დასნეულებული ქართული ენა ფეხზე წამოდგომისა და დაწმენდის მაგიერ უარესად დაავადდა და ატალახდა. ისიც გვახსოვს, რომ ერთ დროს გადაგვარებულებს თითებზე ჩამოთვლიდით ხოლმე. ეხლა კი ანგარიში აგვერია და სათვალავი დაგვეკარგა. გვახსოვს „დროების“, „ივერიის“, „მოამბეს“ და „ცნობის ფურცელის“ ქართული, ეხლა კი — „ქართული სიტყვის“ ერთი წერილის ავტორისა არ იყოს, ნაწერზე ადვილად გამოიცნობთ დამწერის დაბადების კუთხეს. ამ მხრივ ჩვენში უსაზღვრო თავისუფლება დამყარდა. აღარაფერს ერიდებიან და ჟურნალ-გაზეთებში თამამად სწერენ: „ლაფატკა“, „ფლაგი“, „სიროსტი“, „ტუმანი“ და სხვ. არ ვაჭარბებ, ეს სიტყვები მე თვითონ წამიკითხია და იმავე დროს გამხსენებია, რომ თითო ასეთ სიტყვას ჩვენ შეგვიძლიან ორი და სამი ქართული დავახვედროთ.

უკან აღარავინ იხედება. ცოტაოდენი ცოდნა ენის კანონებისა სავალდებულოდ აღარავის მიაჩნია.

წიგნის ფურცელი სუსტი ანარეკლია იმ უბადრუკ სურათისა, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით დღევანდელ ოჯახში, ქუჩაში და დაწესებულებებში. ამ დღეებში სასამართლოში გახლდით. ერთ დარბაზში ნამდვილი სეტყვა მოდიოდა ასეთის სიტყვებისა: „ჟენოტდელი“, „ჩისტკა“, „სოკრაშჩენიე“, „უბორკა“, „ბირჟა ტრუდა“, „სატრუდნიკი“, „მესტკომი“, „სოვრაბოტნიკი“, „ზემოტდელი“, „სანტრუდი“ და ათასი ამისთანა ნარევი, გაუგებარი და გონჯი.

ასე ლაპარაკობდნენ ქართველები. ასეთივე ამბები ხდება დაწესებულებებში, სადაც ისევ ქართველები ოფლში იწურებიან ქართულის წერით. გეგონებათ, წინანდელ გიმნაზიელებს ლათინურს ან ბერძნულს აწერინებენო.

ან კი რა საკვირველია! დაიარეთ რომელიმე დაწესებულება და დაელაპარაკეთ თანამშრომლებს ქართულად. იშვიათად მიიღებთ პასუხს ქართულადვე. დაუგდეთ ყური ამ ხალხის ენას: ნამდვილი ვოლაპიუკი, ჟარგონი, უშნოდ ნარევი და ნამყნობი, უმგვანო. ამ ჯურის ხალხმა ხეირიანად არც ქართული იცის, არც რუსული, თვითონვე რომ შეიგნონ თავიანთი უენობა და მოისმინონ თავიანთი რუსულ-ქართული ან სულ დამუნჯდებოდნენ, ან თავიდანვე დაიწყებდნენ ენის შესწავლას. უცებ რომ ჩვენმა წინაპრებმა წამოიწიონ და ყური უგდონ დღევანდელ ქართულს, ნებაყოფლობით უკანვე ჩასცვივდებიან საფლავებში.

აი, ასეთი ჰიბრიდები არიან, რომ ქართულ ენას და კულტურას უმზადებენ ლათინურ და ირლანდიურ ენების ბედს, ე.ი. ნელ-ნელა მარხავენ ჩვენი ხალხის ცოცხალ ენას — მეტად მდიდარს, მოქნილს, ფერადსა და ხმოვანს.



მწერლის სახლ-მუზეუმში დაცული მისი პირადი ნივთები

რას გვიშველის მარტო საქმის წარმოება ქართულად?! კათოლიკური ეკლესია დღესაც ლათინურ ენაზე აწარმოებს წირვას და მიწერ-მოწერას, მაგრამ ეს ენა მაინც მკვდარია. ნუთუ შეიძლება მოკვდეს ენა შოთასი, ილიასი, აკაკის და ვაჟასი? დაუჯერებელია! მაგრამ გონება და რეალობა მაინც თავისას გაიძახიან და მრისხანე მუქარას გვითვლიან.

თევზი თავიდან აყროლდებაო. სწორედ ჩვენს ინტელიგენციაზეა ნათქვამი. იგი ჩემულობს ხალხის მეთაურობას და ხელმძღვანელობას. მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც, გახრწნა და გადაგვარებაშიც მასვე ეკუთვნის პირველობა და სხვებზე ადრე იმან უნდა დაიწყოს ზრუნვა საკუთარი თავის განკურნებაზე.

ზოგნი ამ სნეულებას უიმედოთ შესცქერიან, მე კი მაგონდება ერთი მაგალითი: 1905-1906 წლებში, სულ ორიოდე წელიწადში ყველა სომხები თავიანთ დედაენაზე ალაპარაკდნენ (ბარაქალა იმათ!)

როგორ მოხდა ეს ამბავი? სულ უბრალოდ: მოინდომეს და შეასრულეს, ხალხის ნებაყოფლობამ, უკვდავების ალღომ და სიცოცხლის წყურვილმა ასი წლის ნაშენი ზღუდენი გადალახა და თავისი ენით ამეტყველდა.

არც ჩვენა გვაქვს სხვა გზა, გარდა ასეთივე ნებისყოფის, დაჟინების, შეგნებისა და სიცოცხლის წყურვილისა.

ყველამ თვითონვე უნდა იზრუნოს თავის თავსა და ოჯახზე.

*1924 წლის 25 მაისი*

# რამდენიმე სურათი მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებიდან

...1936 წელი. საქართველოში უკვე დაძაბული სიტუაციაა. დღე არ გავა, ვინმე არ დაიჭირონ. პარალელურად, ბერია ინტელიგენციასთან დაახლოებას ცდილობს... მიხეილი აღშფოთებას ვერ მალავს. ლავრენტი პავლოვიჩის ცოლი, ნინა კლასიკოსს ოპერაში ხვდება და საყვედურობს, ბატონო მიხეილ, ლავრენტის ძილის წინ „არსენა მარაბდელს“ ვუკითხავ, თქვენ კი არ გვკადრულობთო... სხვათა შორის, მიხეილის კაბინეტიდან ბერიას სახლი ჩანდა... შინ დაბრუნებულ მიხეილს მეუღლე, ლუბა ურჩევს, კაცო, ხედავ, რა დროა და შენც რომ არ დაგიჭირონ, ბერიასთან მიდიო. კლასიკოსი ისევ ჯიუტობს, მაგას გუნდრუკს ვერ ვუკმევ, მე ვერ გამიმეტებენო...

> **„სახელმწიფო მანქანას ყალიბი არა აქვს. იგი ხალხს ამსხვრევს და ნაგლეჯებს აქეთ-იქით ჰყრის.**
>
> **საქართველო გაიტენა ქვრივებით, ობლებით, ცრემლით და ვაებით“.**
>
> ***ჩანაწერები უბის წიგნაკიდან, 1924 წელი***

მეტეხის პლატოზე წმინდა შუშანიკის ეკლესიაა. ეს ტაძარი ბერიას რატომღაც „თვალში არ მოსდის“ და დანგრევას უპირებს. ინტელიგენციის ნაწილი აღშფოთებულია, მიხეილ ჯავახიშვილი და დიტო შევარდნაძე ბერიასთან მიდიან. უვიცი და უმეცარი ხარ, ასეთი ძეგლების დანგრევა არ შეიძლებაო, უთქვამს ბერიასთვის მიხეილს. მამას დაჭერის საბაბი, ალბათ, სწორედ ეს გახდაო, — ვარაუდობს მიხეილის უმცროსი ქალიშვილი, ქალბატონი რუსუდანი.

1937 წლის აგვისტოს დასაწყისში მწერალი ცოლ-შვილს დასასვენებლად ქვიშხეთში აგზავნის, მერე, თვითონაც ჩადის... ღამეა. მიხეილი და უფროსი ქალიშვილი, ქეთო ეზოში სხედან, ცაში იყურებიან. ანაზდეულად ვარსკვლავი მოწყდება და უსასრულობაში ჩავარდება. ეს ამბავი ქეთოს ავად ენიშნება... დილის 6 საათზე „ჩეკადან“ ორი კაცი მოვიდა, მთელი ოჯახი წამოიშალა, 8 წლის რუსუდანსა და ქეთოს 3 წლის ვაჟს, რამაზსაც გაეღვიძათ. მიხეილი ხმას არ იღებდა. ქეთო ჩეკისტებს მივარდა, — ეს უსამართლობაა, ამასაც რომ იჭერთ, ვიღა დაგრჩებათო?!. სახლიდან გასვლამდე მიხეილმა ჯიბიდან სოჭის საგზური ამოიღო და ქეთოს სთხოვა, რომ მწერალთა კავშირისთვის დაებრუნებინა... იმ საღამოს მიხეილის ცოლ-შვილი თბილისში დაბრუნდა, მაგრამ ბინა დალუქული დახვდათ. „ჩორნი ხოდით“ აივანზე ავიდნენ და სამ თვეს, ოქტომბრამდე სწორედ იქ ცხოვრობდნენ...

მწერალი 1937 წლის 30 სექტემბერს, სოღანლუღში დაუხვრეტიათ. მიხეილისთვის ტყვია ჯალათ შაშონკინს უსვრია. „ტროიკის“ გადაწყვეტილებით, 15-15 სიკვდილმისჯილს წინასწარ გათხრილი ორმოს პირას აყენებდნენ და ჯალათები რიგრიგობით ესროდნენ, მერე ყველას ორმოში ყრიდნენ...

დახვრეტამდე მწერალი ბერიას დაუკითხავს და ყურში გაურტყავს, მიხეილი იატაკზე დავარდნილა, ლავრენტის გულზე ფეხი დაუდგამს და ჩაუსისინია, — ახლა თავზე „ჩეკისტი“ მართლა გადგასო. მიხეილს ალბათ, გაეცინა და ის ორი მწერალი გაახსენდა, ამას წინათ ქუჩაში რომ შეხვდა. ამ მწერლებს კლასიკოსისთვის უთქვამთ, — ბატონო მიხეილ, ხედავთ, რა კარგი დრო მოვიდაო!.. მიხეილს უპასუხია, — ესაა კარგი დრო? თავზე „ჩეკისტი“ გვადგასო! როგორც ჩანს, მწერლებმა ყველაფერი ბერიას ჩაუკაკლეს...

ასე დასრულდა ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ქართველი მწერლის ცხოვრება, რომელიც 1880 წლის 20 (ძვ. სტილით — 8) ნოემბერს მარნეულის რაიონის სოფელ წერაქვში დაიწყო, როცა მიხეილ ადამაშვილი დაიბადა. შემდგომში თავად ასე განმარტავდა მის გვართან დაკავშირებით გაუგებრობას: „ჩემი ნამდვილი წინაპრები ჯავახიშვილები არიან. ჩემს წინაპარს, ვინმე ჯავახიშვილს ქართლში კაცი შემოკვდომია, იქიდან გამოქცეულა, ქიზიყში გადასულა და იქაური გვარი, ტოკლიკაშვილი აუღია. შემდეგ, ბორჩალოში რომ გადმოვედით, იქ ადამაშვილის გვარით ვცხოვრობდით. პაპაჩემი ხომ ადამა იყო და გვარად ადამაშვილი ავიღეთ. მე აღვადგინე და დავიბრუნე ჩვენი გვარი“.

მომავალი კლასიკოსი სწავლობდა ჯერ წინამძღვრიანთკარის, შემდეგ — ყირიმის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში, რომელიც არ დაუმთავრებია ოჯახში

> **„25 თებერვალს მე ვიგრძენი, თუ როგორ შემოვიდა ტანში მჭრელი მახვილი, რომელიც მას აქეთ დღითიდღე უფრო ღრმად მერჭობა. გაფითრებული ვარ და ტანში მუდმივი ჟრჟოლა მივლის. ეხლა სატევრის წვერი ზედ გულზე მაქვს დაბჯენილი და ვგრძნობ, ოდნავ რომ შევინძრე, ჩამესობა და ისე გამათავებს, რომ გმინვის ამოღებასაც ვეღარ მოვასწრებ.**
>
> **ქართული ნაციონალიზმი ანუ პატრიოტიზმი მხოლოდ სიძულვილია უცხოელებისადმი, რომელთაც დაიპყრეს შენი სახლი, ჩვენი ცოლ-შვილი და ჩვენი ნაშრომი. რუსული ნაციონალიზმი კი აღვირაწყვეტილი სიხარბეა მხეცისა, რომელმაც ათი მეზობლიდან ცხრა შეჭამა და მეათესაც მოითხოვს“.**
>
> ***ჩანაწერები უბის წიგნაკიდან, 1929/30***



**მიხეილ ჯავახიშვილი მეუღლე – ლუბა ჯაჭვაძესა და ქალიშვილ ქეთევანთან ერთად**

დატრიალებული ტრაგედიის გამო: ავაზაკებმა მოუკლეს დედა და და, ხოლო მამა ამ უბედურებას გადაჰყვა.

1901 წელს საქართველოში დაბრუნდა. პირველი მოთხრობა — „ჩანჩურა“ 1903 წელს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოაქვეყნა. ეწეოდა აქტიურ ჟურნალისტურ მოღვაწეობას, რედაქტორობდა გაზეთ „ივერიას“ (1904 წ.) და „გლეხს“ (1906 წ.). მწვავედ აკრიტიკებდა მეფის ხელისუფლებას რეპრესიების გამო (სტატიათა ციკლი „გლეხის წერილები“).

1907 წელს მწერალი გაერიდა ხელისუფალთა დევნას, ერთხანს პარიზის უნივერსიტეტში სწავლობდა, იმოგზაურა ევროპაში. 1909 წელს სხვისი პასპორტით დაბრუნდა საქართველოში. 1910 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს. 1913 წლამდე დონის როსტოვში ცხოვრობდა, 1913 წელს კვლავ სამშობლოში დაბრუნდა.

თხუთმეტწლიანი დუმილის შემდეგ მოთხრობით — „ტყის კაცი“ (1923 წ.) მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების მეორე პერიოდი დაიწყო. მან ზედიზედ გამოაქვეყნა მოთხრობები და რომანები, რომლებშიც ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციების ერთგული დარჩა.

ჯერ კიდევ 1917 წლიდან მიხეილ ჯავახიშვილი აქტიურად იყო ჩაბმული ეროვნულ მოძრაობაში. იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და შედიოდა ამ პარტიის მთავარ კომიტეტში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსირების შემდეგ, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე გახლდათ, 1922-1924 წლებში შედიოდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში და აქტიურად მონაწილეობდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მომზადებაში.

**„დამარცხებული და განადგურებული საქართველო დაემსგავსა ქეციანს, დაღრეჯილს, დაშინებულ და კბილებალესილ მგელს;**

**ქართველებს გულში ჩირქი დაუგუბდათ და სულში ხანძარი მოედოთ;**

**ორი მეგობარი: ბოლ. და მენ. (ბოლშევიკი და მენშევიკი. — რედ.) 1920 წ. შეხვდნენ ერთ ოჯახში. მენ-მა ის არ დააპატიმრა. მეგობარმა და ნათესაობამ დასძლიეს სახელმწიფო. 1924 წ. ბოლშევიკმა შეიტყუა მენშევიკი და დააპატიმრა“.**

*ჩანაწერები უბის წიგნაკიდან, 1924 წელი*



მეუღლე ლუბა ჯაჭვაძე უმცროს ქალიშვილ რუსუდან ჯავახიშვილთან და ქეთევანის ვაჟთან – რამაზ შიშნიაშვილთან ერთად

...1937 წლის 22 ივლისს მწერალთა კავშირის შენობაში პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა. კავშირის სხდომამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც პოეტის საქციელი ანტისაბჭოთა პროვოკაციად შერაცხეს. ჯავახიშვილი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელმაც პოეტის გამბედაობას მხარი დაუჭირა. ოთხ დღეში, 26 ივლისს კავშირის პრეზიდიუმმა კენჭისყრით მიიღო გადაწყვეტილება: „მიხეილ ჯავახიშვილი, ჯაშუში და დივერსანტი, განდევნილ იქნას მწერალთა კავშირიდან და ფიზიკურად განადგურდეს“. მისი მეგობრები და კოლეგები, მათ შორის ციხეში მყოფნიც, აიძულეს ეღიარებინათ ჯავახიშვილი, როგორც კონტრრევოლუციონერი ტერორისტი. მხოლოდ კრიტიკოსმა გერონტი ქიქოძემ დატოვა კავშირის სხდომა პროტესტის ნიშნად.

მიხეილ ჯავახიშვილის რეაბილიტაცია დახვრეტიდან 17 წლის შემდეგ მოხდა. საქართველოს სს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსი ინაურმა მწერლის ქალიშვილებს სპეციალური მოსაწვევები გაუგზავნა, — „ტროიკის“ სასამართლოს დაესწარითო. ისინი, ვინც ამდენი ადამიანი გააუბედურა, ცოცხლად ვნახე; მშვიდად ისხდნენ, სინანული ერთსაც არ წამოსცდენია, პირიქით — ისევ ამბობდნენ, ხალხის მტრებს ვანადგურებდითო; მეც სულ წარსულში ვარ, ის გაჭირვება მახსენდება და რაღაც კომპლექსი დღემდე მაქვსო, — ასე იხსენებდა ამ დღეს კლასიკოსის შვილი, ქალბატონი რუსუდანი. ბერია მხოლოდ „ხალხის მტრებს“ კი არა, როგორც წესი, მათ მეუღლეებსაც იჭერდა. „წასასვლელად“ ჩემოდანი მიხეილის ცოლსაც გაუმზადებია და მანქანის ხმას გაიგონებდა თუ არა, ამბობდა თურმე, ჩემს წასაყვანად მოვიდნენო. მაგრამ ქალბატონი ლუბა არ დაიჭირეს. ალბათ დაავიწყდათო, — ამბობს ქალბატონი რუსუდანი. სხვათა შორის, ქალბატონი ლუბა 90 წლის ასაკში გარდაიცვალა, თუმცა ქმრის დაპატიმრების შემდეგ, როგორც მისი ქალიშვილი ამბობს, ქუჩაში ერთხელაც აღარ გასულა...




**მიხეილ ჯავახიშვილის პირადი საქმე რუსეთის ჟანდარმერიაში (1910 წ.)**

***P.S. „გზის“ ამ ნომერთან ერთად იწყება დიდი ქართველი პროზაიკოსის — მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებათა 7-ტომეულის გამოცემა. პირველი ტომს მის უკვდავ რომანს — „კვაჭი კვაჭანტირაძეს“ წარმოგიდგენთ.***

■

# ხაფანგში



დასაწყისი იხ „გზა" №19-29

რუსუდან ბერიძე

— ვერ ვხვდები, დაწვრილებით რა უნდა გიამბოთ? — გაღიზიანდა ნატა. — მაქსი ირაკლის საერთოდ არ იცნობს.

— მაშ, მაინცდამაინც მასზე რატომ ეჭვიანობს?

— გიმეორებთ, რომ მაქსი უკვე ყველასა და ყველაფერზე ეჭვიანობს. ირაკლი კი განსაკუთრებით იმიტომ ამოიჩემა, რომ სიბრიყვე გამოვიჩინე და მოვუყევი, მე და ირაკლის ერთ დროს როგორ გვიყვარდა ერთმანეთი.

— საფუძვლიანი საბაბი მიგიციათ, — გაეღიმა გამომძიებელს.

— ალბათ, მაგრამ მარტო ეს არ არის ჩვენი უთანხმოების მიზეზი, — ამოიოხრა ნატამ, — საერთოდ, ძალიან განვსხვავდებით ერთმანეთისგან.

— იქნებ ისევ ირაკლი სეხნიაშვილს მივუბრუნდეთ.

— კი, ბატონო.

— თქვენი სასიყვარულო ურთიერთობა დიდხანს გაგრძელდა?

— რა სასიყვარულო ურთიერთობაზე მელაპარაკებით? — სევდიანად გაეღიმა ნატას. — მაშინ ბავშვები ვიყავით, თხუთმეტ-თექვსმეტი წლისანი. ირაკლი თავიდან უფროსი ძმასავით მექცეოდა: ჩემს თავს არავის აჩაგვრინებდა, სკოლიდან სახლამდე მაცილებდა... მერე ეს ყველაფერი თითქოს რაღაც უფრო მნიშვნელოვანში გადაიზარდა, მაგრამ ჩვენი ახალი ურთიერთობისთვის ჯერ სახელიც კი არ გვქონდა დარქმეული, რომ ბოროტმა ადამიანებმა ერთმანეთს დაგვაშორეს.

— ბევრნი იყვნენ?

— ვინ?

— ბოროტი ადამიანები.

— ყველაფერი ერთმა დაიწყო, მაგრამ მერე... ხომ იცით, როგორც ხდება ხოლმე, ოღონდ ვინმეს ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფის საშუალება მიეცი და...

— თუ საიდუმლო არაა, ის ერთი ვინ იყო?

— იონას შეგირდი თედო იარაჯული.

— იარაჯული? — გაუკვირდა ორდენიძეს. — ამხელა კაცს მეტი საქმე არ ჰქონდა?

— ეს მას უნდა ჰკითხოთ.

— აუცილებლად ვკითხავ... თქვენ რას ფიქრობთ, მაინც რატომ ჩაერია თქვენს ურთიერთობაში?

— არც კი ვიცი, როგორ აგიხსნათ... — წამით ჩაფიქრდა ნატა. — ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთხელ იონასთან მივედი და იქ მარტო იარაჯული დამხვდა...

— იოსებიძესთან ხშირად დადიოდით?

— რა თქმა უნდა, მის ხელში გავიზარდე. სანამ პატარა ვიყავი, დედას დავყავდი, მერე კი მარტოც ხშირად მივდიოდი. იონამ უამრავი ზღაპარი და საბავშვო ლექსი იცოდა. თან, კარგი მთხრობელიც იყო. ჰოდა, ბავშვებსაც მეტი რა გვინდოდა?.. ხანდახან მთელი უბნის წვრილფეხობა მასთან ვიყრიდით ხოლმე თავს და გასუსულები ვუსმენდით. ცოტა რომ წამოვიზარდეთ, საქმესაც მიგვაჩვია. რესტავრირებული ნივთების გაპრიალებას და თაროებზე დაწყობას გვავალებდა. მაგრამ მერე შეგირდად იარაჯული აიყვანა და მისი სახლიდან ნელ-ნელა ყველა გაიკრიბა. ბოლოს, მე და ირაკლიღა შემოვრჩით. ერთ დღეს კი, როგორც უკვე გითხარით, იონასთან მისულს, მარტო იარაჯული დამხვდა. ოთახში მოულოდნელად შევედი და დავინახე, იონას სამუშაო მაგიდის უჯრაში როგორ იქექებოდა. ჩემს დანახვაზე შეცბა და მიყვირა, შენთვის არ უსწავლებიათ, რომ სხვის სახლში გიჟივით არ უნდა შევარდეო? ისეთი სახე ჰქონდა, რომ შიშით უკან დავიხიე და ის იყო, ტირილი უნდა მომერთო, რომ გონს მოეგო და დამშვიდება დამიწყო: არ გეწყინოს, ერთი ძვირფასი ნივთი ველარ ვიპოვე. არადა, წუთი-წუთზე მისი პატრონი უნდა მოვიდეს და ამიტომაც ვარ ასეთი განერვიულებულიო. მერე ჩაი და ორცხობილაც შემომთავაზა და ალბათ მისი უხეში დახვედრა მართლა დამავიწყდებოდა, ჩაის ხვრეპასა და ორცხობილის ხრამუნში გართულს მოულოდნელად ზურგიდან რომ არ მომპაროდა და მომხვეოდა. ეს ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ფეხზე მართლა გიჟივით წამოვვარდი და ცხელი ჩაი ხელებზე გადავასხი. აი, ამის შემდეგ კი ნამდვილი გინების კორიანტელი დააყენა. გამოქცევა დავაპირე, მაგრამ წინ გადამიდგა. იცოდე, მთელ ეზოს შევყრი-მეთქი, დავემუქრე, რაზეც ბოროტად ჩაეცინა: მით უარესი შენთვის; ყველა იმას იფიქრებს, რომ შენც დედის კვალზე წახვედი და თუ ის იონას ყვარობს, შენ კიდევ მისი შეგირდის გამოჭერა გადაწყვიტე. მერე ეს ამბავი ირაკლის ყურამდეც მივა და თქვენ შორის მაშინვე ყველაფერი დამთავრდებაო. ირაკლის ხსენებაზე ცრემლები ღაპაღუპით წამომცვივდა. იარაჯულმა კი ისევ დამშვიდება დამიწყო: მოდი, რაც დღეს აქ მოხდა, ყველაფერი დაივიწყე და პირობას გაძლევ, ირაკლი ვერასდროს ვერაფერს გაიგებსო.

— შეასრულა პირობა?

— იარაჯული და პირობის შესრულება? ის კი არა და, ირაკლი ისე გააგიჟა, რომ ჩემი დანახვაც აღარ უნდოდა.

— არ გიცდიათ მისთვის მომხდარის ახსნა?

— არა, — უარის ნიშნად გააქნია თავი ნატამ, — მაშინ პატარა და გამოუცდელი ვიყავი საიმისოდ, რომ ჩემი სიყვარულისთვის მებრძოლა. თან, იმაზეც მწყდებოდა გული, რომ თავად ირაკლიმაც არ მოინდომა სიმართლის გარკვევა. მოკლედ, ორივე გავჯიქდით და უსიტყვოდ დავშორდით ერთმანეთს.

— დედისთვისაც არაფერი გითქვამთ?

— თავიდან არც მისთვის ვაპირებდი რაიმეს თქმას, მაგრამ შემდეგ მოვლენები ისეთი მოულოდნელი სცენარით განვითარდა, რომ სხვა გზა აღარ მქონდა და ყველაფერი ვუამბე.

— მოულოდნელ სცენარში რას გულისხმობთ?

— მამაჩემის გამოჩენას. არ ვიცი, სხვა დროს როგორ მივიღებდი, მაგრამ იმ მომენტში, რომ იტყვიან, პირდაპირ სულზე მომისწრო და არც კი დავფიქრებულვარ, მასთან გადასვლას ისე დავთანხმდი. დედაჩემმა, რა თქმა უნდა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მაგრამ მაინც ჩემი გავიტანე, რაშიც იარაჯულის არაკაცობის ამბავიც დამეხმარა.

— იონამ თუ გაიგო ეს ყველაფერი?

— კი, ოღონდ — საკმაოდ გვიან და იარაჯულიც მაშინვე დაითხოვა.

— დედათქვენისა და იონას ურთიერთობაზე რას იტყვით?

— რა უნდა ვთქვა? ზრდასრული ადამიანები იყვნენ და ერთმანეთის სიყვარულის სრული უფლება ჰქონდათ.

— ბავშვობაშიც ასე ფიქრობდით?

— ბავშვობაში იონას შვილი მეგონა თავი და ამაში ბოლომდე ვერც მამაჩემის გამოჩენამ გადამარწმუნა, თუმცა ერთმანეთს ვგავართ. დედას ამის შემდეგაც ხშირად შევჩენივარ: იქნებ მართლა იონას შვილი ვარ და შენც კი რაღაც შეგეშალა ანდა, სულაც დაგავიწყდა-მეთქი? მას კი მხოლოდ სევდიანად ეღიმებოდა: ის როგორ დამავიწყდებოდა, საყვარელ მამაკაცთან ოდესმე ვიწექი თუ არაო? მე კი ჩემსას მაინც არ ვიშლიდი, რადგან ვხვდებოდი, რომ დედას იონაზე ლაპარაკი სიამოვნებდა.

— ახლაც სიამოვნებს?

— რა თქმა უნდა, მაგრამ უკვე ყველანაირად ვერიდები იონას ხსენებას.

— რატომ?

— მისი ხსოვნის წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობ და იმიტომ, — თავი მართლა დამნაშავესავით დახარა ნატამ.

— რა მოხდა?

— დედამ გერმანიაში იონას წერილი ჩამომიტანა. იმ კონვერტში დედაჩემისთვის განკუთვნილი მეორე წერილიც იდო. მე კი დედას ამაზე არაფერი ვუთხარი.

— რატომ?

— თავიდან იმიტომ, რომ თავად იონა მთხოვდა, ეს წერილი დედაშენს ჩემი სიკვდილის შემდეგ გადაეციო. მერე კი მართლა რომ გავიგე მისი სიკვდილი, ისე დავიბენი, რომ...

— ის წერილიც თვითონ გახსენით და წაიკითხეთ, ხომ? — თვალები ეშმაკურად მოწკურა ორდენიძემ.

— როგორ მიხვდით? — შეკრთა ნატა.

— ალბათ, მეც ასე მოვიქცეოდი, — გოგონას კითხვას თავი მოხერხებულად აარიდა გამომძიებელმა.

— გულს მიკეთებთ, არა?.. დამიჯერეთ, სხვა დროს ასე არაფრით მოვიქცეოდი, მაგრამ დედამ იონას სიკვდილი ისე განიცადა, რომ შემეშინდა, ხელში არ ჩამკვდომოდა. ამიტომაც გადავწყვიტე, წერილი ჯერ მე წამეკითხა. ხომ შეიძლებოდა, მასში რაღაც ისეთი ინფორმაცია ყოფილიყო, რომ დედაჩემს მართლა ველარ გადაეტანა.

— მაგრამ ალბათ, წერილში მსგავსიც არაფერი აღმოჩნდა, ხომ?

— საიდან დაასკვენით?

— თუნდაც იქიდან, რომ დედათქვენი დღემდე ცოცხალი და საღ-სალამათია.

— მერედა, ვინ გითხრათ, რომ დედაჩემმა ის წერილი წაიკითხა?

— როგორ?!. აქამდე არ გადაგიციათ?

— არა. და ამის გაკეთებას მანამ არ ვაპირებ, სანამ იონას ნამდვილ მკვლელს არ იპოვით და უდანაშაულო ირაკლის გარეთ არ გამოუშვებთ.

— ეს არც ისე ადვილი საქმეა. თანაც, არ მესმის, ამ ყველაფერთან იონას წერილს რა კავშირი აქვს?

— პირდაპირი, — ნატამ მოტკეცილი ჯინსის უკანა ჯიბიდან ორად მოკეცილი მოგრძო კონვერტი ამოიღო და გამომძიებელს გადასცა — დამერწმუნეთ, ამ წერილში ბევრ ყურადსაღებ ინფორმაციას ამოიკითხავთ...

ლალის მომლოდინე თემო აეროპორტის ფოიეში ნერვიულად გადი-გამოდიოდა და, თან, გამუდმებით საათზე იყურებოდა. ბოლოს გოგონა გამოჩნდა და თემოს წინ დამნაშავე ბავშვივით თავდახრილი შედგა:

— დავაგვიანე, ხომ?

— დააგვიანე რომელია?! — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია სხიერელმა. — თვითმფრინავი უკვე ჰაერშია. ხომ გეუბნებოდი, მანქანით გამოგივლი-მეთქი, მაგრამ შენ რომ გაჯიუტდები, ვერაფერს შეგასმენს კაცი...

— არ ვიცოდი, ინტერვიუს ჩაწერას როდის მოვრჩებოდი და რესპონდენტის ოფისის წინ ხომ ვერ გაყურყუტებდი?

— გგონია, აეროპორტში ყურყუტი ჯობდა?

— მაპატიე, — კიდევ უფრო დაბლა დახარა თავი ლალიმ, — ან თუ გინდა, დამსაჯე.

— შენი ბედი, რომ მანქანით ვარ, თორემ მართლა მაგრად დაგსჯიდი.

— შენი მანქანით აპირებ წასვლას? — შეიცხადა ლალიმ.

— არა, შენი ახალთახალი „მერსედესით“. ოღონდ, შემახსენე, ზუსტად სად გელოდება?



— ჯერ არსად, მაგრამ მალე დამელოდება, — იხტიბარი არ გაიტეხა ლალიმ.

— მაშინ მანამდე იქნებ ჩემი ჯაბახანათი ინებოთ წამობრძანება, ქალბატონო ლალი, — აეროპორტის ავტოსადგომისკენ გაუძღვა სხიერელი გოგონას.

უამინდობის გამო გზა გაიწელა და ბათუმს რომ მიუახლოვდნენ, უკვე ბინდდებოდა. უცბად თემოს მობილური ტელეფონი აწკრიალდა. აჩიკო რეკავდა. სხიერელმა მანქანა გზის პირას გააჩერა და მეგობარს ამის შემდეგ უპასუხა.

— სად ხარ, ბიჭო? — გაისმა ყურმილში ასათიანის შეშფოთებული ხმა.

— ბათუმში შევდივარ.

— რაო? — გაუკვირდა ასათიანს. — თვითმფრინავში არ იყავი და ბათუმში საიდან შედიხარ?

— თვითმფრინავით არ გამოვფრენილვარ, ჩემი მანქანით წამოვედი.

— მერე არ უნდა გამაფრთხილო? მოკვდა ხალხი აეროპორტში შენი ძებნით. თან, მობილურსაც არ პასუხობდი... ამ ამინდმა ხომ თავდაყირა დააყენა ყველაფერი... შენ კი მაგრად გაგიმართლა: კონკურსი ბათუმში გაიმართება.

— აგაშენებს ღმერთი! — გაუხარდა თემოს. — დანარჩენი კონკურსანტები უკვე ადგილზე არიან?

— დანარჩენი, თორემ... სულ სამად სამი დარჩით.

— სხვები რა იქნნენ?

— „შეითელნენ“.

— რას მაიმუნობ?

— დამიჯერე, მართლა სამნი დარჩით. ადგილზე რომ მიხვალ, ყველაფერს დაწვრილებით აგიხსნიან. ახლა კი დროებით. ბატონ ალექსანდრეს უნდა დავურეკო და დავამშვიდო, რომ ცოცხალი ხარ.

— გადაეცი, მალე მანდ იქნება და ტუშით დახვდი-თქო, — გაეღიმა სხიერელს.

— ტაში-ტუშისა რა გითხრა, მაგრამ 2 დღე კარგად გასმევ-გაჭმევენ, დაგასვენებენ და შეიძლება, გამარჯვებასაც კი გამოჰკრა ხელი.

— შეიძლება კი არა, აუცილებლად ასე მოხდება, — დააიმედა მეგობარი სხიერელმა, — სამ კინკილა კონკურსანტს ველარ ვაჯობებ? მერე კი შეიძლება, რაღაცას შენც გამოჰკრა ხელი.

— მაინც?

— ჩემს მეჯვარეობას.

— ეგ ხომ ისედაც გარანტირებული მაქვს.

— გარანტირებული ოთხი ფიცარი გვაქვს, ძმაო...

— წავედი ახლა, თორემ უკვე აურიე, — მეგობარს სასწრაფოდ დაემშვიდობა ასათიანი...

— ცოლის მოყვანას აპირებ? — ჰკითხა ლალიმ თემოს, როგორც კი ვაჟმა ტელეფონი გათიშა.

— შენ რა, აქამდე არ იცოდი?

— არა. ქორწილში დამპატიჟებ?

— გააჩნია, როგორ მოიქცევი, — გოგონა გულში ჩაიკრა სხიერელმა...

სასტუმროში მისულმა თემომ და ლალიმ ჩანთები ნომრებში დატოვეს და, ვითარების გასარკვევად, ადმინისტრატორის ოთახისკენ გასწიეს, მაგრამ მათ გზაში სათვალიანი ყმაწვილი წამოეწიათ:

— უკაცრავად, თემო სხიერელი და ლალი მესხი ბრძანდებით, ხომ? — ჰკითხა მან ახალგაზრდებს.

— გახლავართ, — უპასუხა თემომ.

— მე ახალგაზრდა მწერალთა კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი გახლავართ.

— თქვენი სახელი?

— ლუკა.

— ბატონი ალექსანდრე სადღაა?

— ბატონი ალექსანდრე ჯერჯერობით სხვა საქმეებით არის დაკავებული. ასე რომ, თუ რამე დაგჭირდებათ, მე მომმართეთ.

— ხალხი სად არის, ლუკა?

— კონკურსანტებს გულისხმობთ?

— მათაც და ორგანიზატორებსაც.

— კონკურსანტი, თქვენ გარდა, ორი დარჩა.

— დანარჩენებს რა დაემართათ?

— 1-ელი ეტაპი ვერ გაიარეს.

— ანუ 1-ელი ეტაპი უკვე დასრულდა?

— დიახ. პირველ ეტაპზე ჟიურის წევრებს ინტერნეტით გავუგზავნეთ კონკურსანტების ნაწარმოებების ანოტაციები და მათგან მეტნაკლებად საინტერესოს შერჩევა ვთხოვეთ. ჟიურის წევრებმა 3 ავტორის ნაწარმოებები შეარჩიეს.

— ნაწარმოებები კი არა, მათი ანოტაციები! — დააზუსტა სხიერელმა და, თან, ლალის გაკვირვებულმა გადახედა: — გადამრევს ეს ხალხი! სად გაგონილა ანოტაციის მიხედვით ნაწარმოების ავკარგზე მსჯელობა.

— ამის გაკეთება არც ჩვენ გვიფიქრია, ბატონო თემო, — ისევ თავაზიანად განაგრძო ლუკამ, — ეს კონკურსის 1-ელი ეტაპი იყო. მეორე ეტაპზე კი ჟიურის წევრები უკვე თავად ნაწარმოებებს გაეცნენ და მათგან 3 საუკეთესოც ამ გზით გამოვავლინეთ.

— როგორ? — გაუკვირდა სხიერელს. — უკვე საუკეთესო ნაწარმოებების ბედიც გარკვეულია?

— დიახ. და ესეც ინტერნეტით მოხდა.

— აბა, აქ რისთვის ჩამოგვიყვანეთ? — ხელები გაკვირვებით გაშალა თემომ. — ბარემ საბოლოო შედეგებიც ინტერნეტის მეშვეობით შეგეტყობინებინათ.

— არა, საბოლოო შედეგები ხვალ, ყველას თანდასწრებით გახდება ცნობილი. და ეს იმ ქულების რაოდენობის მიხედვით დადგინდება, რომლებიც ჟიურის წევრებმა კონკურსის მეორე ეტაპზე გასულ ნაწარმოებებს დაუწერეს.

— უკვე თავბრუ დამეხვა, — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია სხიერელმა, — ჟიურის წევრების ვინაობის გაგება თუ შეიძლება?

— სამწუხაროდ, დღეს არა. ამას ხვალ, კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოების წინ შეგატყობინებთ. მეტიც, ჟიურის წევრებს პირადადაც ნახავთ და გაესაუბრებით.

— დიდი მადლობა ესოდენ ამომწურავი ინფორმაციისთვის. ახლა კი ქალაქში გავალთ, კარგი?

— როგორც ინებებთ, — წყვილს თავი თავაზიანად დაუკრა ლუკამ და მაშინვე გაეცალა.

— რაღაც უნიჭო კონსპირაციის სუნი მცემს, — სასტუმროდან გამოსვლისთანავე გადაულაპარაკა ლალიმ სხიერელს.

— ბატონო თემო, 1 წუთით, თუ შეიძლება! — მოულოდნელად წამოეწია მათ აქოშინებული ლუკა. — დიდ ბოდიშს გიხდით, მაგრამ ორგანიზატორებმა ზუსტად უნდა ვიცოდეთ, ამ საღამოს კონკურსანტები სად იქნებიან.

— ყველაფერი გითხრათ? — თვალები ეშმაკურად მოწკურა თემომ.

— ნუ ახლა... — მხრები დაბნეულად აიწურა ლუკამ.

— მაშ ასე, ჩემო ლუკა, — ყმაწვილს მხარზე ხელი შინაურულად მოხვია სხიერელმა, — ჩაინიშნე: ჯერ ბულვარში გავისეირნებთ და ზღვას „ჩამოვართმევთ ხელს“, მერე კი რომელიმე ბარში შევალთ და მაგრად გამოვთვრებით. ხომ მეთანხმები, ლალიკო? — მოუბრუნდა გოგონას.

— გეთანხმები რომელია? — გაეღიმა ლალის. — აბა, ამ ყველა-

ფერს ფხიზელმა ჩემმა მტერმა უყურა...

— მოვედი, შეფ! — ორდენიძის კაბინეტის კარი ოდნავ შეაღო ლეკიშვილმა.

— მერე რაღას უდგახარ? დროზე შემოდი! — მაგიდაზე გაშლილ საბუთებს მაშინვე თავი მიანება გამომძიებელმა.

— ნამდვილი გულთმისანი ხარ, შეფ, — კაბინეტში შესვლისთანავე საქაღალდე გახსნა ანდრომ, — იონა იოსებიძე და თედო იარაჯული უბრალოდ ძმები კი არა, მართლა ტყუპისცალები აღმოჩნდნენ, ბათუმელი ბიზნესმენი — იოსებ ცეცხლაძე კი მათი ნახევარძმაა. აჭარაში სასტუმროების ბიზნესი აქვს და თავის წრეში მიღებული და დაფასებული ადამიანია. ბევრი ვეძებე, მაგრამ მის საქმიანობაში კრიმინალი ვერ აღმოვაჩინე. აი, ბატონი იარაჯული კი, როგორც ჩანს, მამის კვალს გაჰყვა. ნამდვილ მამას ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, თორემ მამობილი თავის დროზე დიდი პარტიული ბოსი ყოფილა. ისე, კაცმა რომ თქვას, ისინი ძარცვავდნენ ქვეყანას და ხალხს, მაგრამ, როგორც იტყვიან, ეს უკვე სულ სხვა ოპერიდანაა...

— ლირიკულ წიაღსვლებს მოეშვი! — გააწყვეტინა ორდენიძემ ხელქვეითს.

— ჰოდა, იმას მოგახსენებდი, რომ იარაჯული მამასავით ხელმრუდე აღმოჩნდა და ოჯახებიდან მოპარული ძველებური ნივთების რეალიზაციისთვის წელიწად-ნახევარი ციხეც აქვს ნახეხი. სამსახურიდანაც ამის გამო დააპანღურეს და იონა რომ არა, მართლა შიმშილით ამოხდებოდა სული. მაგრამ ყველაზე საინტერესო ეგზემპლარი მაინც „თლა“ უფროსი იოსებიძე აღმოჩნდა. გასული საუკუნის არაერთ გახმაურებულ საქმეში ფიგურირებს. ოთხმოცდაათიან წლებში კი ძაღლი რომ პატრონს ვეღარ ცნობდა, ისტორიის მუზეუმის ერთ-ერთი საცავის ძარცვაშიც კი მიუღია მონაწილეობა. მძარცველებს ვეცხლისა და ოქროს უამრავი უძველესი ნაკეთობა წაუღიათ. მუზეუმში მათი სრული სია მომცეს. მასში ის ძველებური ყელსაბამიც შედის, რომლის ნაწილებსაც იონა იოსებიძე ასე გულმოდგინედ ეძებდა და აგროვებდა.

ორდენიძემ სიას სწრაფად გადახედა:

— ასეც ვიცოდი.

— კიდევ რამე საინტერესო აღმოაჩინე?



— კი. აი ეს: ეგვიპტელი ფარაონის ოქროს სტატუეტი. იოსებიძე თავის წერილში სწორედ მასზე ლაპარაკობს.

— რომელ წერილში? — გაუკვირდა ანდროს.

— სიკვდილის წინ ნინო საღირაშვილს რომ მისწერა, — საქაღალდიდან კონვერტი ამოიღო და ხელქვეითს გაუწოდა ორდენიძემ, — მიდი, ხმამაღლა წაიკითხე. მეც მინდა, კიდევ ერთხელ გავიარო ყველაფერი.

ლეკიშვილმა ორდენიძეს ერთი უნდოდ შეხედა და კითხვა ამის შემდეგ დაიწყო:

„ჩემო ნინო, დედაჩემმა სიკვდილის წინ საშინელი საიდუმლო გამანდო, რომელმაც მთელი ჩემი ცხოვრება თავდაყირა დააყენა. ერთხანს ამ საიდუმლოს საფლავში წაღებას ვაპირებდი, მაგრამ ბოლოს მაინც გადავწყვიტე, რომ შენთვის გამემხილა.

ჩემმა მშობლებმა ერთმანეთი რომ გაიცნეს, დედაჩემი უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი იყო, მამა კი — ქარხნის უბრალო მუშა, უქონელი და უსახლკარო. მალე ერთმანეთი შეუყვარდათ და დაქორწინებაც გადაწყვიტეს, მაგრამ დედაჩემის მშობლები წავიდნენ წინააღმდეგი, რადგან ფუფუნებაში გაზრდილ ერთადერთ შვილს სულ სხვა მომავალს უმზადებდნენ. საბოლოოდ დედაჩემმა მაინც თავისი გაიტანა და მამაჩემს ცოლად გაჰყვა. ახალდაქორწინებულებმა ერთი პატარა ოთახი იქირავეს. დედა მალევე დაფეხმძიმდა. მამაჩემი წელებზე ფეხს იდგამდა და ფეხმძიმე ცოლს არაფერს აკლებდა. მაგრამ მოულოდნელად დაიჭირეს და, ქარხნიდან რომელიღაც ძვირად ღირებული დანადგარის ნაწილების მოპარვისთვის, 3 წელი მიუსაჯეს. მამა სასამართლოზე ჯიუტად ირწმუნებოდა, წარმოდგენაც კი არ მაქვს, ეს ნაწილები ჩემს ჩანთაში როგორ აღმოჩნდაო, მაგრამ არავინ დაუჯერა.

მარტო დარჩენილ დედაჩემს მშობლებმა ქმართან განქორწინება და ბავშვის მოშორება მოსთხოვეს. მაგრამ დედამ არც ამჯერად ათხოვა მათ ყური და მალე ტყუპი ვაჟი გააჩინა. მშობიარობამ მძიმედ ჩაიარა. დედაჩემს უთხრეს, რომ ორივე ბავშვი სერიოზული ფიზიკური დეფექტებით დაიბადა და მათი გადარჩენა სათუო იქნებაო. დედამ ბავშვების სასწრაფოდ ნახვა მოითხოვა. მაგრამ მას ერთი (ის მე ვიყავი!) მიუყვანეს და უთხრეს, მეორე ამაზე უარეს დღეშია და ჯერ ვერ გაჩვენებთო. რამდენიმე დღის შემდეგ კი საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა მწუხარე სახით აუწყა, ორივე ბავშვი დაგეღუპაო. დედა დარდით ლოგინად ჩავარდა. რამდენიმე თვის შემდეგ ბებიაჩემმა ერთადერთი შვილის ტანჯვას ვეღარ გაუძლო და სიმართლე უთხრა. დედაჩემის ყველა უბედურების სათავე მამამისი, იგივე ბაბუაჩემი აღმოჩნდა. თურმე, მამაჩემიც მან ჩაასმევინა ციხეში, სამშობიაროს მთავარი ექიმიც მან მოისყიდა და დედაჩემისთვის საშინელი ტყუილი ათქმევინა. გამწარებული დედაჩემი მამამისს და სამშობიაროს მთავარ ექიმს დაემუქრა: შვილებს თუ არ დამიბრუნებთ, ორივეს ციხეში ამოგალპობთო. ისინიც მაშინვე დაფაცურდნენ, მაგრამ ჩვილ ბავშვთა სახლში, სადაც მე და ჩემი ძმა გაგვამწესეს, მე დავხვდი, ჩემი ძმა კი უკვე გაეშვილებინათ. დედაჩემმა მაშინ გაიგო, რომ ჩემგან განსხვავებით, ჩე-

მი ტყუპისცალი სრულიად ჯანმრთელი იყო. ამის შემდეგ რაც მოხდა, ველარ მოგიყვები. მარტო იმას გეტყვი, რომ მე არც ბებიაბაბუა და არც დედაჩემის სხვა რომელიმე ახლობელი თვალით არასდროს მინახავს. დედა სრულიად მარტო მზრდიდა. მამაჩემი ციხიდან გამოსვლის შემდეგ ცოლ-შვილს აღარ დაუბრუნდა. მალე კი ისევ ჩასვეს და მას შემდეგ ერთი ციხიდან მეორეში „მოგზაურობდა“. მახსოვს, ერთხელ, სამი-ოთხი წლის ვიქნებოდი, დედამ შუაღამისას გამაღვიძა და მითხრა, — შენი მამიკო მოვიდაო. მამაჩემი მაშინ პირველად და უკანასკნელად ვნახე. დედას კი თურმე, კიდევ რამდენჯერმე შეხვდა და ერთ-ერთი შეხვედრის დროს მუზეუმიდან მოპარული 2 ნივთი — ოქროს ყელსაბამი და ფარაონის სტატუეტი დაუტოვა: გაყიდე და თავი ირჩინეო. დედამ ყელსაბამი დაშალა და ნაწილ-ნაწილ გაყიდა (ეს ის ყელსაბამია, რომლის ნაწილებსაც ამდენ ხანს ვაგროვებდი), „ფარაონის“ გამოჩენის კი შეეშინდა და ბოლომდე შემოინახა. მინდა, ჩემი მშობლების ცოდვა გამოვისყიდო და ორივე ნივთი ისევ მუზეუმს დავუბრუნო.

დედაჩემმა ჩემი ტყუპისცალის კვალს ვერაფრით მიაგნო, მაგრამ გაიგო, რომ ნახევარძმაც მყავდა (მამაჩემს ბოლო შეხვედრისას უთქვამს მისთვის, ბათუმში ერთმა ქალმა შვილი გამიჩინა, რომელიც გაჭრილი ვაშლივით მგავს და ჩემი სახელი — სოსო ჰქვიაო) და შემომევედრა, ის მაინც მოძებნე, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ სულ მარტო არ დარჩეო.

სოსოს ბათუმში სულ კითხვაკითხვით მივაგენი და, ჩემდა გასახარად, კარგადაც მიმიღო. აი, თედო კი მართლა შემთხვევით აღმოვაჩინე პროფესორების ბაზრობაზე. დავინახე თუ არა, მაშინვე ყველა უჯრედით, სისხლის ყველა წვეთით ვიგრძენი, რომ ჩემი ნაწილი იყო, მაგრამ ჩემთან უკვე ცოდვებით დამძიმებული მოვიდა. თედოსთვის ხელმრუდობა ხშირად შემიმჩნევია, ვხვდებოდი, რომ კლიენტებს უჩემოდ ურიგდებოდა, ძველებური ნივთების ასლებს უმზადებდა და შემდეგ მათში აღებული ფულის წილშიც უჯდებოდა. ხომ გახსოვს, როგორ ვნერვიულობდი, გუგა ლაზიშვილმა მამამისის დამბაჩა დროზე რომ ვერ წაიღო. ვიცოდი, რომ თედო მასაც გაურიგდა და დამბაჩის ასლი დაამზადა, რომლის ორიგინალად გასაღებასაც ერთად აპირებდნენ...“

ამ სიტყვების შემდეგ ანდრომ კითხვა შეწყვიტა და ორდენიძეს გაოცებული მიაშტერდა:

— გესმის, შეფ, თურმე, რაები მომხდარა?

— მესმის, რომელია! სხვათა შორის, იარაჯული იოსებიძეს მუზეუმისთვისაც კი მოპარული ნივთების ასლების დაბრუნებას ურჩევდა, მაგრამ ვერ დაითანხმა.

— ესეც ამ წერილში წერია?

— კი. და ისიც, იოსებიძემ ის ნივთები თავის ნახევარძმასთან როგორ გადამალა, რომ იარაჯულს არ ჩავარდნოდა ხელში.

— ახლა რა უნდა ვქნათ?

— სასწრაფოდ უნდა მივიღოთ იარაჯულის ბინისა და აგარაკის ჩხრეკის ორდერი. დარწმუნებული ვარ, იქ ბევრ საინტერესოს აღმოვაჩენთ.

— მაგრამ თუ მკვლელობის იარაღი უკვე გაყიდა?

— არა მგონია, მაგრამ ასეც რომ იყოს, პასუხისმგებლობას მაინც ვერსად გაექცევა.

— რომ სცოდნოდა, ძმები იყვნენ, იქნებ იონა მაინც არ მოეკლა.

— რა იცი, რომ არ იცოდა?

— სხვათა შორის, უკვე დავადგინე, რომ იარაჯული ბათუმში, რომელიღაც ლიტერატურულ კონკურსზეა წასული.

— ბათუმში? — წამით ჩაფიქრდა ორდენიძე და შემდეგ მაგიდის უჯრიდან კონვერტი ამოიღო.

კონვერტში ორი მოსაწვევი და კიდევ რაღაც ფურცელი იდო. გამომძიებელმა ფურცელი გაშალა, ნაწერი სწრაფად წაიკითხა და მაშინვე სახე მოეღუშა:

— ასეც ვიცოდი.

— რა იცოდი? — ერთი მოსაწვევი თავისკენ მიაჩოჩა ლეკიშვილმაც. — ეს ხომ იმ უაზრო კონკურსის მოსაწვევია.

— მოსაწვევს შეეშვი და ამ ფურცელს დახედე. როგორ შევცდი, რომ მაშინვე არ წავიკითხე. მასზე კონკურსის ორგანიზატორის ვინაობა და ჟიურის წევრების სიაა მითითებული.

— მერე?

— კონკურსის ორგანიზატორი იოსებიძის ნახევარძმა — სოსო ცეცხლაძეა, ჟიურის წევრებში კი ამ საქმეზე დაკითხულთა უმეტესობა, მათ შორის, თედო იარაჯულიც შედის. ანუ ცეცხლაძემ უკვე ყველა იმ ადამიანის ვინაობა იცის, ვისაც შეიძლება, იონას მკვლელობასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს.

— მაშინ გამოდის, რომ მათთვის ხაფანგი აქვს დაგებული...

— და ჩვენს ჩასვლას ელოდება.

— წავიდეთ მერე, რაღას ვუცდით? — დაფაცურდა ლეკიშვილი. — თორემ რა იცი, უჩვენოდ რა მოხდება?

— ბათუმში მარტო წავალ, შენ კი ორდერს აიღებ, იარაჯულთან ჩხრეკას ჩაატარებ და შედეგს ტელეფონით მომახსენებ.

— როგორც ყოველთვის, ხომ, შეფ?

— არ მესმის, რას გულისხმობ? — თავი მოიკატუნა ორდენიძემ.

— იმას, რომ მე ორდერის ასაღებად წავბრძანდები, შენ კი...

კონკურსანტების დაჯილდოებამ ყოველგვარი ექსცესის გარეშე ჩაიარა და მთავარ გამარჯვებულ თემო სხიერელს ჯილდო თავად კონკურსის საპატიო სტუმარმა — ოთარ ორდენიძემ გადასცა. ერთმანეთის გვერდით მჯდარი სოსო ცეცხლაძე და თედო იარაჯული კი მათ ტაშს ღიმილით უკრავდნენ. დარბაზშიც საერთო აღფრთოვანება და მხიარულება სუფევდა, მაგრამ უცბად ორდენიძეს ვიღაცამ ტელეფონზე დაურეკა. ამის კვალდაკვალ საკონფერენციო დარბაზის კარიც ხმაურით გაიღო და 2 პოლიციელი შემოვიდა. მათ პირდაპირ ჟიურის წევრებისკენ აიღეს გეზი და თედო იარაჯულის წინ შედგნენ...

სასტუმროდან გამოსულ კმაყოფილ ორდენიძეს კართან თემო სხიერელი და ლალი დახვდნენ.

— ბატონო ოთარ, იქნებ ჟურნალისტებისთვისაც მოიცალოთ... — დაიწყო სხიერელმა.

— მაინც რამ შეგაწუხათ? — თვალები ეშმაკურად მოწკურა გამომძიებელმა.

— კონკურსზე მომხდარი ამბების შესახებ თქვენი აზრი გვაინტერესებს, — სასწრაფოდ ჩაერთო საუბარში ლალი.

— კონკურსზე დადებითი აზრი მაქვს, — მოწყალედ გაუღიმა გოგონას გამომძიებელმა და შემდეგ სხიერელს მიუბრუნდა: — ხოლო თუ მავანს და მავანს თავისი მომავალი რომანებისთვის ოდესმე მძაფრი სიუჟეტი შემოაკლდება, შეუძლია, განყოფილებაში შემომიაროს...

**დასასრული**




დასაწყისი იხ. გზა №23-29

ლადოს თვალებში თითქოს რაღაც ჯიბრის მაგვარმა გაირბინა. ეს არ მომეწონა. საით უმიზნებს? რა ჩაიფიქრა? რაში მიყენებს? კითხვები ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებოდა, დაფიქრების დრო კი არ მქონდა. არადა, ისეთ პირობას მთავაზობდა, ტყვეობაში წარმოვიდგინე თავი.

— მაგრამ... — გადავწყვიტე, საკუთარი ინტერესები დამეცვა.

— არავითარი მაგრამ! — უხეშად გამაწყვეტინა. — ანაზღაურება ისეთი გექნება, უკეთესს ვერ ინატრებ. რამე თუ დაგჭირდება, ლევანი გამუდმებით შენ გვერდით იქნება, გასეირნების დროსაც კი.

— როგორც ბადრაგი, არა? — ახლა კი ველარ მოვითმინე, მაგრამ მოულოდნელად ისე აენთო თვალები „დემონს“, რომ მაშინვე დათმობა გადავწყვიტე, — კარგი, დავფიქრდები... ხომ მაქვს უფლება, მოვიფიქრო?

ირონიულად ჩაიცინა.

— რამე ვთქვი სასაცილო? — გამაღიზიანა მისმა უადგილო ჩაცინებამ.

— შენს ნათქვამზე არა, შენს საქციელზე გამეცინა.

— რომელ საქციელზე? — შევიშმუშნე, ვერ მივხვდი, ასეთი რა ჩავიდინე.

— როგორც კი გიხსენე, კარგი ანაზღაურება გექნება-მეთქი, ეგრევე დათანხმდი.

— მართლა? რაღაც არ შემინიშნავს... — ამრეზით გავხედე, — მგონი, ჯერ თანხმობა არ მითქვამს...

— მაგრამ იტყვი... ხვალვე! — თავდაჯერებულად მომიგო და გამარჯვებული მზერა მესროლა.

— ვნახოთ! — ახლა ჩემი ნათქვამი გაისმა ჯიბრიანად. მის ტონს წონასწორობიდან გამოვყავდი.

— ვნახოთ... ისე, არ გაინტერესებს, რამდენს გთავაზობ?

— არა, არ მაინტერესებს, — უდარდელად ავიჩეჩე მხრები, — თქვენმა მზრუნველობამ ვასიკოს მიმართ ისე ამიჩუყა გული, დარწმუნებული ვარ, უკმაყოფილოს არ დამტოვებთ, — სარკასტული ღიმილით დავამატე და ნიშნის მოგებით შევღიმე.

მის თვალებში კვლავ გაკრთა მრისხანების ნაპერწკალი და ვინანე, რომ ახლაც ვერ შევიკავე თავი.

— მე გირჩევ, ენას კბილი დააჭირო, ან-ნა, — ჩემს სახელს მახვილი დაასვა, — თორემ უსიამოვნებები არ აგცდება, იცოდე!.. სერიოზული უსიამოვნებები... და კიდევ: შენი სამუშაო დღე 7 საათზე დამთავრდება. მერე სხვა მიხედავს მას. ახლა დროა, შენი მოთხოვნები გამაცნო!

მან უკვე ისეთი კაბალური პირობები წამომიყენა, შემეშინდა კიდეც, რამე შეღავათზე მელაპარაკა. ვიფიქრე, არაფერს დამითმობს-მეთქი. ამიტომ ერთხანს გავჩუმდი, რომ სათქმელი კარგად მომეფიქრებინა. თანაც, ვიცოდი, რომ ვასიკოს მართლა ვჭირდებოდი. ამაში ისევე ვიყავი დარწმუნებული, როგორც იმაში, რომ მზე აღმოსავლეთიდან ამოდის და დასავლეთით ჩადის. ცოტაოდენი პაუზის შემდეგ ჩამოვარაკრაკე.

— ბატონო ლადო, თქვენი წინადადება ერთობ მაცდუნებელია ისეთი ადამიანისთვის, ვისაც სხვა არაფერი აქვს საქმე, მაგრამ მე დაკავებული ქალი ვარ. მაქვს კარგი სამსახური, ბევრი თავისუფალი დრო, ამასთან, მიყვარს ჩემი სამუშაო... ამიტომ მინდა ისიც შევინარჩუნო. ჯერ ხომ არ ვიცი, როგორ შევეგუები ახალ მდგომარეობას. ამიტომ კვირაში ორი დღე თავიდან ბოლომდე ჩემი უნდა იყოს. ამას კატეგორიულად მოვითხოვ.

— კვირაში ორი დღე? ეს ბევრია!

— არა, რატომ? შაბათ-კვირას ბავშვს სწავლა არ ექნება და მე ისედაც თავისუფალი ვიქნები, ასე არ არის?

— შენ რა, შაბათ-კვირასაც მუშაობ? — გაკვირვებულმა შემომხედა.

— ვმუშაობ, თქვენ წარმოიდგინეთ.

— და შაბათ-კვირას მთხოვ?

— არა, შაბათ-კვირას არა. ან შაბათს, ან კვირას და კიდევ ერთ დღეს შუა კვირაში. ერთი დღე ხომ მეც მჭირდება, რათა ადამიანურად დავისვენო.

— რატომ, საყვარელი გყავს?

ისე გავბრაზდი, წამიერად სიწითლემ გადამირბინა სახეზე, მაგრამ არ შევიმჩნიე.

— ჩემს პირად ცხოვრებაზე არ მინდა ლაპარაკი. მგონი, მაქვს ამის



უფლება, — რაც შეიძლებოდა, დელიკატურად ვუპასუხე.

— ჰო, მართალი ხარ. უკაცრავად... უბრალოდ, მინდა ერთი რამ გითხრა...

— არა, ჯერ მე დავამთავრებ სათქმელს. კიდევ ერთი დეტალი და მერე მოგისმენთ, თუ შეიძლება.

— ბრძანე!

— თუ არ მომეწონება თქვენთან და ვიგრძნობ, რომ ვერ გეგუებით, იმედია, წამოსვლისას არ დამაბამთ და შეთანხმების მშვიდად გაწყვეტის საშუალებას მომცემთ.

— მოგეწონება, ამას გპირდები.

— ვითომ?

— სულ ეს არის? — ჩემს ეჭვნარევ „ვითომს“ ყურადღება არ მიაქცია.

— არა, სულ ეს არ არის, — გავლიზიანდი, — მე არ ვიცი, ხვალ და ზეგ როგორ შეიცვლება ჩემი ცხოვრება, ამიტომ წინასწარ ვერ გეტყვით, რამდენ ხანს დავრჩები თქვენს „სამსახურში“, — ბოლო სიტყვა განსაკუთრებული ირონიულობით წარმოვთქვი.

— მდააა... ბევრი საიდუმლო გაქვს, ანა? — თვალი თვალში გამიყარა.

— ვფიქრობ, ჩემს ბიოგრაფიაში ჩახედვა თქვენთვის დიდად საინტერესო არ იქნება.

— შეიძლება ჰო, შეიძლება — არა, — შეფიქრიანებულმა ჩაილაპარაკა, — ვხედავ, იმაზე ჭკვიანი ყოფილხარ, ვიდრე მეგონა.

— ჰო, არც მთლად სულელი ვარ.

— მე ეს არ მითქვამს.

— მაგრამ გაიფიქრეთ, — არ დავუთმე, — მაშ ასე, თანახმა ხართ?

— ნაწილობრივ.

— ეგ როგორ გავიგო?

— კვირაში ერთ დღეს გაძლევ და თავად აირჩიე — ან შაბათი, ან კვირა. სხვა დღეებში მჭირდები.

— შაბათ-კვირას ისედაც...

— არავითარი ისედაც! — უხეშად გამაწყვეტინა, — მე შენ 2.000 ლარს გიხდი, ამიტომ შეიძლება ხანდახან დასვენების დღეებშიც დამჭირდე! — დაზეპირებულივით მომაყარა, ალბათ მეტი ეფექტის მოსახდენად. და მოახდინა კიდეც. თანხა მართლაც ისეთი მაცდუნებელი იყო, ენა ჩამივარდა. გაოცების დამალვა ვერ მოვახერხე.

— ან შაბათი, ან კვირა, — მან არ შეიმჩნია, რაც მე შემამჩნია და დაჟინებით მოითხოვა, გადაწყვეტილება მიმელო.

ჯანი გავარდეს! რაც იქნება, იქნება. ამხელა ფულს, ხუთ ადგილას რომ მემუშავა, ვერ მივიღებდი. ღირდა დაფიქრება, თანაც ნინოსგან წამოსვლას ისედაც ვაპირებდი.

— ველოდები შენს საბოლოო პასუხს, — ხმაში მოუთმენლობა დაეტყო.

— იცით... მე... ასე ხელაღებით ვერ წამოვალ სამსახურიდან.

— სამსახურიდან? — ბოროტად ჩაიცინა. — რომელი სამსახურიდან? გინდა, შენი დოსიე გადმოგილაგო ახლავე, ამწუთას?

— მართლა? ძალიან საინტერესოა, რა იცით ჩემზე. მითხარით, აბა?!

— შენ რასაც აკეთებ, იმას სამსახური არ ჰქვია, ამიტომ ნუღარ მალაპარაკებ, გასაგებია? ჯობია, ჩემს წინადადებაზე იფიქრო. შევთანხმდით?

მისმა სიტყვებმა სული გამიმწარა. როგორც ჩანს, მართლა იცოდა რაღაცები ჩემ შესახებ. ნეტავ საიდან გაიგო?

— მერედა, არ გეშინიათ, ჩემმა ბნელმა წარსულმა ცუდი კვალი რომ დატოვოს თქვენს ცხოვრებაზე?

— არც ისეთი ბნელი წარსული გაქვს, გოგონი! — თითქოს დამამშვიდა, — ყოველ შემთხვევაში, სამარცხვინო არაფერია იმაში, რომ დამლაგებლად მუშაობ. ასე რომ... — ხელები გაშალა და გამომცდელად შემომხედა.

— ერთ კვირაში გეტყვით, კარგი? — საბოლოოდ დავნებდი, წინააღმდეგობის გაწევის ძალა უკვე აღარ შემწევდა.

— ბევრია ერთი კვირა.

— აბა რა, ახლავე გითხრათ?

— ხვალ.

— კარგი, რამეს მოვიფიქრებ, — ამწუთას ყველაფერზე თანახმა ვიყავი, ოღონდ კი თავიდან მომეშორებინა.

— ხვალამდე, ანა, — თავი დამიკრა და გამეცალა.

კიდევ კარგი, წავიდა. როგორც იქნა, მოვეშვი. წინ მთელი ღამე მაქვს, კარგად მოვიფიქრებ, დავალაგებ აზრებს და რაღაცას გადავწყვეტ. მაინც არ გავაკეთებ ისე, რომ მან მხოლოდ თავისი გაიტანოს. ცოტა რამ მაინც უნდა დათმოს, თუნდაც სულ მცირე. მე ხომ უკიდურესად პრინციპული ვარ...

მთელი ღამე ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი. საშკა არ მოვიდა. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ გადაუარა გაბრაზებამ. მისმა ჭირვეულობამ ცალკე მომიღო ბოლო, პატარა ბავშვივით იქცეოდა. არადა, როგორ მჭირდებოდა ახლა, ამწუთას! მინდოდა, რჩევა მეკითხა მისთვის. იქნებ ისეთი რამ ეთქვა, რომ გამომდგომოდა. არც ერთხელ არ დავუჯერე და აი, რა შარში გავყავი თავი... უკვე მერამდენედ! ის მაშინაც მართალი გამოდგა, როცა მეუბნებოდა, დედაშენთან ურთიერთობის გარკვევას თავი დაანებეო... და მერეც, როცა მითხრა, ვასიკო არ შეიჩვიოო. ორივეჯერ მე დავრჩი წაგებული და სანერვიულო მომემატა, ორივეგან დაძაბული მქონდა სიტუაცია და საშკასთანაც ვაფუჭებდი ურთიერთობას ამ იდუმალი ამბების გამო.

რას ვიზამდი, „დამოუკიდებლად“ უნდა მეფიქრა და გადაწყვეტილებაც მარტოს უნდა მიმეღო. მაშ ასე: დავუშვათ, დავთანხმდი „დემონის“ შემოთავაზებას. ურიგო არ არის, თუკი თვეში ამხელა ხელფასი მექნება. ფულს დავაგროვებ და ბოლოს და ბოლოს, საკუთარ მცირე ბიზნესს წამოვიწყებ. სხვაზე ნაკლებად არ მიჭრის ჭკუა-გონება, მაგრამ დედაჩემს რა ვუყო? რა და, უნდა დავაჩქარო მოვლენები. აი, ხვალ დილით მივალ მასთან და როგორც კი რამეზე დამიძახებს, ეგრევე მივახლი პირში ჩემს სათქმელს. ვნახოთ ერთი, რას მეტყვის.

მთელი ღამე ვწრიალებდი საწოლში. ვერა და ვერ დავიძინე. უკვე თენდებოდა, თვალი რომ მივხუჭე.

დილით ფართხაფურთხით გავვარდი სახლიდან, თან მთელი გზა ჩემთვის ვლაპარაკობდი და სათქმელს თავს ვუყრიდი, რომ არ დავბნეულიყავი, როცა ქალბატონ ნინოს ყველაფერს გადმოვულაგებდი.

კარი ნანამ გამიღო და ისეთი სიხარულით მიმიღო, თითქოს დიდი ხნის მეგობრები ვყოფილიყავით. არ მესიამოვნა, ნახევარდა რომ დამხვდა. ასე უფრო გამიძნელდებოდა ჩანაფიქრის განხორციელება. რამდენ ხანს დარჩებოდა, არ ვიცოდი. ნირი წამიხდა, მაგრამ რა ჩარა იყო. უგუნებობა მოვიმიზეზე და სწრაფად შევუდექი სახლის დალაგებას, რომ შუადღემდე მომესწრო, მერე ლადოსთან უნდა გავქცეულიყავი პასუხის სათქმელად. ეს პასუხი კი იმაზე იყო დამოკიდებული, აქ როგორ განვითარდებოდა მოვლენები.

მოულოდნელად ისე მოიღრუბლა, რომ ერთიანად ჩამობნელდა. მერე ატყდა საშინელი გრუხუნი, მერე გაიელვა და კოკისპირულმა წვიმამაც დასცხო. ყველაფერ ამას ისიც დაემატა, რომ შუქი ჩაქრა. თითქოს ამინდიც ჩემს განწყობილებაზე იყო...

ჰოლს ვგვიდი, ამ დროს კარი გაიღო და ვიღაც შემოვიდა. ჩამობნელებულ ოთახში ვერ გავარჩიე, ვინ იყო.

— ნანა? — მომესმა ნაცნობი ხმა, ნუკრი ყოფილა.

— აჰ, გამარჯობა, ნუკრი, — დაბნეული წელში გავიმართე და ოფლი-

ანი შუბლი ხელის ზურგით მოვიწმინდე, — ანა ვარ.

— ანა... როგორ ხარ? — შევატყვე, რომ სევდიანი ხმა ჰქონდა, თითქოს გაბზარულიც.

— გმადლობ... არა მიშავს.

— ნანაში შემეშალე. რაღაცნაირად ჰგავხართ ერთმანეთს, განსაკუთრებით სიარულში, — გაიცინა.

მის სიტყვებზე ჟრუანტელმა დამიარა.

— ნანა მაღლაა, დედათქვენთან.

— ძალიანაც კარგი. სიმართლე გითხრა, მე შენი ნახვა უფრო მინდოდა.

ამის გაგონებაზე გულმა ბაგაბუგი ამიტეხა. რატომ სურს ამ სრულყოფილებას ჩემი ნახვა? ამქვეყნად ათასობით მოიძებნება ჩემზე ბევრად საინტერესო ქალი, მე რატომ ამომიჩემა? ნუუუ, ათასობით თუ არა, ათობით მაინც, „შევასწორე“ ფიქრებში ციფრები... და ზუსტად ვიცი, რომ მათ ნაკლებობას არ განიცდის ეს გოგოსავით ლამაზი ქმნილება. განსაკუთრებით მაშინ, როცა სწორედ ასე უყურებს მათ, როგორც ახლა მე მომჩერებია. ცოტა არ იყოს, ავნერვიულდი და უსიამოვნო შეგრძნება დამეუფლა. ნამდვილად არ მინდოდა, ჩემს ნახევარძმას სიყვარული აეხსნა ჩემთვის.

ის უეცრად ჩემკენ დაიხარა და სახე ახლოს მომიტანა თვალებთან.

— ნუკრი, — შეშფოთებულმა დავიჩურჩულე.

— ამ დღეებში მივემგზავრები, იცი? ლონდონში მივდივარ.

— ლონდონში? — ისე გახარებულმა წარმოვთქვი, თითქოს დიდი ხნის ნატვრა შემსრულებოდეს, თვითონაც კი გააკვირვა ჩემი ხმის ინტონაციამ.

— ჰო. შენც გაგიხარდა? რატომ?

— არა... ჰო... რატომ უნდა მწყენოდა? — დავიბენი. — უფრო სწორად, რატომ მიდიხარ? დიდი ხნით? — ჩემდა უნებურად, თავისით მოდიოდა შეკითხვები.

— ცოტა ხნით გავერიდები აქაურობას. არანაირი პერსპექტივა აქ არ მეჩითება. იქ მეტი გასაქანია. თან ვისწავლი, თან ვიმუშავებ... რაღაცას ვიზამ. ჩემი ბიძაშვილი შემპირდა დახმარებას, დიდი ხანია, იქ ცხოვრობს, მხატვარია.

— მიხარია... ძალიან კარგი ამბავია, — ავლუღლუღდი.

— შენთან კი ერთი თხოვნა მაქვს, — იდუმალი ტონით დაამატა.

— მითხარი, — გაჭირვებით ამოვთქვი, რადგან მან ჩემი ხელი აიღო და გულზე მიიხუტა.

— დედაჩემს მიხედე, კარგი? ამათი იმედი არ მაქვს... არც ერთის... შენი იმედი მაქვს მხოლოდ. არ ვიცი, რატომ ვამბობ ამას, მაგრამ ვგრძნობ, რომ შენ მას არაფერს დააკლებ. ნანაც და ტასოც ისე ექცევიან, როგორც დასჯილ ადამიანს, სულ შენიშვნებს აძლევენ, ტუქსავენ... ის კი ავადაა, გესმის? სითბო და მზრუნველობა სჭირდება. არა, მზრუნველობას არც ესენი აკლებენ, მაგრამ... შენ გამიგებ, ვიცი. მიხვდები, რისი თქმაც მინდა. ჩემთვის გააკეთე ეს, გთხოვ. შენ არ ხარ უპასუხისმგებლო, ამას ძალიან კარგად ვხედავ და ეს არის ჩემთვის მთავარი. შემისრულებ ამ თხოვნას? ჩემი ერთადერთი იმედი შენ ხარ.



ისე მემუდარებოდა, რომ მეტყველების უნარი დავკარგე. ძალაგამოცლილი კედელს მივეყრდენი და ვიგრძენი, კედლიდან გადმოსული სიცივე როგორ გადმოვიდა ჩემს ზურგზე... მუხლები მომეკვეთა და ნელნელა ძირს ჩაცურება დავიწყე. ნუკრი შეშფოთდა.

— ანა... რამე ისეთი გითხარი? გაწყენინე? მითხარი, რამე გეწყინა?

„არა, პირიქით, აღფრთოვანებული ვარ შენით“, — გავიფიქრე გაბრაზებულმა. რატომ მაინცდამაინც მე? რას ხედავენ ეს კაცები ჩემში ასეთს? იქით ლადო გადამეკიდა, ვასიკოზე იზრუნეო, აქეთ ეს! რა, დედა ტერეზა ვარ?

იმედიო... სულაც არ მინდა, იმედი ვიყო. მე მინდა ნაზი ვიყო, მგრძნობიარე, სექსუალური, თავბრუდამხვევი... ღმერთო, რა სისულელეებს ვროშავ?

— მეორედ არ მიწოდო იმედი, იცოდე! — ხმადაბლა, მაგრამ მუქარის ტონით წარმოვთქვი. არ ვიცი, რა მეტაკა... არც ის ვიცი, რამ გამაწბილა ასე... ვითომ სხვა რამეს ველოდი მისგან და იმედი გამიცრუვდა? ისევ იმედი... რა გახდა ეს სიტყვა ასეთი?

ვხედავდი, თანდათან როგორ უფართოვდებოდა თვალები. ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ჩემი რეაქცია. შემდეგ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, თავი გვერდზე გადახარა და შემომხედა.

ის-ის იყო, რაღაცის თქმა დააპირა, რომ ნანას ხმა გაისმა.

— ანა! დედას ჩაი მოუმზადე, რაა?! — ძალიან, ძალიან შინაურულად გამომძახა, როგორ დას შეუძლია დას უთხრას და არა როგორც მოსამსახურეს.

მისმა ხმამ გამომაფხიზლა და ახლაღა გავიაზრე, რა სისულელეც ჩავიდინე. როგორ შემრცხვა... რა მინდოდა? რას ვერჩოდი ამ ბიჭს? თავი ჩავღუნე და ჰოლიდან გავვარდი. სამზარეულოში შევედი, ჩაის მომზადებას გამალებით შევუდექი, თან თვალი და ყური კარისკენ მქონდა, მეგონა, ნუკრი უკან გამომეკიდებოდა. ჩემი ვარაუდი არ გამართლდა.

მორჩა! ახლა უკვე მტკიცედ გადავწყვიტე, დღესვე მომეღო ამ ყოფისთვის ბოლო. აი, ახლა მივუტან ჩაის და ყველაფერს ვეტყვი. არ მაინტერესებს, ნანა იქ დამხვდება თუ არა! ჩემთვის სულერთია! ახლა უკვე აღარაფერს არა აქვს მნიშვნელობა. თუ აქ სამსახურს დავკარგავ, იქ, ლადოსთან, უკეთესი მელოდება და სანერვიულოც, იმედია, ნაკლები მექნება.

მესმოდა, ჭიშკართან როგორ დაიძრა მანქანა. და-ძმა ერთად წავიდა, თან ისე, რომ არც ერთი დამემშვიდობა და არც მეორე. მერე რა? არც ერთი იყო ვალდებული და არც მეორე. ბოლოს და ბოლოს, მე მათთვის მართლაც მოსამსახურე ვარ და მეტი არავინ. უფრო მეტიც — მოსამსახურე კი არა, დამლაგებელი!

ერთხანს წინ და უკან დაბნეული დავბორიალებდი. ვცდილობდი მომეფიქრებინა, საიდან დამეწყო. წუხანდელი დალაგებული აზრები სადღაც გამებნა. ჯერ თავის შვილებზე ხომ არ ვკითხო? როდის დაიბადნენ, სად... როგორები იყვნენ ბავშვობაში — დამჯერნი თუ ურჩნი? თუ პირდაპირ მივახალო, რამდენი შვილი გყავთ მეთქი? ჰო, მგონი, ასე აჯობებს. ეს მომცემს საშუალებას, მერე ჩემზეც ვალაპარაკო.

არადა, რომ შევუვარდე ახლა და ვიყვირო: „სიურპრიზი! მე თქვენი ქალიშვილი ვარ, ქალბატონო ნინო! იცოდით ე-ეს? ის ჩვილი გოგონა, თქვენ რომ გააშვილეთ 29 წლის წინ!“

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# გზავნილები

## როცა ოჯახის უფროსი ქალია

*მარი ჯაფარიძე*

**გამარჯობა. როგორც ჩანს, თემა არ მოგეწონათ, რადგან მესიჯი ბლომად მივიღე, მაგრამ თემას სულ რამდენიმე პასუხობდა. მკითხველთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილებიდან ვიცი, რომ მხოლოდ ის თემები გაღელვებთ, რომელიც სიყვარულთან ან მეგობრობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ მაგის გარდა ხომ უამრავ რამეზე შეიძლება ლაპარაკი? მოკლედ, გავითვალისწინებ თქვენს გემოვნებას და მომავალი ნომრისთვის ისეთ თემას შევარჩევ, რომელიც მოგწონთ. ახლა კი ამ კვირის მესიჯებს გაეცანით.**

### დაგვიანებული სინანული

„ერთმა ყმაწვილკაცმა ოჯახის შექმნა გადაწყვიტა და პაპას დაეკითხა, ოჯახში ქალი უნდა იყოს უფროსი თუ კაციო? პაპამ უთხრა, წაიყვანე 50 ფრთა ქათამი, იმავე რაოდენობის ცხენი, დაიარე ოჯახები და სადაც ქალი იყოს უფროსი, ქათამი დატოვე, სადაც კაცი — ცხენიო. ბიჭმა დაუჯერა. ვისთანაც მივიდა, ყველგან ქათამი დატოვა. ერთ ოჯახში კაცმა უთხრა, მე ვარ უფროსიო. ბიჭს გაუხარდა და უთხრა, რომელი ცხენიც გინდა, დაიტოვეო. კაცმა შავი ცხენი აირჩია. უცებ, ცოლმა თავისკენ იხმო და რაღაც უთხრა. იყოს, იყოს, თეთრი ცხენი მირჩევნიაო, წამსვე შეიცვალა აზრი კაცმა... ახლა რაც შეეხება ამბავს, თემასთან დაკავშირებით: ჩემი ნათესავი მეუბნებოდა ხოლმე, ჩემს მეზობლად ერთი ოჯახი ცხოვრობს, ცოლ-ქმარი სულ ჩხუბობს და მთელი სამეზობლო ქალს ვაკავებთ, ქმარს რომ არ დაარტყასო. მე, რა თქმა უნდა, ეს სიტყვები გადამეტებულად და გაზვიადებულად მეჩვენებოდა. ამას წინათ კი ქალბატონი ნარგიზის გაკავების პროცესს მე თვითონ შევესწარი. ნარგიზი 20 წლის იყო, როცა ერთ სოფლელ ბიჭს, გენოს გაჰყვა ცოლად. გოგო მძიმე ხასიათის აღმოჩნდა და მას შემდეგ ქმრის უხეირო ბოდიალს ბოლო მოეღო. როგორც ხდება ხოლმე, გენოს საძმაკაცო დასცინოდა, ცოლის ჭკუაზე დადიხარო, ასეო, ისეო და გულმოსული გენო ცოლს ერთ ამბავს აწევდა, მაგრამ ჩხუბი მისი კრახითა და ნარგიზას სასარგებლოდ მთავრდებოდა. რომ ვერაფერს გახდა, ფარ-ხმალი დაყარა... წლებიც გავიდა და თავის ყოფასაც შეეგუა. ამასობაში ნარგიზამ სახლი გაარემონტა, მუშებიც თავად დაიქირავა და ყველაფერი ისე გააკეთა, ბევრი კაცი ვერ შეძლებდა. გენოს, ცოლისგან მალულად, ძმაკაცმა დახმარება სთხოვა, რომელიც უცხოეთში აპირებდა წასვლას — ბებიაჩემს მიხედე და სახლს შენ გადმოგიფორმებ, ხვალ ორ კაცს გამოგიგზავნი და ისინი მოაგვარებენ ყველაფერსო. გენო გახარებული წამოვიდა შინ. ბევრი იფიქრა, ცოლი როგორ მოეშორებინა თავიდან და ბოლოს მოატყუა, ჩვენს ნათესავებთან ვიყავით გუშინ და შენთან დამაბარა, ამოვიდეს, რაღაცები მაქვს მისთვის და გავატანოო. ნარგიზამ ქოქოლა დააყარა, თუ რამეს გატანდა, შენ ვერ წამოიღეო? მაგრამ მერე მეორე დღესვე, დილაუთენია გავარდა სახლიდან და გენომაც ამოისუნთქა. შიშის კანკალით მიიღო სტუმრები, ვაითუ ნარგიზი უკან დაბრუნდესო. ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ, მართლაც დაადგა ნარგიზი თავზე და რა თქმა უნდა, საქმე ჩააფლავა — შენ რომ ახლა იქ გადახვიდე საცხოვრებლად, დალევას დაიწყებ და გალოთდები, სახლში დაეტიე და ვენახს მიხედეო, — მიუგო ნირწამხდარ გენოს, რომელსაც სირცხვილისგან თავი მაღლა ვერ აეწია. მერე დაფიქრდა და ინანა ნარგიზამ, ეს რა საქმე გავუშვი ხელიდან, სახლი ხომ შემრჩებოდაო, მაგრამ რაღა დროს? აი, ასე ხდება, როცა ოჯახის უფროსი ქალია... ლუნა“.

### შიში და კანკალი

„თემამ ერთი ამბავი გამახსენა: ჩვენს მეზობლად (ბებიასთან) ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. კაცი ყველას უყვარდა, ერთი უთქმელი და საწყალი კაცი იყო. სამაგიეროდ, ცოლი ჰყავდა ისეთი, შემთხვევით ქალად დაბადებულს რომ ეძახიან. ჰოდა, ამ ქალმა ჯერ იყო და სრულიად ჯანმრთელი დედამთილი ხომ უდროოდ გაისტუმრა იმ ქვეყნად (ვერ გაუძლო იმ საწყალმა რძლის ავ ხასიათს ალბათ)... მამამთილი „წინასწარ“ გარდაიცვალა, რომ გაიგო, ეს მოჰყავდათ რძლად და შემდეგ სრული მონოპოლია ქმარ-შვილზეც გაავრცელა. ყოველთვის ყველაფერი ისე უნდა ყოფილიყო, როგორც მას სურდა, როგორც ხდება ხოლმე, როცა ოჯახში ქალი უფროსობს. მაშინ არც ისე დიდი ვიყავი და ბევრ რამეს ვერ ვხვდებოდი, მაგრამ მერე თანდათან გონება გამინათდა. ერთ საღამოს მე და ჩემი მამიდაშვილი მამიდაჩემმა წაგვიყვანა ამ ქალის ოჯახში. სახლში ერთი სავარძელი ჰქონდათ, რომელიც მეც და ჩემს მამიდაშვილსაც ძალიან გვიყვარდა, ამიტომ შესვლისთანავე ორივე იმ სავარძლისკენ გავიქეცით და რადგან ორივემ ერთდროულად მივირბინეთ, ერთად ჩავეკვეხეთ კიდეც. კარგა ხანს არავის შევუნიშნივართ, მაგრამ მისი შვილი რომ მოვიდა და შარვალი და პიჯაკი მოიკითხა, იქ ამბავი ატყდაა!.. აღმოჩნდა, რომ სწორედ იმ სავარძელზე იდო მისი ტანისამოსი. მთავარი კი ის იყო, რომ ყველაზე მეტად ამ კაცმა შეიცხადა: — ეს რა მიქენით, ბავ-

შვებო, ძლივს დავაუთოეო. — თავიდან გვეგონა, მოგვესმა, მაგრამ ცოლმა რომ უთხრა, — არა უშავს, ხვალამდე კიდევ მოასწრებ დაუთოებასო, მაშინ კი ვიცინეთ გულიანად (ამ კაცის სახე არ დამავიწყდება არასდროს). შერცხვა საწყალს მეზობლების, მაგრამ ცოლსაც რომ ვერ ეწინააღმდეგებოდა? ერთ დღეს კიდევ სახლში მივდიოდით ფეხით და ეს კაცი წამოგვეწია ტაქსით. გააჩერა და გადმოვიდა. თავიდან ვიფიქრეთ, ალბათ ჩვენ რომ დაგვინახა, იმიტომ გადმოვიდაო (სახლამდე კიდევ დიდი მანძილი იყო დარჩენილი), მაგრამ მამიდაჩემმა რომ უთხრა, — წასულიყავი, ჩვენ გამო რატომ გადმოხვედიო, მაშინ კი აღიარა ამ კაცმა დარცხვენით: — მაგიტომ კი არ გადმოვედი, ჩემს ცოლს რომ დავენახე სახლში ტაქსით მივედი, ხომ იცი, მომკლავდაო. თან შეგვეხვეწა, ჩემს ცოლთან არ წამოგცდეთო. კიდევ რამდენს ითმენდა ის საწყალი, ვინ იცის... და ბოლოს, ამ თემასთან დაკავშირებით ერთი სადღეგრძელო რომ არ ვთქვა, არ შემიძლია: ამ ლუდის კათხით ყველა იმ კაცს გაუმარჯოს, ცოლი რომ „პოლიჯოხით" საცემრად გამოეკიდება, ის საწოლის ქვეშ შეძვრება, ცოლი ეტყვის, გამოდიო და ეს უპასუხებს, ოჯახში მე ვარ უფროსი და როცა მინდა, მაშინ გამოვალო. შოკოლადა".

## ვირტუალური ტყუილები

„რადგან დღეს აქტუალურია ვირტუალური სიყვარული, მინდა, მეც მოგიყვეთ ერთ ამბავს: მოწყენილობისგან რომ დავიღალე, გადავწყვიტე, ინტერნეტში მეძრომიალა. ისე მოხდა, რომ საკმაოდ ბევრმა უცხო ადამიანმა მომწერა. ზოგი ამბობდა, რომ ჩემი გარეგნობით მოიხიბლა, ზოგი აზროვნებასა და მსჯელობას მიქებდა. სასაცილოდ არ მეყო მათი აქტიურობა... ზოგმა თქვა, რომ ჩემმა უცნაურობამ მიიპყრო მათი ყურადღება... ალბათ ჩემი უსაქმურობის ბრალია და გადავწყვიტე, საუბარზე არავისთვის მეთქვა უარი და კიდევ ერთხელ დამემტკიცებინა, რომ მართლაც ყველა კაცი თითქმის ერთნაირია. ავარჩიე სხვადასხვა ასაკის მამაკაცი... „აზრიანები" და „უაზროები" განვაცალკევე და დავიწყე პროფესორობა... რა თქმა უნდა, მათზე დაკვირვებას დრო უნდა... დაახლოებით იანვრის თვე იყო... 1 თვის განმავლობაში ინტერნეტის საშუალებით ვსაუბრობდით... 30 წლის მამაკაცმა ისურვა, პირადად გვენახა ერთმანეთი და უკეთ გავცნობოდით... რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი, ათასი მიზეზი მოვიგონე... რამდენიმე დღეში დამირეკა და მითხრა, რომ უჩემოდ სიცოცხლე ვერ წარმოედგინა და თუ არ გავყვებოდი, მოკვდებოდა... გამეღიმა. ნუთუ შეიძლება, ადამიანს უნახავად სთხოვო ცოლობა? თუ გავითვალისწინებთ, რომ მე საკმაოდ პატარა ასაკის ვარ, შესაძლებელი იყო ანკესზე წამოვეგე და მართლაც დავთანხმებულიყავი, წარმოიდგინეთ, რა შარში გავყოფდი თავს. ასე რომ, მადლობა, დედიკო, ტვინი რომ მაქვს... თებერვლის 14-ში დამირეკა, ვალენტინობა მომილოცა და მთხოვა, მენახა. უარი ვუთხარი და მიზეზად თბილისში არყოფნა დავასახელე. ნასვამმა ღამით დამირეკა და მითხრა, რომ რაღაცას მიმალავდა. არც გამკვირვებია, როცა მითხრა, რომ ცოლ-შვილი ჰყავდა. გამეცინა, ცოლად როგორ უნდა მოგეყვანე-მეთქი? — გაშორებული ვარ, ერთად არ ვცხოვრობთ, გამოდი და გავიპაროთო... დამემოწმებით, რომ 30 წლის უტვინო ადამიანთან მაქვს საქმე, რომელიც ასაკის მიუხედავად, კვლავ ბავშვია... ჩემი უარით დაიღალა... ნელ-ნელა ახალ-ახალ რაღაცებში მიტყდებოდა... ისე მოხდა, ერთ დღესაც დარეკა და მითხრა, რომ მისი ცოლი ორსულადაა და ჩემთან ურთიერთობა უნდა გაწყვიტოს... მისმა ნათქვამმა ჩამაფიქრა — კი, მაგრამ ჩვენ რა ურთიერთობა გვაქვს-მეთქი? ნომერი გამოვცვალე და ინტერნეტშიც რომ შემაწუხა, იმ საიტიდანაც გავქრი... ახალი თავგადასავლის ძიებაში ვიყავი, რომ კვლავ გამოჩნდა 30 წლამდე ასაკის მამაკაცი. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს უფრო მალე გამომიტყდა სიყვარულში და კიდევ უფრო მალე გამოტყდა, რომ ტყუილი მისი ცხოვრების წესია. თითოეული ამ ადამიანის შესახებ ამბების მოყოლა რომ დავიწყო, ბევრ დროს დავკარგავ. მათ რომ დავუჯერო, სასახლეში მაცხოვრებენ. ჯერ ააშენეთ ეგ სასახლე და მერე ვიფიქრებ, მოვიხდენ თუ არა... მარ, იქნებ რამე ადგილი დაუთმო ამ ამბავს, რომ ზოგიერთი გოგო, რომელსაც ჰგონია, რომ ვირტუალური პრინცები არსებობს, გამოფხიზლდეს... უბრალოდ, წარსულის აჩრდილი".

## „კახური სტრიპტიზი"

„რამდენიმე კვირის წინ, როცა ჩემმა მეგობარმა „თავისუფალ ცხოვრებასთან გამომშვიდობების საღამოზე" (ე.წ. „მალჩიშნიკი"), სტრიპტიზბარში დამპატიჟა, ზუსტად ვიცოდი, რომ უკან დაბრუნებული, ჩემს შთაბეჭდილებებს მოგწერდით. საქმე ის გახლავთ, რომ კახეთში „ოფიციალური" სტრიპტიზდაწესებულება არ არსებობს. საღამო ქალბატონი ციალას კერძო რესტორნის ქვედა სართულზე არსებულ კლუბში — „ცოტაც და ეგაა" — იმართებოდა. გაგონილი მქონდა, იქ მხოლოდ სამი კატეგორიის — ხამი, ლოთი და მაწანწალა ხალხი დადისო. ვინაიდან და რადგანაც გაგონილს ჩემი თვალით ნანახი მირჩევნია, გადავწყვიტე წავსულიყავი (მეორე დღეს გამოცდა მქონდა და ცოტა გულს გადავაყოლებ-მეთქი, ვიფიქრე). ინტერესით აღსავსე (შიშველი სხეულის ნახვაზე მეტად „კახური სტრიპტიზის" ნახვა გვაინტერესებდა) ოთხეული დანიშნულების ადგილისაკენ გავემართეთ... როგორც საღამოს მთავარმა გმირმა (სიძემ) — ლაშამ გაგვიმარტა, დღევანდელი „ღონისძიება" ექსკლუზიურად ჩვენთვის იმართებოდა... ოთახში ჩვენს მეტი არავინ გაიჭაჭანებდა და გოგონებიც მარტო ჩვენთვის იცეკვებდნენ... ვიპ-სტუმრები ვიყავით, მოკლედ რომ ვთქვა. ყავისფერ, ტყავგადაქერცლილ სავარძლებში ჩავსხედით, პატარა სცენაზე დარჭობილი, დაჟანგული ძელის წინ და გაფართოებული თვალებით დაველოდეთ შოუს დაწყებას... ოთახში გრძელკაბიანი, ასაკოვანი ქალები მიმოდიოდნენ (ყოველთვის მეგონა, რომ ასეთ ადგილას, ყველა ნახევრად შიშველი დადის)... ზოგს დისკი ეჭირა ხელში, ზოგს ცოცხი, აქანდაზი... მოცეკვავეები არსად ჩანდნენ. დამღლელი ლოდინისა და ძირფესვიანი „უბორკის" შემდეგ, ნანატრი სანახაობა იწყებოდა (ოთახი რომ ჩაბნელდა, ჩვენ ასე გვეგონა). სცენაზე გოგონა ამოვიდა და ის იყო, უნდა დამეყვირა, ამან რა უნდა იცეკვოს-მეთქი, რომ დამასწრო: ბოდიშს გიხდით, დენი ჩაქრა, „დვიჟოკს" დავქოქავ და „დევაჩკებიც" დასცხებენო... ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, გეტყვით: მოცეკვავეები თიკუნა და ნაწკა იყვნენ (თამრიკო და ნათელა), ორივე მათგანი 26 წლის იყო (46-სას ჰგავდნენ), რომ გეკითხათ, 180 სმ სიმაღლისანი იყვნენ და 63 კგს იწონიდნენ (თავს დავდებ, 160 სმ-ს არ იყვნენ აცილებულნი და 80 კგ-ს ჩამოცილებულნი), ორივე მათგანს წვეტიანი ფეხსაცმელი ეცვა, ლიფის ფერი ტრუსისგან ცა და დედამიწასავით განსხვავდებოდა (ტრუსებზე ორივეს „ლოვე" ეწერა) და ნათელას ულვაშები ჩემსას აღემატებოდა. დაჟანგებული ძელის ირგვლივ წრიულად მოძრაობდნენ და იმ წამს, თავი ყველაზე მიმზიდველ ქალებად მიაჩნდათ, მთელ პლანეტა-

ზე... ლაშას სახის გამომეტყველება გოგონების ტანსაცმლის რაოდენობის შემცირებასთან ერთად იცვლებოდა. სევდა იპყრობდა, ნანობდა, უტყდებოდა... როცა მისი გამხნევება ვცადეთ, ღიმილით გვითხრა: თქვენ რა შუაში ხართ, ახლა ისეთ კოშმარს ვუყურებ, მეშინია, ხვალ, ჩემი ქორწილის პირველ ღამეს არ ჩავფლავდეო. ის იყო, გოგონებმა ძელის ირგვლივ ტრიალი შეწყვიტეს და სახიფათო „ტრიუკების“ გაკეთება გადაწყვიტეს, რომ ჩემს სამ მეგობარს მოთმინების ფიალა აევსო. უკმაყოფილოებმა, ხელით გასასვლელისაკენ მანიშნეს და ჯარისკაცებივით, მწკრივში ჩამდგრებმა დატოვეს ტერიტორია. იმდენად მაინტერესებდა, როგორი იქნებოდა „კახური სტრიპტიზის“ ფინალი, რომ გადავწყვიტე, 5 წუთით დავრჩენილიყავი. მუსიკა, რომელზეც გოგონები ცეკვავდნენ, მისამღერს უახლოვდებოდა... თამრიკო უეცრად ბოძის ყველაზე მაღალ ადგილზე მოექცა... მოექცა და... 2 წამში, კასეტური ბომბის აფეთქებისმაგვარმა ხმაურმა მოიცვა არემარე... სცენაზე ჩამონარცხებულ მოცეკვავეს ძელიც ზედ დაეცა. ასეთი მაგარი რამ ჩემს თვალებს არასოდეს უნახავს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყველაზე მაგარი, დაუვიწყარი, გამორჩეული და დასამახსოვრებელი დღე იყო, ჩემს ცხოვრებაში. P.S. მეორე დღეს გამოცდა მქონდა, უნივერსიტეტიდან პირდაპირ ქორწილში წავედი და ერთი წუთითაც არ შემიწყვეტია ფიქრი სუპერმოცეკვავე გოგონებზე... ყოველღამე ისინი მესიზმრებიან და თამამად შემიძლია გითხრათ: სანამ ცოცხლები ხართ, აუცილებლად ეწვიეთ „ცოტაც და ეგაას“... ინფორმაციისა და მისამართისთვის, შეგიძლიათ მომმართოთ მე, თქვენს რუისპირს (GREEN)“.

## თემაზე და თემის გარეშე მოსული, მოკლე მესიჯები

„თიანეთში დედაჩემის დედასთან ხშირად ჩავდიოდი დასასვენებლად. ბებია-ბაბუას აღმოსავლეთში (კერძოდ — ქართლში) პაპა-ბაბუათი მოიხსენიებენ. ანუ ქალს ბაბუას ეძახიან. ერთ ზაფხულს რომ ჩავედი, ბებოს ბიძაშვილი შემხვდა, ბაბუაშენი როგორ არისო? — მკითხა. მე ბაბუა გარდაცვლილი მყავს-მეთქი, რომ ვუთხარი, მორთო კივილი, რას ამბობ, ჩემს ბიძაშვილს მოუვიდა რამეო? თავიდან კი დავიბენი, მაგრამ მერე კი მივხვდი, რაშიც იყო საქმე. მე, როგორც იმერელმა კიკინამ (იქ ასე მეძახდნენ) მისი ნათქვამი ვერ გავიგე. ჭრიჭინა“.

„რაღაც კარგი გამახსენდა ამ კვირის თემასთან დაკავშირებით. ერთი შეძლებული კაცის ოჯახში ბიჭი მივა ქალიშვილის ხელის სათხოვნელად. იქ კი სასიმამრო დიალოგს გაუმართავს — ჩემს გოგოს პატარაობიდან ვაჟივით ვზრდიდი, ოჯახის ბიზნესი მას გადავაბარე უკვე, მთელი დღე სამსახურშია, ხან საზღვარგარეთ მივლინებით უწევს გასვლა, ხან აქ დადის ბიზნესშეხვედრებზე, მთელ ოჯახს თვითონ უძღვება, თუ რამ გადასაწყვეტია, მას დავეკითხებით ხოლმე და შენ რა შეგიძლიაო? ბიჭმა თავდახრილად უპასუხა: მე საჭმელს მოვუმზადებ, სარეცხს გავრეცხავ, მის არყოფნაში სახლს დავალაგებ, ჭურჭელს დავრეცხავ, რომ მოვა, დაღლილს დავამშვიდებ და გავამხნევებო. აი, ასეთია კაცის ხვედრი, როცა უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებენ.

გამარჯობა ყველას, მუდამ თქვენი კოზანოსტრა (ბისკვიტი)“.

„ამას წინათ ფეხი ამოვიგდე. ისე, რაღა ამას წინათ, ერთი თვე კი გავიდა. ჰოდა, ახალი ჩასმული მაქვს თაბაშირში და ყავარჯნებით დავკვანჭალობ. ჰოდა, მაღაზიაში მივდივარ და ძაღლი გამომეკიდა. ძაღლია ისეთი, ერთ ლუკმად არ ვეყოფი. ჰოდა, გამომეკიდა და მოვკურცხლე, ამ ნატკენი ფეხით. ვიღას ახსოვდა ტკივილი? ისე მოვკურცხლე, დოღის ცხენს შეშურდებოდა. ათენიდან“.

„გადავშალე რამდენიმე კვირის წინანდელი ჟურნალი და თემამ გული ამიჩუყა და მატკინა. ჩემმა მეუღლემ ფორმა ჩაიცვა თავისი ხელით და ვეღარ გაიხადა. აგვისტოს ომმა ბევრი ოჯახი გაამწარა და გულები ატკინა. ობლად დატოვა თავისი ორი პატარა ანგელოზი. ერთი ნანახიც კი არ ჰყავდა. ბადრი, უფალს შევთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი სული და ილოცე შენი შვილებისთვის. შენი პატარა ბადრიც შენსავით გმირი იქნება, მე გავზრდი ასეთს. ქეთი, 21 წლის“.

„ცნობილია ჩემს სამეგობროში, რომ ნელა დავრბივარ. ჩემს სირბილზე იცინის ყველა. ჰოდა, ერთხელაც, მე და ჩემი დაქალი მეცადინეობიდან მოვდიოდით, რომ დიდი ნაგაზი გამოგვენთო... ოოო, მაშინ კი შეუძლებელი შევძელი და იმ წუთში თვით ოლიმპიურ ჩემპიონსაც გავასწრებდი სირბილში. მას შემდეგ მთელი სამეგობრო იცინოდა ჩემს მიღწევაზე, მე კი ანდაზით ვიმართლებდი თავს: „გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო“.

„გაჩერებაზე ვდგავარ და ველოდები ჩემს „ყვითელას“ (ავტობუსს). ჰოოდა, ჰორიზონტზე შევნიშნე ერთი დაბალი და კარგად დამრგვალებული ქალბატონი, რომელიც ისეთი სისწრაფით მოქროდა, თვით შუმახერსაც შეშურდებოდა. მოულოდნელად, მიმართულება იცვალა ამ ჩვენმა „სიმრგვალემ“ და ისეთი სიძლიერით დამეჯახა, ჩემმა ძვლებმა ტკაცატკუცი დაიწყო. არა, ეს კიდევ არაფერი, ისეთი ყვირილი ატეხაა... ხომ დამინახე, რომ მოვდიოდი, რატომ არ გამეცალეო. ა, არ იყო შეშლილი? პრინცესა“.

„ახლა საავადმყოფოს ფანჯრიდან გავცქერი ათენს. ჩემ წინ უზარმაზარი მთაა აღმართული. თვეზე მეტია, ამ მთას ვუყურებ და ვფიქრობ, ნეტავი ამიყვანა იმ მთაზე, იქიდან იქნებ ჩემი სამშობლო ჩანს და ავტირდებოდი გულით და ვიყვირებდი, მიყვარხარ, საქართველოვ! ახალგაზრდა ბებია“.

„ერთხელ მივდივარ ქუჩაში და ვხედავ, ჩემი მეგობარი ზის ჭიშკართან, ეტყობა რომ ნასვამია, თან რაღაცას ბუტბუტებდა. თურმე, თავის თავს ელაპარაკებოდა. მივედი, ვკითხე რა ხდება, შენს თავს ელაპარაკები-მეთქი? და ის მპასუხობს, ჩემზე უკეთესს ვის დაველაპარაკებოდიო? ლი ჰარვი ოსვალდი“.

■

**ყურადღება!** თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

*მომდევნო ნომრის თემა იქნება — „მოღალატე მეგობარი“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com*

# „13 წელია, დედის მონატრება მტანჯავს“

**„გზის“ №28-ში დაიბეჭდა 18 წლის ლიას მესიჯი, რომელიც თურმე, გულით დიდ ტკივილს ატარებს, რადგან დედამისი სამუშაოდ თურქეთში წავიდა. „მისი თანადგომა სწორედ ახლა, ყველაზე და ყველაფერზე მეტად მჭირდებოდა, რადგანაც წელს სკოლა დავამთავრე და აბიტურიენტი გახლავართ! ვიცი, ჩემ გამო წავიდა, მაგრამ ამას მაინც ვერ ვპატიობ. უმადური შვილი ვარ... რომ არ წასულიყო, ჩემთვისვე იქნებოდა უარესი — არც ნაირ-ნაირი ტანისამოსი მექნებოდა და არც იმის ფული, რომ რეპეტიტორებთან მევლო, სამაგიეროდ, გვერდით მეყოლებოდა და „ბოლო ზარზე“, სკოლის ბანკეტზე გამყვებოდა...“ როგორც ლია ამბობს, მისთვის დედა მშობელიც იყო და მეგობარიც, რომელსაც ყველაფერს უზიარებდა და კარგ რჩევებსაც იღებდა, ახლა კი: „სიშორემ ჩემი და დედიკოს ურთიერთობაში სიცივე შემოიტანა, სამაგიეროდ, მაპოვნინა ადამიანი, რომელიც ვგრძნობ, სიცოცხლეზე მეტად მიყვარს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ის ნაცოლარია, გოგონაც ჰყავს და ზუსტად ვიცი, მშობლები ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგები იქნებიან. ცნობისათვის, ის მეუბნება, — ცოლს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ დავშორდი, რომ მატერიალური პრობლემა გვქონდა, მას კი კარგი ცხოვრება უნდოდაო... რა ვქნა, „ლოვეს“ დავუჯერო?“**

## „დამოუკიდებელ ცხოვრებას უნდა შეეჩვიო“

**ატარექსია:**

„მართლაც, უმადური ხარ! წარმომიდგენია, ოჯახის წევრებს როგორ ისტერიკებს მოუწყობდი, „ბოლო ზარის“ მერე შინ ჯდომა რომ მოგიწევდა — ვინაიდან ვერ მოემზადებოდი და შესაბამისად, უნივერსიტეტშიც ვერ ჩააბარებდი. დედაშენი შენ გამო თურქეთში, სამუშაოდ გადაიხვეწა, შენ კი წუწუნებ, — მისი სითბო და ალერსი მაკლიაო. შენ ნამდვილად არ იცი დედის ფასი... რაც შეეხება მეორე საკითხს. რომ ამბობ, — მთავარია, მას ვუყვარდე, თორემ ქოხშიც ვიცხოვრებო და ა.შ. ეგ ყველაფერი იმ ზღაპრის დასაწყისია, რომლის დასასრული ნამდვილად არ იქნება ასეთი: ისინი ცხოვრობდნენ დიდხანს და ბედნიერად. ეჭვი გღრღნის? მერე და რას „იფუღუროვებ“ თავს? თანაც, ეს ინტერნეტტრფობა რაღა უბედურებაა?! პრობლემებს ძალით ნუ იქმნი და „სადგისის პრინციპით“ ნუ ცხოვრობ, რა“.

**ლუნა:**

„უჰ, რთული ამბავია და რაიმეს რჩევაც ძნელია. საერთოდ, არ მომწონს, ქალები სამუშაოდ თურქეთში რომ მიდიან, მაგრამ შენი დედიკოსიც მესმის. ის შენ გამო წასულა, შენ კიდევ, საყვედურობ. არა, ასე მოქცევა არ შეიძლება. პატარა აღარ ხარ და დამოუკიდებელ ცხოვრებას უნდა შეეგუო. რაც შეეხება ემიგრანტ შეყვარებულს, შენს ადგილას, მას არ დავუჯერებდი. ახალგაზრდა გოგომ ცხოვრება ნაცოლარს და თანაც — შვილიან კაცს რატომ უნდა დაუკავშიროო? გეხუტები ნატკენ გულში. მაგრად იყავი“.

**ნინი:**

„იმის გამო, რომ შენგან დროებით წავიდა, დედას გული კი არ უნდა ატკინო, არამედ აგრძნობინო, რომ ახლა უფრო გიყვარს. რაც შეეხება „ლოვეს“: არა აქვს მნიშვნელობა, ადამიანი ნაცოლარი იქნება თუ უცოლო და მერწმუნე, ადრე თუ გვიან, მშობლებიც გაგიგებენ. ასე რომ, რაღაც უაზრობის გამო სიყვარულს ხელს ნუ ჰკრავ. აბა, შენ იცი, წარმატებები!“

**ბუცა:**

„ჩემო კარგო, დედას კი არ უნდა ეჩხუბო, არამედ პირიქით, უნდა გაამხნევო. ვიცი, ძალიან გიჭირს, მაგრამ პატარა აღარ ხარ და თავს მოერევი. რაც შეეხება შენს შეყვარებულს: გირჩევ, მას დაუჯერო. თუ გიყვარს, მის წარსულს ყურადღებას ნუ მიაქცევ. მეც ნაცოლარი და შვილიანი მიყვარს, მაგრამ უბედნიერესი ვარ. წარმატებები!“

**ნიკოლო:**

„დედას, რომელიც შენს მომავალზე ზრუნავს, გულს სტკენ. მოკლედ, ნამდვილი „აღუა“ ბავშვი ხარ, რა. უნდა გაიაზრო, რომ დიდი ხანია, საწოვარა გადააგდე და არც გუდიანი კაცები არსებობენ. როგორ დაძლიო მონატრება? — ამის უტყუარ რეცეპტს არ ვფლობ და ახალიც არაფერი იქნება იმაში, თუ გეტყვი, რომ ჯობს სწავლაზე გადაერთო, მეგობრებთან იკონტაქტო და ოპტიმიზმით განიმსჭვალო. რაც შეეხება იმ ემიგრანტს: კარგად დაფიქრდი, ყველაფერი ისე არაა, როგორც გგონია. კი, პირველ ადგილზე სიყვარული უნდა დააყენო, მაგრამ იცოდე, მატერიალური პრობლემა ამ გრძნობას თავის დაღს ასვამს და აუფასურებს. ის, რომ ნაცოლარია, დიდი პრობლემა არ არის. წარმატებები!“

**მაკრინე:**

„ნუ გგონია, რომ ფული არაფერია და რომ მის გარეშეც მშვენივრად იცხოვრებ!“

**BLACK GIRL:**

„დედაშენი შენ გამო წავიდა თურქეთში სამუშაოდ, ახლა კი რა გამოვიდა? — უკვე ყველაფერი გაქვს და გინდა, დედაც გვერდით გყავდეს, არა? მერწმუნე, მას ყველაფერზე მეტად სამშობლოში დაბრუნება უნდა, მაგრამ ისევ შენ გამო, ამისგან თავს იკავებს... რაც შეეხება „ლოვეს“ — გაარკვიე, სინამდვილეში რის გამო დაშორდა ცოლს და მხოლოდ ამის მერე გადაწყვიტე, ღირს თუ არა მასთან ურთიერთობის გაგრძელება. წარმატებები!“

**თეთრო:**

„ნუ საყვედურობ დედას მხოლოდ იმიტომ, რომ შენს მომავალზე ზრუნავს, რომ თურქეთშია და გვერდით არა გყავს. ბოლოს და ბოლოს, ის სამუშაოდ წავიდა და არა — გასართობად. დარწმუნებული ვარ, აქ რომ იყოს და ფული არ გქონდეს, ამაზეც იწუწუნებდი. შენ საერთოდ, იცი, როგორი ძნელია ოჯახისგან შორს ყოფნა? ჩემო კარგო, რჩევა დაქალს ჰკითხე. ჰმ, შეყვარებულის გესმის, დედის კი არა?.. ღმერთი გფარავდეს. მშობლისთვის ილოცე“.

**მავნე-მავნე:**

„ეგოისტი ხარ! მნიშვნელობა არა აქვს, დედაშენი სად იქნება, მას შენი პრეტენზიებით გამუდმებით შეაწუხებ... რა სიყვარულზე ლაპარაკობ, როცა ამხელა გოგომ ისიც ვერ შეიგნე, რომ დედაშენი ჩვენგან სრულიად განსხვავებულ ადამიანებთან მხოლოდ შენ გამო წავიდა?! საერთოდ, იცი, რას ნიშნავს ადამიანის მიტოვება? „კაპიკსაც“ არ უნდა გიგზავნიდეს და მეტიც — ღირსიც იქნები, რომ მიგატოვოს. ღმერთმა გონება გაუნათოს ყველა შენნაირ უმადურ შვილს. ხალხნო, მშობლები დააფასეთ!“

**აუტანელი:**

„მართლა უმადური ხარ. გგონია,

დედაშენს უცხო ქვეყანაში ყოფნა და მუშაობა სიამოვნებას ანიჭებს? მატერიალურად უზრუნველყოფილი ახლა დედის სითბოსაც ითხოვ, არა? ჩემო კარგო, ყველაფერი ისე არაა, როგორც ჩვენ გვინდა. გირჩევ, ჩხუბის ნაცვლად, დედას ყველაფრისთვის მადლობა გადაუხადო. P.S. იმ ბიჭს კი შეეშვი, მასთან ურთიერთობა კარგს არაფერს მოგიტანს“.

**თეკუნა:**

„მოკლედ, ახალგაზრდობა მოდის ისეთი, უკეთესს რას ინატრებ — დედაც უნდათ, „ზმანებიც“ და ფულიც. ქალი საზღვარგარეთ გადაიხვეწა იმისთვის, რომ ნორმალური მომავალი შეგიქმნას, შენ კი რას ამბობ? 13 წელია, დედის მონატრება მტანჯავს, მაგრამ მის მიმართ საყვედური ერთხელაც არ დამცდენია. ჩემს ხმას რომ გაიგებს, ისედაც ტირის ხოლმე და მე კიდევ საყვედურებით რომ ავავსო, მართალი ვიქნები?..“

**ლეკო 27:**

„შენი მესმის: რა ასაკისაც უნდა იყო, გსურს, დედა გამუდმებით გვერდით გყავდეს, მაგრამ მასაც უნდა გაუგო — რა ქნას, სხვა გზა თუ არ დარჩენია? მერწმუნე, ახლა მას შენი გამხნევება სჭირდება. რაც შეეხება სიყვარულს, შენს ადგილას აუცილებლად გავიგებდი მიზეზს, თუ რატომ დაშორდა ცოლს. ხომ იცი, ბრმად არავის არ უნდა ენდო. წარმატებები!“ ■

# „კაცს „გულაობისთვის“ პასუხი არ მოეთხოვება“

**„გზის“ №28-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ ერთ ზაფხულს პლაჟზე გოგო „შეაბა“, რომელზეც სერიოზულად წუთითაც არ უფიქრია, იმ გოგოს კი თურმე, მართლა შეჰყვარებია და ცხადია, მასთან ურთიერთობის გაგრძელებას არდადეგების დასრულების შემდეგაც ცდილობდა. „მთელი წელი მირეკავდა და მთხოვდა, მასთან ჩავსულიყავი (ერთ-ერთი რაიონიდან გახლდათ). რადგანაც არ ჩავაკითხე, გაბრაზებულმა ნათესავები გამომიგზავნა, — ჩემი მოტყუებისთვის პასუხი მოსთხოვეთო. მე უსინდისოდ ვიცრუე: — იმ გოგოსთან არაფერი მქონია. თავადაა ჩემზე უგონოდ შეყვარებული. ძალიან გთხოვთ, ჩამომაშორეთ-მეთქი... მოგვიანებით გავიგე, რომ შინ დაბრუნებულ ბიძაშვილს მასთან მაგრად უჩხუბია, მერე ყველაფერი მამამისისთვის მოუყოლია, მშობელს კი შვილი სასტიკად უცემია...“ როგორც უცნობი ამბობს, — რაღაც პერიოდის შემდეგ გოგონა ძალდატანებით, უზნელ ბიჭზე გაუთხოვებიათ. „ახლა გავაცნობიერე, თუ როგორ ცუდად მოვიქეცი, მაგრამ არაფრის გამოსწორება აღარ შემიძლია. მერწმუნეთ, ყველაფერს გულით ვნანობ...“**

**უცნობი:**

„მითხარი, თავს რატომ იდანაშაულებ? მისნაირ გოგონებს ვერ ვიტან, რა. ქალი, რომელიც თავს ასე დაიმცირებს და კაცს ახლობლებს მიუგზავნის, ყველაფრის ღირსია! საცოდავს ალბათ, გათხოვება წამალივით სჭირდებოდა და მიიღო კიდეც. დამიჯერე, მის გამო თავის დადანაშაულება არ ღირს“.

**კენი:**

„საკუთარი თავი შენს ადგილას წარმოვიდგინე და... შემეცოდე, რადგან ყველაფერი მთლად შენი ბრალიც არ იყო. გირჩევ, არასერიოზული მიზნებისთვის გოგოს ნულარ „შეაბამ“. წარმატებები!“

**SAILORBEE:**

„წადი, ბიჭო, აღსარება მამაოს ჩააბარე. აბა, აქ რომ გვწერ, ვინ რას გიშველით? ჯერ ღმერთს სთხოვე პატიება და მერე, თუ შეძლებ, იმ გოგოსთანაც მიდი, რომელსაც შენი ვითომ გართობის გამო ცხოვრება დაუნგრიე. იმედია, ის ყველაფერს გაპატიებს (ამაში ეჭვი მეპარება) და სულს დაიმშვიდებ“.

**ნევროზიანი:**

„არ მიყვარს, როცა ადამიანს, რომელიც რჩევას ითხოვს, უხეშად და აგდებულად პასუხობენ, მაგრამ შენი მესიჯის წაკითხვის შემდეგ სიტყვები ვერ ვიპოვე საიმისოდ, რომ ზრდილობიანად და ტაქტიანად მაინც გაგლანძღო... შენი საქციელი ამაზრზენია! აბა, ისეთი რა უნდა გააკეთო, რომ მას დაეხმარო, მდგომარეობა შეუმსუბუქო? ის დამნაშავეა იმაში, რომ შენისთანას თავი „დააკერინა“, მაგრამ იმაზე ამაზრზენია არაფერია, როცა კაცს თავისი საქციელი და სიტყვები უკან მიაქვს. პირადად რომ გიცნობდე, შეიძლება, მეტი რამ მეთქვა, მაგრამ... ამით არც შენი და არც იმ გოგოს სინდისს არ ეშველება. P.S. მე მაპატიეთ, გავცხარდი“. ■

## „იმ გოგოს ცხოვრებას ნუღარ აურევ“

**სოფიო:**

„ნუთუ ქართველი ხარ? ხალხნო, სინდისი სულ დაკარგეთ? აბა, რას ერჩოდი საბრალო გოგოს, ასე რომ მოექეცი? შენი სინანული გვიანია. ლაჩარი ხარ!..“

**თეკუნა:**

„გასალანძღი და გასაკიცხი ის გოგოა, ვინც პლაჟზე გაცნობილს ლოგინში ჩაგიგორდა. ნუ დარდობ, ჩემო კარგო, შენ კაცი ხარ და ამისთვის პასუხი არ მოგეთხოვება. რას ჰქვია, ხალხი მოგიგზავნა? როცა „გულაობდა“, მაშინ რატომ არ გაახსენდა ნათესავები?..“

**ნიკოლო:**

„აწი რაღა დროს სინანულია? რაც მოხდა, იმას ვეღარ შეცვლი. მხდალი ხარ და არაკაცურად მოიქეცი. იმ გოგოსთან ურთიერთობა რატომ უარყავი? შეგეშინდა, არა? ნუთუ, თავიდანვე ვერ მიხვდი, რომ „მკიდია“ გოგო არ იყო და ასე მარტივად ვერ დაუსხლტებოდი ხელიდან? ცოტა ტვინი გაანძრიე და მსგავსი რამ მეორედ აღარ გააკეთო!“

**უცნობი:**

„ყველაზე კარგი ისაა, რომ დანაშაულს გულით ნანობ. მართლა ცუდად მოქცეულხარ. გირჩევ, აღსარება მამაოს ჩააბარო. დამიჯერე, ის აუცილებლად გირჩევს, როგორ გამოასწორო ჩადენილი შეცდომა“.

**ლუნა:**

„იმაზე ფიქრს, დანაშაული როგორ გამოასწორო, აზრი არა აქვს. ისიც კარგია, რომ ჩადენილს ნანობ. გირჩევ, ყველაფერი ისე დატოვო, როგორც არის. იმ გოგოს ცხოვრებას ნუღარ აურევ. უბრალოდ, ღმერთს პატიება სთხოვე და მისთვისაც ილოცე“.

**ატარექსია:**

„გულახდილი ვიქნები და გეტყვი, რომ არაკაცურად მოიქეცი, ოღონდ — იმიტომ კი არა, რომ ის გოგო „შეაბი“, არამედ იმიტომ, რომ მასთან ურთიერთობა უარყავი; მეორეც, ეგ ყველაფერი შეცდომა კი არა, დანაშაულია, რადგანაც შენი უგუნური საქციელით იმ ადამიანს ცხოვრება დაუნგრიე; დაბოლოს, თუ ყველაფერს გულით ნანობ, აქ კი ნუ ტლიკინებ, არამედ სადაც და ვისთანაც საჭიროა, იქ მიდი და ცოდვა მოინანიე“.



# მობილი-ზაცია

***იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.***

## ქალები



1. ვეხმაურები „გზა“ №28-ში დაბეჭდილ, 22-ე სმს-ის ავტორს. ვარ 33 წლის. მახინჯი არ ვარ. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი. 160/50, განქორწინებული. დანარჩენი — პირადად.

2. გავიცნობ სერიოზულ მამაკაცს, ოჯახის შექმნის პერსპექტივით, საჭირო ინტელექტითა და ფინანსური მდგომარეობით. ვარ 42 წლის, ბავშვით, ბინით. მარი.

3. გავიცნობ ბიჭს, სამესიჯოდ. 18 წლის დადუნა.

4. ვარ 4 თვის ორსული. გამომეხმაურეთ, ვისაც ნამდვილი ოჯახი უნდა, 23-დან 35 წლამდე, თბილისელები ან თბილისთან ახლოს მცხოვრებნი. ცანცარები ნუ გამომეხმაურებით. ნატა.

5. ვარ კარგი გარეგნობის, 2-შვილიანი ქალი. მინდა სიყვარული და ლამაზი ოჯახი. ნანა.

6. გავიცნობ ბიჭს, სამესიჯოდ. მსურველებს ნომერი მიეცით.

7. ვარ 20 წლის, სიმპათიური, ბათუმელი გოგონა. სამეგობროდ გავიცნობ სერიოზულ, ჭკვიან, ზრდილობიან მამაკაცს.

8. ვარ 45 წლის მანდილოსანი. დასაოჯახებლად გავიცნობ 50 წლამდე ასაკის, სერიოზულ მამაკაცს. სასურველია, საჩხერეში ჰქონდეს სოფელი.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | |
|---|---|---|
| ა — a | მ — m | ღ — gh |
| ბ — b | ნ — n | ყ — y |
| გ — g | ო — o | შ — sh |
| დ — d | პ — p | ჩ — ch |
| ე — e | ჟ — zh | ც — c |
| ვ — v | რ — r | ძ — dz |
| ზ — z | ს — s | წ — w |
| თ — t | ტ — t | ჭ — wh |
| ი — i | უ — u | ხ — x |
| კ — k | ფ — f | ჯ — j |
| ლ — l | ქ — q | ჰ — h |



## მამაკაცები

9. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი 23 ივლისის ჟურნალში, მე-9 სმს-ის ავტორს.

10. მინდა გავიცნო 18-დან 22 წლამდე ასაკის, დედისერთა გოგონა. ვარ 20 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს თბილისელი, დედისერთა გოგო. POLICE.

11. ვარ 21 წლის, ქერათმიანი, ცისფერთვალება ბიჭი. დასაქმებული, კარგი შემოსავლით. გავიცნობ სიმპათიურ მანდილოსანს.

12. გავიცნობ ახალგაზრდა გოგონას, გათხოვილს ან გაუთხოვარს — მხოლოდ პატიოსან გოგონას. ვარ 20 წლის, ცოლს გაშორებული. ბაკური.

13. ვარ 23 წლის, ქერა, მომწვანო თვალებით, სპორტული აღნაგობით, სერიოზული ბიჭი (დასაქმებული). გავიცნობ სერიოზულ, პატიოსან, ლამაზ გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით.

14. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №28-ში გამოქვეყნებული, მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი.

15. მაინტერესებს „გზა“ №28, მე-7 მესიჯის ავტორის ნომერი. გთხოვთ მომცეთ ან მისცეთ ჩემი ნომერი. ვალერი.

16. მაინტერესებს „გზა“ №28, მე-7 მესიჯის ავტორის გაცნობა. მიეცით ჩემი მობილურის ნომერი.

17. ვარ 38/173/78, სიმპათიური გარეგნობის მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს 28-33 წლამდე ასაკის, სიმპათიური გარეგნობის მანდილოსანი, კარგი მეოჯახე, თბილი და მხიარული ბუნების.

18. გავიცნობ წინა ნომერში, მე-7 მესიჯის ავტორს, მორწმუნე და სერიოზულ ქალიშვილს. მორწმუნე და პატიოსანი, 33 წლის, ქუთაისსკი.

19. ვიმეგობრებ თბილისში მცხოვრებ, უცხოელ მანდილოსანთან. ვარ 40/174/85, თბილისელი, კეთილსინდისიერი, ქართველი მამაკაცი.

20. რომანტიკული ურთიერთობისთვის გავიცნობ ხაშურელ ქალბატონს. ვარ 42 წლის, სიმპათიური მამაკაცი. ზურა.

21. გთხოვთ, გამომეხმაუროს „გზის“ 29-ე ნომერში არსებული, მე-4 მესიჯის ავტორი.

22. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №29, მე-6 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

23. გავიცნობ ქალს, გოგოს, შეხვედრებისთვის. ვარ 28 წლის თბილი, კეთილი, მოსიყვარულე და ყურადღებიანი კაცი. გელი, ჩემო ფერიავ.

24. გავიცნობ 25-დან 40 წლამდე ასაკის, უზრუნველყოფილ მანდილოსანს. გიგა. მხოლოდ რეალურები შემეხმიანეთ.

25. გავიცნობ 20-დან 26 წლამდე ასაკის გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 26 წლის. დამიკავშირდით.



## სხვადასხვა

• პატარავ, როგორ ხარ? დედას სიხარულო, ენატრები დედიკუნას და მალე გნახავთ. პირველში გვიწევს შემოსვლა, დე. ორშაბათს გნახავთ და მოგეფერები შორიდან მაინც. დღეს სამშაბათია. ნინო და ბავშვი გზაში არიან, მალე ჩამოვლენ უკვე. აღარ

გაჩერდნენ კვირის ბოლომდე, ნინოს ამბავი ხომ იცი, თქვენთან მინდაო, ლამის პატარა ბავშვივით ტიროდა. პატარა კიდე მეტიტყინება, ჩამოვალ და ჩაგეხუტებიო. რომ განახავთ, მოგიყვება ნინო სოფლის ამბებს. ამ პარასკევს ანუ 29-ში მოძღვარი შემოვა. დაელაპარაკე, დე... თუ ენდომება, ვაზიარებ კიდეცო, მითხრა... მანდ რომ ლოცულობ, იმ ლოცვას მერე უფრო მეტი ძალა ექნება. სექტემბრიდან იქნებ რამე სიახლე იყოს. გეფერები, გეხუტები, გიკოცნი მწვანე და ციმციმა თვალებს. დედა.

• 3.198გი, უკვე 7 თვე გავიდა და ცოტა მეტი. რა საშინელებაა. მიიწელება დღეები უშენოდ. თითქოს ვცხოვრობთ, თუ ამას ცხოვრებას დავარქმევ. რაღაც, ისევ დეპრესიამ შემომიტია.

• 3.198გი, 27 ივლისს მოგვიწია შენმა ნახვამ. აბა, შენ იცი, ძლიერად დაგვხვდი. ძალიან მენატრები, ბუუს. გკოცნი, მიყვარხარ. შენი თეე.

• მაარ, იცი, დღეს უცნობმა ბიჭმა სიყვარული ამიხსნა. აუ, მაგარი დაბნეული ვარ. კი მომწონს, მაგრამ... BLACK GIRL.

• მენატრები... სიგიჟემდე მენატრები... მელანდები... ყველგან მე შენ მელანდები, დავფარფატებ, სანთელივით ნელა ვდნები, იმიტომ, რომ ყველგან მე შენ მელანდები. BLACK GIRL.

• დიდი მადლობა, გერასიმე. მეც მიყვარხართ. ბედნიერი დედა იყავით მუდამ. კაცუნა, მე გოგო ვარ, მაგრამ გეთანხმები, თუმცა არც ყველა ქალია ერთ ტაფაში შესაწვავი. პარიჟანკა.

• ჩვენი წინაპრები ნგრევას ამზადებდნენ სიცილით, ჩვენ კი ვიღიმით ნანგრევებს შორის. მოახდინეთ ჭეშმარიტების ლიკვიდაცია და ნახავთ, რომ ისიც გაკოტრებულია. ნიკოლო.

• რომელია, განურჩევლად ყველა გოგოს რო ლანძღავს? გენაცვალეეე, ყველა ერთნაირი არაა და თუ სხვისი აზრი არ გაინტერესებდა, შენი ულტრათანამედროვე აზრი შენთვისვე დაგეტოვებინა. თუ წესიერი გოგო ვერ ნახე, არ ეძებ იქ, სადაც საჭიროა ალბათ. ახალი ვარ, მიმიღეთ, რააა... ნიკოლო მაგარია.

• ახალი ვარ. იმედია, კარგად მიმიღებთ. მართალია არ გიცნობთ, მაგრამ უკვე შემიყვარდით.

• იკა, როგორ ხარ, ძმაო? ახლა შენთან ვართ და გვაკლიხარ. აქ ყოველი დღე შენით იწყება და შენით მთავრდება. ადამიანი თავის შეცდომებზე სწავლობს. ცხოვრება გრძელდება. წინ ლამაზი და ბედნიერი წლები გელოდება. რეზო და მიშკა.

• ძალიან მოწყენილი ვარ. ვინმემ რამე სასაცილო დაწერეთ რა, ან მომწერეთ, გთხოვთ.

• პრივეტ! რომ იცოდეთ, რა სასიკვდილო ბრძოლა მიმდინარეობს ჩემს კბილსა და სტომატოლოგს შორის... მიშველეთ!

• თუ თქვენ გინდათ, რომ იპოვოთ სამართლიანობა, გაემართეთ ბორდელში, ხოლო თუ გსურთ, რომ გიხმარონ, მიმართეთ სასამართლოს! :) თქვენი უტაქტო, სკეპტიკოსი ატარექსია.

• „მორიგანი“ — ასეთი ინტერესით არაფერი წამიკითხავს „გზაში“. ეს პროფესიული ინტერესის ბრალია. სიამოვნებით გავიცნობდი მას, ალბათ არა ერთ კარგ რჩევას მომცემდა. ატარექსია.

• ვცხოვრობ, როგორც ყვითელი, შემოდგომის ბალახი, ჩაჩუმქრული თოვლში... ატარექსია.

• მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ მართლმადიდებელი! ატარექსია P.S. ნეტავ, ეგ კანონი 309 ქართული სირცხვილის შემდეგ, მერამდენეა?

• წიგნის გამო არასოდეს მიტირია, ახლა კი „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“ წავიკითხე და... :( არ ვიცი, რა! სიტყვები არ მყოფნის! ზედმეტად ემოციური აღმოჩნდა ჩემთვის. ნიკოლო.

• ნიკოლო, რა საყვარელი ხარ. „ფეისბუკზე“ რატომ არ დამიმეგობრდი? ნეტავ ყველა ბიჭი შენ გგავდეს. ჩემი ერთი ნაცნობი შენი უნივერსიტეტელია და ვიცი, რა ჭკვიანიც ხარ. ია.

• ზომაზე მეტად მიყვარხარ. არ ვიცი, როგორ მოგეფერო, ჩემო ახდენილო ოცნებავ, ალიმა.

• სამყაროს დავუპირისპირდები შენი გულისთვის, ჩემო ერთადერთო და მხოლოდ ჩემო ალიმა.

• რუისპირი ცისფერიაო, მისტერი აფრენს, კაცუნას გადახრები აქვს, კუნკულა სოფლელია. მგონი ერთადერთი ნორმალური ბიჭი ნიკოლოა აქ. :) გოგონები კარგები ხართ. MISS BEHOLDER.

• უი, მგზავნელებო, ჩემი დაქალი ჯიქურის მეგობარია „ფეისბუკზე“ და მითხრა, რომ რუისპირს მეგობრებში ბევრი ჰომოსექსუალისტი ჰყოლია. არ ვიცი, რა. ნეტავ მართალს ამბობენ?

• ლაკვასტის გზავნილი ძალიან მომეწონა. ლუნა, ბოთლის სახსნელზე მაგრად გამოგივიდა. :) ნიკოლო, საიდან მოიტანე, რომ ბიჭები ჩვენზე კარგი მზარეულები ხართ? :) MISS BEHOLDER.

• 3.198გი, როგორ ხარ? მუდამ მეფიქრები. რა აზრი არ მომივა ხოლმე თავში. ხან ცუდი, ხან — კარგი. ახლა სულ მალე გნახავ და შეგეკითხები რაღაცებს. იმედია, პასუხი იქნება. თეე.

• 3.198გი, ძალიან მაკლიხარ. რთულია ასე ცხოვრება, მუდმივ ჯავრში. თავს გაუფრთხილდი. მე არა მიშავს, ვცდილობ ძლიერად ვიყო, მუდამ შენთვის ვლოცულობ. მიყვარხარ. თეე.

• მე ახალი ვარ, ძალიან ცუდ ხასიათზე ვარ. თუ ვინმეს უნდა იმეგობროს ჩემთან, აუცილებლად მხოლოდ აქ მომწერეთ, ჩემს ისტორიასაც მერე მოვყვები. გიო (კაცუნა), გეთანხმები.

• 3.198გი, იცი, როგორ წვიმს? მეტად შემომიტია დეპრესიამ. ნეტავ, რას აკეთებ, გცხელა? ან ძილი გაქვს? რა ვიცი, როგორ გავუძლო ამ დარდს, ნერვები მღალატობს. ძაალიან მენატრები. თეე.

• 3.198გი, რაც შენ ჩემ გვერდით არ ხარ, საშინელმა სიცარიელემ მოიცვა მთელი ჩემი არსება და არ ვიცი, ამ მდგომარეობას რამდენ ხანში უწერია გამოსწორება. შენ გვერდით ყოფნა საკმარისი იყო იმისთვის, რომ თავი მშვიდად მეგრძნო. ახლა, როცა მწარე ფიქრები და სევდიანი და სასოწარკვეთილი სულიერი განწყობილება შემიპყრობს, გნატრობ. ამ სევდის მიზეზი შენ ხარ და უშენობა ვერაფრით გამოასწორებს ამ ტკივილს. ღმერთს ვთხოვ, მალე დამიბრუნოს შენი თავი. სიხარული დამავიწყდა. თავს მიხედე, ბუუს, გკოცნი.

• ულამაზესი დღე გათენდა. ბიჭმა გოგო ალერსიანი კოცნით გააღვიძა... იმ დღეს გოგო 20 წლის გახდა... ცელქი პატარა აყრუებდა სუფრის ჟრიამულს... 20 წითელი ვარდი მიართვა ბიჭმა გოგოს... დაღამდა... ქარი ავის მომასწავებლად ზუზუნებდა ფანჯრის ღრიჭეში... ბიჭმა მეგობრები გააცილა... მუხრუჭის ხმა... კივილი... სისხლი... და სულ მალე სიყვარულით სავსე თვალებით დაემშვიდობა ერთმანეთს ორი გული... და ბიჭი განათებული, ზეციური კიბით აუყვა გზას უზენაესისკენ... ცოდვილ მიწაზე კი დატოვა ცრემლი... სიყვარული... მოგონებები... პატარა ობოლი... მონატრების უსასრულო ტკივილი და თვალცრემლიანი, ცოდვილი „ევა“... ეს ჩემი ისტორიაა. ინა.

• სიყვარული ძალიან ლამაზი გრძნობაა და მასზე წარსულში საუბარი საშინელებაა. მგონი ამიერიდან ხშირად მოგწერთ, თუ მიმიღებთ თქვენს კლუბში. ინა.

• კუნკულა, ბიჭო, რა იყო, კი არ ვიკბინები. დაჯე, დაგეხმარები ცოლის შოვნაში. :) MIS BEHOLDER, უკვე ბევრჯერ ვთქვი, თუ როგორ უნდა დამიკავშირდე და აბა, შენ იცი. ნიკოლო.

• გიო, მე არ მესმის, რა მულამი აქვს ბიჭისთვის ლინზებს. ისე, ლიბერალი ვარ და განსხვავებულ აზრს პატივს ვცემ. P.S. ყველა უსახელოს მადლობა, ვინც კარგად მახსენა. ნიკოლო.

• ბექა, ჩართო, სვანო, მიყვარხარ ამქვეყნად ყველაზე მეტად, ჩემი სუნთქვა ხარ. მარიჩუი.

• სევდიანო, მადლობა მოკითხვისთვის. მომენატრე! BLACK GIRL, დონ ლუკა, ტანჯულა, ბიანკა, WELLCOME TO „გზა“! ჰოლმს, როგორ ხარ, შენ ოდნავ ჩემნაირო? :) CRAZY GIRL.

• გამარჯობა. მე არ ვიცი, დაგაინტერესებთ ჩემი ამბავი თუ არა. მეც ჟურნალისტი ვარ პროფესიით, ერთ-ერთ ცნობილ ოჯახში დაბადებული. მინდა, დამეხმაროთ. თქვენ დამიკავშირდით.

• ბუცა, მე გთხოვე, იქნებ შენი ლოვე სთორყ „გზაში“ მოგვითხრო-თქო. კლეოპატრა სად წავიდა? რატომ აღარ გვანებივრებს მისი სატრფიალო ლექსებით, ხომ კარგადაა? ბიანკა.

• ლი23, რა პრობლემაა მერე, გაგეცნობი, მალე დაიბეჭდება ჩემი ნომერი და შემეხმიანე. კაცუნა რა აჟიტირებულია მისი სმსების ხილვით ჟურნალში?! ჩვენც აქ ვართ, გიოოო! ნაომი.

• ნურავინ იტყვით, რომ ეს ცხოვრება მშვენიერია, მშვენიერი კი არა და, ეს ცხოვრება ჯოჯოხეთადაა ქცეული, თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ასე ვფიქრობ. როგორ გგონიათ, ამ ჯოჯოხეთში არსებობს რამე სილამაზე? მე პირადად ამ ცხოვრებაში ველარანაირ სილამაზეს ვერ ვხედავ, ჩემთვის სილამაზე მოკვდა და ვივლი მხოლოდ სამოთხის გზით, მაგრამ ვერავინ მიმასწავლის მისკენ მისასვლელ ბილიკს! ამ ცხოვრებამ ჩემს თვალში ფასი დაკარგა და ახლა ჩემთვის აღარც მზე ანათებს და აღარც მთვარე, ყველაფერი სულერთია, გაინტერესებთ ეს ცხოვრება რა არის ჩემს თვალში? ეს ცხოვ-

რება ლამაზი ნაგვის ყუთია, სადაც შედიხარ, მაგრამ იქაურობა მოსაწყენი, დასავიწყებელი და აუტანელია. არ გაკმაყოფილებთ ჩემი პასუხი? მაშინ სხვა სიტყვებით გეტყვით, რა არის ეს ცხოვრება ჩემს თვალში: ეს ცხოვრება არის ლამაზი ჯართი, რომელიც გარედანაა მხოლოდ ლამაზი, შიგნიდან კი არაფრად ვარგა. მე დავასრულე და თქვენ გინდათ დამცინეთ და გინდათ დასევდიანდით. ვინც დამცინებს, იმათზე მხოლოდ გული მეტკინება და ცრემლი წამომივა. ცრემლი წამომივა იმიტომ, რომ ამ ცხოვრებას ჯერ ისევ ვარდისფერი სათვალით უყურებენ, მაგრამ იმას, ვისაც სევდა მოეძალება, მაშინ მე მხოლოდ სევდიანად გამეღიმება, იმიტომ, რომ ისინი მიხვდნენ ამ ცხოვრების სისულელესა და უაზრობას. მე დავასრულე, დანარჩენი თქვენ განსაჯეთ! ვისაც ჭკუა აქვს, ის თვითონ მიხვდება, მე რისი თქმაც მინდოდა. დანარჩენი თქვენ იცოდეთ. კაცუნა.

• მივმართავ ჩემს მეზობლებს: ასეთი დამპლები და მუდრეგები როგორ ხართ? სხვისი კარგი გშურთ და სხვისი სიცუდე რატომ გიხარიათ? პირში ეფერებით ადამიანს და მის ზურგს უკან ჭორაობთ და მის სიცუდეს ამბობთ! ნამდვილი უნამუსოები და წუნკლები ხართ! თქვენ ადამიანმა კარგი არ უნდა გაგიკეთოთ, რადგან სიკეთეს მაინც ვერ ხედავთ. ჰოდა, ამის მერე მე თუ სიკეთე გაგიკეთოთ, რაც გინდა დამიძახეთ, თქვე მუდრეგებო!

• ეს ხალხი რა უცნაურია, არა? ქართველ მაგარ ლამაზ გოგოს რომ უთხრა, შენზე ვიღგზნებიო, კაი მაგარს გაგილაწუნებს! და უცხოელს იგივე რომ უთხრა, ძაან მაგრად ესიამოვნება, რადგან იფიქრებს, ვაა, რა მაგარი ვარ, კიდევ ერთი ადამიანის ყურადღება მივიპყარიო! ხომ ხედავთ, რამხელა განსხვავებაა ქართველ გოგოსა და უცხოელს შორის? ჩემი აზრით, ლამაზ გოგოს რომ უთხრა, შენზე ვიღგზნებიო, არ უნდა ეწყინოს, რადგან ლამაზი და სექსუალურია! მასეთი გოგო მინდა ჩემ გვერდით, თორემ მახინჯსა და უშნოს რა მომაწონებს?! SEX BOY.

• მივმართავ გოგონებს: რატომ იყენებთ თქვენს სილამაზეს ბოროტად? ანუ რატომ ცდილობთ, ბიჭები ჯერ მოხიბლოთ და შემდეგ გადააგდოთ? მიპასუხეთ! ძაან მაინტერესებს, რით დავიმსახურეთ ასეთი სიძულვილი? ყველა ბიჭი ერთნაირი ხომ არაა, ამიტომაც კარგი და პატიოსანი ბიჭები ეძებეთ. მე აქ რასაც ვწერ, რა თქმა უნდა, ყველა გოგოს არ ეხება, რადგან ამდენ გოგოში არიან ლამაზები და პატიოსნები და ლამაზები და ბოზები, რომლებიც თავიანთ სილამაზეს ბოროტად იყენებენ! ანუ თავიანთი ცხოვრების უმეტეს ნაწილს ბოზობაში ატარებენ! ჯერ შეაყვარებენ ბიჭს თავს, მერე გაიპრანჭებიან, თითქოს ის ბიჭი არ უყვარდეთ და შემდეგ ისე მიატოვებენ, თითქოს ის ბიჭი მათ ცხოვრებაში არასოდეს ყოფილა. სწორედ ასეთ გოგონებს მივმართავ: რატომ ხართ ასეთები? რატომ ცდილობთ, ადამიანს გული ატკინოთ? აბა თქვენ წარმოიდგინეთ იმ გულნატკენი ადამიანის ადგილას თავი. ჰო, შეიძლება თქვენც გატკინათ ვინმემ გული, მაგრამ ხომ არსებობენ პატიოსანი, თბილი, ყურადღებიანი ბიჭები, რომლებიც თუ შეგიყვარებენ, ხელისგულზე გატარებენ. უბრალოდ, ასეთ ბიჭს მოძებნა უნდა! ვიცი, ძნელია ასეთი ბიჭის მოძებნა, მაგრამ ეძებეთ და იპოვით და თუ იპოვით, შემდეგ აღარ უნდა დაკარგოთ, რადგან შემდეგ ასეთს ვეღარ იპოვით. როცა შანსი გაქვს, მაშინ უნდა გამოიყენო, რადგან შანსი ორჯერ არ მოდის, მხოლოდ ერთხელ მოდის ცხოვრებაში. ყველას წარმატებას გისურვებთ! SEX BOY.

• ხალხო, არავის გინდათ, გამეცნოთ? SEX BOY.

• მივმართავ ბიჭებს: ნუ გგონიათ, ფული რომ გაქვთ და თავზე გადაგდით, ყველა გოგოს შეაცდენთ და გააკეთებინებთ იმას, რაც თქვენ გინდათ! მართალია, ზოგი გოგო ნამდვილად არაა პატიოსანი, მაგრამ ამდენ ხალხშიც არიან პატიოსანი გოგონები, რომელთაც თავიანთი სიწმინდე და უბიწოება ფულსაც ურჩევნიათ და სიმდიდრესაც! ჰოდა, ნუ ცდილობთ, მასეთი გოგონები ჯერ შეაცდინოთ და მერე მიატოვოთ. დაიმახსოვრეთ: ფულით ყველაფერს ვერ იყიდით! და მწარედ ცდება ის, ვისაც ასე ჰგონია! ძაან ბევრი ბიჭისგან გამიგონია: ფული მქონდეს და ნებისმიერ გოგოს გავაშიშვლებდიო. არ არის მასე! პატიოსანს ვერ გააშიშვლებთ! ბოზები კი ოხრად ყრიან! SEX BOY.

• ისე, ძაან მაინტერესებს ამდენი ლესბოსელი, პიდარასტი და ტრანსსექსუალი როგორ ეტევა საქართველოში?

• მე ვერ ავიტან, რომ ჩემი ოჯახის უფროსი ქალი იყოს. მაგ დონემდე არ დავეცემი, რომ ქალმა მარჩინოს. არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც არ ვინატრებ, რომ ქალი იყოს ოჯახის უფროსი. 1. როცა ქალი ოჯახში პირველია, ის შენზე მბრძანებლობს. 2. როცა ქალს მეტი შემოსავალი აქვს, ის ყოველთვის დაგაყვედრის ამას! 3. როცა ქალი თავს პირველ ადგილზე იგრძნობს, ის ზემოდან დაგიწყებს ყურებას. 4. როცა ქალი შენზე მდიდარია, ის ნებისმიერ დროს გიღალატებს, რადგან შენზე მაღლა იგრძნობს თავს და ეგონება, რომ შენზე მეტი უფლებები აქვს. SEX BOY. ისე, რას ფიქრობთ, ეს ნიკი მიხდება? :)

• პასუხი ატარექსიას: თუ გსურს, მეფის ცოლი იყო, პრინცზე უნდა დაქორწინდე! SEX BOY.

• პარიჟანკა, შენ მართალი ხარ. არსებობენ პატიოსანი გოგონები და პატიოსანი ბიჭები და არსებობენ არაპატიოსანი ბიჭები და არაპატიოსანი გოგონები. ჰოდა, არაპატიოსნები და პატიოსნები ერთმანეთში არიან არეულები. უბრალოდ, გარჩევა უნდა. მე პატიოსან გოგონებს ვიცნობ. თუ გინდა, ვიმეგობროთ. მე კაცუნა ვარ. ამის მერე ჩემი ნიკი მხოლოდ პრინცი იქნება. პრინცი (კაცუნა).

• ბამბუჩა, ვიფიქრე, ნიკად რა დავიწერო-მეთქი და მოვიფიქრე: ჩემი ნიკი იქნება პრინცი. მგონი მაგარია, არა?

• მივმართავ პარიჟანკას და ბამბუჩას: თუ გსურთ, ვიმეგობროთ. მე ნებისმიერ ადამიანთან ვიმეგობრებ, თუ რა თქმა უნდა, პატიოსანი იქნება. მგონი ყველაფერს აჯობებს, ჩემი ნამდვილი სახელი დავიწერო. ჰა, რას მეტყვით? კაცუნა.

• ერთი შეკითხვა მაქვს: გურულები მართლა ასეთი ენამწარეები არიან თუ მე მეჩვენება? ნაცნობი მყავს გურული და ისეთი მწარე ენა აქვს, მის მოსმენას წითელი, ცხარე წიწაკის ჭამა სჯობია. ჰოდა, მაგიტომ დავინტერესდი. არა, გურულები აფერისტები რომ არიან, ეგ ნაღდად ვიცი! ჯერ გულს გატკენენ და შემდეგ ისე გელაპარაკებიან, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ვერ ვიტან ენამწარე და აფერისტ ხალხს! ჰო, მართლა, კიდევ ერთი: გურული მყავს ნაცნობი და იცით, როგორი ტიპია? შენთან შენია, იმასთან — იმისი. ძაან მაინტერესებს, გურულები ყველანი ასეთები ხართ? ზიპპო.

• მოვიკითხავ ანანო ჯოხაძეს! ძაან მაგარი გოგოა! არავინ აწყენინოთ! ;)

• აქედან ზოგი მგზავნელი ცოტათი ტვინნაკლულია! ხომ ასეა? ასეა, აბა რა. თავები მაგარი ბიჭები ჰგონიათ მაშინ, როცა მათი ფასი მტვერიც კი არაა. ეჰ, ახლა ვაჟკაცები სანთლით არიან საძებნი. ახლა ბიჭთა უმრავლესობა ნამდვილი ჩმორია! ზიპპო.

• ღმერთმა დამიფაროს, რომ ქალი მარჩენდეს! ქალების უმრავლესობა ქმარს აყვედრის, რომ არჩენს. კიდევ ერთს ვიტყვი: ის მამაკაცები (უკაცრავად — ჩმორები), რომლებსაც ცოლები არჩენენ, ღირსები არიან, როცა ცოლი ღალატობთ! ამხელა მუტრუკებს თუ ოჯახის შენახვის თავი არ ჰქონდათ, რაღას მოჰყავდათ ცოლები? ასეთი მამაკაცები, სინამდვილეში კი ჩმორები, ყველაფრის ღირსები არიან ქალისგან! ზიპპო.

• მარიკუნა, როგორ მყავხარ? აუ, მარ, რა მაგარი იყო რეალური, დამბურძგლა ტანში, რომ წავიკითხე. ახალს რას შემოგვთავაზებ?

• ბექო, სად წახვედი? ხომ დაგვიბრუნდები? ულრმესი მადლობა, მეგობრებში რომ მომიხსენიე, გაიხარე, ბექო. უფალმა დაგლოცოს. კლეოპატრა.

• გამარჯობა, მარი. მაპატიეთ, მაგრამ გულს მტკენს მგზავნელების გესლიანი დამოკიდებულება ერთმანეთისადმი. ძველი „გზავნილები“ და მგზავნელები მომენატრა, თავისი ხალისიანობით. ნუთუ არ შეუძლია ამ ხალხს ზიზღის გარეშე ცხოვრება? ამით რის მიღწევას ცდილობენ, არ მესმის. არ შეიძლება, ასეთი ბოღმით სავსე მესიჯები დაიბლოკოს? უკაცრავად. ქუთაისიდან.

• რუისპირის მესიჯების კითხვისას მის ორიენტაციაზე ბნელი აზრი არ უნდა გაუჩნდეს საღად მოაზროვნე ადამიანს. თუმცა, ვისაც გაუჩნდება, იქნებ თავის თავში ეძებოს პრობლემა?

• მდააა, რაც უფრო უცნაური და ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვებით აგებული წინადადებებით ვისაუბრებთ, მით ინტელექტუალურად გამოვიყურებით, ვითომ? ჰმ. მემე.

• ქნ. ნანი მომენატრა უზომოდ. გაგვახარეთ, გთხოვთ, თქვენნაირი სითბოთი სავსე მესიჯებით. მოკითხვა მილეს, ემის, პარის, ლუნას, ლაკვასტს. ნიბუუუ, სად ხარ? მემე.

• ერთადერთოოოო, მიყვარხარ, შე ალკოჰოლიკო. მიიღე ეს მდაბიური სიყვარულის ახსნა, იმ დიდებული გრძნობის გამოსახატავად, მე რომ მჭირს, შენით. :) მიყვარხარ! მიყვარხარ! მემე.

• დავიარები გაცეტებული და ნუგეშად დამაქვს — ასულელებსო, ბრძენს ღვთივმომადლებული ეს გრძნობა. ნუ, რამდენად უხდება დაბრძნილ ადამიანს ახარხარება, არ ვიცი, მაგრამ... მემე.

• მარორიტა, როგორ ხარ? ჩემო კარგო, გთხოვ, ახლა მაინც მომეცი ბუსას ნომერი. ამ ნომერში ხომ დაბეჭდე მისი გზავნილი. ჰოდა, რა ნომრით დაგიმესიჯა, მომწერე. გთხოვ, რაა. დაგელოდები. ვიცი, გაწუხებ, მაგრამ ხომ შემპირდი, როცა დაამესიჯებს ბუსა, მოგცემ მის ნომერსო? ერთი მესიჯი გაიმეტე ჩემთვის. შენ ერთ-ერთი ადამიანი ხარ, ვინც გულს არ მტკენს. ქვრივი.

• მარიამულ, როგორ ხარ? მე სიცხის მიუხედავად, მაგრად ვარ. მარ, ლექსში ეგრე არ დამიწერია. „იგრძნო სხვისთვის დაფარული“ კი არა, „გრძნობა, სხვისთვის დაფარული“ მეწერა. ზეგ იუბილე მაქვს და რატომღაც ძალიან მიხარია... ჩემი გული ხარ, მარ! ჩემი ნიჭიერი. გამამხიარულა შენმა შესავალმა. შენი ლუნა.

• ალბათ ჩემზე ბევრი ამბობს, ჯერ არისო კიდევ ბავშვი, მაგრამ მათგან განსხვავებით, არ მჭირდება არსად საშვი... ლექსის წერა ზოგს ჰგონია, რომ არისო ადვილი, მაგრამ მენდეთ, დამიჯერეთ, შეცდომას აქვს ადგილი... ბევრიც ალბად იმას იტყვის, გამოსდისო ლექსის წერა, ჯერ არავინ არ იცის, მე რას მიმზადებს ბედის წერა... სხვას არაფერს აღარ ვიტყვი, მომინდვია თქვენთვის ყველა, მუდამ მხარში დაგიდგებით, დაგჭირდებათ ვისაც შველა. ლუნა.

• ნიკოლო, სიხარულო, მე არ მითქვამს, მთლად ერთნაირები ვართ-თქო. უბრალოდ, შენს ნაწერებში რაღაც ჩემმნაირს ვკითხულობ ხოლმე... ;) გკოცნით. CRAZY GIRL.

• რაო მარ, საყვარელო, ნაადრევად გამიშვი შვებულებაში? :) აი, ახლა უკვე რეალურად ვარ შვებულებაში და ბათუმო და ბათუმელებო, მალე თქვენთან ვააარ! CRAZY GIRL.

• გამარჯობა, ბამბუჩა! მე ის ბიჭი ვარ, ვისაც კაცუნა აწერია. იმედია, რასაც აქ ვწერ, წაიკითხავ და არ დამცინებ. თუ შეგიძლია, შენ მირჩიე რამე მაგარი ნიკი. არ გეგონოს, რომ დაგცინოდე, მე მასეთი არ ვარ. ისე, რუსთავში ვცხოვრობ. თუ გინდა, ვიმეგობროთ. გიო (კაცუნა).

• მარი, გამარჯობა. როგორ ხარ? გთხოვ, გიოს, კაცუნას ნომერი მომეცი ან ჩემი მიეცი მას, გთხოვ, უყურადღებოდ არ დამტოვო.

• დღეს სიმღერა მომიძღვნა ჩემმა სიხარულმა, მაგრამ ვერ ვუთხარი, რომ გამიხარდა. როგორ მინდა, ისევ შემეძლოს შენთან ყოფნა. ლიზი123.

• გამარჯობა, ჩემო კარგო მარი. როგორ ხართ? დიდი მადლობა, მესიჯები რომ დამიბეჭდეთ. გაიხარეთ, გკოცნით და ძალიან მიყვარხართ. გერასიმე.

• სევდიანი ქალის გაცნობა მინდა. ლიზი123.

• გამარჯობა. პირადად თქვენ მოგმართავთ: ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენი“ წაკითხული გექნება. აი, იქ ბრისენდენის ეფემერა ბრბოს რომ ჩაუვარდება საჯიჯგნად, ანალოგიურად მოხდა ახლაც. სამწუხაროა, რომ თქვენთვის გულის ამრევი იყო. ეგ ორიგინალური ნაწარმოები — „გულქანდი“, გარდა იმისა, რომ ბრწყინვალე ქსოვილია, წმინდა წყლის სიბრძნე, ჭეშმარიტი ხელოვნებაა. ქალს ნამდვილად შეუძლია მსგავსი ტრიუკის ჩატარება და კაცის გატუტუცება. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ ასეთი რამე. მე ჩემი ზრდილობა თან გამყვება, მაგაში ნამდვილად გეთანხმები. ბოლოს, ვიქნები სულგრძელი და მადლიერებით აღვნიშნავ, რომ მადლობელი ვარ, ეგ პოემები რომ დამიბეჭდე. დრო შეაფასებს.

• ბუცას: სიყვარულს მზის თვისება აქვს, დრო-ჟამის მიხედვით აცხუნებს და განურჩევლად ყველას ათბობს, რჩეულებს კი წვავს. P.S. დაწვა ჯობს, სამოწყალოდ ისედაც ყველასთვის მისაწვდომ სითბოს. :-) მააშ, დაველოდები შენს ლამაზ ჩანახატებს. სიყვარულით, ბიანკა.

• ნუგო30, შენ ციხეში კი არ უნდა იჯდე, ფსიქიატრიულში უნდა იწვე. მეორე მესიჯით მივხვდი, რა ვირთხა და წურბელა კაცი ხარ, ვერ გაახარებ, ნუგზარა ბიძიავ, აქ შენს ჭიას, ვერააა! :)) P.S. ცნობისთვის, თამუნა მიქელაძე და ნაომი ერთი და იგივე ადამიანია. ნაომი.

• სულ ვფიქრობ, რა არის სიყვარული. ხომ უნდა იცოდე, რა არის ეს გრძნობა, საიდან და რატომ მოდის... როგორც მე დავასკვენი, სიყვარული არის სიკეთე, სიკეთე — ნიჭი, ნიჭი — პოზიცია, პოზიცია — დამოკიდებულება, დამოკიდებულება — აზროვნება, აზროვნება — გონიერება, გონიერება — გამოცდილება, გამოცდილება კიდევ დროს მოაქვს, დრო კი წარმავალია. ამიტომ, ყოველთვის უნდა გვიყვარდეს. P.S. მომწონს ღიმილი, სიხარულით გამოწვეული, მომწონს თვალები მბრწყინავი, მე კანი მომწონს თეთრი და თოთო ბავშვივით სათუთი, მომწონს ჩიფჩიფი, ძალიან მომწონს ხმა, თითქმის მძინარის, მომწონს ჰობი და მიზანი, მომწონს ფერი და სინაზე, მომწონს ხუმრობა, სიბრაზეც, მომწონს სიმართლე, სიმკაცრეც, მე თმა მომწონს შეკრული, გაშლილი... გზა მომწონს, რომელიც ვიარეთ. ბიანკა.

• კაცუნა, ბიჭი იმდენად ღარიბი არ უნდა იყოს, რომ ფულის გარდა არაფერი გააჩნდეს. და ბოლოს, სულელს რომ დაიჭერ, უნდა იხმარო. გინდ გოგო იყოს, გინდ — ბიჭი. ნაომი.

• MISS BEHOLDER, გულთბილი სალამი შენ, ჩემგან. :) ვიმეგობროთ, აბა რა. :) GIO-JIQURI@YAHOO.COM ეს ჩემი მაილია და შემეხმიანე. :) რუისპირი (GREEN).

• რუისპირის კონკურენტი :) რა კარგად ჟღერს, მაგრამ ვაი, რომ ტყუილია. :) მე ხომ ერთადერთი და განუმეორებელი, უკონკურენტო ვარ. ვხუმრობ, რა თქმა უნდა, აქ ყველა ერთმანეთის მეგობრები ვართ და არა — დაპირისპირებული მხარე. :) ასე რომ, შეჯიბრებაზე ლაპარაკი უაზრობად მიმაჩნია. :) რუისპირი (GREEN).

• ისე აქტიურად განიხილავთ ჩემს ორიენტაციას, თავი მსოფლიო დონის ვარსკვლავი მგონია. :-) მეღიმება თქვენზე. :) რუისპირი (GREEN).

• არავის არაფერს ვუხსნი, ლელ (ეშმაკუნა), „გზაში“ რომ უნდათ ადგილის დამკვიდრება, ვინმეზე ხომ უნდა თქვან რაიმე სისაძაგლე? ალბათ მე ვიყავი მიზანში და... რიუსპირი (GREEN).

• ქეთი, მომძებნე „ფეისბუკზე“ და ვიმეგობროთ, აბა რაა. :) აქამდე გამოცდების გამო ვერ გწერდით, ახლა კი დრო თავზე საყრელად მაქვს. :) რუისპირი (GREEN).

• YELLOW-ს გაცნობა რამდენადაა შესაძლებელი არ ვიცი, მაგრამ მწვანე რუი თქვენს განკარგულებაშია, მეგობრებო. :) გამოართვი მარის ჩემი ნომერი და შემეხმიანე. რუისპირი (GREEN).

• გიო, ვინც შენ გიცნობს, არასდროს შეეპარება ეჭვი შენს ორიენტაციაში, ჩვენ ვიცით, როგორ ვერ იტან თმიან ქალებს. ეს იმ ადამიანის სიტყვებია, ვისი აზრიც მე ყველაზე მეტად მაინტერესებს. რაც შეეხება მათ, ვინც — როგორც WANDERERI იტყოდა — ჩემს სულში ხელების ფათურით არ იღლებიან, ვეტყვი: (ღმერთია მოწამე, უზრდელობა არ მინდოდა) წაიკუზეთ და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ყოველგვარი ეჭვი გაგეფანტებათ ჩემი გადახრების შესახებ. :) იფ, იფ! :-) რუისპირი (GREEN).

• მაესტრო, სუპერსტარ, თაკო, ელე, კოზა, ნანა, CRAZY, ჩუპი... 2-ში ერთად ვიქნებით. :) გავიხსენოთ შარშანდელი სიგიჟეები, ბავშვებო. :-) რუისპირი (GREEN).

• სიცოცხლე — სასტავს... მე ქობულეთიდან ვარ, ხომ შეიძლება, აქ რომ დავბინავდე, ჰა? ერთი ბიძაშვილი მყავს. როგორი? დაცემა და სამი ხაზი... ჩააცვი, დაახურე, არ დაალაპარაკო, არ გააცინო და უკეთესს ვერ ნახავ... როგორც კი პირს მოაღებს და... ახლა რა დაიწყო (თან ცუდი შედეგი მიიღო)?! ფურცელზე აწერს: „შეხება მომაკვდინებელია“, „სუპერ ცოოლ“, „მოდი, ნახე“ და ამგვარ უამრავ სისულელეს და დამსვენებელ, მსუქან ქალებს უკანალზე აკრავს (დამულამებული აქვს). ჰოოდა, ერთმა სომხის ქალმა შეამჩნია, როგორ უფათურებდა ხელს და რომ დაბზრიალდა ვენტილატორივით და მოადო სიფათში, პლაკატივით გააკრა ჯებირზე. ხუთმა კაცმა ძლივს ააგლიჯა ჯებირს. დაცემა-არადგომის შედეგი — გიფსშია. ფსფსა.

• სეზონის დაწყებისთანავე ისე დავიწვი, რომ მთლად გადავტყავდი. ახლა კი ვზივარ ოთხ კედელში, „გაუბახტი“ მიმიქარავს... ცეცხლზე დასადები, გამზადებული შემასავით ვარ. ფსფს.

• უნიკო შეურაცხმყოფელო, იცი, შენმა სიტყვებმა დამაფიქრა და მივხვდი, რომ მართალი ხარ. მგონი ნამდვილად არ ღირდა ასეთი უზნეობისა და უწესობის დაწერა და მით უმეტეს, გარითმვა. ბოდიშს გიხდი, ამით შენი განაწყენება თუ გამოვიწვიე და თითოეულ მგზავნელსა თუ მკითხველსაც, გულწრფელ ბოდიშს გიხდით. გთხოვთ, რომ მაპატიოთ, არ ვიცი, რა დამემართა, თითქოს ჩემდა უნებურად ამომსკდა პირიდან ეგ უმსგავსო სიტყვები. ამიტომ თქვენი კეთილშობილებისა და შენდობის იმედი მაქვს, განსაკუთრებით შენი, უნიკო შეურაცხმყოფელო, ძალიან გთხოვ, მაპატიე... ეს თქვა ჩემმა ანგელოზმა. მოვუსმინოთ, რას იტყვის ჩემი ეშმაკი: უნიკო შეურაცხმყოფელი ხარ თუ ანტონიო, შენ ვინ გექორწინებისპირველღამევება, რომ შენი ვადაგასული გონებით, შენთვის უცხო პიროვნებას დაუმსახურებლად მაყენებ შეურაცხყოფას? შენს აბორიგენულ აზროვნებამდე არაა დასული, რომ უცხო ადამიანის მიმართ მეტი პატივისცემა გვმართებს. იმ გარემოებასაც თუ გავითვალისწინებთ, პიროვნულად არ მინდა, შეგეხო. ასე რომ, ჯობს შენი ჩაფუშული გონება დააფიქრო შეურაცხყოფის უფლების ქონე-

ბა-არქონებაზე, შე 1 ქრომოსომით ნაკლებო... :)) გაიგე, შე არაფერო, შენა? :) დაბოლოს, როგორც ჩემი 6 წლის მეზობელი იტყოდა, თავისებური და პატარული სტილით: სულაყროლებული შენ ხარ, თუ კაია :). P.S. თუ გინდა ანგელოზს დაუჯერე, თუ გინდა ეშმაკს. :) P.P.S. არ ვყოფილვარ ხელდამშვენებული კრასკებით, აღდგომაზე მუცელი მაქვს გაბერილი პასკებით, ერთხელ სიმთვრალეში სუპერმარკეტში შევედი ნასკებით. არ უნდა მოიქცე ვიღაც სოფლელი სხვასავით, აზროვნებით რომ არის ქვასავით, შეხედულებებით კი ვითარცა მლაშე ზღვასავით, პარკში შეყვარებულს რომ გუდავს ზასავით! :) შარშან მეზობელს ქმრის ნაცვლად ლოგინში შეუძვრა კალია, თუმცა საცოდავმა სული იქვე დალია, მესმის კალიის, ეგ მეზობელი მართლა მაგარი ქალია, კალიასაც თუ დაევასა, რა მისი ბრალია? უზრდელობაა სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა და ჩასუნვა, მე მირჩევნია ბანაობის შემდეგ სხეულზე დასუნვა, მიყვარს ქლესებთან და ჟოპალეზებთან კონტაქტის შეწყვეტა და მათი ბლოკვა, მაგრამ უფრო მიყვარს ნაყინის ნელა ლოკვა. :) ვაფასებ ადამიანს, ვისაც აქვს კარგი გემოვნება და თვლის, რომ ეროტიკაც არის ხელოვნება! :) მისტერ.

• ადამიანებს სხვადასხვანაირი ხასიათი, გემოვნება და მოთხოვნილებები აქვთ: ის, რაც ერთისთვის ცხოვრების მთავარი მიზანია, მეორისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია და — პირიქით, მაგრამ არსებობს ერთი რამ, რაც მატერიის საზღვრებს სცილდება, რაც ყველა ადამიანს ასე ძალიან სურს, თუნდაც აშკარად არ ამხელდეს ამას და ეს მისი გულის საიდუმლო იყოს. ის, რაც ყოველ კაცს ასე სჭირდება, სიყვარულია. სიყვარულია სწორედ ის გრძნობა, იდუმალი და საოცარი, რომლის კალთაში სულის გათბობაც ყოველ ჩვენთაგანს, მკვლელიც რომ იყოს, ასე სწყურია. ადამიანის ღვთისადმი სიყვარული მისი უმაღლესი ფორმაა. ყველაზე სრულყოფილად და უშუალოდ ეს გრძნობა მონაზვნობაში ვლინდება. მონაზვნისთვის ღვთისადმი სიყვარული მთელი მიწიერი ცხოვრების ქვაკუთხედია. ამ სიყვარულმა არ იცის არც სიყალბე, არც ღალატი; ის თუმცა ბევრს ითხოვს, მაგრამ სანაცვლოდაც უხვად გასცემს. ლაკვასტი.

• თუ საკუთარი თავის უნდობლობა და ღვთის სასოება, რაც ასე აუცილებელია ჩვენს სულიერ ბრძოლაში, ჩვენში მარტო დარჩებიან, არათუ გავიმარჯვებთ, უფრო დიდ ბოროტებაში ჩავეფლობით. ამიტომ მათთან ერთად და მათით უნდა ვილვაწოთ განსაკუთრებული ღვაწლით, რასაც განმსწავლელი სულიერი ვარჯიში ეწოდება. ამგვარ მეცადინეობათაგან პირველი ადგილი გონებისა და ნების ვარჯიშს ეთმობა. გონება უნდა განვაშოროთ და დავიცვათ უმეცრებისაგან, რომელიც ძალზე მავნებელია, რადგან აბნელებს და საშუალებას არ აძლევს გონებას, იხილოს ჭეშმარიტება — მისი ძიებისა და სწრაფვის ძირითადი მიზანი. გონება უნდა ვავარჯიშოთ, რათა ნათელი, სუფთა იყოს და კარგად გაარჩიოს, თუ რა გვესაჭიროება სულის ვნებათაგან განსაწმენდად და სათნოებებით შესამკობად. გონების ამგვარ სინათლეს შეგვიძლია მივაღწიოთ ორი ხერხით: პირველი და აუცილებელი არის ლოცვა. უნდა ვევედროთ სულიწმიდას, რათა ინებოს და ღვთაებრივი სინათლე მოჰფინოს ჩვენს გულს. ასეც იქმს, თუ ჩვენ ჭეშმარიტად ვეძიებთ უფალს, თუ გულწრფელად მოშურნენი ვიქნებით და ღვთის ნებას მივენდობით, ყოველთვის ხალისით დავემორჩილებით გამოცდილი სულიერი მოძღვრის რჩევას და არაფერს მოვიმოქმედებთ მასთან შეუთანხმებლად. გონების ვარჯიშის მეორე ხერხია საგანთა მუდმივი განხილვა და ჩაღრმავება მათ შესაცნობად, რათა ნათლად გავარჩიოთ ავი და კარგი. არა ისე, როგორადაც მათ შესახებ განსჯის ეს სოფელი და გრძნობადი სამყარო, არამედ როგორც განსჯის მართალი გონება და სულიწმიდა, ანუ ღვთივშთაგონებული წერილის, ღმერთშემოსილ მამათა და ეკლესიის მასწავლებელთა ჭეშმარიტი სიტყვა. როდესაც უტყუარად და ჯეროვნად განვიხილავთ და ჩავუღრმავდებით ყოველივეს, შედეგად ნათლად გავიაზრებთ, რომ არაფრად უნდა გვიღირდეს და ცრუდ და ამაოდ მიგვაჩნდეს ის, რაც უყვარს ბრმა და გარყვნილებით აღსავსე სოფელს და რასაც ეძიებს იგი. კერძოდ კი ის, რომ ამსოფლიური პატივი, სიამენი და სიმდიდრე სხვა არაფერია, თუ არა ამაოება და სულის სიკვდილი; შეურაცხყოფა და ცილისწამება, რითაც გვდევნის სოფელი, ჭეშმარიტ დიდებას გვძენს, ხოლო მისი ჭირ-ვარამი — სიხარულს; რომ მიტევება ჩვენი მტრებისთვის და მათთვის სიკეთის კეთება ჭეშმარიტი დიდსულოვნებაა და ღვთის მსგავსებისა და ხატების ერთ-ერთი უდიდესი ნიშანი; რომ მეტ ძალაუფლებასა და სიძლიერეს ამჟღავნებს ის, ვინც არად აგდებს სოფელს, ვიდრე ის, ვინც მთელ სამყაროზე ბატონობს; რომ ნებაყოფლობითი მორჩილება უფროა სულის სიმამაცისა და სიმტკიცის გამოხატულება, ვიდრე ძლიერ ხელმწიფეთა დამონება და მათზე მბრძანებლობა; რომ მდაბალი თვითშემეცნება ყველა მაღალი ფასეულობის შემეცნებაზე უპირატესია; რომ საკუთარი მავნე ჩვევებისა და ვნებების დამარცხება და მოკვდინება, რაც უნდა უმნიშვნელონი იყვნენ ისინი, უფრო იმსახურებს ქებას, ვიდრე უთვალავი ციხესიმაგრის აღება, ძლევამოსილი არმიის განადგურება და, თუნდაც სასწაულების მოხდენა ან მკვდართა აღდგინება. ლაკვასტი.



# გილოცავ!

• ემილია ბონდარენკოს ვულოცავ 74 წლის იუბილეს, 22 ივლისს. ირაკლი ფოთიდან.

• სულიკო კოტორაშვილს ვულოცავთ 50 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ულევ სიხარულს, ოჯახთან ერთად. ნინო და გურამი.

• 31 ივლისს გიო მოსიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, ოჯახთან ერთად. მპუა, ვოოტ, რაია, რა...

• ირაკლი, გილოცავ დაბადების დღეს, უფალი გფარავდეს, დედი. იყავი ბედნიერი და მუდამ ამაყი.

• ნინო, სიხარულო, ვაჟკაცის დაბადებას გილოცავ. სულ მუდამ ლამაზი ყოფილიყავი, მთელი ცხოვრება.

• 28 ივლისს დაბადების დღეს ვულოცავთ ვეფხია ლალიაშვილს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, გაბედნიერებასა და ღვთის წყალობას. სიყვარულით, ოჯახის წევრები.

• ჩემს მონატრებულ და უსაყვარლეს შვილიშვილს, საბა გედენიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 23 ივლისს. ჯანმრთელობა, სიხარული და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს. გილოცავ, ჩემო კარგო, ღმერთი გფარავდეს. მინდა იცოდე, რომ ვამაყობ შენით. გთხოვ, მაგრად იყავი, გაუფრთხილდი შენს თავს. ყველაფერი მოგვარდება.

• ცისარტყელა აკისკისდა, მიებჯინა მზესო, თოლიები ზღვის ნაპირზე ჩუმად კრავენ წრესო, გეფერები და გილოცავ დაბადების დღესო. ნანო, მიყვარხარ. გაკოცე. დათო.

• ჩემს უსაყვარლეს და უძვირფასეს მეგობარს, ნანკა ღვალაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. სულ სიყვარულსა და სიხარულში გაგევლოს მთელი ცხოვრება. სიტყვები არ მყოფნის გამოვხატო, თუ როგორ მიყვარხარ. გკოცნი და მენატრები. ნინიკო.

• ჩემს მძახალს, ლენა ნიკოლაიშვილს ვულოცავ 65 წლის იუბილეს, გისურვებ ჯანმრთელობას, უფლის წყალობას, უამრავი ლამაზი და ბედნიერი დღე გაგთენებოდეს. ელზა.

• ნინიკო, გილოცავ პატარის დაბადებას. ჯანმრთელი და ბედნიერი ბიჭი გაგეზარდოს. იხარეთ და იდღეგრძელეთ. მოკითხვა ყველას, ვისაც ვახსოვარ.

• ქუთაისში, გელა მიმინოშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 25 ივლისს. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, მშობლებთან და მეუღლესთან ერთად.

• ჩემს პატარა ვაჟკაცს, ოთიკო მამალაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 30 ივლისს, უკვე 5 წლის გახდი და დიდი კაცი ხარ. გაიხარე და გაიზარდე, შენს ძამიკოსა და დაიკოსთან ერთად. ღმერთმა უბედნიერესები გამყოფოთ, მშობლებისა და ახლობლების გასახარად. ნანიკო მამიდა.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

# გლდანის „პატარა აფხაზეთი“ ანუ „ყვავილების მოვლა სულიერად მამშვიდებს და დარდებს მიქარვებს“

**„პროფესიით პედაგოგი ვარ. 22 წელი კინდღის საბავშვო ბაღში მასწავლებლად ვმუშაობდი. მას მერე, რაც დევნილები გავხდით, აღარსად მიმუშავია, დიასახლისი გახლავართ და ხელი მივყავი ყვავილების მოშენებას. როდესაც სევდიანი და დარდიანი ვარ, მათ ვუვლი, რითაც დარდს ვიქარვებ“, — მითხრა გულნაზ თუთისანმა, რომელიც ამჟამად გლდანის VII მიკრორაიონის ერთ-ერთ კორპუსში ცხოვრობს და სახლის წინ ყვავილების საოცარი ბაღი აქვს გაშენებული. იქ მისვლა და იმ სილამაზის ხილვა ერთი სიამოვნებაა.**

*ლალი ფაცია*

— **როგორც ვიცი, ამ აბაღნარებულ ეზო-კარს „პატარა აფხაზეთსაც“ უწოდებენ. როგორ მოახერხეთ ამ სილამაზის შექმნა?**

— ბავშვობიდან მიყვარს ყვავილები და მათი მოვლა. ამ სახლში საცხოვრებლად რომ გადმოვედით, იების 90 ქოთანი მქონდა, სულ სხვადასხვა ფერისა და დასახელების. მანამდე ნაძალადევში, „ფეზეუს“ შენობაში (აფხაზეთიდან რომ ჩამოვედით) 9 წელიწადი ვიცხოვრეთ და იების შეგროვება და გამრავლება იქ დავიწყე. მაგრამ ამ სახლში რომ დავბინავდით, 90-ივე ქოთანი გამინადგურდა. როგორც ჩანს, გარემო რომ შეიცვალეს, ეს არ მოეწონათ...

— **საოცარია. სად და როგორ შეაგროვეთ ამდენი დასახელების ია? ან იქ, სადაც ცხოვრობდით, ის ფართობი საკმარისი იყო იმისთვის, რომ ყვავილები განგეთავსებინათ?**

— კი, მუზეუმისა და სამასწავლებლოს ოთახები გვქონდა დაკავებული, რომლებიც იმ შენობის დირექტორმა მოგვცა. დიდი ფართობი იყო. ძველი შენობა გახლდათ, უზარმაზარი ფანჯრები ჰქონდა და შესაბამისად, ფართო რაფებიც, სადაც ყვავილებს ვათავსებდი. მოგვიანებით, იების რაოდენობა რომ გაიზარდა, უშანგმა, ჩემმა მეუღლემ რაფებს „სართულები“ გაუკეთა და იქ დავაწყვე ყველა ქოთანი. მთელი დღის განმავლობაში მზის გულზე იყო ყვავილები. ისეთი ლამაზი იები მქონდა, აქ რომ გადმოვიტანე, ხალხი მათ სანახავად მოდიოდა.

— **ყვავილებიდან მხოლოდ ია რატომ აირჩიეთ?**

— იმ პერიოდისთვის ასეთი განწყობილება მქონდა. სულ თითო-თითო ფოთლით გავამრავლე თითოეული. რამდენიმე ფოთოლი ჩემმა შვილმა — გვანცამ მომიტანა.

— **როგორც ჩანს, კარგი ხელი გაქვთ. მცენარე „მოგყვებათ“...**

— კი, როგორც იტყვიან, ყვავილები ხელში „მომყვება“. ქოთანში უკუღმა რომ ჩავრგო, წალმა ამოდის (*ღიმება*). ის კი არა, კინდღში ქათმები და ინდაურები მყავდა. წიწილების დასაჩეკად რომ დავსვამდი, 28 კვერცხიდან მხოლოდ 2-ს თუ გააფუჭებდნენ — ყველა დანარჩენს გამოჩეკდნენ. მეზობლები გიჟდებოდნენ. ბოსტანსაც კარგად ვუვლიდი, ის ისეთი აბიბინებული იყო, ვინც კი ნახულობდა, გაკვირვებული რჩებოდა. ისე, ის უფრო უკვირდათ, თან რომ ვმუშაობდი და თან ბავშვებსა და ოჯახს რომ ვუვლიდი — ეზო-კარშიც უამრავ საქმეს ვასწრებდი.



სტუმარიც გამოულევლად გვყავდა.

— **ახლა ვინ ცხოვრობს თქვენს სახლში?**

— აფხაზები ცხოვრობენ... ჩვენი უზარმაზარი სახლი ზღვას გადაჰყურებს, ულამაზეს ადგილას არის. ახლაც ყოველღამე სიზმარში იქ ვარ. სულ მესიზმრება და დილას ცრემლიანი თვალებით ვიღვიძებ, თან, იმედი მესახება და ვამბობ: იქნებ ეს სიზმრები იმას მოასწავებს, რომ იქ უნდა დავბრუნდეთ-მეთქი?!. იქ უკეთეს ბაღნარს გავაშენებდი. უზარმაზარი ეზო გვაქვს, სადაც არაჩვეულებრივი ყვავილებიც მქონდა... ჩვენს სახლში ყოველ ზაფხულს ნანა ჯანელიძის მამა — თამაზ ჯანელიძე ისვენებდა, რომელიც „კიმსის“ კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი გახლდათ. გაოცებული იყო, სულ იმას მეკითხებოდა, — ამდენ საქმეს რო-

გორ ასწრებო?! ჩემი მეუღლე იმ კვლევითი ინსტიტუტის საცდელი მეურნეობის დირექტორად დანიშნა... ჩვენი ოჯახის მეგობარი იყო სერგეი ბაღაფშიც. როცა გარდაიცვალა, ჩემი მამამთილი მოვიდა ჩვენთან და მკითხა, — გასვენებაში არ წავიდეთ? შენ ხომ დაქალობდი მის ცოლთანო?.. ბაღაფშებს ჩვენი სახლის წინ აგარაკი ჰქონდათ. მისი და ჩემი შვილები ერთად იზრდებოდნენ. როგორც ცნობილია, ბაღაფშის ქვრივი, დიდებული ქალბატონი — მარინა შონიაა... მოკლედ, ისინი მთელი ზაფხული ჩვენთან იყვნენ ხოლმე. სერგეი ჩვენს ოჯახს დიდ პატივს სცემდა და, ოჩამჩირის რაიონის რაიკომის პირველი მდივანი რომ იყო, დასასვენებელი სახლის დირექტორობიდან აფხაზი გაათავისუფლა და ჩემი მეუღლე დანიშნა, რის გამოც აფხაზებმა პრობლემები შეუქმნეს... კარგი კაცი იყო, გული მტკივა, რომ მან საბოლოოდ, ქართველებს უღალატა...

**— ეი. თქვენი სახლი გადაურჩა განადგურებას?**

— იქ ყველა სახლი გაძარცული და დანგრეულია. ჩვენთან კი ყველაფერი ისევეა, როგორც დავტოვეთ. სურათებიც გადაუღეს ჩვენს სახლს, მოგვიტანეს და ვნახეთ, როგორ ცხოვრობენ იქ სხვები. უშანგის თანაკლასელი, მეგრელი ქალი, ჩემი მეჯვარის ბიძაშვილი აფხაზს გაჰყვა ცოლად. ტყვარჩელში ცხოვრობდა და მთელი კინდღი რომ დაიცალა, ის მისი დედ-მამის სახლს დაეპატრონა. მშობლები აქეთ გამოიქცნენ. ლამაზი გოგონები ჰყავდა და ერთ-ერთი იმ ბიჭს მოეწონა, ვინც ჩვენს სახლში დაბინავდა და ცოლად მოიყვანა. იქიდან რომ წამოვედით, იმ წელსვე ჩვენს სახლში უზარმაზარი ქორწილი გადაუხდიათ, სუფრასთან უშანგიც და ჩვენი ოჯახიც უდღეგრძელებიათ. დევნილობის პირველსავე წელს ჩემი მეუღლე შეხვდა იმ აფხაზს, რომელმაც უთხრა, — თუ ქართველები დაბრუნდებით, შენს სახლს უვნებელს დაგახვედრებო...

**— მოკლედ, ვიდრე აქაურობას ასე აბიბინებდით, საკმაოდ რთული გზა გქონიათ გამოვლილი...**

— კი, ძალიან ბევრი ვიწვალეთ... როგორც გითხარით, 10 წელი ნაძალადევში ვიცხოვრეთ. ძალიან გვიჭირდა. გვანცა მაშინ სტუდენტი იყო, თეატრალურ უნივერსიტეტში სწავლობდა. სახელობითი სტიპენდია ჰქონდა და არც ერთი კაპიკი არ დამხარჯვია მის სწავლა-განათლებაზე. ბავშვებს თავიანთი ნიჭითა და უნარით გაჰქონდათ თავი. მაკამაც უცხო ენები დაამთავრა. შვილებმა ძალიან გამიმართლეს.

**— მოდი, ისევ თქვენს ყვავილებს დავუბრუნდეთ. იები რომ გაგინადგურდათ, მას მერე ამ ყვავილს აღარ ამრავლებთ?**

— კი, ახლა ვაპირებ, მაგრამ საკმარისი ადგილი არ მაქვს. ზამთარში ყველა ქოთანს სახლში უნდა შეტანა. ია ძალიან სათუთი მცენარეა, უყვარს სითბო და სინათლე... როდესაც ამ ყვავილებს, წლების წინ, მეც გავუბრაზდი და გადავაჯიშე, სახლის წინ მიწა შემოვაკავეთ, სადაც ეზოს ულამაზესი ყვავილები დავრგეთ. ამასთან, იების ქოთნებიც ხომ დამრჩა და მათში სხვადასხვა ჯიშისა და დასახელების ყვავილებიც ჩავრგე. ზუსტად არ დამითვლია, მაგრამ ახლა ბაღში ბევრი დასახელების ყვავილი ხარობს.

**— როგორ უვლით მათ?**

— წელს ყვავილები გარეთ აპრილის ბოლოს გამოვიტანე. ყველას მოვაყარე საქონლის ნაკელი. ზაფხულში სპეციალურ წამალს ვუსხამ, განსაკუთრებულს არაფერს ვუკეთებ. ფოთოლი რომ შემოუხმება, ვაცლი, ნიადაგს ვუფხვიერებ... თუ მტვერი დაედება, ის აუცილებლად უნდა გადავწმინდო. მთავარი კიდევ ის არის, რომ მათ როგორც ცოცხალ, სულიერ არსებებს, ისე ველაპარაკები, ვეფერები. როდესაც იყვავილებენ, მადლობას ვუხდი. მოკლედ, „ვმეგობრობ" მათთან. ჩემი ნამდვილად ესმით!

**— ყველაზე მეტად ამ ყვავილებიდან რომელი გიყვართ?**

— ყველაზე მეტად მომწონს, აი ის (*ხელს იშვერს ყვავილისკენ. — ავტ.*); ვარსკვლავას ვეძახი. წითელი, ვარსკვლავივით ყვავილები აქვს, რაღაცით ალოეს წააგავს. ზამთარში ისეთი გაყვავილებული იყო, რომ გენახათ, გაოცდებოდით... ბოსტანში, წლების წინ, ერთი ლეღვის ხე დავრგეთ და რაღაც არ მოისხა ნაყოფი. მეუღლეს ვუთხარი, ამას ახლა ამოვთხრი და მის ნაცვლად სხვა ხეს ჩავრგავ, რაც ნაყოფს მოგვცემს-მეთქი — ლეღვის ხეს გავუბრაზდი. წელს გავიხედე და არ დაიხუნძლა ნაყოფით? ამიტომაა, რომ ვამბობ, მცენარეს ესმის ადამიანის-მეთქი... კინდღში ბალი გვქონდა და არ ისხამდა. მივედი ახლოს, ნაჯახი მივიტანე და უნდა მოგჭრა, რატომ არ ისხამ-მეთქი? დავემუქრე. ნაჯახი რამდენჯერმე დავუმიზნე კიდეც. მეორე წელს იმდენი მოისხა, ტოტები ატყდებოდა.

**— რა განცდა გეუფლებათ, როდესაც რომელიმე ყვავილი მოიწყენს ან გახმება?**

— ძალიან ცუდად ვხდები. ვგიჟდები, თუ რომელიმე მათგანი მოწყენილია, ან მას ვინმე ფოთოლს მოამტვრევს, გააფუჭებს; ანდა გახმება. მასთან ერთად მეც ვიწყენ და ცუდ გუნებაზე ვდგები. გაზაფხულზე ისეთი ლამაზი იყო აქაურობა — ვარდები და პიონები ყვაოდა. გლდანში ყველამ იცის ჩვენი ეზო. ჩაივლიან, ამოივლიან და ამბობენ, — ნამდვილი სამოთხე და ედემის ბაღი გაქვთო.

**— ჰო, კორპუსებში რატომღაც ხალხს ეზარება ეზოს ასე მოვლა...**

— აქ რომ გადმოვედით, ეზოებში


დედა მცენარეებს როგორც შვილებს ისე ელაპარაკება...

ერთი ვარდიც კი არ ჰქონდათ დარგული. შემოღობილები კი ჰქონდათ, მაგრამ ეკალბარდებს მიჰქონდა იქაურობა. ვგიჟდებოდი — რატომ შემოღობეს, თუ მიწას არ მიხედავენ-მეთქი. სახლის უკან ბოსტანი მაქვს, სადაც ასევე უამრავი ვარდი მაქვს გაშენებული. იქვე ხარობს — ჟოლო, ალუბალი. მას მერე, რაც მეზობლებმა დამინახეს, რომ ყვავილები მოვაშენე და დღე და ღამე აქაურობას დავტრიალებდი, მათაც მებაღეობას მიჰყვეს ხელი.

**— მაგალითი მიეცით...**

— სხვათა შორის, ჩვენი ბაღი გიგი უგულავამაც ნახა. ის აქ არჩევნების დროს მოხვდა — აქვე პარკში, ხალხთან შეხვედრაზე მოვიდა. თან, იმ პერიოდში, თბილისში ეზოს წინ ბევრი შემოღობილი ბაღი მოშალეს. გიგიმ რომ ნახა აქაურობა, ძალიან მოეწონა და თქვა: — ეს ეზო ვინმემ რომ მოანგრიოს, პასუხს მე გავცემ! ყველამ უნდა მოგბაძოთ, თქვენნაირ ადამიანებს მივესალმებით.

**— ეი. ოჯახის წევრებიც ხელს გიწყობენ ამ საქმეში, არა?**

— კი, ძალიან. ჩვენ ყველას გვიყვარს მცენარეების მოვლა და სილამაზე. გვანცას უამრავი ყვავილი აქვს მოტანილი. მეუღლეც ძალიან მეხმარება. ტყიდან მიწა ყვავილებისთვის მას მოაქვს.

**გვანცა გიორგობიანი:**

— როდესაც დედა დასავლეთში მიდის და ყვავილებთან მე მტოვებს, ვგრძნობ, რომ ისინი გრძნობენ დედის არყოფნას, რადგანაც ის რაღაც სხვანაირად უვლის მათ: ზუსტად იცის, რომელი ფოთოლი მოაცილოს თუ ღერო მოტეხოს, რომ ყვავილმა გაიხაროს. როგორც შვილებს, მცენარეებს ისე ელაპარაკება, აქებს...

**— ქალბატონო გულნაზ, რას ურჩევთ ჩვენს მკითხველებს?**

— ქოთნის ყვავილები ყველა ოჯახში უნდა ჰქონდეთ. ჯერ ერთი — ლამაზია, და თან ადამიანს კარგ ხასიათზე აყენებს. როცა ავად ვარ და ჩემს ყვავილებს შევხედავ, სულიერადაც ვწყნარდები და მალეც ვიკურნები. მათთან სიახლოვე ძალიან მამშვიდებს და მშველის. ვისაც შინ უწევს ყოფნა, ვურჩევ, აუცილებლად მოამრავლოს ყვავილები და მოუაროს. ჩემი ასაკის ადამიანებს კი განსაკუთრებულად დაეხმარებათ მცენარეები. ნერვებს დაუმშვიდებთ, გაახალისებთ, გაახარებთ და აღარ ექნებათ დრო პრობლემებზე ფიქრისთვის. ■

# უცნაური ლოტი ანუ სისულელეში გადაყრილი ფული



• 2005 წელს, ნიუ-იორკში, UERNSEYS-ის აუქციონზე პრეზიდენტ — ჯონ კენედის რამდენიმე პირადი ნივთი გაიტანეს. 60 ათას დოლარად გაიყიდა სარწეველა-სავარძელი, რომელშიც წელის ტკივილით შეწუხებულ პრეზიდენტს დასვენება უყვარდა. 54.000 დოლარად გაიყიდა 1951 წელს გაცემული პასპორტი. აუქციონზე დიდი ინტერესი გამოიწვია ორმა ალამმა, რომელიც 1963 წლის 22 ნოემბერს, დალასში (ამ დღეს კენედი მოკლეს) ჩასული პრეზიდენტის ლიმუზინს ამშვენებდა. ისინი 450 ათას დოლარად შეიძინეს. იმავე წლის თებერვალში, აუქციონზე გამოიტანეს ჟაკლინ კენედის სამზარეულოს ატრიბუტები — მინის ქილები და ასაღებები, თითოეული ნივთი 800 დოლარად გაიყიდა.

• 2004 წელს „ბითლზის" ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა 234 ათას დოლარად შეიძინა ჯონ ლენონის ტყავის სამაჯური; მას მომღერალი თავის თილისმად მიიჩნევდა. სამკაულის საწყისი ფასი 29.000 დოლარი იყო.

• 2002 წელს „კრისტის" აუქციონზე 220.850 დოლარად გაიყიდა პელეს გაცრეცილი მაისური, ხოლო ერთი წლის შემდეგ იმავე აუქციონზე ფეხბურთელის ბუცები. ერთმა თაყვანისმცემელმა ის 150 ათას დოლარად შეიძინა.

• 1967 წელს მოკლულ არგენტინელ რევოლუციონერს — ჩე გევარას გუსტავო ვიოლიდიმ თმა მოაჭრა. 2007 წელს თმა აუქციონზე 119 ათას დოლარად ჰიუსტონის წიგნის მაღაზიის მფლობელმა იყიდა და სალონში, თვალსაჩინო ადგილზე გამოფინა.

• მერილინ მონროს რამდენიმე ქმარი, საყვარელი და უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა. 2005 წელს „კრისტის" აუქციონზე 90.850 დოლარად გაიყიდა წიგნაკი მათი ტელეფონის ნომრებით.

• 2001 წელს „სოთბის" აუქციონზე 23.850 დოლარად გაიყიდა ექსკლუზიურად მადონასთვის შეკერილი „დოლჩე და გაბანას" შავი, ბისერებით მოქარგული აზღუდი, რომელითაც მომღერალი ერთ-ერთი ტურნეს დროს სცენაზე გამოდიოდა.

• 2005 წელს სადამ ჰუსეინის უნიფორმა 20.000 დოლარად შეიძინეს.

• მხატვარი ენდი უორჰოლდი 80-იან წლებში სიქაჩლის დასაფარავად პარიკს ატარებდა. 2006 წელს მხატვრის ხელოვნურ თმაში მისმა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა 10.800 დოლარი გადაიხადა.

• ბრიტანეთის ერთ-ერთ აუქციონზე გასაყიდად გამოიტანეს ჯეკ ნიკოლსონის 11 კბილი. ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა თითო კბილში 1.000 დოლარი გადაიხადა.

• ამერიკელმა ტელეწამყვანმა — სტივ ჰარტმანმა მაღაზიაში 180 დოლარად შეძენილი პერანგი eBay-ის აუქციონზე 8.000 დოლარად გაყიდა. იმავე აუქციონზე, 3.100 დოლარად შეიძინეს ჯასტინ ტიმბერლეიკის მიერ მოკბეჩილი ფრანგული ბუტერბროდი.

• ჯიმ მორისონი 6 წლამდე ბებია-ბაბუასთან იზრდებოდა. 2007 წელს აუქციონზე 2.500 დოლარად გაიყიდა მომღერლის ბებია-ბაბუის სახლის კარი.

• ბრაიან ადამსის ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა ქალმა მწერლის წინდებში 1.100 დოლარი გადაიხადა.

• კურტ კობეინის ფანმა მომღერლის შამპუნის ნახევრად ცარიელი ქილა 175 დოლარად შეიძინა.

• ყველაზე ხშირად eBay-ის აუქციონზე გასაყიდად გამოაქვთ ბრიტნი სპირსის მიერ დაღეჭილი კევი. ფასი 19-დან 99 დოლარამდე მერყეობს. კევს მომღერლის ავტოგრაფიც ახლავს. ■

# „გამომცემლობა პალიტრა L"-ის ახალი წიგნები



## პიცა

გვ. რაოდ.: 124 გვ.
ყდა: ბალიშა

ფასი: 17.99

ამ წიგნში თქვენ იხილავთ პიცის **50**-ზე მეტ იოლად მოსამზადებელ, ეკონომიურ, და, რაც მთავარია, უგემრიელეს რეცეპტებს, სადაც დეტალურად არის განხილული პიცის მომზადების ყველა ეტაპი. ეს ორიგინალური ფორმის წიგნი საუკეთესო საჩუქარია ყველა დიასახლისისათვის!

## მხიარული ხმები წვეულება



გვ. რაოდ.: 10 გვ.
ფორმატი: 25.5X25.5
ყდა: მაგარი

ფასი: 19.99

ამ ხმოვანი, მოძრავი სურათებით გაფორმებული წიგნის საშუალებით თქვენი პატარები იუბილარ კაკუჩას ყველაზე მხიარულ და სასაცილო დღეობაზე ეწვევიან.



## საღამოობით საკითხავი ლამაზ-ლამაზი ამბები




ფასი: 22.99

გვ. რაოდ.: 372 გვ.
ფორმატი: 18.5X21
ყდა: მაგარი

ეს შესანიშნავად ილუსტრირებული, საღამოობით საკითხავი ლამაზ-ლამაზი ამბების კრებული თქვენი პატარას საყვარელი წიგნი გახდება.

## დიდი საოჯახო სამედიცინო ენციკლოპედია




გვ. რაოდ.: 620 გვ.
ფორმატი: 20X30.5
ყდა: მაგარი

ფასი: 32.99

ამ უხვად ილუსტრირებულ წიგნში განხილულია 250-ზე მეტი დაავადების აღწერილობა, მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხები. წიგნი სრულყოფილ ინფორმაციას მიაწვდის მკითხველს ყველა დაავადების შესახებ.

## დიდი მხატვრები და მათი შედევრები




ქართულ და ინგლისურ ენებზე!

ფასი: 19.99

გვ. რაოდ.: 12 გვ., მუყაო
ფორმატი: 25X45
ყდა: მაგარი

ამ წიგნით თქვენი შვილები **6 დიდ მხატვარს** გაეცნობიან და შეძლებენ პაზლებით ააწყონ მათი გენიალური ნახატები.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 8(32) 238 26 73; 8(32) 238 26 74 www.elva.ge

## გონების სავარჯიშო

### „გზის" ერთგული მკითხველისათვის

### (კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში" სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

**„პასუხების" სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი**

1. ვის ეძახდნენ გურიასა და იმერეთში „კურძვალს"?

2. დაასახელეთ ქართველი კომპოზიტორი, რომელიც რესტორანში საქეიფოდ შესვლისას დამკვრელებს ფულს გადაუგდებდა, სანამ აქ ვიქნებით, თქვენი ხმა არ გავიგონოო.

3. ვინ აჩუქა რუსებს დიდი რაოდენობით შავი ტყავის ქურთუკები, რომლებიც ასე პოპულარული იყო ბოლშევიკებში?

4. სპეციალისტთა მტკიცებით, ვინ არის ალკოჰოლიზმით დაავადებულისათვის საუკეთესო ექიმი?

5. დაასახელეთ ინგლისელი ფიზიკოსი, რომლის უკანასკნელ ჩანაწერში მის მიერ ჩატარებული რიგით 16041-ე ცდა არის აღწერილი.

6. თბილისის ამ უბანს XIX საუკუნემდე ავანაანთხევი ერქვა. აქ ქართველ წარჩინებულთა ბაღები იყო გაშენებული. რა ჰქვია დღეს მას?

7. დაასახელეთ ქართველი პოეტი, რომელიც ახალგაზრდობაში კარგი მოჩხუბარი იყო და მოხუცებულობაშიც შემორჩა ფიცხი ხასიათი. ერთხელ ხანდაზმულმა პოეტმა შენიშვნა მისცა ვიღაც ახალგაზრდას, რომელიც მისი აივნის სიახლოვეს იდგა და იგინებოდა. ახალგაზრდამ მასაც შეუკურთხა. გაბრაზებული პოეტი სახლში შევიდა, მარილით გატენილი სანადირო თოფი გამოიტანა და შეურაცხმყოფელს ესროლა. ნასროლი მიზანს მოხვდა და ბილწსიტყვაობაც შეწყდა.

8. დაასახელეთ ადამიანი, რომლის საძინებელ ოთახს ოთხი წლის განმავლობაში ამშვენებდა ლეონარდო და ვინჩის „მონალიზა".

9. როდის ამბობენ ფრანგი მზარეულები, — ახლა კი ტირილის დრო დგებაო?

10. დაასრულეთ ანდრეი ალიაკინის სიტყვები: „ვ ჟიზნე პალუჩაეტსა ვსიო ნა აბაროტ, სპიაშაია — კრასავიცა, რაზბუდი — ...".

# ანეკდოტები



***

ექიმი:
— ეწევით?
— არა.
— სვამთ?
— არა.
— ნუ იცინით იდიოტივით, რაიმეს მაინც გიპოვით.

***

წითელქუდა ბებიასთან მიდის. შეხვდება მგელი:
— გამარჯობა, დებილო!
— კარგი რა, მგელო! დებილს რატომ მეძახი? მე ხომ წითელქუდა მქვია, წითელი ქუდი მახურავს, წითელი კაბა... წითელი ფეხსაცმელები... ისე, მართლა რა დებილივით მაცვია...

***

— დედა, ყველა ბავშვი ბამბის ნაყინს ჭამს და მე რატომ მაჭმევ ნამდვილს?

***

— ახლა კი უსაფრთხო სექსის დრო დადგააააააა....
— რა მოხდა, პრეზერვატივები მოიმარაგე?
— არა, ცოლი გავუშვი დასასვენებლად.

***

დედლებმა დიდი კვერცხების დადება დაიწყეს, რისთვისაც მამალი მედლით დააჯილდოეს.
— კარგი, კარგი, მოიტათ ეგ მედალი, მაგრამ ინდაურს გადაეცით, სადაც ვნახავ, იქ დავმარხავ.

***

კახელი ბაზარში კიტრს ყიდის. მივიდა კლიენტი და კიტრის საფანტში გადაცვლა შესთავაზა. კახელმაც გაუცვალა 2 კილო.
ერთი კვირის შემდეგ კახელი ისევ ჩამოვიდა სავაჭროდ. როგორც კი დახლზე საქონელი გაშალა, მესაფანტე თავზე წამოადგა და უსაყვედურა:
— შენ რა გითხარი, შენი მოცემული კიტრის ნახევარი მწარე აღმოჩნდა!
— შენმა მზემ, იმ შენი საფანტის ყველა მარცვალი ხო მიზანში მოხვდა! — უპასუხა კახელმა.

***

— ექიმო, შვიდი წელია, რაც დავქორწინდით, მაგრამ შვილი არ გვიჩნდება.
ექიმი გასინჯავს:
— უცნაურია, ყველაფერი წესრიგში გაქვთ, იქნებ გასასინჯად ცოლიც მოგეყვანათ...
— ექიმო, ცოლი მე ვარ.

***

სამსახურიდან დაბრუნებულ ქმარს ცოლმა ტირილით შესჩივლა:
— ნამცხვარი გამოგიცხვე და სამზარეულოდან როგორც კი გამოვედი, ჩვენმა ძაღლმა შესანსლა.
— ნუ ტირი, ძვირფასო, — დაამშვიდა ქმარმა, — თუ ვერ გადარჩა, ახალ ძაღლს გიყიდი.

***

— სახლში შუაღამისას ნასვამი რომ მივდივარ, ცოლი ოხრავს და საათს უყურებს.
— დიდი რამე, მე რომ სახლში მივდივარ, ცოლი კალენდარს უყურებს.



***

— ძვირფასო, ვგავარ იდეალურ ქალს?
— რას ამბობ, შენ უფრო მეტი ხარ!
— მაინც რამდენად მეტი?
— დაახლოებით 50 კილოგრამით.

***

ქმარი შინ გვიან ბრუნდება და ცოლს ეუბნება, რომ მეგობართან შეაგვიანდა. ცოლი მაშინვე მეგობარს ურეკავს და ეკითხება:

— ჩემი ქმარი შენთან იყო ამდენ ხანს?

— რას ჰქვია იყო? შენი ქმარი ახლაც ჩემთანაა!

***

— ჩემს ცოლს ხო იცნობ?

— როგორ არ ვიცნობ.

— რომ დაგითმო, რამდენს გადამიხდი?

— არც ერთ კაპიკს.

— თანახმა ვარ, წაიყვანე.

***

მწვრთნელი თავისი გუნდის ფეხბურთელებს ეუბნება:

— ხვალ დაბადების დღე მაქვს. მოდი, გამიკეთეთ კარგი საჩუქარი და ხვალინდელი მატჩი მოიგეთ.

— ჩვენ გუშინ უკვე გიყიდეთ ჰალსტუხი!

***

რაჭველები ძროხას ყიდიან.

— რა ღირს ძროხა? — იკითხა იმერელმა.

— 500 ლარი.

— რა ამბავია 500 ლარი?!. თანაც ისეთი გამხდარია, ნემსის ყუნწში გაეტევა!..

— რას ამბობ, ბოშო, ძროხა ნემსის ყუნწში რაფრა გაეტევა?..

— გაუკვირდათ რაჭველებს.

— რაფრა და მოვიტან ახლა ნემსს და თუ მართლა გაეტია, მაგ ძროხას თლა მუქთად წავიყვან! — დაიმუქრა იმერელი და წავიდა.

რაჭველები შეფიქრიანდნენ, რაღა გვეშველება მართლა ნემსის ყუნწში რომ გაეტიოსო და ძროხას კუდი საგულდაგულოდ გამოუკვანძეს.

***

იტალიაში მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ქმარმა ცოლს ფოტოების ალბომი აჩვენა.

— იქაც გატყვერი, შე უბედურო?!. — ჩაიბუზღუნა ცოლმა, როცა პიზის კოშკთან გადაღებულ ქმრის ფოტოს მოჰკრა თვალი.

***

— ბაბუაჩემი მთელი ცხოვრება ჯანმრთელ საკვებს, ბოსტნეულს, მაწონს, მოხარშულ თევზსა და ხილს მიირთმევდა. დილით 6 საათზე დგებოდა და საღამოს 10 საათზე წვებოდა. აკეთებდა დილის გამამხნევებელ ვარჯიშს, არ სვამდა, არ ეწეოდა, ქალებს არ დასდევდა და 90 წლის ასაკში მოწყენილობისგან გარდაიცვალა.

***

პატარა ხბო ხეზე ასვლას ცდილობს. ხის ტოტზე შემჯდარი 2 ყვავი ყურადღებით ადევნებს თვალყურს. ცოტა ხანში ერთი მეორეს ეუბნება:

— ძვირფასო, მგონი დროა, ვუთხრათ, რომ ოდესღაც ვიშვილეთ...



***

პროგრამისტის ცოლს დაქალი ეკითხება:

— შენი ქმარი პირველად როგორ გაგეარშიყა?

— კომპიუტერი მაჩვენა...

## გონების სავარჯიშო

### „გზის" ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. მეძებარი ძაღლების მომვლელსა და მწვრთნელს.
2. ანდრია ბალანჩივაძე.
3. ანტანტამ. მოკავშირეებმა ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დასაწყისში გაუგზავნეს რუს სამხედროებს ეს სამოსელი. ძვირფასი საქონლით სავსე საწყობები ბოლშევიკებმა ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ აღმოაჩინეს. ტყავის ქურთუკების პოპულარობა იმანაც განაპირობა, რომ მასში ტილები ვერ იბუდებდნენ. ეს პარაზიტი კი განსაკუთრებით საშიში იყო იმ პერიოდში, რადგან ქვეყანაში ტიფი მძვინვარებდა.
4. ნებისმიერი ადამიანი, ვინც უკვე განიკურნა ამ დაავადებისგან.
5. მაიკლ ფარადეი (იგი უზომოდ ბევრს მუშაობდა).
6. სოლოლაკი.
7. კოლაუ ნადირაძე.
8. ნაპოლეონ ბონაპარტი.
9. როცა ხახვის დაჭრას იწყებენ.
10. „უროდ!".

## ჩვენი ფოტო გალერეა



რუბრიკა მოამზადა *თემურ ივანიძემ*

# ჰოროსკოპი

## 28 ივლისი - 3 აგვისტო

### ვერძი

შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ კოლეგები წარმატებაში ხელს გიშლიან. იდეებს სხვებს ნუ გაანდობთ, დამოუკიდებლად იმოქმედეთ. კარგი პერიოდია მოგზაურობისთვის.

### კურო

საყვარელი ადამიანის მხარდაჭერით უამრავ დაბრკოლებას გადალახავთ. კარგი პერიოდია ბინის შესაცვლელად ან საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად.

### ტყუპი

ახალი იდეების განხორციელებისას თუ საკუთარ შესაძლებლობაში დარწმუნებული არ ხართ, ნუ გარისკავთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ჯანმრთელობას.

### კირჩხიბი

უცხოელი კოლეგების მასპინძლობით იქნებით დაკავებული. საქმის ცოდნა და გულუხვობა კარიერულ წინსვლაში დაგეხმარებათ. ზოგიერთ თქვენგანს დამატებითი შემოსავალი გაუჩნდება.

### ლომი

კვირის დასაწყისში საოჯახო საქმეების მოგვარებით იქნებით დაკავებული, მეორე ნახევარში სამსახურებრივი გეგმების განხორციელებას შეძლებთ.

### ქალწული

თუ ძველი კავშირები სამუდამოდ გაწყვიტეთ, ახალი რომანტიკული თავგადასავალი უამრავ დადებით ემოციას შეგძენთ. გაფრთხილდით, რომ რაიმე ღირებული ნივთი არ დაკარგოთ.

### სასწორი

დაჩაგრულისა და განაწყენებულის როლში რომ არ აღმოჩნდეთ, საოჯახო საკითხები თქვენს სასიკეთოდ მოაგვარეთ. დასვენების დღეები შემოქმედებით საქმიანობას დაუთმეთ.

### მორიელი

საქმეების მოსაგვარებლად წარმატებული პერიოდი გაქვთ. უცხოელ პარტნიორებთან მოლაპარაკებები თქვენთვის სასიკეთოოთ წარიმართება. თუ არ გსურთ რეპუტაცია შეგელახოთ, ახალი რომანტიკული თავგადასავლებისგან თავი შეიკავეთ.

### მშვილდოსანი

საკუთარი პრობლემები დამოუკიდებლად მოაგვარეთ. მეგობრებთან ფინანსურ საკითხებზე წუწუნს არ გირჩევთ. ეცადეთ, მეტი მზრუნველობა გამოიჩინოთ მათ მიმართ.

### თხის რქა

ნაცნობების დახმარებით საკუთარი საქმეების მოგვარებას შეძლებთ. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები თქვენს სასიკეთოდ მოგვარდება. კვირის ბოლოს გაიღრმავეთ უცხო ენის ცოდნა.

### მერწყული

მატერიალურ კეთილდღეობას მიაღწევთ, მაგრამ ფულს სულ ნუ დახარჯავთ. საზღვარგარეთიდან საინტერესო შემოთავაზებას მიიღებთ, რაც თქვენი ბიზნესის გაფართოებას შეუწყობს ხელს.

### თევზები

მეგობრებთან ურთიერთობა განწყობილებას გაგიუმჯობესებთ. მათი დახმარებით ახალი იდეების განხორციელებასაც შეძლებთ. ახლობლებს დახმარებაზე უარს ნუ ეტყვით.

# სისუფთავის მოყვარული ნიშნები

**ვერძს** ყველაფერი წესრიგში უნდა ჰქონდეს. სახლს იშვიათად, მაგრამ საფუძვლიანად ალაგებს. უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, უმჯობესია, მის ნივთებს ხელი არავინ ახლოს.

**კურო** ზარმაცობს. შესაძლოა, ზოგჯერ მის ბინას კრიალი გაუდიოდეს, ზოგჯერ კი, ავეჯი მტვრის სქელი ფენით დაიფაროს. არასდროს მოიყვანს სახლში დამლაგებელს. ურჩევნია, რთული სამუშაო თავად შეასრულოს, ვიდრე ფული სხვას გადაუხადოს.

**ტყუპს** სახლის დალაგება არ უყვარს. ყველაფერი მიყრილი და არეული აქვს. ბინის წესრიგში მოყვანა, დროის უქმად დაკარგვად მიაჩნია.

**კირჩხიბისთვის** სისუფთავე და აკურატულობა პირველ ადგილზეა. ყველა ნივთი თავის ადგილზე უნდა იდოს, არ უყვართ, როცა მის ნივთებს სხვა ეხება. საკუთარ სახლსაც სიამოვნებით ალაგებს და შეუძლია, სხვასაც დაეხმაროს მილაგებაში.

**ლომს** იძულებით სახლს ვერავინ დაალაგებინებს, მაგრამ თუ მოინდომა, მისი სახლი სისუფთავით იბრწყინებს. მას ფუფუნებაში უყვარს ცხოვრება. სახლის მოწესრიგებაში ფულს არ დაინანებს. მთავარია, ბინძური საქმე თავიდან აირიდოს.

ორი სახის **ქალწული** არსებობს. ერთი სისუფთავისა და წესრიგის მოყვარულია, მეორე — არა. ერთი აკურატულად დალაგებულ ბინაში ცხოვრობს და სუფთა ტანსაცმელი აცვია. მეორე ვერც ამჩნევს, რომ ჭუჭყში იძირება.

**სასწორი** ყვავილების მორწყვისა და ოთახების განიავების გარდა სხვა საოჯახო სამუშაოს არ გააკეთებს. მასთან კამათს აზრი არ აქვს და თუ არ გსურთ, საჭირო დოკუმენტებისა და ნივთების გარეშე დარჩეთ, სასწორს მათი დალაგება არ დაავალოთ.

თუ **მორიელმა** სახლის დალაგება გადაწყვიტა, გაფრთხილდით, ყველა ძვირფასი ნივთი გადამალეთ, რადგან დალაგების დროს ნივთებს ხშირად ტეხს.

**მშვილდოსანი** სახლს უკიდურეს შემთხვევაში დაალაგებს. ნივთების მიყრა-მოყრა იცის და ამიტომ, მისი სახლში მუდმივი ქაოსია. თვითონ სახლის დალაგებას ფილოსოფიურად უდგება, — რატომ დავალაგო, თუ ისევ აირევა?..

**თხის რქა** მოწესრიგებულია და სხვებსაც წესრიგისკენ მოუწოდებს. არეულ სახლში (კაბინეტში) ვერ გაჩერდება. ბინას ზედაპირულად კი არა, ყოველთვის საფუძვლიანად ალაგებს. მან ყოველთვის იცის, სად ინახება ესა თუ ის ნივთი და დოკუმენტი.

**მერწყულს** სუფთა ბინაში ცხოვრება კი მოსწონს, მაგრამ სახლის დალაგებას მოგზაურობა, უცხო ენის შესწავლა და ექსპერიმენტების წამოწყება ურჩევნია. აკურატულია და სხვებსაც ამისკენ მოუწოდებს.

**თევზები** სიბინძურეშიც იცხოვრებს, მის სამუშაო მაგიდაზე მუდმივად ქაოსია. დალაგებულ ბინაში საჭირო ნივთებს ველარ აგნებს. ერთადერთი, რასაც სიამოვნებით უვლის, აკვარიუმია. საკმარისია, ძველი ნივთები გადაყაროს, რომ ისინი აუცილებლად დასჭირდება და ამის გამო, ძველმანებთან განშორება უჭირს.

■



1. რუსეთის ავტონომია
2. შინაური ცხოველი
3. ესპანეთის ფეხბურთის გუნდი
4. ტაძარი თბილისში
5. ნავთობის გადასაზიდი გემი
6. კატის ნაშიერი
7. თეატრალური თოჯინა
8. მთავარი საწყობი
9. პერუს დედაქალაქი
10. ავსტრიის დედაქალაქი
11. ღრიანკალი
12. მარტის ძვ. ქართული სახელწოდება
13. იგივეა, რაც კონტინენტი
14. ქალაქი თურქეთში
15. მუდმივი ქალაქი
16. ღილის შესაკრავი ჭრილი
17. სწრაფი თავდასხმა მტერზე
18. ხის ალვირი
19. ხარების ბრძოლა
20. სმენადაკარგული
21. გეომეტრიული სხეული
22. ფარული დაცინვა
23. გამხმარი ხილი
24. ბრაზილიელი ფეხბურთელი
25. ამერიკელი მულტიპლიკატორი
26. ორთაბრძოლა რაიმე იარაღით
27. ნატვრა
28. მეტად სანატრელი
29. მღვიმე ქუთაისთან
30. შვეიცარიის ფულის ერთეული
31. მცირე სისქის მქონე
32. უსახელო ზედა სამოსი
33. შხამიანი ობობა
34. სასული
35. ფერთა შეხამება
36. ვისიმე ზუსტი მიბაძვა



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები** 1. მოდილიანი; 2. დაბა; 3. მინესოტა; 4. ლორი; 5. მარიამობა; 6. ნადავლი; 7. რუბეროიდი; 8. სარი; 9. რეზონი; 10. ცრუ; 11. ტოროლა; 12. სირია; 13. ქიში; 14. იმიჯი; 15. მალარია; 16. კილო; 17. სიბილა; 18. საყვირი; 19. ვაზარი; 20. რკო; 21. თოხლო; 22. ოთხი; 23. ზაქი; 24. ალია; 25. ბოა; 26. კეპი; 27. მაჯა; 28. მახათი; 29. ნიგოზი; 30. ცხელი; 31. მონაკო; 32. ჯირითი; 33. ოსანა; 34. ნადირი; 35. მისისიპი; 36. ოდინი; 37. საკე; 38. პანო; 39. ოდა; 40. თანაბარი; 41. იმიტაცია.

**სურათებზე:** მარია შარაპოვა; ნოვაკ ჯოკოვიჩი.

# საფირმო კროსვორდი



**შევსების წესი:** **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.**

**გ**. იტალიელი მოდელიერი; **ზ**. ხასიათი, ბუნება, თვისება; **ა**. დიეგო მარადონას მეორე სახელი; **ს**. პატარა თევზსაჭერი გემი; **თ**. მართლმსაჯულების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც ერთ ხელში მახვილი უჭირავს, მეორეში — სასწორი; **ა**. რა ერქვა ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის კავშირს პირველ მსოფლიო ომში? **ნ**. ბუდისტების სამოთხე; **ე**. გემის ან თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; **რ**. იტალიელი კომპოზიტორი, „სევილიელი დალაქის“ ავტორი; **თ**. თბილისის ერთ-ერთი უბანი; **ა**. ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი, მისგან მომზადებული წვნიანი; **დ**. მუსიკალური ნიშანი, რომელიც ნახევარი ტონით ამაღლებს ბგერას; **ა**. მთავარი არტერია, რომელიც არტერიული სისხლით კვებავს სხეულის ყველა ორგანოს (ფილტვების გარდა); **რ**. რა ერქვა მიხეილ გორბაჩოვის ცოლს? **ა**. ქართველი მეფე-პოეტი; **ს**. ჩეხი კომპოზიტორი, დირიჟორი და პიანისტი; **დ**. რა ერქვა საქართველოს მეფის, გიორგი ბრწყინვალეს მამას? **რ**. აშშ-ის პრეზიდენტი, რომელმაც საბჭოთა კავშირს ბოროტების იმპერია უწოდა; **ო**. საბუთი, რომელშიც აღწერილია კრების, სხდომის ან დაკითხვის მსვლელობა; **ს**. არხი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს წითელსა და ხმელთაშუა ზღვებს; **მ**. ვულკანის მოქმედების შედეგად დედამიწის სიღრმიდან ამოფრქვეული გამდნარი მასა; **ო**. გუთნისდედის სიმღერა; **ი**. ცალკე პირის ან დაწესებულების რომელიმე წლისთავი და ამ წლისთავთან დაკავშირებული ზეიმი; **წ**. ის, რისიც ეშინიათ ცოფით დაავადებულებს; **ყ**. შეიარაღებული მცველი, დარაჯი; **ე**. სახელმწიფოს მიერ ქაღალდის ფულის გამოშვება; **ნ**. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **თ**. ერთდროულად მცხოვრები დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**გ**. გოჩა; **ზ**. ზნე; **ა**. არმადა; **გ**. გრიგალი; **ზ**. ზედაშე; **ი**. იკაროსი; **ს**. სოსელო; **თ**. თიანეთი; **ვ**. ვიკონტი; **ი**. იალალი; **ს**. სკალპი; **ა**. აკვანი; **ო**. ონისე; **მ**. მადრიდი; **კ**. კლანი; **ი**. იანძი; **თ**. თხა; **ხ**. ხიმინჯი; **ვ**. ვოევოდა; **ე**. ეჟვანი; **ლ**. ლიე; **ი**. იაგუარი; **ს**. სვანეთი; **თ**. თავლა; **ვ**. ვალეტა; **ი**. იკებანა; **ს**. სესია; **ა**. ამერიკა; **ო**. ოლოლო.

**გამუქებულ უჯრედებში იკითხება:**

**ჩემი დასაკლავი დანა მევე გავლესეო**

## იაპონური სენსაცია

## sudoku

**„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 9 | 6 | 4 | 3 | 8 | 2 | 1 | 7 |
| 1 | 3 | 2 | 5 | 7 | 6 | 4 | 9 | 8 |
| 8 | 7 | 4 | 2 | 9 | 1 | 5 | 6 | 3 |
| 9 | 5 | 3 | 6 | 8 | 2 | 7 | 4 | 1 |
| 4 | 6 | 7 | 1 | 5 | 3 | 9 | 8 | 2 |
| 2 | 1 | 8 | 7 | 4 | 9 | 3 | 5 | 6 |
| 7 | 8 | 1 | 9 | 2 | 4 | 6 | 3 | 5 |
| 6 | 4 | 5 | 3 | 1 | 7 | 8 | 2 | 9 |
| 3 | 2 | 9 | 8 | 6 | 5 | 1 | 7 | 4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 7 | 4 | 2 | 3 | 6 | 1 | 5 |
| 1 | 3 | 6 | 8 | 5 | 9 | 7 | 4 | 2 |
| 5 | 2 | 4 | 6 | 1 | 7 | 8 | 3 | 9 |
| 7 | 1 | 5 | 3 | 4 | 6 | 9 | 2 | 8 |
| 3 | 6 | 8 | 2 | 9 | 1 | 5 | 7 | 4 |
| 9 | 4 | 2 | 5 | 7 | 8 | 3 | 6 | 1 |
| 2 | 7 | 3 | 9 | 8 | 4 | 1 | 5 | 6 |
| 6 | 5 | 9 | 1 | 3 | 2 | 4 | 8 | 7 |
| 4 | 8 | 1 | 7 | 6 | 5 | 2 | 9 | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1 | 5 | 3 | 8 | 9 | 4 | 2 | 6 |
| 6 | 2 | 9 | 7 | 4 | 1 | 8 | 3 | 5 |
| 3 | 8 | 4 | 5 | 6 | 2 | 1 | 7 | 9 |
| 9 | 7 | 3 | 8 | 2 | 4 | 6 | 5 | 1 |
| 4 | 6 | 2 | 1 | 9 | 5 | 3 | 8 | 7 |
| 1 | 5 | 8 | 6 | 7 | 3 | 9 | 4 | 2 |
| 2 | 4 | 7 | 9 | 3 | 6 | 5 | 1 | 8 |
| 8 | 9 | 1 | 4 | 5 | 7 | 2 | 6 | 3 |
| 5 | 3 | 6 | 2 | 1 | 8 | 7 | 9 | 4 |

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | | | 6 | | 7 | |
| | | | | | 3 | 8 | | |
| 1 | | | | | 4 | | 6 | |
| | 7 | | | | 1 | | 2 | |
| | | 6 | 4 | | 2 | 3 | | |
| | 5 | | | 8 | | | 9 | |
| | 4 | | 1 | | | | | 9 |
| | | 5 | 3 | | | | | |
| | 6 | | 7 | | | | 8 | |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | | 3 | | | 1 | |
| | 3 | | | | 7 | | 5 | |
| | | | | 1 | | | | 9 |
| | | 2 | | 5 | | | | 3 |
| | | 3 | | 8 | | 1 | | |
| 9 | | | 4 | | 3 | 8 | | |
| 8 | | | | 2 | | | | |
| | 5 | | 9 | | | | 2 | |
| | 2 | | | 6 | | | | 7 |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | | 3 | | | | 1 |
| 2 | | | 7 | | | | 4 | |
| 5 | | | | | 4 | | | |
| 8 | | | | 9 | | | 5 | |
| 9 | | 1 | | 4 | | 6 | | 3 |
| | 6 | | | | | | | 7 |
| | | | 4 | | | | | 5 |
| | 2 | | | | 1 | | | 9 |
| 4 | | | | 8 | | | | 6 |

# ფოტოკურიოზები
















ბიბლუსი
Books
1 აგვისტოდან „ბიბლუსის“
ყველა მაღაზიაში
მისამართები:
თბილისი: ალმაშენებლის № 121
თბილისი: იოსებიძის № 49
თბილისი: ბახტრიონის № 12
თბილისი: რობაქიძის № 7
თბილისი: რუსთაველი № 40/1
თბილისი ცენტრალი, ვსართული
თბილისი: გლდანი 1მ/კ 1 კვ № 50
ოზურგეთი: 9აპრილის პარკი
რუსთავი: მეგობრობის № 12
სამტრედია: საააკაძის № 6
სენაკი: რუსთაველის № 239
ფოთი: ფარნავაზ მეფის № 15
ბათუმი: მემედ აბაშიძის № 62
ქუთაისი: თამარ მეფის № 34
ბოლნისი: სულხან-საბას №106
ზესტაფონი: ალმაშენებლის № 87
საჩხერე: თავისუფლების 1 № 17
ქ.ქუთაისი: ლ.ნუცუბიძის № 1
ქ. ზუგდიდი: რუსთაველის № 87
ხაშური: კოსტავას ქუჩაზე არსებულ სკვერში
ხაშური: რუსთაველის № 69
დუშეთი: რუსთაველის № 11
დიდი
ფასდაკლება
წიგნებზე
50% -მდე
ტელ: 2 307 - 402
www.biblusi.ge


უკვე გამოსული №1, №2 ტომების შეძენა შეგიძლიათ წიგნის მაღაზიებში!
სახელი, გვარი:
პროფესია:
ასაკი:
სერიის წიგნები:
1. იტალიური სამზარეულო
2. მექსიკური სამზარეულო
3. არგენტინული სამზარეულო
4. ჩინური სამზარეულო
5. ფრანგული სამზარეულო
6. იაპონური სამზარეულო
7. ავსტრიულ-გერმანული სამზარეულო
8. ქართული სამზარეულო
... და სხვები
მსოფლიოს კულინარია
3 არგენტინული სამზარეულო
ტომი 3
1-დან - 8 აგვისტომდე
სპეციალური ფასი 10 ლარი
მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის

ბილაინი®
გადმოდი ნათელ მხარეზე

# «საერთაშორისო ზარები»

## ისაუბრე საუკეთესო ფასად!

| | | |
|---|---|---|
| ამერიკა | 5 | თეთრი |
| დსთ, თურქეთი | 20 | თეთრი |
| ევროპა, აზია | 30 | თეთრი |



აქტივაციისთვის აკრიფე: *110*231#

მომსახურების აქტივაციის ღირებულებაა 1 ლარი

მომსახურების აქტივაციის ვადაა 30 დღე

ზარის წამოწყების ღირებულებაა 10 თეთრი

2 20 06 11